# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№19 (584) ◆ 8 – 14 მაისი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




## „თურმე ყველა მე მკარნახობს, რა ვილაპარაკო და... სიტყვებსაც მიწერენ“

„ეს გამონათქვამი არ იყო კორექტული და აღარ ვაპირებ ამ თემაზე მსჯელობას“

...თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ყველა თავად ირჩევს აზრის გამოხატვის ფორმასო. ვეთანხმები, მაგრამ აზრის გამოხატვისა და პროტესტის ეს ფორმა ჩემთვის მიუღებელია...

...ბოდიშის მოხდისა მათ ეშინიათ, რომელთაც საკუთარი თავის რწმენა არა აქვთ...

„ასეთ ხალხმრავალ ადგილას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ჩატარებულიყო სპეცოპერაცია. იყო კი იმ შემთხვევაში უკიდურესი აუცილებლობა?“

გვ.7

## კრიმინალებზე თვალთვალი სპეცრაზმის თანხლებით არ მიმდინარეობს





პოლიტიკური ტენდენცია, არაპროფესიონალიზმი თუ „ზედმეტის“ მცოდნე მოწმეთა მიზანმიმართული განადგურება

გვ.5,15

„ბოლო დროს სწორედ ისეთი დამნაშავენი არიან ლიკვიდირებულნი, რომლებიც წარსულში მაღალჩინოსან პოლიციელებთან ურთიერთობასა და მეგობრობაში იყვნენ შემჩნეულნი.“

## „თუ ეს პიარის საქმე არ იყო, პრეზიდენტმა ერთი ახალი კომპიუტერი როგორ ვერ იშოვა?..“

გვ.3

„ქართველებს მხოლოდ მიცვალებულები გვიყვარს და ცოცხლებს ვერ ვიტანთ... ეს არის ჩვენი საბედისწერო უბედურება“



„ან აქამდე რა გვინდოდა დსთ-ში“


12 მაისს, პარასკევს ახალი გაზეთი!

ყველა სიახლე

კვირის პალიტრისგან


## „მე არ ვიცი, სად იქნება... მომავალში რუსეთ-საქართველოს საზღვარი“

„ნატოში გაწევრება ერთგვარი პაროლია რუსეთისათვის პრობლემების შესაქმნელად“



...ვეთანხმებით, რომ ჩვენ ახლა ერთმანეთთან ადამიანურად არ ვსაუბრობთ...

...ჩვენ არ გვჯერა სააკაშვილის თავშეკავებულობისა და იმისა, რომ იგი კონფლიქტების მოსაგვარებლად ძალისმიერ მეთოდს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს...

გვ.6

...მე პუტინის ადმინისტრაციის უშტატო მრჩეველი ვარ...

კრემლის მთავარი პოლიტტექნოლოგი — გლებ პავლოვსკი

## ნაწყვეტები ედუარდ შევარდნაძის მემუარებიდან



### „მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ უკვე მომატყუა... ამჯერადაც შევცდი...“

ამ გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ ერთი რამ მამოძრავებდა: დსთ-ში თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა შედიოდა, მათი პრეზიდენტები კი ჩემი მეგობრები იყვნენ. ისინიც მირჩევდნენ: „აქ რომ შემოხვალ, უფრო დაგეხმარებით, რუსეთზე აქტიურ ზეწოლას მოვახდენთო“.

გვ.11

## ვინ ჩაუსაფრა ჟურნალისტებს „სტაიანკის მაყურებლები“?

### ვინ აგრძელებს უკანონობას, — მერია, ზედამხედველობის სამსახური თუ პოლიცია?!

გვ.5

თბილისის ცენტრში უკანონო ავტოსადგომს ბობოლა ჩინოვნიკები მფარველობენ.

## ეკონომიკა

გვ.27

### „საბანკო სესხზე პროცენტი მალე კვლავ გაიზრდება“


STANDARD BANK
სტანდარტ ბანკი

სტანდარტ ბანკი აცხადებს მიღებას პერსონალური ბანკირის თანამდებობებზე

გვ.14

R




## „ქვეყანაში გაცილებით დიდი ფული ტრიალებს, ვიდრე ჩანს“

გვ.7,15

...პრობლემები, ძირითადად, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. ჟვანია ვერავინ ჩაანაცვლა, სამაგიეროდ, ზედაპირზე ამოტივტივდა ორი ძალა: ოქრუაშვილი და ისინი, რომლებიც „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ წამოვიდნენ...

„ვინც გარეთ რჩება, მალე ოქრუაშვილს მიაკითხავენ“

## „იარებოდა დედაი...“

გვ.37

### ორივე მხარე ჩვენ-ჩვენი აფხაზეთისთვის ვიბრძოდით...

## „არავითარი აგენტი არ ვყოფილვარ“



ფაშისტური გერმანიისა და საბჭოეთის მთავარსარდლობისგან ერთდროულად დაჯილდოებული ჯარიკაცი?!

გვ.13

„თუ ვინმეს ჰგონია, სტალინის წინაშე ქედს არ იხრიდნენ გერმანელები, ძალიან ცდება“.

„საჭმლის გამო მოგვივიდა ქურდებთან შეტაკება“

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

## არის თუ არა დსთ-ის წევრობა ქვეყნისთვის სასარგებლო

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს დსთ-დან გამოსვლას არ გამორიცხავს.

„ნაჩქარევი გადაწყვეტილება შეიძლება ჩვენთვის მეტად საზიანო გახდეს. ამიტომ დავავალე მთავრობას, რამდენიმე კვირის განმავლობაში შეისწავლოს და წარმოადგინოს დასკვნები, ღირს თუ არა დსთ-ში დარჩენა. ეჭვი მაქვს, რომ ამ ორგანიზაციის წევრობა ჩვენთვის სარგებლის მომტანი არ უნდა იყოს. თუ ეს ასეა, ქართველი ხალხი და საქართველოს პარლამენტი მიიღებს ღირსეულ გადაწყვეტილებას“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა რუსეთის ბოლოდროინდელ პოლიტიკაზეც ისაუბრა: „ამ ყველაფრის მიზანი არის ერთადერთი — საქართველოში იყოს შიმშილი. ამას ერთი რუსი ოფიციალური პირის სიტყვებიც მოწმობს, რომელიც ამბობს: მიკვირს, რატომ არ გამოდის ქართველი ხალხი ქუჩაშიო. გამოვფხიზლდეთ და დავინახოთ, რა საფრთხის წინაშე ვდგავართ. ეს არის ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე. მე მსურს ურთიერთობა ისეთ რუსეთთან, რომელიც პატივს სცემს ქვეყნის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას, არ ხურავს ქართულ სკოლებს და ეკლესიებს რუსეთში“.

საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლების დსთ-დან შესაძლო გამოსვლის შესახებ გაკეთებული განცხადებების შემდეგ, რუსეთი „ურჩ“ ქვეყნებთან ვალში დარჩენას არ აპირებს — ქვეყნის ხელისუფლებიდან გაჟონილი ინფორმაციით, იგეგმება საქართველოსა და უკრაინისთვის დსთ-ის ფარგლებში არსებული შეღავათების გაუქმება(?!).

## კვირა მაღალი რანგის სტუმრობით დასრულდა



7 მაისს საქართველოს ოფიციალური მოწვევით ესტუმრა ხორვატიის პრეზიდენტი სტეპან მესიჩი. მას თან ახლდა სამთავრობო დელეგაცია, რომელიც საქმიან შეხვედრებს მართავდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. საქართველოს პარლამენტში საზეიმო მიღების შემდეგ სტუმარი მისმა ქართველმა კოლეგამ მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. ამ დღესვე ორ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის შესახებ მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები გაფორმდა.

## ონიშჩენკოს წყურვილით სიკვდილი ურჩევნია

როგორც ჩანს, რუსეთის მთავარ ექიმს გენადი ონიშჩენკოს ქართულ პროდუქციაზე ალერგია აქვს. მან საბოლოოდ აკრძალა ქვეყნის ტერიტორიაზე ქართული მინერალური წყლების „ბორჯომისა“ და „ნაბეღლავის“ რეალიზაცია. მოსკოვის მაღაზიები ნელ-ნელა ცარიელდება ქართული პროდუქციისგან. მათ ნაბრძანები აქვთ, 10 მაისიდან რუსეთის ტერიტორიაზე არც ერთი წვეთი ქართული მინერალური წყალი არ გაიყიდოს.

რუსეთის მოქალაქეები უკმაყოფილებას ვერ მალავენ ონიშჩენკოს ხუშტურების გამო და იმედოვნებენ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა მალე გამოსწორდება. რამდენად უცნაურადაც უნდა ჩანდეს, ონიშჩენკომ რუსული ბაზრიდან „ნაბეღლავის“ სახით ის ბრენდი გამოდევნა, რომლის ხარისხის მაჩვენებელ დიპლომზე სხვა ხელმოწერებთან ერთად მისი გვარიც არის დაფიქსირებული. მაშინ „ნაბეღლავმა“ ოქროს მედალი აიღო. „ნაბეღლავის“ მწარმოებელმა კომპანია „წყალი მარგებელმა“ სულ ბოლოს შესაბამისობის სერტიფიკატი რუსეთში 24 აპრილს აიღო, რასაც ხელს აწერს რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმი. სწორედ ამიტომ, შესაძლოა, ქართულმა კომპანიამ ონიშჩენკოს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს.

## ლევან ვარშალომიძე „დაზარალდა“



საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აჭარის რევოლუციის მეორე წლისთავზე რეგიონის მთავრობის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე პირადი კომპიუტერის გარეშე დატოვა. აჭარის უმაღლესი ხელისუფლების პირის ნივთი საჩუქრად გადაეცა პატარა ნინო ცხოვრებოვას, რომელმაც პრეზიდენტს წერილით გაუმხილა, რომ ოცნებობს კომპიუტერსა და ბარბის სახლზე. აჭარაში ყოფნის დროს პრეზიდენტმა საზოგადოებას განუცხადა, რომ როგორც აჭარისთვის, ისე მთელი საქართველოსთვის დიდი საჩუქარი იქნება ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი, რომლის მშენებლობას ბათუმშიც თურქული კომპანია „ტავი და ურბანი“ უძღვება. „ეს არის საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტი აჭარის რეგიონისთვის“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

## ვინ და რატომ იტყუება

ევროსაბჭოს წარმომადგენელთან შეხვედრის შემდეგ ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, რომ საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობამ ევროსაბჭოს პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჟან-ლუი ლორანი მოატყუა.

ჩიხრაძის განმარტებით, ოპოზიციისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლის შეხვედრაზე გაირკვა, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ შეცდომაში შეიყვანა ჟან-ლუი ლორანი, მას განუცხადეს, რომ 27 მარტს ციხეში მომხდარი ბუნტის შემდეგ ციხის ადმინისტრაცია და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობა შეიცვალა.

ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, ჟან-ლუი ლორანი გაოცდა, როცა შეიტყო, რომ ციხეში ბუნტის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ პატიმრების მიმართ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ციხის ადმინისტრაციაში საკადრო ცვლილებები არ მომხდარა.

## ნოლაიდელი სპეცოპერაციებში ვერ ერკვევა

თბილისში, სანაპიროზე ჩატარებულ სპეცოპერაციაზე პრემიერ-მინისტრის კომენტარმა საზოგადოება გააკვირვა. ნოლაიდელის თქმით, ნებისმიერი სახის სპეცოპერაცია გამართლებულია, თუ დამნაშავეებს დააკავებენ. „სპეცოპერაცია მაშინ და იმ დროს უნდა ჩატარდეს, მათ შორის პიკის საათებშიც, როცა ბოროტმოქმედების აყვანაა შესაძლებელი“, — განაცხადა ნოლაიდელმა.

საზოგადოებას მიაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრს ან არაფერი გაეგება სპეცოპერაციის და იმიტომ ლაპარაკობს ასე, ან კიდევ უდანაშაულო ადამიანების უსაფრთხოება არ ანაღვლებს. სპეცოპერაცია ხალხმრავალ ადგილზე ჩატარდა, რომლის დროსაც ინტენსიური ორმხრივი სროლა მიმდინარეობდა. თვითმხილველების თქმით, ფეხით მოსიარულეები თუ ტრანსპორტში მსხდომი მოქალაქეები რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

## ვიცეპრემიერობა მხოლოდ ფუნქციის შესრულებას ნიშნავს



პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოლაიდელის ბრძანებით, ამიერიდან ვიცე-პრემიერის ფუნქციას სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე შეასრულებს. ვიცე-პრემიერის ფუნქციებში შედის განსაკუთრებულ შემთხვევებში პრემიერ-მინისტრის მოვალეობების შეთავსება.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი ბარამიძე პრემიერ-მინისტრის ნაცვლად 25 მაისს ყაზახეთში, დსთ-ის მეთაურთა სამიტზე გაემგზავრება. მთავრობის კანცელარიის უფროსის პეტრე მამრაძის განმარტებით, ვიცეპრემიერობა თანამდებობად არ ითვლება და ეს მხოლოდ ფუნქციის შესრულებას ნიშნავს. მისივე თქმით, ვიცე-პრემიერის მოვალეობაში შედის პრემიერ-მინისტრის ქვეყანაში არყოფნის შემთხვევაში მთავრობის სხდომების მოწვევა ან სხვადასხვა ფორუმზე მთავრობის სახელით წარდგომა. მამრაძის ინფორმაციით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ამ ფუნქციას არავინ ასრულებდა.

## რუსული სამხედრო ტექნიკა ახალქალაქს დატოვებს



ახალქალაქში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზიდან ტექნიკის გაყვანის პროცესი 15 მაისიდან დაიწყება და 15 აგვისტოს დასრულდება.

ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელების მიერ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, 15 მაისიდან ყოველი კვირის განმავლობაში ერთი ეშელონი რკინიგზის ვაგონი დაიტვირთება და 15 აგვისტომდე ახალქალაქის სამხედრო ბაზა შეიარაღებისა და ტექნიკისაგან მთლიანად დაიცლება.

## „მშვიდობისმყოფელები“ მტრობას არ იშლიან

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გალის რაიონში, ლენინის ქუჩაზე მთვრალმა რუსმა მშვიდობისმყოფელმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით მოქალაქე ნელი პაპავა დაჭრა. ინციდენტი რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხედრო ნაწილთან ახლოს მოხდა. სამმა რუსმა სამხედრო მოსამსახურემ თვითნებურად დატოვა რუსეთის სამშვიდობო ძალების კავშირგაბმულობის ცალკეული ბატალიონის ტერიტორია. მათ სამხედრო ნაწილის მოპირდაპირე მხარეს მდებარე მაღაზიას მიაკითხეს და გამყიდველ ნელი პაპავას სასმელი უფასოდ მოსთხოვეს. უარის მიღების შემდეგ ერთ-ერთმა რიგითმა პაპავა ფეხში დაჭრა.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული გალის რაიონის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ნელი პაპავას გადაუდებელი ოპერაცია გაუკეთდა და ქვედა კიდურის ამპუტაცია ჩაუტარდა(!). ინციდენტის დროს დაშავდა კიდევ ორი მოქალაქე — ზაურ დარსანია და მოგელი ჭითანავა. მათ ნელი პაპავას დაცვა სცადეს, რის გამოც რუსმა ჯარისკაცებმა სასტიკად სცემეს. სამივე ეჭვმიტანილი გალის რაიონის პოლიციაში გადაიყვანეს.

## ისრაელის გამოცდილება გამოგვადგება

ევროსაბჭოს წინაშე აღებული მაჰმადიან მესხთა რეპატრიაციის ვალდებულება საქართველომ 2011 წლისთვის უნდა შეასრულოს.

საქართველოს ხელისუფლება მზად არის საქართველოში დაბრუნების მსურველი მაჰმადიანი მესხები ეტაპობრივად განასახლოს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილს მაჰმადიან მესხთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 20-25% გამოთქვამს.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას განმარტებით, ისრაელის სახელმწიფოს, ფაქტობრივად, მიგრანტთა ქვეყანას, დიდი გამოცდილება აქვს მოსახლეობის მასობრივად რეპატრირების სფეროში. საქართველოს ხელისუფლება მზად არის, შექმნას რეპატრიაციის ის სისტემა, რომელიც ისრაელის სახელმწიფოში არსებობს და ხელი შეუწყოს საქართველოში როგორც იძულებით დეპორტირებული მაჰმადიანი მესხების, ასევე ქვეყნიდან სხვადასხვა მიზეზით წასული მოქალაქეების ორგანიზებულად დაბრუნებას.

## რუსეთის ბაზრიდან გამოძევებულები შეღავათებით ისარგებლებენ



მეღვინეები იწონებენ საქართველოს მთავრობის ინიციატივას საგადასახადო შეღავათების დაწესებაზე. ფინანსთა მინისტრ ლექსო ალექსიშვილის თქმით, ქართველი მეღვინეების მხარდასაჭერად ცვლილებები შევიდა საბაჟო კოდექსში, რომლის საფუძველზეც რუსეთიდან რეიმპორტისთვის გამარტივებული პროცედურები ამოქმედდა. რეიმპორტის შემთხვევაში მეწარმე არ იხდის საბაჟო და აქციზის გადასახადებს და დღგ-ს. გარდა ამისა, სექტორში მომუშავე კომპანიებისთვის საგადასახადო ვალდებულებები გადავადდება. მიმდინარე წელს მისაღები მოგების 50%-ით შემცირების შემთხვევაში, მეწარმეებს უფლება აქვთ მოგების გადასახადი არ გადაიხადონ. საგადასახადო დავალიანების გადავადების პერიოდში გადავადებულ დავალიანების თანხას საურავი არ დაერიცხება. ალექსიშვილის განცხადებით, შეღავათებით მიღებულ ფინანსურ სახსრებს ქართული კომპანიები ახალ ბაზრებზე გასასვლელად, პროდუქციის ფალსიფიცირების წინააღმდეგ ბრძოლის გასააქტიურებლად და რუსეთში ნაწარმის ექსპორტის აღსადგენად გამოიყენებენ.

შეღავათები ყველა იმ კომპანიას შეეხება, რომელსაც რუსეთის ბაზარზე პრობლემები შეექმნა, მათ შორის „ბორჯომსაც“.

## ხაინდრავა ოქრუაშვილს ვერ უგებს

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს ვერ უგებს. ამის მიზეზი თავდაცვის მინისტრის განცხადებებია საქართველოს დაკარგული ტერიტორიების, ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნების ზუსტი ვადების შესახებ. ხაინდრავას თქმით, მართალია, დსთ-დან გამოსვლისა და ცხინვალში შესვლის ვადების განსაზღვრა მისი კომპეტენცია არ არის, მაგრამ ოქრუაშვილის განცხადებები ერთ კვირაში დსთ-ის დატოვებისა და 1-ელი იანვრისთვის ცხინვალში შესვლის შესახებ მისთვის აბსოლუტურად გაუგებარია. დსთ-დან გამოსვლა დღის წესრიგში დგას და გადაწყვეტილების მიღება მთავრობაზეა დამოკიდებული.

## სპეცოპერაცია თუ სპეცრაზმელების შეცდომა

24 თებერვალს ქუთაისი-ბაღდადის გზაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგები შესაძლოა გადაფასდეს. ამ შემთხვევის დროს სამართალდამცველებმა სამი ახალგაზრდა დაცხრილეს, მათი თქმით, შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის გამო. სამკაციანი ჯგუფი მაშინ კრიმინალურ დაჯგუფებად მოიხსენიეს. შემთხვევიდან რამდენიმე თვის შემდეგ, სპეცოპერაციის მთავარი მოწმის თქმით, ირკვევა, რომ ეჭვმიტანილებს იარაღი არ ჰქონდათ. მეტიც, არც ერთი მათგანი პოლიციაშიც კი არ ყოფილა აღრიცხვაზე. ამ საკითხზე კომენტარი გააკეთა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ. იგი ეჭვქვეშ აყენებს სპეცოპერაციის სწორად დაგეგმვის საკითხს და ვერ გაუგია, როგორ შეიძლება სპეცოპერაციის დროს დაღუპული პირის გვამიდან 53 ტყვიის ამოღება, ექსპერტიზის დასკვნაში კი იმის დაწერა, რომ გარდაცვალების მიზეზი უცნობია.

## „ტყიბულნახშირი“ გაიყიდა

2006 წლის 1-ელ მაისს ტყიბულში გამართულ აუქციონზე „ტყიბულნახშირს“ ჰოლდინგ „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ შვილობილი კომპანია „საქინვესტის“ სახით ახალი მფლობელი გამოუჩნდა. ტყიბულის ეკონომიკური პერსპექტივა ოდითგანვე ქვანახშირის მოპოვებაზე იყო დამოკიდებული. „საქინვესტის“ უახლოესი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საწარმოს ეტაპობრივ გადაიარაღებას და რეაბილიტაციას, რაც უახლოესი 2 წლის განმავლობაში გულისხმობს დაახლოებით ათი მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას. კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ახალი ტექნოლოგიები წარმოების რენტაბელურობას გაზრდის და დარგს მომგებიანს გახდის. ეკონომისტების პროგნოზით, ამ პროექტის განხორციელება განსაკუთრებით საშურია დღეს, როდესაც მსოფლიო ბაზარზე ენერგომატარებლებზე ფასი კატასტროფულად იზრდება. როგორც ირკვევა, ინვესტორის დაინტერესება განაპირობა იმანაც, რომ ნახშირი არა მარტო სათბობი, ქიმიური მრეწველობის ნედლეულიც არის.

## მშობიარობა ტრაგიკულად დასრულდა

გავრცელებული ინფორმაციით, 33 წლის მშობიარე ნინო ყოლბაია ექიმის დაუდევრობას შეეწირა. იგი საკეისრო კვეთის დროს გაკეთებული ნარკოზის დიდი დოზით გარდაიცვალა. ტრაგედია საპატრიარქოს დაქვემდებარებულ წმინდა იოაკიმესა და ანას სახელობის სამშობიარო სახლში მოხდა. გარდაცვლილის ნათესავები მომხდარში ექიმ-ანესთეზიოლოგ ირაკლი ვაჩნაძეს ადანაშაულებენ. გარდაცვლილის მეუღლის თქმით, ნარკოზის დიდი დოზის გამო გარდაცვალება უკვე დაადასტურა ექსპერტიზამ.

სამშობიაროში პაციენტის გარდაცვალების მიზეზზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ირაკლი ვაჩნაძე საავადმყოფოში აღარ იმუშავებს. გარდაცვლილის ახლობლები კატეგორიულად მოითხოვენ ვაჩნაძის დასჯას: „თუ მხოლოდ მოხსნიან, სხვა სამსახურში გადავა და სხვასაც გააუბედურებს, ამიტომ მიგვაჩნია მისი დასჯა აუცილებლად“. ნინო ყოლბაიას ორი შვილი დარჩა. მისი ახალდაბადებული ვაჟი თავს კარგად გრძნობს.

## მტრედები ნარკომანების სამსახურში

სამართალდამცველებმა ნარკოტიკების გადაზიდვის უჩვეულო ხერხი აღმოაჩინეს — ეჭვმიტანილი ნარკოტიკს მტრედის საშუალებით გზავნიდა. შსს-ს ინფორმაციით, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისელი ირაკლი მამალაძე დააკავეს, რომელიც ნარკოტიკების სარეალიზაციოდ გაწვრთნილ მტრედს იყენებდა, რომელსაც მამალაძის დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერება ფეხზე ჰქონდა შებმული. მამალაძეს ჩხრეკისას „ჰეროინი“ აღმოაჩნდა.

პოლიტიკურ-საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური მოვლენებით საკმაოდ დატვირთული გასული კვირა იმით დაგვირგვინდა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა აჭარის გათავისუფლების ორ წლისთავზე, „ევროპის მოედნად“ წოდებულ ტერიტორიაზე, „თავისუფლების მონუმენტს“ ჩაუყარა საფუძველი და ევროპული შადრევანიც გახსნა. საზეიმო მიტინგზე მყოფი პატარა გოგონა კი სახელდახელოდ, აჭარის მმართველის პერსონალური კომპიუტერით დასაჩუქრდა. იმედია, ვარშალომიძე მასალების წაშლას მოასწრებდა და თავისუფალი აჭარის პატარა მოქალაქე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტებით „არ თამაშობს“...

რასაკვირველია, სათაურებსა და სიმბოლიზმს ქვეყნის განვითარებისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ალბათ, უმჯობესი იქნებოდა ევროპიზაცია და თავისუფლების იდეალები სახელმწიფოში ჯერ შინაარსობრივად განგვეხორციელებინა. როდესაც ქალაქის ცენტრში სპეცდანიშნულების რაზმი ვესტერნის სიუჟეტებს ავითარებს და საეჭვო რეპუტაციის პირებს ცეცხლს ავტომატიდან უხსნის (ასეთი განცხადება გააკეთა კრიმინალური დეპარტამენტის თავმჯდომარემ), ქვეყნის პრემიერ-მინისტრი კი გულგრილად და თავდაჯერებულად აცხადებს, მერე რა მოხდა, სამართალდამცველები სპეცოპერაციას იქ ჩაატარებენ, სადაც საჭიროდ ჩათვლიან და ისე ჩაატარებენ, როგორც საჭიროდ მიიჩნევენო, ევროპისგან საკმაოდ შორს აღმოვჩნდებით და ვერანაირი სათაური ვერ გვიშველის. ძნელი სათქმელია, ევროპული ტრადიციის გავლენით მოხდა ეს თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ სანამ რუსთაველისა და საბურთალოს კეთილმოწყობაში გართული მერიის შესაბამისი სამსახურები თბილისის განაპირა უბნებამდე მიაღწევდნენ, გურამიშვილის გამზირზე ასფალტი ჩაინგრა და შიგ მანქანა ჩავარდა(!) გაოცებული და შეშინებული მძღოლი, რომელიც თოკით ამოიყვანეს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს იქით არწმუნებდა, მე არაფერ შუაში ვარ, ერთ ორმოს ავაცილე და ეს, უფრო დიდი, აქ საიდან გაჩნდა, არ ვიციო... სანამ პატრულის თანამშრომლებს თანამოქალაქეები ორმოდან მანქანიანად ამოჰყავდათ, მათი პრემიერ-მინისტრი ლონდონში გამართულ საგანგებო ბიზნესფორუმზე ამჯერად ბრიტანელ ბიზნესმენებს მოუწოდებდა, — არა მხოლოდ ენერგეტიკას, ტრანსპორტსა და ტელეკომუნიკაციებს, ახლა უკვე მართლა ყველაფერს ვყიდით, ჩამოდით, კარგ ფასებს შემოგთავაზებთო... ავსტრიელებისგან განსხვავებით, ნოღაიდელი ბრიტანელებს არ დაუტუქსავთ — როგორც ჩანს, მათგან ჯერ არავის მოსვლია აზრად, საქართველოში რაიმე ბიზნესი წამოეწყო, რომ „სამართალწარმოების ობიექტურობა“ საკუთარ თავზე ეწვნია... პრემიერის სიტყვების დასტურად კი ლონდონში ბიზნესფორუმის მიმდინარეობისას თბილისის არათუ ცენტრი, შეიძლება ითქვას, „გული“ გაიყიდა — მართალია, კონკურსისადმი პრეტენზიებს უკვე გამოთქვამენ, თუმცა ჩვენი მხრიდან საგანგებოდ „რიყესთვის“ შექმნილი ფირმის რეპუტაციაზე მსჯელობა საქმის დეტალების გარკვევამდე უსამართლო იქნებოდა. ამ ეტაპზე მხოლოდ ის თუ შეიძლება ითქვას, რომ უსამართლოა გასაყიდი ფასი, შვიდი მილიონი დოლარიც...

რუსები დროს არ კარგავენ და სანამ საქართველო ახალი სახელმწიფოებრიობისთვის იბრძვის, ჩრდილოელმა მეზობელმა კანონგარეშედ უკვე „ბორჯომი“ და „ნაბეღლავიც“ გამოაცხადა (მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელთა მესვეურები მკვეთრი განცხადებებისგან თავს იკავებდნენ). საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისთვის ბრძოლა, შეიძლება ითქვას, რომ უფრო და უფრო მძაფრდება — მოსკოვში მყოფ ქართველებს, პასპორტისა და მოქალაქეობის მიუხედავად, უკვე დემონსტრაციულად აწიოკებენ. ერთადერთი, რაც ამის შემდეგ რუსეთს დარჩენია, საქართველოსთვის ღია ომის გამოცხადებაა. ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, თუნდაც სათაურების დონეზე ახალქალაქსა და მის მიმდებარე რეგიონშიც გვემოქმედა — შადრევნების გახსნით, მონუმენტების საძირკვლის ჩაყრითა და უხვი დაპირებებით, — თორემ რუსეთის სპეცსამსახურებს ეთნიკურ უმცირესობებთან „მუშაობა“ რომ შეუძლიათ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მაგალითზე ყველამ კარგად უნდა იცოდეს. მით უმეტეს, თუ ახალქალაქის სამხედრო ბაზის გაყვანისგან რუსეთი წლების მანძილზე ფეხს ითრევდა, ახლა დახმარებას და იდეებს ქართულ მხარეს თვითონვე სთავაზობს და ტექნიკის ნაწილი, ქართული სპეცრაზმის თანხლებით, ღამღამობით გაჰყავს... როგორც ჩანს, სიტუაცია და განწყობილება ადგილობრივ სომეხ მოსახლეობაში უკვე მომზადებულია საიმისოდ, რომ ბაზის დაცლას დემონსტრაციები და უწესრიგობები მოჰყვეს — უსამსახუროდ და ულუკმაპუროდ რატომ დაგვტოვეთო... თუმცა რუსეთი მუშაობას სხვა, ტრადიციული მიმართულებებითაც აგრძელებს — ბაღაფშისა და ზოგადად, აფხაზეთის პოლიტიკური კურსისა და განწყობილების გასარკვევად სოხუმს ნატოს ასამბლეის საკმაოდ სოლიდური წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია. თემა მარტივი და ნათელი იყო — ბაღაფშისა და მისი გარემოცვის დამოკიდებულება საქართველოს მომავალი განვითარების პერსპექტივისადმი. მარტივი და ნათელი იყო აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის პასუხიც — რაც არ უნდა სურდეს მსოფლიო თანამეგობრობას(!), აფხაზეთი მაინც გააგრძელებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას და რუსეთთან ინტეგრაციისთვის მუშაობასო. მისივე თქმით, ეს თურმე სრულიად აფხაზი ხალხის წმიდათაწმიდა სურვილი ყოფილა... უცნაურია, მაგრამ ეს სწორედ იმ ბაღაფშის განცხადებაა, რომელიც აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტად სწორედ აფხაზთა ანტირუსული განწყობის ფონზე აირჩიეს და აფხაზეთის მოსახლეობას ეს თავისი მოკრძალებული სურვილი რომ ცხოვრებაში გაეტარებინა, სოხუმის ქუჩებში გამართულ მიტინგზე არაერთი დღის გატარებამ მოუწია. დღეს ფირფიტა შეტრიალდა და აფხაზეთის დამოუკიდებლობაში რუსეთთან შეერთება იგულისხმება... ალბათ, ნატოს დელეგაცია შესაბამის დასკვნებს გააკეთებდა და აფხაზეთთან ურთიერთობის გასარკვევად ამიერიდან, სოხუმის ნაცვლად, მოსკოვში ივლიან ხოლმე... აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესაძლო დატოვების შესახებ ბაღაფშიც და კოკოითიც ერთდროულად გამოეხმაურნენ — საქართველო თუ დსთ-ს დატოვებს, თავის თავს დააბრალოს, რაც მოუვა, ჩვენ კი პირიქით, იქ შესვლაზე ვიზრუნებთო... ერთი მხრივ, ცხადია და გასაგები, რომ რუსეთთან პოლიტიკურ მეგობრობას ხეირი საქართველოსთვის არასოდეს დაუყრია. ისიც ფაქტია, რომ კრემლი ტრადიციულად, წესების გარეშე გვებრძოდა და გამარჯვებისთვის არაფერს თაკილობდა. მაგრამ ასეთ სიტუაციაშიც კი, საქართველოს ხელისუფლების საკმაოდ მაღალი რანგის წარმომადგენელთა მხრიდან მთლიანად რუსეთის, როგორც ქვეყნისა და ხალხის, შეურაცხყოფა ერთნაირად მიუღებელი

# „ან აქამდე რა გვინდოდა დსთ-ში?“



დღევანდელი გაგებით სახელმწიფოს ციხესიმაგრეს სწორედ ეკონომიკა წარმოადგენს

„ქართველებს მხოლოდ მიცვალებულები გვიყვარს და ცოცხლებს ვერ ვიტანთ...“

## თუ ეს პიარის საქმე არ იყო, პრეზიდენტმა ერთი ახალი კომპიუტერი როგორ ვერ იშოვა?..

იქნება ამერიკელებისთვისაც და ირანელებისთვისაც. როდესაც მინისტრი ხარ და ისეთ სახელმწიფოს დაუზოგავად ლანძღავ, შენთან შედარებით უზარმაზარი ბერკეტები რომ აქვს და ყველაფერზე წამსვლელია, შენი ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობას მინიმუმ, ისეთი ავტომობილი მაინც უნდა ჰყავდეს, შენი ავტომობილის მაგნიტოფონის ფასი მაინც რომ ეღირება... როგორც ჩანს, არასაკმარისი დრო გავიდა საიმისოდ, რომ მივმხვდარიყავით, უაზროდ და გაუმაგრებლად მუშტების ქნევასა და ლანძღვას სახელმწიფოებრიობისთვის რა შედეგი მოჰყვება...

სახელმწიფოს ორიენტაციასთან დაკავშირებით საქართველოს ისტორიაში ჯერ კიდევ მე-6 საუკუნის დავაა შემორჩენილი — კოლხი ორატორები, ფარტაძე და აიეტი ერთმანეთს ბიზანტიისა და სპარსეთის მეგობრობის უპირატესობას უმტკიცებდნენ. გულახდილები ვიყოთ — საქართველო დღეს არა მეგობრის, არამედ პატრონის არჩევის უფლებისთვის იბრძვის. ჩვენს ეპოქაში კი ეკონომიკურად განუვითარებელი ქვეყანა არათუ სამეგობროდ, საპატრონოდაც აღარავის უნდა. ეგებ, უმჯობესი ყოფილიყო, სამასათასიანი შადრევნების გახსნისა და გულისამაჩუყებელი საერთო-სახალხო სცენების მოწყობის ნაცვლად, სამართლიანი და ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოს მოწყობაზე გვეზრუნა (და არ გველაპარაკა...), გაჭირვებულთათვის თვეში 7 მილიონი ლარის დარიგების ნაცვლად, ეს თანხა სახელმწიფოს შეღავათიანი კრედიტების სახით დაერიგებინა, რომ ხალხი პრეზიდენტისთვის ხელებში ყურებას არ მიჩვეულიყო და საკუთარი გარჯითა თუ გონებით თავის რჩენა ესწავლა... ფაქტობრივად, დღეს საქართველო რუსეთთან წინასაომარ მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენ ხომ ასე ძალიან გვსურს ისტორიაში შესვლა, მაგრამ გვავიწყდება, რომ ისტორიული ქართველები ომის წინ ჰაერში მუშტებს კი არ იქნევდნენ, ციხესიმაგრეებს აშენებდნენ — დღევანდელი გაგებით კი სახელმწიფოს ციხესიმაგრეს სწორედ ეკონომიკა წარმოადგენს.

ხელისუფლებაში დღეს უკვე ღიად საუბრობენ, რომ საქართველოს შესაძლოა არჩევანის გაკეთებამ სახელმწიფოებრიობასა და რუსულ ბაზარს შორის მოუწიოს. რუსული ბაზარი კი, როგორც აღმოჩნდა, ჩვენთვის დღეს მთლიან სოფლის მეურნეობას ნიშნავს — გლეხებს გადასაყრელი ჯერ ციტრუსი გაუხდათ, შემდეგ ხილი, უსამართლოდ დაწუნებულ ღვინოს კი „ბორჯომის“ აკრძალვაც მოჰყვა. ამერიკა-ევროპაში თუ აზიაში ალტერნატიული ბაზრის ძიებას შედეგი ჯერ არ მოჰყოლია. რისკ-ფაქტორების მიუხედავად, ხელისუფლება მაინც მზად არის უცხოეთში ღვინის რეკლამირებასა და ყურძნის სუბსიდირებაში დიდძალი თანხები ჩადოს, მაგრამ ქვეყნის გადარჩენა რისკის გარეშეც შეიძლება — მთელი მსოფლიოს მასშტაბით ღვინის რეკლამირების ნაცვლად, ხომ არ სჯობდა, მილიონები ჩვენსავე ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის დაგვეხარჯა — ასეთ შემთხვევაში უცხოეთში გასაყიდ ღვინოს იგივე რუსი ტურისტები საქართველოშივე შეიძენდნენ და დალევდნენ.

ღვინოს პურსაც მიაყოლებდნენ და სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტებსაც, ქართველმა გლეხმა რომ არ იცის, სად წაიღოს... პოლიტიკის მიღმა, უბრალო რუსის განწყობილება საქართველოსადმი არცთუ მტრულია — პუტინის ნების მიუხედავად, მათ ქართული ღვინის დალევაც ძველებურად სურთ და მეორე დღეს, „ბორჯომის“ დაყოლებაც... დღევანდელ დიქტატორულ რუსეთში რუს ხელისუფალთ შეუძლიათ, საკუთარ მოქალაქეებს ქართული ღვინის დალევა აუკრძალონ — საქართველოში ჩამოსვლას კი ნამდვილად ვერ აუკრძალავენ...

თანამედროვე და ტრადიციულ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, წარსულსა და მომავლის პერსპექტივებზე ამჯერად **ვახუშტი კოტეტიშვილს** ვესაუბრებით:

— რუსეთთან ურთიერთობას საქართველოსთვის, ისტორიულად, ორი მხარე აქვს. მედლის ერთი მხარე კულტურულ ურთიერთობას გულისხმობს — ასე იყო თუ ისე, მთელი ორი საუკუნე რუსეთთან ერთად ვიყავით და ამ ორი ქვეყნის კულტურასაც ბევრი საერთო შეხების წერტილი გაუჩნდა. მართალია, თანამედროვე ქართველებმა რუსული ნაკლებად იციან, მაგრამ მათთვის, ვინც ამ ენას ფლობს, ძვირფასია პუშკინიც, ლერმონტოვიც, გოგოლიც, დოსტოევსკიც და აქეთ, უკვე პასტერნაკი და მარინა ცვეტაევა... მაგრამ რამდენადაც ჩემთვის ძვირფასია რუსული კულტურა და ჩამოთვლილ რუს მწერალთა შემოქმედება, იმდენად მიუღებელია რუსული პოლიტიკა, რომელიც ათწლეულებია, ქართული სახელმწიფოებრიობის დასამარებისთვის იღვწის...

პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ის ხალხი და ის ინტელიგენცია, ვისთანაც პირადად მე, ყველაფრის მიუხედავად, ბოლო დრომდე კარგი ურთიერთობა და მეგობრობა მაკავშირებს. ყველაზე ახალ მაგალითს გეტყვით, რათა უკეთ მივხვდეთ და ვიგრძნოთ, როგორია მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ — ახლახან სანქტ-პეტერბურგიდან იყო ჩამოსული დიმიტრი ბერკუტოვი, რომელმაც ჩემი წიგნი, „ჩემი წუთისოფელი“ რუსულად ათარგმნინა და გამოსცა. მზადების პროცესში შემეხმიანა, — ბატონო ვახუშტი, წიგნში ქართული ტექსტის ჩადებაც მინდა და იქნებ დამეხმაროთო. გამიკვირდა, ეგ რაღად გინდამეთქი. ეჰ, რუსეთში მცხოვრები ქართველების ნახევარს ქართული აღარ ახსოვს — აიღებენ ამ წიგნს, ქართულად წაიკითხავენ და გაიხსენებენ, რასაც ვეღარ გაიგებენ, რუსულს ჩახედავენო... მეორე მაგალითსაც გეტყვით — ამჟამად, თბილისში ერთი ახალგაზრდა რუსი ეთნოგრაფი ევგენია ზახაროვა იმყოფება. მან არათუ ქართული, ისიც კარგად იცის, რომ ლარჭემი და სოინარი ერთი და იგივე საკრავია, ოღონდ სხვადასხვა სახელი ჰქვიათ, რომ რაჭაში რასაც გუდასტვირს ეძახიან, აჭარაში იმას ჭიბონს უწოდებენ... იცის, რითი განსხვავდება ფანდური ჩონგურისგან და ისიც, — რა განსხვავებაა თუშურ დალაისა და ფშავ-ხევსურულ ხმით ნატირალს შორის... ახლა, მითხარი, რა ნამუსით ვთქვა ვიღაც უბირი რუსი პოლიტიკოსების გამო მთელ რუს ხალხზე აუგი?!

ასეთი ურთიერთობა და განწყობილებაა ჩემთვის ძვირფასი, მაგრამ რასაც რუსული კულტურა ქართულის მიმართ განიცდის და აკეთებს, ორ იმდენს რუსული პოლიტიკა ანგრევს და ანადგურებს. გასულ კვირაში დსთ-დან გამოსვლაზე იყო ლაპარაკი ან აქამდე რა გვინდოდა იქ? რასაკვირველია, უნდა გამოვიდეთ! ჩვენ ჩვენი დამოუკიდებლობისთვის უნდა ვიბრძოლოთ და პირველ რიგში, რუსეთთან მიმართებაში. კულტურული ურთიერთობა და ურთიერთპატივისცემა დამოუკიდებელ ქვეყნებს შორისაც შეიძლება და ბევრად უკეთაც ვითარდება. ბავშვმაც კი იცის, რომ რუსეთში ქართული ღვინო და მინერალური წყლები პოლიტიკური მოტივით აიკრძალა. ამით საქართველოს დაჩოქებას ცდილობენ, მაგრამ გულახდილები ვიყოთ და ისიც ვთქვათ, რომ წლების განმავლობაში, რუსეთში ქართული ნაწარმის მართლაც ძალზე დიდი ფალსიფიკაცია ხდებოდა — რუსებიც, ქართველებიც, იქ ღვინოსაც ასხამდნენ და „ბორჯომსაც“. აბა, მითხარით, „პადმასკოვიეში“ „ხვანჩკარას“ რომ ჩამოასხამენ, იმ სითხეს „ხვანჭკარასთან“ კი არა, საერთოდ, ღვინოსთან საერთო ექნება რამე? მაგრამ საქართველო, როგორც სახელმწიფო, რა შუაში იყო? ეს რუსებისთვის დამახასიათებელი, ძალზე ბინძური პოლიტიკაა...

— **რუსეთის ბინძური პოლიტიკის განხორციელების საფრთხეზეა ლაპარაკი ახალქალაქის რეგიონთან დაკავშირებითაც.**

— რასაკვირველია, რუსეთი ეცდება, საქართველოს ამ მხრიდანაც შეუტიოს. ჩვენ ხომ კარგად გვახსოვს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რაც მოხდა — იქ რა, სხვა სიტუაცია და სხვა მოვლენები იყო? ახლა უკვე ეცდებიან, თუკი ვინმე საქართველოში ქართველებთან უბრად არ არის, მასთანაც წაგვაჩხუბონ და გადაგვკიდონ. ყველაზე დიდი საშიშროების წინაშე ჯერ ქართულ-სომხური, შემდეგ — ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები დადგება. ამ შემთხვევაში ალბათ ხელისუფლება ეკონომიკურ საკითხებზე უნდა დაფიქრდეს — ვერავინ დამაჯერებს, რომ თუ ახალქალაქის სომეხ მოსახლეობას ელემენტარული სოციალური პრობლემები მოუგვარდება და თავის რჩენასა თუ სამსახურზე ფიქრი არ მოუწევს, ქუჩაში გამოვა სხვადასხვა მოთხოვნით... ასეთ დროს ეკონომიკური მდგომარეობა ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს ხოლმე... ყველა საშუალებით, ჩვენმა მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაზე უნდა იზრუნოს. უნიფხვო და გაჭირვებული არც აფხაზს უნდიხარ, არც ოსს და არც სომეხს — შეძლებულ ქვეყანას კი აქეთ შეეხვეწებიან...

— **საგარეო პოლიტიკასა და კონფლიქტურ რეგიონებთან ერთად სიტუაცია დაძაბულია ქვეყნის შიგნითაც. ქალაქის ცენტრში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე ხელისუფლებამ განაცხადა, — კრიმინალებს იქ შევებრძოლებით, სადაც ამის საჭიროება იქნებაო. ამართლებს თუ არა მიზანი ნებისმიერ საშუალებას?**

— რასაკვირველია, კრიმინალებს, ძარცვას, ყაჩაღობას და მსგავს უბედურებას სახელმწიფო დაუზოგავად უნდა ებრძოდეს, მაგრამ ისეც არ მოგვივიდეს, რომ ბავშვი ნაბან წყალს გადავაყოლოთ...

ასეთი პროცესები კანონიერების სრული და შეუვალი დაცვით უნდა იმართებოდეს და მიმდინარეობდეს. შენ თუ დღეს კანონის დარღვევით კრიმინალებს უსწორდები, ხვალ შეიძლება მე მომადგე და მერე, უკვე მომხდარზე ათასი ზღაპარი მოჰყვე, — ყაჩაღი იყო, ბანდიტი და იმიტომაც მოვკალიო. „ჩეკა“ და „კაგებე“ მეტს კი არაფერს აკეთებდნენ — ხალხს ჯერ უსწორდებოდნენ და მერე ამბობდნენ, ამასა და ამაში იყო ეჭვმიტანილიო... ეს ისეთი სახიფათო ტენდენციაა, დროთა განმავლობაში საშინელ ძალას რომ მოიკრებს და მერე უკვე მისსავე ავტორებს დაემუქრება, ანგარიშსწორება სახელმწიფოსა და საზოგადოების სახელით ისე, რომ თავად საზოგადოებას არაფერს ჰკითხავენ, უმართავი გახდება... ჩემდა სამწუხაროდ, ასეთი დრო გამოვლილი მაქვს და ძალიან კარგად (თუ ცუდად) მახსოვს... რასაკვირველია, დღევანდელი ყოფის მაშინდელთან შედარება არ გამოვა — ეს პატრული, მაგალითად, ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ დამნაშავეები რომ ვითომ შემთხვევით აჰყავთ და ოპერატორები ადგილზე პოლიციას რომ ასწრებენ მისვლას, ეს ხომ შემთხვევით არ ხდება? ამ „პაკაზუხობას“ და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თემაზე დადგმულ სპექტაკლებს უნდა შევეშვათ, თორემ ხეირი არ გვექნება...

— **აჭარის გათავისუფლებასთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი ორად გაიყო — ზოგს გული აუჩუყდა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა ხელისუფლების უშუალობასა და უბრალოებაში, ზოგმაც სააკაშვილის გარემოცვას იაფფასიანი სანახაობების მოწყობაში დასდო ბრალი...**

— რა ვიცი, კაცო, მე ვერ გამიგია, აჭარას გასათავისუფლებელი რა სჭირდა. კი, გასაგებია, რომ აბაშიძის დიქტატორული რეჟიმის ჩამოგდება მოხერხდა — მისასალმებელია, რომ ამან უსისხლოდ და შეიარაღებული დაპირისპირების გარეშე ჩაიარა, მაგრამ ყოველ წუთს აჭარის გათავისუფლებასა და დედასაქართველოსთან დაბრუნებაზე ლაპარაკი რა საჭიროა? — რა, თურქეთს ჰყავდა დაპყრობილი თუ ოსმალეთს? მერე კიდევ, რა გითხრათ — ბავშვის გახარება და ტაშის გრიალი კარგია, მაგრამ, რომ წარმოვიდგენ, ჩემი კომპიუტერი აიღონ და გააჩუქონ, ხომ სისხლი ჩამექცა თავში, იმდენი რამე მაქვს ჩაწერილი და დამახსოვრებული... თუ პრეზიდენტმა აიღო და ამხელა რეგიონის მმართველის სამუშაო კომპიუტერი იმ პატარა გოგონას სათამაშოდ თავის სახელმწიფო დოკუმენტებიანად გადასცა, კარგად გვქონია საქმე. თუ ეს პიარის საქმე არ იყო, პრეზიდენტმა ერთი ახალი კომპიუტერი როგორ ვერ იშოვა?..

— **ქართველი პოლიტიკოსები ბოლო დროს რუსეთის მტრობასა და ამერიკის მეგობრობაზე ლაპარაკობენ ხოლმე. აუცილებელია, ვინმეს კალთას ვიყოთ შეფარებული, საქართველოს დამოუკიდებლად თავის რჩენა არ შეუძლია?**

— აბა, რა გითხრათ... ჩვენ რომ შვეიცარიის მსგავსი კულტურის ხალხი ვიყოთ, იმხელა რესურსები გვაქვს, თავის გატანასაც შევძლებდით და სხვის დახმარებასაც. კულტურას რომ ვამბობ, ყოფით კულტურას ვგულისხმობ, თორემ ისტორია, იცოცხლე, უმდიდრესი და უძლიერესი გვაქვს. ამას წინათ, გამოკითხვები გამოქვეყნდა — თურმე, შვეიცარიელთა 60 პროცენტს არ სცოდნია, ვინ არის ქვეყნის მმართველი. წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერი ხალხია — ყველას თავისი საქმე აქვს და იცის, რომ ის საქმე ბრწყინვალედ და იდეალურად უნდა გააკეთოს, სხვა დანარჩენი არ აინტერესებს. ჩვენ კი ის ხალხი ვართ, საკუთარის გარდა, ყველაფერი რომ გვაინტერესებს და ყველგან ცხვირს ვყოფთ... მარტო ცხოვრება შეგვიძლია თუ არა? შეგვიძლია, ოღონდ გარე-გარე წანწალსა და მოწყალების მოლოდინში ჩამველელი ქარავნებისთვის კუდის ქიცინს თავი უნდა დავანებოთ... ცოტა ყურები უნდა გამოვიქექოთ და სინდისი მივძრა-მოვძრათ. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც რუსთაველი არ ვიცით, ვინ იყო, ვინც გურამიშვილი გავაძევეთ, ფაქტობრივად და, უცხოობაში ამოვხადეთ სული, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც იგივე დავმართეთ... ვაჟა-ფშაველა მშიერ-ტიტველი დადიოდა და ბოლოს ჭლექით მოვკალით, ლადო ასათიანსაც ეგრე, გაჭირვებაში ამოვხადეთ სული... გალაკტიონი ფანჯრიდან გადმოვახტუნეთ და ნიკო სამადაშვილს — მსოფლიო მნიშვნელობის პოეტს, — რომელიც ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, თავისი სახელი და გვარი დაბეჭდილი არ ვაჩვენეთ... დღეს კი ყველას ძეგლები დავუდგით იმიტომ, რომ ქართველებს მხოლოდ მიცვალებულები გვიყვარს და ცოცხლებს ვერ ვიტანთ— აი, ეს არის ჩვენი დიდი და საბედისწერო უბედურება...

*დაჩი გრძელიშვილი*

# ამ 9 მაისს მაინც...

## მე, მოხუცი და ბიჭი

ძია ვანო ვაკის პარკში გავიცანი. პირველად ქვიშის ხრაშახრუშით ისე ჩავუარე, ყურადღებაც არ მიმიქცევია. მხოლოდ მოცახცახე ხელს მოვკარი თვალი — მოწყალებისათვის გამოეშვირა და დაუინებით ჩასცქეროდა... ჩანს, ამ ხელმა შემომყარა გული და ჩემი მომავალი სიბერე წარმომადგენინა.



ელდანაკრავივით გავჩერდი, ჩანთა მოვიჩხრიკე და უკანვე დავბრუნდი — ფული რომ ჩავუგდე, თითქოს ტვირთი მოვიშორე, მაგრამ მოხუცის მზერა, მის გახუნებულ პიჯაკზე აბრჭყვიალებული მედლები და კიბის საფეხურზე ჩამოცურებული საყრდენი ჯოხი — ვერა. ხომ არის, თითქოს ვილაც გეძახის და თავისკენ გექაჩება. მას შემდეგ რამდენჯერმე საგანგებოდ გადავჭერი ვაკის პარკი, მაგრამ მოხუცი აღარ დამინახავს... ერთ დღესაც შორიდან შევნიშნე, მაგრამ მარტო არა — გვერდით ათიოდე წლის ბიჭი ეჯდა, ხელში მისი ჯოხი ეჭირა და კიბეზე გულმოდგინედ აკაკუნებდა, თან კეპიან ქუდში ჩაყრილ ხურდას ასწორებდა...

ბიჭი ისეთი ლალი იყო და ისეთი სუფთა, მათხოვარს არ ჰგავდა და გაკვირვებით ვკითხე: — ქუდი შენია?

— ჩემია, მერე რა?! — გამიბრაზდა უცბად.

— ფულიც შენია!

— არა, ბაბუსი, — მითხრა კიდევ უფრო გაბრაზებულმა და ჯოხის კაკუნი გაახშირა.

— რა კარგი შვილიშვილი გყოლიათ! — შევაქე პატარა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჩვენ სამი — მე, მოხუცი და ბიჭი დავმეგობრებულიყავით...

იმ დღეს მაისის მზით გამთბარ კიბეზე ჩვენ სამნი ვისხედით, უსამართლო ქვეყნის მტვერს ვყლაპავდით და ცხოვრებაზე ვლაპარაკობდით. მაისის მზე მოხუცის ომში მიღებულ მედლებს ისე აბრჭყვიალებდა, როგორც წუთისოფლის ამაოებას. ყველა მედალს თავისი ისტორია ჰქონდა — თავგანწირული კაცის ისტორია, რომელიც მიუსაფრობით დასრულდა...

— როგორ, გულშემატკივარი სულ აღარავინ გყავთ? — ვკითხე მოხუცს...

— აღარავინ, — მითხრა და დაუმატა, — აი, ეს ბიჭი და ამისი დედა... როცა სკოლიდან მოდის, აქ მზეზე გამოვყავარ, წამლების ფულს ვშოულობ...

— მე მეზობელი ვარ, — მითხრა ბიჭმა და ჯოხი კიბეზე ისევ აარაკუნა, — ვანო პაპას ვეხმარები, ბევრ წამალს სვამს და ფული სჭირდება...

— მერე სკოლა?..

— დღეს ხომ დასვენების დღეა! — აშკარად გაუკვირდა ჩემი უვიცობა განათლების სფეროში და მოუთმენლობამ შეიპყრო. ახლა ვანო პაპა უნდა წავიყვანო, შინ საქმე მაქვს, — მითხრა ბიჭმა, მოხუცი თავისი პაწია, გამხდარი მკლავებით ლამის ასწია და ჯოხი მიუმარჯვა...

ორივე კიბეს აუყვა, ერთი ხტუნვით და უკან ყურებით, მეორე — მძიმე-მძიმედ... ქვემოდან ვუყურებდი და სევდა და სიხარული ერთად მჭირდა.

ეს შარშან იყო... მას შემდეგ ბიჭი და მოხუცი აღარ მინახავს. ვეძებ — იქნებ ამ 9 მაისს მაინც დამხვდნენ პარკის კიბეზე...

***ნანა რამიშვილი***

# ჩემი „ფიროსმანები“

თამარაშენელ მაჩაბელთა უკანასკნელი მოჰიკანის, გიორგი მაჩაბლის შვილიშვილს ქალბატონ *მაია მაჩაბელს* მაჩაბლის ქუჩის მე-13 ნომერში ნახავთ. იქ, ნახევრად სარდაფში თითქმის მთელ დღეებს ატარებს. მან მწერალთა კავშირის სარდაფიდან უამრავი ნაგავი გაიტანა და ოთხი შვილიც „მიივიწყა“, სანამ სარდაფში სიმშვიდემ და სილამაზემ არ დაისადგურა. ახლა კი იქ ეპატიჟება მათ, ვისაც უბრალოდ სიმშვიდე ენატრება და განსაკუთრებით იმათ, ვისაც უჭირს და მართალია, უფასო სასადილოში ცოცხალი თავით არ შევა, მაგრამ სულიერი საზრდოს გარეშე ვერ გაძლებს... იქ მათ „დიალოგის თეატრის“ თბილი პანო, ოციოდე მაყურებლისა და ერთი მსახიობის სკამი ელით... ზოგჯერ — უფასო საგამოფენო დარბაზიც...

— რატომ ამოვირჩიე მწერალთა სასახლე? იმიტომ, რომ ამ ულამაზეს შენობას სხვაზე მეტად უჭირდა... სარდაფიდან „კამაზებით“ გავიტანეთ ნაგავი. მოძღვრებიც გვეხმარებოდნენ. ჩემი მეუღლე ეკლესიაში გალობს, ჩვენი მეგობარი მიშა ადეიშვილი კი მხატვარია, საეკლესიო თემებზე მუშაობს... ჰოდა, ეკლესიაში რომ გაიგეს, შემოქმედთა სარდაფს ვაწყობდით, სამუშაოდ გამოჰყვნენ... აი, ასე დავიწყეთ... ბოლო დროს რაღაც შემომიჩნდა — შეჭირვებული შემოქმედების ბედმა გადამრია... შორს წასვლა არც მჭირდებოდა, — ჩემი ქმარი, ნიჭიერი მომღერალი, ნიკა დოლენჯაშვილი, რამდენი ხანია სცენაზე არ სჭირდებათ... სხვას ხვრელებში გაძრომა და წინ წასვლა შეუძლია. ნიჭიერი ხვრელში ვერ გაძვრება. რა ვქნა... ჩვენ დღესაც უამრავი „ფიროსმანი“ გვყავს (მარტო მხატვრებს არ ვგულისხმობ) და ამ ხალხს, რომ მოკვდება, მერე კი არ უნდა დაუდგა ძეგლი, ახლა სჭირდება დახმარება... მოკლედ, შევქმენით შემოქმედთა საერთაშორისო კავშირი „ლაზარე 2005“. აქ გამოფენებსაც ვაწყობთ და სპექტაკლებსაც ვმართავთ „მონოლოგის თეატრში“.

**— ეს რაღაც ახალია?**

— ეს არის სპექტაკლი მონოლოგით. მოვიდა სოფიკო ჭიაურელი, დაჯდა, ჩაატარა სპექტაკლი-მონოლოგი და თქვა: — ასეთი სოფიკო არსად ვყოფილვარო. მაგრამ ასეთი სპექტაკლის გასამართავად მარტო მსახიობებს კი არ ვიწვევთ — მწერლებიც მოდიან, მხატვრებიც და მომღერლებიც... ბატონ მერაბ ელიოზიშვილს ერთი სპექტაკლი არ ეყო და მეორედაც მოვიდა... ორი უნიჭიერესი გიტარისტი — თენგიზ გაბიდაძე და მალხაზ ჯანშიევი — ამერიკაში გარბოდა, არ გავუშვით. დავაკვრევინეთ აქ და აატირეს ხალხი. ნიკას სიმღერამაც აატირა ერთი სპარსი ბიზნესმენი. მოვიდა და გვითხრა, მითხარით, რა გინდათ და გაგიკეთებთო. სხვათა შორის, მეცენატთა საზოგადოების შექმნა გვინდა — მადლია ხელოვანის დახმარება...

**— მაინც რა ხალხი მოდის თქვენთან?**

— ამ ბოლო დროს ერთი რამ შევამჩნიე — ვულკანივით იფეთქა სიკეთის კეთების სურვილმა. დამიჯერებთ, რომ ტელევიზიები უფასოდ აცხადებენ ჩვენზე?.. გაგიგიათ უფასო რეკლამა? ჩანს, სულიერი დეფიციტის შევსების პროცესი იწყება. ბევრი ნიჭიერი მხატვარი გვირეკავს, გამოფენის მოწყობა მინდა, მაგრამ ფული არ მაქვსო...

**— მაია, თავად რა გაკავშირებთ შემოქმედებასთან?**

— ვწერ ლექსებს და ვუკრავ. მაგრამ ეს არ არის მთავარი. იცით, ჩემი პაპის პაპა დავით მაჩაბელი, XIX საუკუნის რომანტიკოსი პოეტი გახლდათ. თამარაშენში თავისივე სახლში მოკლეს და მერე იქვე გამონვეს... 17 წლისა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდა... საბედნიეროდ, ჩემი დიდი პაპა, აბესალომი იქ არ ყოფილა და გადარჩა. დავით მაჩაბელი სამაჩაბლოში, თავისივე აგებულ მაცხოვრის ტაძარშია დაკრძალული... აი, აქედან მომყვება ალბათ შემოქმედის ტრაგიკულობის განცდა... ბარემ ვანო მაჩაბლის ამბავსაც გეტყვით: — დიდმა მეცენატმა გიორგი ქართველიშვილმა პეტერბურგიდან წერილი გამოუგზავნა ვანოს — ფული რაში ჩავდო, მოგება რომ მივიღოო? ვანო კიდევ თავის ძმას, ვასიკოს დაეკითხა და ორივემ ურჩია ქართველიშვილს, ქართლში პურის ყანები იხეირებსო. გიორგიმაც დათესა და იმდენი მოგება მიიღო, ვანოსაც გაუნაწილა... ვანომ კიდევ იმ ფულით ზიჩი ჩამოიყვანა და „ვეფხისტყაოსანი“ მოახატვინა...

**— სამაჩაბლოში დადიხართ?**

— რამდენიმე ხნის წინ ქართულოსური გაზეთის ერთი ნომერი დავბეჭდე და სამაჩაბლოს ქართულ და ოსურ სკოლებში დავარიგე... შარშანწინ ცხინვალში რომ ისევ სისხლი დაიღვარა, თუ გახსოვთ, ისეთი სიტუაცია იყო, სკოლებში სასწავლო წელს ვეღარ იწყებდნენ. გამისკდა გული. იქ ხომ ჩემი სამაჩაბლოა, ჩემი თამარაშენია... ძალიან ვგავარ ჩემს იქაურ ოს ნათესავს. ვთქვი, გადავალ, მასთან მსგავსება მიშველისმეთქი. მართლა ასე ვქენი. წავედით მე და მამა ადამი და იქაურ სკოლებში ზარი დავრეკე...

**— ბევრი გყავთ ოსი ნათესავი?**

— უფრო მეტთან ნათლმირონობა გვაკავშირებს. პაპაჩემი გიორგი, უკანასკნელი თავადი მაჩაბელი თამარაშენში ცხოვრობდა. მოვიდნენ ბოლშევიკები და ვერ აიტანეს. ღამით კაკალზე დაუკიდიათ თოკით... გაქცეულა მისი თეთრონი სოფლებში ჭიხვინით. დაუნახავთ ოსებს და უთქვამთ: — ალბათ ჩვენს ბატონს რაღაც უჭირსო... მიჰყოლიან


მიშა ადეიშვილი და მაია მაჩაბელი

ცხენს და კაკლიდან გასისხლიანებული ჩამოუხსნიათ. უკითხავს პაპას — სამაგიერო რით გადაგიხადოთო... არაფერი არ გვინდა, მოგვნათლეთო... 101 ოსი მონათლა პაპამ... მათი შთამომავლობა დღესაც ნათლიებს გვეძახის... ამ მირონის დარღვევა არ მინდა, გულს მისერავს... გიორგი პაპას რომ ენახა, რაც მოხდა, ძალიან იდარდებდა... სამაჩაბლო მაჩაბლებს ყველაზე მეტად გვტკივა. იქ ჩემი ბავშვობაა დარჩენილი... არასოდეს დამავიწყდება, როგორ მღეროდა ჩემი 105 წლის ბებია ჩემს ქორწილში ფორტეპიანოზე... „ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი...“ — ისიც ჩემი წინაპარი გახლდათ. ერეკლე მეფემ ძმებ მაჩაბლებს უბოძა სამაჩაბლო. ერთს — ომში ფიცხელი ბრძოლისათვის, მეორეს — ფიცხელ ომს სიმღერით რომ ამხნევებდა...

**— ახლა ისევ სარდაფში დავბრუნდეთ...**

— ეს სარდაფიც გადასარჩენად შეიქმნა, ისე, როგორც ომში — სიმღერა... მეც ძალიან მინდა ჩემი „ფიროსმანები“ გადავარჩინო...

***ეთერ ერაძე***

12 მაისს პარასკევს, ახალი გაზეთი!
კვირის პალიტრა
ყველა სიახლე
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის პარასკეობით.
კვირის პალიტრისგან

# ვინ ჩაუსაფრა ჟურნალისტებს „სტაიანკის მაყურებლები"?

## თბილისის ცენტრში უკანონო ავტოსადგომს ბობოლა ჩინოვნიკები მფარველობენ


ბახტრიონის №26 — კორპუსის წინ ფეხით გავლაც შეუძლებელია

## ვინ აგრძელებს უკანონობას – მერია, ზედამხედველობის სამსახური თუ პოლიცია?!

ბოლო დროს თბილისის ქუჩებში საგრძნობლად გაიზარდა უკანონო ავტოსადგომების რიცხვი. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ეს მას შემდეგ ხდება, რაც თბილისის მერიამ ამ სფეროში წესრიგის დამყარება გადაწყვიტა — აიკრძალა დედაქალაქში სოკოებივით მომრავლებული ე. წ. „სტაიანკები". ახალი ავტოსადგომების მოწყობა კი ამისათვის მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე გახდა შესაძლებელი. თავის დროზე, ამ გადაწყვეტილების მიღებისას დედაქალაქის მთავრობას შემდეგი მიზანი ამოძრავებდა: რამდენადაც „სტაიანკებით" გადაჭედილი ქუჩები საცობების წარმოქმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, მათი გაუქმებით ეს პრობლემა უნდა მოხსნილიყო. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შემოსავლები შევიდოდა თბილისის ბიუჯეტში, რადგან ახალ ავტოსადგომებზე მანქანის გაჩერების ფასიც მოიმატებდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, „საგზაო-საბიუჯეტო" წესრიგის დამყარება არც ისე იოლი აღმოჩნდა. რამდენიმე დღის წინ რედაქციაში აღელვებული მოქალაქეები გვეწვივნენ: — ბახტრიონის ქუჩის მცხოვრებლები ვართ. ჩვენი კორპუსის წინ ავტოსადგომი გახსნეს. ქუჩაზე მანქანების გავლა შეუძლებელია, თუმცა ამას ვინლა დაეძებს. გზაზე რომ ველარ დაატიეს მანქანები, ტროტუარიც მიისაკუთრეს. ამის გამო საკუთარ სადარბაზოებში ველარ შევსულვართ. ვის არ მივმართეთ, მაგრამ ამ პრობლემების მოგვარება ძალიან ძნელი აღმოჩნდაო.

ჩვენი რესპონდენტების გასაჭირის უკეთ შესასწავლად ბახტრიონის №26 კორპუსის წინ მდებარე ავტოსადგომს ვეწვიეთ. ისედაც საკმაოდ ვიწრო ქუჩაზე, სადაც ორმხრივი მოძრაობაა, ავტოსადგომის ადგილი მართლაც არ არის. ქუჩა და ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილიც კი მწყობრად ჩარიგებული ავტომობილებით არის სავსე.

— ეს ყველაფერი დეკემბრის ბოლოდან დაიწყო, — გვიყვება ერთ-ერთი მცხოვრები, — საიდანღაც გამოჩნდნენ ღამის დარაჯები და გამოგვიცხადეს: აქ დღეიდან „ავტოსტაიანკა" იქნებაო. ჯერ გაგვიკვირდა, ეს ქუჩა ნამდვილად არ გამოდგება ავტოსადგომის მოსაწყობად. პროტესტიც გამოვთქვით. შესაბამის უწყებებსაც მივმართეთ, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველა. უბნის ინსპექტორმა გვითხრა, ამ საქმის მოგვარება ჩემს ძალებს აღემატებაო(?!). შემდეგ მერიასაც მივმართეთ და გამგეობასაც. ამ უკანასკნელმა ჩვენი განცხადება ზედამხედველობის სამსახურს გადაუგზავნა, მაგრამ იქიდან

ჩვენი ძალებით ვცადეთ პრობლემის მოგვარება: დარაჯებს ვთხოვეთ, ფეხით სავალ ნაწილზე მაინც არ დაეყენებინათ მანქანები. მათ კი ცინიკურად გვიპასუხეს, — იყოს, რას გიშლითო. როგორ არ გვიშლის. თქვენც ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაა. გამწვანება სულ გაანადგურეს, არც დასუფთავება ხერხდება და აქაურობა ნაგვით არის სავსე. ფეხით სიარული შეუძლებელია. რომელიმე მანქანის საგანგაშო სირენა რომ ჩაირთვება (ხშირად „შემთხვევით"), ფანჯრებს მივაწყდებით ხოლმე. კურიოზი კი ის არის, რომ ჩვენი კორპუსის მცხოვრებნი ველარ აყენებენ სახლთან მანქანებს. იძულებული არიან კორპუსიდან საკმაოდ შორს წაიყვანონ...

— **თუ დაინტერესდით, ვინ მფარველობს ამ ავტოსადგომს?**

— ყური მოვკარით, რომ ის ვიღაც პარლამენტში მუშაობს და ყველაფერი მისი ხელშეწყობით ხდება. ლაპარაკობენ ადგილობრივ ხელმძღვანელთა ინტერესებზეც, მაგრამ კონკრეტულად ვინ არიან, ვერაფრით დავადგინეთ. ფაქტია, რომ ყველაფერი „კარგად" არის ორგანიზებული. სხვათა შორის, აღნიშნულით არც საგადასახადო სამსახური დაინტერესებულა. თითო მანქანის მძღოლისგან დარაჯები თითო ლარს იღებენ. ყოველდღიურად ამ „სტაიანკაზე" სამასამდე მანქანა მაინც იყრის თავს. სად მიდის ეს ფული, არავის აინტერესებს. ამიტომ დავასკვენით, რომ ამ ვითომ ავტოსადგომს ბობოლა მფარველები ჰყავს...

მოკლედ, ამ ქუჩაზე ავტოსადგომისთვის შესაფერისი ტერიტორიის არარსებობას ხელი არ შეუშლია მავანთათვის, რომ აქ მოგების გვარიანი წყარო ეპოვა. არადა, როცა მერიას მივმართეთ, იქაც გვითხრეს, რომ ვაკე-საბურთალოს რაიონში საერთოდ არ ჩატარებულა ტენდერი ავტოსადგომების მოსაწყობად, რადგან ჯერჯერობით მეიჯარე არ ჩანს. ამდენად, ყველა ის ავტოსადგომი, რომლებიც ამ რაიონშია თავმოყრილი, თვითნებურად მუშაობს და მათ წინააღმდეგ შესაბამისი ზომებია მისაღები.

**გიორგი საგინაშვილი,** თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე — ასეთი ავტოსადგომების არსებობა უკანონოა. მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. იქ რომ ტერიტორია იყოს უნებართვოდ შემოღობილი, ან მიწის მიტაცების ფაქტები არსებობდეს(?!), მხოლოდ ამ შემთხვევაში მოვახდენდით რეაგირებას.

— **ვის უნდა მიმარ-**

**მსგავსი თვითნებობა აღიკვეთოს?**

— ეს მთლიანად საპატრულო პოლიციის პრეროგატივაა. მას შეუძლია სხვადასხვა სანქცია გამოიყენოს და მსგავსი უკანონო ავტოსადგომები გააუქმოს.

— **აღნიშნული ავტოსადგომი კანონიერი რომ იყოს, რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს?**

— მიწა უნდა იყოს იჯარით აღებული ან პრივატიზებული. ამის შემდეგ მეპატრონეს შეუძლია შემოღობოს თავისი ტერიტორია და ცხადია, შესაბამისი რეგისტრაციის შემდგომ მოაწყოს ავტოსადგომი...

ბახტრიონის ქუჩაზე განთავსებული ავტოსადგომი არც ერთ ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. უბნის ინსპექტორის ბესიკ ონიანის თქმით, მან ამის გამო შესაბამისი ოქმიც შეადგინა და ხელწერილიც დააწერინა დარაჯებს, რომ მანქანებს აღარ დააყენებდნენ. მაგრამ, ამაოდ. საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: როცა ეს უკანონობა უკვე მრავალი თვის მანძილზე გრძელდება და მასზე ყველამ ყველაფერი იცის, რატომ არ მოხდა მისი დროული აღკვეთა? სხვათა შორის, როცა ამ ავტოსადგომს მეორედ ვეწვიეთ ფოტოს გადასაღებად, ორი ახალგაზრდა მოგვიახლოვდა და გამოკითხვა დაგვიწყო, რატომ ვიღებდით სურათებს. ვუპასუხე, რომ დედაქალაქის არქიტექტურის სამსახურიდან ვიყავით, ჩვენს უწყებაში მოთხოვნაა შემოსული აქ სუპერმარკეტის აშენების შესახებ. ფოტოებს იმიტომ ვიღებთ, რომ შევისწავლოთ რამდენად მიზანშეწონილია აქ სუპერმარკეტის აშენება-მეთქი.

— აგაშენა ღმერთმა, — მითხრა ერთ-ერთმა ე.წ. „სტაიანკის მაყურებელმა", — ამ დილით ჩხუბს გადავრჩით. გვითხრეს, რომ ვიღაც ჟურნალისტი დადის და „სტაიანკაზე" ჩალიჩობს რაღაცასო. ჩვენც ის ჟურნალისტი გვეგონე, ძმაო. ახლა რამდენიც გინდა, იმდენი სურათი გადაიღე.— ვინ გითხრათ ჟურნალისტის თაობაზე? — გავიკვირვე. — „ზემოთ" გვითხრეს (!). ამიტომ ორი-სამი დღეა, აქ ვდარაჯობთ „სტაიანშიკებთან" ერთად. რა უნდა, საქმე არაფერი აქვს? ისე რომ იცოდე, სააკაშვილი საკრებულოს თავმჯდომარე რომ იყო, მაშინ მას მინიფეხბურთის სტადიონი არ გააკეთებინეს აქ და ახლა ვინმეს სუპერმარკეტის აშენების ნებას მისცემენ?

როცა ჩავეძიე, მაინც ვინ გასცა „ზემოთ" ბრძანება, ჟურნალისტი ავტოსადგომს არ გააკაროთო, ჩემმა თანამოსაუბრემ ჩათვალა, რომ ისედაც ბევრი წამოროშა...

ასე რომ, ავტოსადგომის ფოტოები მაინც გადავიღეთ. თუმცა, საინტერესო ის არის, რომ ხსენებულ თემაზე მუშაობისას, მხოლოდ სამ (მერია, თბილისის ზედამხედველობის სამსახური და რაიონის პოლიცია. — ავტ.) უწყებაში ვიყავი და მხოლოდ აქ მომუშავე პირთათვის იყო ცნობილი, რომ უკანონო ავტოსადგომების შესახებ ვამზადებდი მასალას.

ამდენად, ბახტრიონის ქუჩაზე მცხოვრებთა ეჭვი, რომ ავტოსადგომს ბობოლა ჩინოვნიკები მფარველობენ, საფუძველს მოკლებული სულაც არ არის. იმედი გვქონდა, რომ წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა ჩინოვნიკები საკუთარი შეხედულებებისამებრ იყენებდნენ კანონებს და რაც უნდოდათ, იმას აკეთებდნენ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. დღესდღეობით მსგავსი ჩინოვნიკები ამინდს სამწუხაროდ, ისევ ქმნიან.

**დავით დევიძე**

# თვალთვალი სპეცრაზმის თანხლებით არ მიმდინარეობს

## პოლიტიკური ტენდენცია, არაპროფესიონალიზმი თუ „ზედმეტის" მცოდნე მოწმეთა მიზანმიმართული განადგურება




ბოლო დროს საქართველოში ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერაციები მეტად საშიშ სახეს იძენს. სამწუხაროდ, თითქმის ყველა სპეცოპერაცია მსხვერპლით სრულდება. „ვარდების რევოლუციის" მესამე წლისთავზე სპეცოპერაციათა „ანგარიშზე" 24 სავარაუდო დამნაშავე და 19 პოლიციელია ლიკვიდირებული, რაც ოთხმილიონიანი ქვეყნისთვის მეტისმეტად ბევრია. ბოლოდროინდელმა ანტიკრიმინალურმა „წარმატებულმა" სპეცოპერაციებმა ბევრი უპასუხო კითხვა დაბადა. რა არის ეს — პოლიტიკური ტენდენცია, რომელიც კრიმინალური სამყაროს დაშინებას ისახავს მიზნად, არაპროფესიონალიზმი თუ „ზედმეტის" მცოდნე არასასურველ მოწმეთა მიზანმიმართული განადგურება? ამ კითხვებზე პასუხი საზოგადოებას, ჯერჯერობით, არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველები ამტკიცებენ, უამრავ დანაშაულში ეჭვმიტანილი ბანდა გავანადგურეთო, 2 მაისს, ჩოგბურთის კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაცია განსჯის საგანი კიდევ დიდხანს დარჩება. ამჯერად ორი კაცი დაიღუპა — ალექსანდრე ხუბულოვი და ზურაბ ვაზაგაშვილი. მესამე, 21 წლის ბუბა ბუთურიძე კი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ხელისუფლება კრიმინალების ლიკვიდაციითა და ჩაუდენელი დანაშაულის წინასწარ აღკვეთით იწონებს თავს და ის კი ავიწყდება, რომ ჩვენმა სახელმწიფომ დამნაშავეთა დახვრეტაზე 15 წლის წინ თქვა უარი. ჯერ კიდევ 15 წლის წინ ქვეყანამ გამოხატა ნება, რომ დამნაშავისთვის ადგილი ციხეში უნდა მიეჩინა და არა საიქიოში. სამართალდამცველთა ვერსიის თანახმად, ალექსანდრე ხუბულოვი, ზურაბ ვაზაგაშვილი და ბუბა ბუთურიძე საყაჩაღოდ მიდიოდნენ. სამართალდამცველებმა ეს ფარული სატელეფონო მოსმენებით დაადგინეს. პოლიციელთა განმარტებით, იმ დღეს ჯგუფს უთვალთვალებდნენ. მოთვალთვალე „კუდი" საყაჩაღოდ მიმავალმა ბოროტმოქმედებმა შენიშნეს და ცეცხლი გახსნეს. როგორც სამართალდამცველები ირწმუნებიან, პირველად ავტომობილის უკანა სავარძლიდან ისროლეს, უკანა სავარძელზე კი ბუბა ბუთურიძე იჯდა. გასროლის შემდეგ პოლიცია იძულებული გახდა, ხალხმრავალ ადგილას, პირდაპირ ქალაქის შუაგულში გაეხსნა ცეცხლი. სამართალდამცველების ინფორმაციით, ჯგუფი ეჭვმიტანილი იყო რამდენიმე კვირის წინ პავლოვის ქუჩაზე ერთ-ერთი სავალუტო პუნქტის ძარცვა-ყაჩაღობაში (მიუხედავად სამართალდამცველთა მტკიცებისა, სავალუტო პუნქტის მეპატრონე დაზუსტებით ვერ ამბობს, ყაჩაღები ეს პირები იყვნენ თუ არა. — ავტ.).

რა საეჭვო გარემოებები იკვეთება ამ კონკრეტულ შემთხვევაში. კერძოდ, 2 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯგუფი რამდენიმე კვირის წინ გამსახურდიას პროსპექტზე მდებარე სავალუტო ჯიხურის ძარცვა-ყაჩაღობაში იყო ეჭვმიტანილი. თუ ეს მართლაც ასე იყო, რატომ არ დააკავა ისინი პოლიციამ? როგორც წესი, კარგად დაგეგმილი სპეცოპერაციისას დამნაშავე მოთვალთვალე სამართალდამცველს ვერ ამჩნევს. ასეც რომ ყოფილიყო, სპეცოპერაციის მსვლელობისას ეს დეტალი, როგორც წესი, გათვალისწინებულია. ამიტომ გაშიფრული მოთვალთვალე ტოვებს სპეცოპერაციას და მას სათადარიგო ძალები ენაცვლებიან. გარდა ამისა, თვალთვალი, როგორც წესი, სპეცდანიშნულების რაზმის თანხლებით არ მიმდინარეობს. და მთავარი კითხვა, რომელიც პროფესიონალებს გაუჩნდათ — თუკი პოლიციას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ჯგუფი კონკრეტულ მისამართზე კონკრეტული ოჯახის დასაყაჩაღებლად მიდიოდა, რატომ არ აცალეს დანაშაულის ადგილზე მისვლა, რატომ არ დააკავეს დანაშაულის ფაქტზე და რა საჭირო იყო ავტოავარიით ისედაც დარეტიანებული „ბოროტმოქმედების" ჩაცხრილვა? როგორც პროფესიონალები ამბობენ, მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილ დამნაშავეთა დაკავება ოპერატიული თვალსაზრისით გაცილებით უფრო მომგებიანია, ვიდრე ლიკვიდაცია.

ვინ არიან ალექსანდრე ხუბულოვი და ზურაბ ვაზაგაშვილი. დოსიე: ალექსანდრე ხუბულოვი. დაბადებული 1980 წლის 19 სექტემბერს. ორჯერ ნასამართლევი. პირველად იგი 1997 წელს გაასამართლეს იარაღით თავდასხმისათვის და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ალექსანდრე ხუბულოვს სასჯელი ბოლომდე არ მოუხდია. იგი 1999 წელს შეიწყალეს(!). იმავე წელს ხუბულოვმა კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა. ამჯერად ის ყაჩაღობის მუხლით გაასამართლეს და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თუმცა არც ეს სასჯელი მოუხდია ბოლომდე, იგი ისევ შეიწყალეს — 2003 წლის 7 აგვისტოს, 2 წლითა და 8 თვით ადრე, პირობით გაათავისუფლეს ქსნის კოლონიიდან.

ზურაბ ვაზაგაშვილზე ოფიციალური კრიმინალური დოსიე არ არსებობს. იგი არც ნასამართლევი ყოფილა, თუმცა პაპუაშვილების ოჯახი მას შვილის, ბექა პაპუაშვილის მკვლელობაში ადანაშაულებს. ოჯახის წევრების მტკიცებით, ბექა პაპუაშვილის მკვლელობა რესტორან „ვილა-ძარაში" მომხდარ ინციდენტს უკავშირდება.

**უშანგი კელენჯერიძე** (ბექა პაპუაშვილის ბიძა): „2002 წლის 23 ნოემბერს ბექას რესტორან „ვილა-ძარაში" ზურაბ ვაზაგაშვილთან ჩხუბი მოუხდა. ბექას მოკვლას ვაზაგაშვილი იმ დღესვე აპირებდა, გულში დანის ჩარტყმა უნდოდა, მაგრამ ბექამ დანა ხელით დაიჭირა და იმ დღეს სიკვდილს გადაურჩა. პირიქით, ვაზაგაშვილი დუნდულში დაჭრეს. ორი დღის შემდეგ, 25 ნოემბერს, ბექა თავის სახლთან მოკლეს. მკვლელი სადარბაზოსთან ელოდა. მკვლელობამდე შვიდი წუთით ადრე, ბექას სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან, ვაზაგაშვილს დაურეკეს და იცით, ვისი ტელეფონიდან იყო ზარი? — იმ ქალისა, რომელიც 23 ნოემბერს ვაზაგაშვილს რესტორან „ვილა-ძარაში" ახლდა. გარდა ამისა, მკვლელობის შემდეგ შემთხვევის ადგილზე დარჩა ვაზაგაშვილის ავტომანქანაც. ერთი სიტყვით, სამხილები საკმარისზე მეტი იყო. ვაზაგაშვილი დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ ელენე თევდორაძის შუამდგომლობით მალევე გაათავისუფლეს(!). ბექას იმ დღეს ორმა ესროლა. ერთს TT ჰქონდა, მეორეს — მაკაროვი. ბექა ორივე სისტემის იარაღიდან ნასროლი ტყვიით არის მკვდარი.

(გაგრძელება იხ. გვ.15)

# „თუ სახლ-კარს არ მოგვყიდით, მაინც ყველაფერს ოხრად დაგირჩენთ“...

## „ვინც ცდუნებას ვერ გაუძლებს, პრობლემებს შეიქმნის“

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების პროექტის „ჩემი სახლის“ საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენებას აპირებს. ეს ინფორმაცია გალიდან ზუგდიდში გადმოსულმა ქართველებმა მოგვაწოდეს. მათი ცნობით, სეპარატისტული ხელისუფლება ცდილობს აფხაზეთიდან დევნილებში მოძებნონ ისეთი ქართველები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით გაყიდიან თავიანთ კუთვნილ უძრავ ქონებას აფხაზეთში. ჩვენი საინფორმაციო წყაროს ცნობით, სამწუხაროდ, უკვე გამოჩნდა არაერთი ადამიანი, რომელიც თანახმაა მიზერულ თანხებშიც კი მიჰყიდოს აფხაზებს ქონება. „ეს ათამამებს აფხაზებს და უკვე მუქარის ტონითაც კი გველაპარაკებიან: თუ სახლ-კარს არ მოგვყიდით, მაინც ყველაფერს ოხრად დაგირჩენთ, ყველაფერს დაგიწვავთ და სოროში მოგიწევთ ცხოვრება(!).

დღეისათვის აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის კანონმდებლობა არ კრძალავს აფხაზეთში დაბრუნებული ქართველისთვის მისი კუთვნილი ქონების დაბრუნების შესაძლებლობას. ამიტომაც აპირებს დე ფაქტო პარლამენტი ცვლილება შეიტანოს კანონმდებლობაში და სამუდამოდ მოუსპონ ქართველებს თავიანთი ქონების დაბრუნების შესაძლებლობა. ამასთან, ცდილობენ ყველანაირად შეუშალონ ხელი იმ ქართველებს, რომლებიც ეცდებიან საკუთარი სახლ-კარი არა აფხაზებს, არამედ შეძლებულ რუსებს ან სხვა ეროვნების ხალხს მაინც მიჰყიდონ.

აფხაზები შეშფოთებული არიან საქართველოს ხელისუფლების გააქტიურების გამო, მაგრამ ინტიბარს მაინც არ იტეხენ. გამუდმებით ეძებენ მიზეზებს საიმისოდ, რომ როგორმე დაუპირისპირდნენ ოფიციალური თბილისის გადაწყვეტილებებს. მათ საქციელზე თბილისიდან ოპერატიულ და მკაცრ რეაგირებას კი ძალზე მტკივნეულად აღიქვამენ. როდესაც საქართველოს ხელისუფლება დროულად ეხმაურება აფხაზეთში ფარულად მიმდინარე პროცესებს, ეს საერთაშორისო ორგანიზაციების გააქტიურებას იწვევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაეროს და ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს ჰგონიათ, რომ რადგან თბილისიდან აფხაზების მიმართ პრეტენზიები არ ისმის, სეპარატისტები ქართველების მოსაწონად იქცევიან. ქართულ ენაზე სწავლების შესაძლო აკრძალვასთან დაკავშირებით მასმედიით ატეხილმა ხმაურმა სერიოზული შედეგი გამოიღო. ამჯერად ხმას არავინ იღებს ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვასთან დაკავშირებით, მაგრამ ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ სრულიად უნდა შეიცვალოს სასწავლო პროგრამები. ვიმედოვნებთ, საქართველოს ხელისუფლება ამ საკითხს შუა გზაზე არ მიატოვებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სეპარატისტებმა მათთვის ხელსაყრელი ცვლილებების განხორციელება ვერ შეძლონ, — ამბობენ გალელები.

გალელი ქართველების მიერ მოწოდებული ინფორმაცია დაადასტურა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გია ხევიაშვილმაც. როგორც გაირკვა, საქართველოს მთავრობასაც აქვს ინფორმაცია იმ ქართველთა შესახებ, რომლებმაც როგორც ჩანს, ხელი ჩაიქნიეს აფხაზეთში დაბრუნებაზე და მზად არიან ნებისმიერ ფასად გაყიდონ საკუთარი მიწა-წყალი.

**გია ხევიაშვილი:** — „ჩემი სახლი“ არის ის პროექტი, რომელიც აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე ბინების გაყიდვას უკანონოდ აცხადებს. სამწუხაროდ, რასაც თქვენი საინფორმაციო წყარო ლაპარაკობს, სიმართლეა. დღეს ნებისმიერი დევნილი ქართველის მიერ განხორციელებული ასეთი აქტი გამოცხადდება საკუთარი ქვეყნის ღალატად. თუ მაინც გაყიდიან დევნილი ქართველები თავიანთ ქონებას, გასხვისების აქტს ჩავთვლით უკანონოდ და საკუთარი მიწის გამყიდველს ფულს დავაბრუნებინებთ იმათთვის, ვისაც აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ უკანონოდ დაკავებული შენობიდან გამოვაძევებთ. ამიტომაც იცოდეს ყველამ, რომ თუ ცდუნებას ვერ გაუძლებს, სერიოზულ პრობლემებს შეიქმნის. აფხაზეთის დაბრუნების შემდეგ ისინი დარჩებიან უსახლკაროდ.

*ეკა ლომიძე*

# „მე არ ვიცი, სად იქნება 50 წლის შემდეგ რუსეთ-საქართველოს საზღვარი“



## „ნატოში გაწევრება ერთგვარი პაროლია რუსეთისათვის პრობლემების შესაქმნელად“

*ფონდ „ეფექტური პოლიტიკის“ პრეზიდენტი, ჟურნალ „Русский Журнал“-ის რედაქტორი, პრეზიდენტ პუტინთან არსებული საზოგადოებრივი პალატის ცენტრის წევრი,* **გლებ პავლოვსკი** *გახმაურებული ციტატის „პრეზიდენტ სააკაშვილის „დასადუმებლად“ ერთი ტყვიაც საკმარისი იქნებოდა“ — ავტორია. „კვირის პალიტრა“ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ.*

**— ბატონო გლებ, გართულებული ქართულ-რუსული ურთიერთობის ფონზე როგორ დაახასიათებდით მოსკოვსა და თბილისს შორის დღეს არსებულ ვითარებას?**

— როგორც ძალიან ცივსა და ჩემი აზრით, ურთიერთუნდობლობით გამორჩეულს. საქართველოს ხელისუფლება არ უშვებს არც ერთ შესაძლებლობას, რომ რამენაირად მაინც არ შეეხოს რუსეთს. ეს თავისთავად ტრაგედია არ არის, მაგრამ ფაქტია — სწორედ საქართველოს ხელისუფლების ინიციატივითა და მიზეზით დაიძაბა უკიდურესად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა. ეს კი ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმას ხელს ნამდვილად არ შეუწყობს.

**— თქვენი აზრით, რა უდევს საფუძვლად ყოველივე ამას?**

— ყოველგვარ ურთიერთობაზე წარსულის ინერცია ახდენს გავლენას. მიმდინარე პროცესებზე რეაგირებაც არ არის მთლად კორექტული და, ბოლოს და ბოლოს, არსებობს კიდევ ნაციონალური ინტერესი. მაგალითად, რუსეთისა და უკრაინის ნაციონალური ინტერესები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში სწორედ წარსულის ტვირთი იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს არ ეხება მხოლოდ ვარდების რევოლუციას, მოსკოვს რევოლუციამდელ ხელისუფლებასთანაც არ ჰქონია თბილი ურთიერთობა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ამძიმებს ერთი გარემოებაც — მოსკოვში დარწმუნებული არიან, რომ თბილისი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების ძალისმიერი გზით მოსაგვარებლად მიზეზს ეძებს, რაც გარდაუვალს გახდის კავკასიაში ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყებას. ეს კი რუსეთს, რომელმაც თავის სამხრეთ საზღვრებზე არსებული პრობლემები ასე თუ ისე მოაგვარა, კატეგორიულად არ სურს.

ჩვენ არ გვჯერა პრეზიდენტ სააკაშვილის თავშეკავებულობისა და იმისა, რომ იგი კონფლიქტების მოსაგვარებლად ძალისმიერ მეთოდს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს. პრობლემა ეს არის და არა რაიმე სხვა. დღეს აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის პრობლემების სწრაფად გადაწყვეტა შეუძლებელია. განცხადებები, რომ ერთი წლის შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები გადაწყდება, აფრთხობს მათ, ვინც კავკასიაში ცხოვრობს.

რუსეთს აქვს კავკასიური სტრატეგია, რაც რეგიონში გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფას გულისხმობს. ამ სტრატეგიის მიზანია, რეგიონში გამოირიცხოს რაიმე ფორმით საგარეო ჩარევა და თავდასხმა. ამ შემთხვევაში, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველო არაკეთილმოსურნე ქვეყნის პლაცდარმის როლს თამაშობს. ამას არც თავად უარყოფს. ყოველივე ეს თავისთავად ართულებს პრობლემის გადაწყვეტას.

**— თქვენ გულისხმობთ ნატოსა და ევროკავშირისკენ საქართველოს სწრაფვას? პოლიტიკოსთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის დაძაბული ურთიერთობა სწორედ საქართველოს დასავლურ არჩევანს უკავშირდება.**

— საქმე ის არის, რომ ნატო არ წარმოადგენს რაღაც მაგიურ მონსტრს. ნორვეგია ნატოს წევრი ქვეყანაა, მაგრამ რუსეთს მასთან თევზჭერასთან დაკავშირებული საკითხების გარდა პრობლემები არ აქვს. ასევე ნატოს წევრია გერმანიაც, მაგრამ უკანასკნელი 10 წელიწადია ეს არ გამხდარა რუსეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობების დაძაბვის მიზეზი. არ გვაქვს პრობლემები ნატოს წევრ თურქეთთანაც.

საქმე ის არის, როგორ იყენებენ ნატოში გაწევრების იდეას. საქართველოსა და ზოგიერთი ქვეყნისთვის ნატოში გაწევრება ერთგვარი პაროლია რუსეთისათვის პრობლემების შესაქმნელად. ამ ორგანიზაციას რუსეთის შეზღუდვის, მათ შორის სამხედრო შეზღუდვის საშუალებად განიხილავენ. ეს კი ურთიერთუნდობლობას იწვევს.

ვიმეორებ — ჩვენ ყოველთვის ფრთხილი დამოკიდებულება გვექნება იმ ქვეყნებთან, ვინც ნატოში შესვლას რუსეთის შეზღუდვის სტრატეგიად განიხილავს. ასეთივე განწყობა გვაქვს იმ ქვეყნებისადმიც, რომლებიც ამგვარ სტრატეგიას უჭერენ მხარს.

**— გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში არ სურთ იმაზე დაფიქრება და საუბარი, რატომ გადაწყვიტა საქართველომ ნატოში შესვლა, რომ საქართველო რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსიის გამო გაურბის.**

— გასაგებია, რომ უახლესი წარსული მძიმეა, მასზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები არა რუსეთმა, არამედ საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა. არა მგონია, რომ კონფლიქტების მოგვარებაში ნატომ მიიღოს მონაწილეობა. გარდა ამისა, ახალი მონაწილეების ჩართვა არ არის კონფლიქტის მოგვარების გზა, იგი კონფლიქტს მხოლოდ გააღრმავებს.

**„მთავარია არა კონფლიქტების არსებობა, არამედ ინტერესთა კონფლიქტი“**

**— თქვენ ხშირად კრემლის მთავარ პოლიტტექნოლოგად მიგიჩნევენ. იმასაც ამბობენ, რომ ხშირად პრეზიდენტ პუტინის აზრს ახმოვანებთ. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს, ხვდებით თუ არა ხშირად ბატონ პუტინს?**

— არასოდეს განვიხილავ სხვებთან ჩემს კლიენტთან ურთიერთობის თემას. მე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უშტატო მრჩეველი ვარ და ბუნებრივია, საქმიანი ეთიკის გამო არ მსურს იმაზე ლაპარაკი, რამდენად ხშირად ვხვდები პრეზიდენტ პუტინს.

**— როგორც ამბობენ, პუტინი სააკაშვილისადმი არცთუ კეთილგანწყობილია და პირიქით. რამდენად აისახება პრეზიდენტების სიმპათია-ანტიპათია პოლიტიკაზე?**

— ემოციური დამოკიდებულებისა და სიმპათია-ანტიპათიის გამომხატველი რამდენიც გინდათ, იმდენი პოლიტიკოსია, მაგრამ პუტინი სერიოზული საკითხების განხილვისას სიმპათია-ანტიპათიით კი არა, მხოლოდ ნაციონალური ინტერესებით ხელმძღვანელობს. დამერწმუნეთ, ძალზე მოხდენილად და იოლად შეუძლია ანტიპათიის დამალვა, როცა საქმე რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს შეეხება.

**— პუტინის განცხადება, რომ მას საქართველოს მოსახლეობა ეცოდება, საქართველოში ზოგიერთმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების ნიშნად აღიქვა. თქვენ როგორ განმარტავდით ამ განცხადებას?**

— პუტინს უპირველესად მხედველობაში ჰქონდა საქართველოში არსებული ეკონომიკური და იმხანად ენერგოკრიზისული ვითარება. თუ პუტინის განცხადება ირიბად მაინც შეიცავდა კრიტიკას, ჩემი აზრით, ის ალბათ უკავშირდებოდა საქართველოს ხელისუფლების მოქმედების ნერვოზულ სტილს, იმპროვიზებულ და არათანმიმდევრულ პოლიტიკას, რომელიც საზოგადოებას კონსოლიდირების საშუალებას არ აძლევს. გარწმუნებთ, პუტინის სიტყვებში არაკეთილგანწყობის ნატამალიც არ იყო.

**— გინდათ თქვათ, რომ ქართული ღვინის (დღეს უკვე მინერალური წყლის) რუსეთში იმპორტის აკრძალვაც საქართველოსადმი კეთილგანწყობის დემონსტრირება იყო?**

— მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობები დაძაბული რომ არ იყოს, დარწმუნებული ვარ, ღვინის პრობლემის მოგვარება როგორღაც მოხერხდებოდა.

**— იმედია, არ გაგიკვირდებათ, თუ გთხოვთ განმარტებას თქვენივე განცხადებაზე, სადაც გამოთქვით მოსაზრება, რომლის თანახმადაც პრეზიდენტ სააკაშვილის „დასადუმებლად“ ერთი ტყვიაც საკმარისი იქნებოდა“.**

— მე არაერთხელ განვმარტე, რომ ეს ციტატა არასწორად გაიგეს. ეს ჩემი სიტყვები არ იყო, ის ერაყში საომარი ოპერაციის დაწყებამდე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა წარმოთქვა. არ არის საჭირო იმის პროვოცირება, რაც არ მითქვამს.

გასაგებია, რომ ნათქვამის გაკონტროლებაა საჭირო, მაგრამ ხშირად ჩვენივე სიტყვები ჩვენსავე განზრახვას სცდება, ეს კი გართულებულ ურთიერთობებს უკავშირდება. სატელევიზიო ჟანრი ლაკონიურობისაკენ, ერთგვარი სიმკაცრისაკენ გიბიძგებს, მაგრამ სატელევიზიო ამბები ხომ ერთ დღეს ცხოვრობენ და არ არის საჭირო მათთვის ზედმეტად დიდი მნიშვნელობის მინიჭება.

გეთანხმებით, რომ ჩვენ ახლა ერთმანეთთან ადამიანურად არ ვსაუბრობთ. ჩვენი სასაუბრო თემები პრიმიტიულ-პოლიტიკურ დონემდე დავიდა. ხვალ ეს თემები აქტუალური აღარ იქნება, მაგრამ ხინჯი ხომ დარჩება? საჭიროა დიალოგის დაწყება, მაგრამ ტელევიზიისაგან, განსაკუთრებით პოლიტიკური სატელევიზიო გადაცემებისაგან ბევრს ნუ მოითხოვთ. იგი მასებს ხომ მასკულტურით, პრიმიტივიზმით ასულელებს.

**— თქვენი პროგნოზით, უნდა ველოდოთ თუ არა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას უახლოეს მომავალში?**

— თუ საქართველო უპასუხისმგებლო და სტიქიური პოლიტიკოსების წყალობით არ მოახდენს კავკასიაში ომის პროვოცირებას, რაც ჩვენ გვაშფოთებს, ჩემი აზრით, რამდენიმე წელიწადში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გაუმჯობესდება.

გეთანხმებით, რომ ჩვენ ახლა ერთმანეთთან ადამიანურად არ ვსაუბრობთ. ჩვენი სასაუბრო თემები პრიმიტიულ-პოლიტიკურ დონემდე დაიდა. ხვალ ეს თემები აქტუალური აღარ იქნება, მაგრამ ხინჯი ხომ დარჩება? საჭიროა დიალოგის დაწყება, მაგრამ ტელევიზიისაგან, განსაკუთრებით პოლიტიკური სატელევიზიო გადაცემებისაგან ბევრს ნუ მოითხოვთ. იგი მასებს ხომ მასკულტურით, პრიმიტივიზმით ასულელებს.

**— აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოუგვარებლობის, ამ რეგიონებში სტატუს კვოს შენარჩუნების პირობებში თქვენი ოპტიმისტური პროგნოზი არარეალურად მეჩვენება.**

— მთავარია არა კონფლიქტების არსებობა, არამედ ინტერესთა კონფლიქტი. თუ იქნა სტრატეგიული ნება გვერდიგვერდ ერთად ცხოვრებისა და ურთიერთობების გაღრმავებისა, პროცესები ნორმალურად განვითარდება.

პრობლემა ის არის, რომ საქართველომ და რუსეთმა სხვადასხვა გზით გადაწყვიტეს თავიანთი სახელმწიფოებისთვის პრიორიტეტების განსაზღვრა. საქართველო ჰგავს კიდეც რუსეთს იმით, რომ ჩვენ ერთდროულად გვინდა ვიყოთ თავისუფალი, ვიარსებოთ დიდხანს და არ დაველოდოთ მოსალოდნელ ნგრევას. ეს სტრატეგიული თანამშრომლობის ბაზაა. პროცესი მკვდარი წერტილიდან მაშინ შეიძლება დაიძრას, როცა ორივე ქვეყნის დედაქალაქებში ამ სტრატეგიის მიმართ კონკრეტული დამოკიდებულება გამოიკვეთება.

სხვა საქმეა ის გარემოება, რომ კონფლიქტის მხარეებს თავიანთი სიმართლე აქვთ, რაც გასათვალისწინებელია. რუსეთსაც აქვს მძიმე და მწარე მოგონებები, მაგრამ ცდილობს, გაუძლოს ამას.

**— თუ სწორად გავიგე, თქვენ გვთავაზობთ, შევეგუოთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს საზღვარი მდინარე ენგურზე და გორიდან სულ რაღაც 20 კილომეტრში არსებობდეს?**

— მე არ ვიცი, სად უნდა გადიოდეს საზღვარი. მე ხომ საზღვრების დემარკაციით არ ვარ დაკავებული. არც ის ვიცი, სად იქნება 50 წლის შემდეგ რუსეთ-საქართველოს საზღვარი. მოდი, ამ თემაზე ნუ ვისაუბრებთ, ამისთვის ახლა მზად არა ვარ.

*კობა ბენდელიანი*

# „დსთ-ის საკითხს ისე გადავწყვეტთ, როგორც ეს იმ მომენტისთვის იქნება საჭირო“

## „ეს გამონათქვამი არ იყო კორექტული და აღარ ვაპირებ ამ თემაზე მსჯელობას“



„სჯობია რუსეთს არ მივცეთ იმის საშუალება, რომ არაკორექტულობაში დაგვდოს ბრალი“

## „ასეთ ხალხმრავალ ადგილას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ჩატარებულიყო სპეცოპერაცია“

**ნინო ბურჯანაძე** დუმის იუბილეზე იმიტომ გაემგზავრა, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის ეტიკეტი დაიცვა — რუსი კოლეგებისთვის დღესასწაულის მიულოცველობა ცუდ ტონად ჩამეთვლებაო, მაგრამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მაგიდებზე მუშტები უბრახუნეს და მისი შენიშვნაც — ზოგჯერ ჩვენთან ურთიერთობისას შეცდომას უშვებთო, არ მიიღეს. მოგვიანებით ნინო ბურჯანაძემ ოქრუაშვილის განცხადების გამო მოიბოდიშა კიდეც, მაგრამ საპასუხო რეაქცია ის იყო, რომ რუსული ბაზარი ქართულ მინერალურ წყალს, „ბორჯომსაც“ ჩაუკეტეს.

პარლამენტის თავმჯდომარეს ქართულ-რუსული პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრეთ:

— **რუსული გაზეთისთვის, „ვრემია ნოვოსტეისთვის“ მიცემული თქვენი ინტერვიუ დიდი განსჯის საგანი გახდა — პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებების გამო ბოდიში მოიხადაო.**

— არ ვიცი, რატომ გახდა ეს აჟიოტაჟის მიზეზი. თავდაცვის მინისტრისადმი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ აზრის გამოხატვის ის ფორმა არ იყო კორექტული. სხვათა შორის, ისიც გასაგებია, რომ ირაკლის რუსული პოლიტიკა აღიზიანებს, ასეთივე განცდა გვაქვს ჩვენც, მაგრამ სჯობია, რუსეთს არ მივცეთ იმის საშუალება, რომ არაკორექტულობაში დაგვდოს ბრალი. თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ყველა თავად ირჩევს აზრის გამოხატვის ფორმასო. ვეთანხმები, მაგრამ აზრის გამოხატვისა და პროტესტის ეს ფორმა ჩემთვის მიუღებელია. ჩვენ რუს ერს მივაყენეთ შეურაცხყოფა, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა გაგვეკრიტიკებინა. ამიტომ ვფიქრობ, განსაკუთრებული და მიუღებელი ჩემს განცხადებაში არაფერი ყოფილა. პირიქით, მიმაჩნია, რომ რაც ვთქვი, სწორად ვთქვი. ვიმეორებ, მინისტრის გამონათქვამი არ იყო კორექტული და აღარ ვაპირებ ამ თემაზე მსჯელობას. თუ ვინმე ჩემი განცხადების მიღმა რაღაცას დაინახავს, მისი ნებაა.

ბოდიშის მოხდისა მათ ეშინიათ, რომელთაც საკუთარი თავის რწმენა არა აქვთ, ან კიდევ ბოდიშის მოუხდელობა სიძლიერედ მიაჩნიათ. რუსეთს არასოდეს მოვუბოდიშებ არც ოსეთის, არც აფხაზეთის გამო, მაგრამ ამ კონკრეტული გამონათქვამის გამო ბოდიშის მოხდა უპრიანი იყო.

— **ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებამ ხომ არ განაპირობა ის სიტუაცია, სანქტ-პეტერბურგში რომ დაგხვდათ?**

— ცხადია, ამან გააღიზიანა (სამართლიანადაც) ზოგიერთი. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ვერ შეცვლიდა რადიკალურად იმ ფონს, რომელიც მანამდეც მძიმე იყო. ბატონ ირაკლის რაც უნდა ითქვა, რუსეთის სათათბიროში ტაშით არ შემხვდებოდნენ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც იქ ვთქვი.

— **თუ იცოდით, რომ ტაშით არ შეგხვდებოდნენ, რატომ წახვედით სანქტ-პეტერბურგში და კიდევ ხომ არ სჯობდა თქვენს ნაცვლად დუმის იუბილეზე მიხეილ მაჭავარიანი გამგზავრებულიყო. ქვეყნის მეორე პირის, თანაც ქალის უპატივცემლობა, ძნელი მოსათმენიაო, არაერთისგან გავიგონე.**

— მე ასე არ ვფიქრობ, ამ უხამსი საქციელით დუმის დეპუტატებმა თავსა და სახელმწიფოს მიაყენეს შეურაცხყოფა. ჩემი სიტყვით გამოსვლის შემდეგ ბევრი გამესაუბრა — ზოგი მეთანხმებოდა, ზოგი — არა, მაგრამ ყველამ მომიბოდიშა რუსი დეპუტატების მცირე ჯგუფის უზნეობის გამო.

სანქტ-პეტერბურგში წაუსვლელობა მხოლოდ არაფრისმომცემი პროტესტი იქნებოდა. სიტყვით გამოსვლისას ჩამოვთვალე ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, წამოვაყენე პოლიტიკური წინადადებები, რაც წესით, რუსეთისა და უცხოეთის პოლიტიკურმა წრეებმა ყურად უნდა იღონ. მე დაუფარავად ვთქვი სათქმელი და არა ზურგს უკან — სხვა ქვეყანაში. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, დღეს მოყვრები არ ვართ, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვსურს. ურთიერთპრობლემებზეც ამიტომ ვლაპარაკობთ და რუსეთს მათი გადაწყვეტის გზაც შევთავაზეთ.

— **ითქვა, რომ სანქტ-პეტერბურგში მას შემდეგ გადაწყვიტეთ გამგზავრება, რაც პრეზიდენტმა გთხოვათ...**

— თუნდაც ასე რომ ყოფილიყო, რა არის ამაში ცუდი.

— **ამ ამბავს კუდები გამოაბეს — ბურჯანაძე რუსების ხახაში ჩააგდესო...**

— რა კუდი და საფუძველიც უნდა ჰქონდეს ამას, თუ ჩემს ქვეყანას დასჭირდება, ყველგან წავალ... რა თქმა უნდა, პრეზიდენტთან კონსულტაცია გავიარე და ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ორივემ გადავწყვიტეთ, რომ უნდა წავსულიყავი და მეთქვა ის, რაც საჭირო იქნებოდა. არანაირი მითითება ამ მიმართებით პრეზიდენტს არ მოუცია. თითქოს ყველა მე მკარნახობს, როგორ და რა ვილაპარაკო, როგორ მოვიქცე, თურმე სიტყვებსაც მიწერენ. მაგრამ არა უშავს, ამასაც ავიტან.

— **განსჯის საგანი გახდა ისიც, თქვენი სიტყვა მისალოცი უნდა ყოფილიყო თუ კრიტიკული...**

— სამწუხაროდ, ეს მხოლოდ რუსეთში კი არა, საქართველოშიც აქტუალური თემაა. მილოცვა არ დამვიწყებია და ვუსურვე კიდეც რუსებს, დემოკრატიული, სტაბილური და განვითარებული ქვეყანა გქონდეთ-მეთქი, მაგრამ მხოლოდ დითირამბებს ვერ მივუძღვნიდი ზოგიერთ ჩემს კოლეგასავით, რომელთაც მადლობა გადაუხადეს რუსებს — წერა-კითხვა თქვენ გვასწავლეთო. ვფიქრობ, პოლიტიკოსები გულწრფელნი უნდა იყვნენ, პოლიტიკა კი გამჭვირვალე. მიმაჩნია, რომ ჩემი განცხადება ძალზე კორექტული იყო და შეესაბამებოდა არსებულ სიტუაციას.

— **რამდენიმე დღის წინ ირაკლი ოქრუაშვილმა დსთ-დან შესაძლო გამოსვლის შესახებ გააკეთა განცხადება, მას შემდეგ კი პრეზიდენტმაც ბრძანა, ამ საკითხზე მუშაობა უნდა დავიწყოთო. ბევრს ამის გამო კითხვა დაებადა — რატომ აკეთებს განცხადებებს ჯერ თავდაცვის მინისტრი და მერე პრეზიდენტი?**

— იმიტომ, რომ ის პრეზიდენტია. შეიძლება მან სულ ბოლოს გამოთქვას თავისი აზრი რომელიმე საკითხზე ან სრულად არ გამოხატოს პოზიცია; ან კიდევ, შესაძლოა, პირველმა გააკეთოს განცხადება და მერე ამუშავდეს სახელმწიფო მანქანა. მიხეილ სააკაშვილი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ისე მოიქცევა, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს მართებს. ბატონ ირაკლის განცხადებაშიც არ იყო რაიმე გასაკვირი. მისი აზრი დსთ-ზე ცნობილია და აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში ბევრი ფიქრობს მისნაირად. დსთ რომ მკვდრად შობილი და საქართველოსთვის არაფრისმომცემი ორგანიზაციაა, ფაქტია, მაგრამ იქიდან გამოსვლის საკითხს ისე გადავწყვეტთ, როგორც ეს იმ მომენტისთვის იქნება საჭირო.

— **უახლოეს ხანებში რამდენად არის მოსალოდნელი ამ საკითხის გადაწყვეტა?**

— ასეთი მნიშვნელობის საკითხები ერთ ან ორ კვირაში არ გადაწყდება.

— **დღემდე დსთ-ის სივრცეში უვიზო მიმოსვლა და მისი ტრიბუნა იყო ის „მაცდუნებელი ხილი“, რის გამოც მის დატოვებაზე თავს ვიკავებდით. ისევ ეს ორი „სიკეთე“ ხომ არ გადაწონის დსთ-დან გამოსვლის სურვილს?**

— რომ განვსაზღვროთ, რა რას გადაწონის, სწორედ ამიტომ თქვა პრეზიდენტმა, საკითხი მთავრობამ შეისწავლოსო. შემდეგ მთავრობა მას ჩვენ გადმოგვცემს განსახილველად და გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

— **რამდენადაც ვიცი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეობა შემოგთავაზეს. თუ ფიქრობთ ამ წინადადებაზე?**

— რა თქმა უნდა, ეს დიდი პატივია ჩემთვისაც და ქვეყნისთვისაც.

ეს ძალზე მნიშვნელოვანი თანამდებობაა, მაგრამ არის რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც თავს ვიკავებ. რთულია პარლამენტის თავმჯდომარეობის შეთავსება ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობასთან. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეობა გარკვეულწილად უფლებებსაც გაძლევს, სამაგიეროდ, კონკრეტულ საკითხებში დიპლომატიური ჩარჩოებით გზღუდავს. ასე რომ, ბევრი რამ მაქვს ასაწონდასაწონი.

— **თუ ეს თანამდებობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას რაიმენაირად წაადგება, ალბათ, ბევრი ფიქრი და ყოყმანი არ უნდა იყოს საჭირო.**

— ვერ ვიტყვი, რომ ეუთოს თავმჯდომარეობა ამ საკითხს გადაწყვეტს. ასე რომ იყოს, არც დავფიქრდებოდი. ეუთოს მხოლოდ ის შეუძლია, რომ გაააქტიუროს ძალისხმევა. ამასთან, ეუთოს თავმჯდომარე მხოლოდ თავისი ქვეყნის შინაკონფლიქტებზე ვერ გაამახვილებს ყურადღებას.

— **საინტერესოა თქვენი და მარგარეტ ტეთჩერის შეხვედრის დეტალები. იცოდა ინგლისის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, რომ სამაგალითო პოლიტიკოსად მიგაჩნიათ?**

— ცხადია, ქალბატონ ტეთჩერს ჰქონდა ჩემზე ინფორმაცია. რატომღაც ხშირად ხდება განსჯის საგანი, რატომ მიკიდია სამუშაო ოთახში მარგარეტ ტეთჩერის ფოტო. მასზე მისივე ავტოგრაფია და მაშინ გამომიგზავნა, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობას ვასრულებდი (წარწერას მაჩვენებს) — „პრეზიდენტ ბურჯანაძეს საუკეთესო სურვილებით, მარგარეტ ტეთჩერისგან“. მან გვაცნობა, თვალს ვადევნებ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, რევოლუციასო და ამ ფოტოთი და წარწერით ჩემდამი დამოკიდებულება გამოხატა. ქალბატონ ტეთჩერს ვუთხარი, ჩემთვის და ჩემი თაობისთვის პოლიტიკური ლიდერის მაგალითი ბრძანდებით-მეთქი. შევახსენე პირველი გამოსვლა საბჭოთა ტელევიზიით, როდესაც სამ საბჭოთა პოლიტიკურ მიმომხილველთან იცავდა დასავლეთის ფასეულობებს. მაშინ ტეთჩერმა გაანადგურა... გაასამტვერა სამი საკმაოდ ძლიერი ოპონენტი, ცნობილი საბჭოთა პოლიტიკური მიმომხილველები. შევატყვე, ესიამოვნა ამის გახსენება. დეტალურად გამომკითხა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ამბავი, დაინტერესდა ჩვენთან მიმდინარე პროცესებით. ასაკისა და სტატუსის მიუხედავად, მეორედან პირველ სართულამდე ჩამომაცილა და მხოლოდ კარამდე კი არა, კარს მიღმაც გამომყვა. მითხრა, როდესაც ინგლისში იქნებით, აუცილებლად მესტუმრეთო. ეს ჩემთვის დასამახსოვრებელი დღე იყო.

— **ითქვა, ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრაზე მარგარეტ ტეთჩერმა ტელე და ფოტოგადაღებები აკრძალაო, მაგრამ ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრთან გადაღებული თქვენი ფოტო მაინც გაჩნდა...**

— ვინ მოიგონა, რომ ფოტოს გადაღება არ უნდოდა ქალბატონ ტეთჩერს? ისიც დაიწერა, თითქოს ინგლისის პრემიერ-მინისტრს ჩემთან შეხვედრა არ სურდა და მე ტონი ბლერს დავურეკე, რომ შეხვედრა მოეწყო ჩემთვის. ურიგო არ იქნებოდა, ტონი ბლერთან ისეთი ურთიერთობა მქონოდა, რომ შეხვედრების ჩაწყობა მეთხოვა. როდესაც ჟურნალისტობაზე პრეტენზიის მქონე პირები წერენ ამას, ცოტა არ იყოს, უხერხულია. შეხვედრაზე ვიდეოგადაღება არ შეიძლებოდა, მაგრამ ფოტოგადაღება არავის აუკრძალავს.

— **დასასრულ, მინდა ერთი რამ გკითხოთ, რაც ასე აშფოთებს საზოგადოებას — სპეცოპერაციების უმეტესობა მსხვერპლით მთავრდება. 2006 წლის განმავლობაში უკვე 40 კაცია ლიკვიდირებული. ეს საგანგაშო სტატისტიკა რაზე მეტყველებს და რატომ ხდება აუცილებელი მაინცდამაინც უკიდურესი ზომის გამოყენება?**

— ძნელია სპეცოპერაციის დროს იმის განსაზღვრა, ეჭვმიტანილი დაიჭრება თუ მსხვერპლი იქნება. ასეთ ოპერაციებს ხშირად მოსდევს მსხვერპლი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სპეცოპერაციის დამგეგმავმა წინასწარ უნდა განჭვრიტოს ყველაფერი. არასასურველი შედეგი ხშირად იმით არის განპირობებული, რომ სხვა გამოსავალი არ იყო და პოლიციელების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. როდესაც არჩევანია გასაკეთებელი პოლიციელს, მოქალაქეს ან დამნაშავეს შორის, არჩევანი დამნაშავის სასარგებლოდ არ გაკეთდება. თუმც ისიც უნდა ვთქვათ, რომ მსხვერპლი ხშირად სამართალდამცველთა არაპროფესიონალიზმს მოსდევს. ეს საკითხი უთუოდ შესასწავლია. სადაც გამოიკვეთება სამსახურებრივი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, დამნაშავენი უსათუოდ უნდა დაისაჯონ. დღისით-მზისით იმ ადგილზე, სადაც უამრავი ხალხი მიმოდის, არ შეიძლება სპეცოპერაციის ჩატარება. ღმერთმა გადაგვარჩინა, რომ მოქალაქეები არ დაშავდნენ. თუკი პოლიციამ იცოდა, რომ მანქანაში მსხდომნი დანაშაულის ჩასადენად მიდიოდნენ, ან ადგილზე უნდა ჩასაფრებოდნენ მათ, ან ისე უნდა დაეწყოთ დევნა, რომ დამნაშავეებს ვერ შეემჩნიათ. ტელეკადრები უდავოდ ბადებს კითხვებს. ამ საკითხის შესწავლა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს დავავალე, რათა წინასწარი ინფორმაცია ბიუროს სხდომაზე მომახსენოს. ასეთ ხალხმრავალ ადგილას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ჩატარებულიყო სპეცოპერაცია. იყო კი იმ შემთხვევაში უკიდურესი აუცილებლობა?

იზო რიკაძე

# „ქვეყანაში გაცილებით დიდი ფული ტრიალებს, ვიდრე ჩანს“

## „ვინც გარეთ რჩება, მალე ოქრუაშვილს მიაკითხავენ“



ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. თავდაპირველად ექსპერტები და ოპოზიციის ნაწილი მთავრობის კურსს უჭერდნენ მხარს და აცხადებდნენ, რომ ხელისუფლება პროგრესისაკენ მიდის. მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტობის პირველივე დღეებიდანვე გადაწყვიტა, რომ მის გარშემო ის პირები უნდა შემოკრებილიყვნენ, ვისაც ენდობოდა. მას შემდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ ერთთავად ამტკიცებს, ჩვენი გუნდი ერთიანი და განუყოფელიაო, თუმცა ოპოზიციას ამაში უკვე ეჭვი ეპარება. როგორც ამბობენ, პრეზიდენტი თავისი გარემოცვის მსხვერპლი ხდება და ამან შესაძლოა ყველა ის მიღწევა ჩაყაროს წყალში, რომელსაც რევოლუციის შემდეგ მივაღწიეთ.

**პაატა ზაქარეიშვილი**, პოლიტოლოგი: „ფაქტობრივად, გვყავს არა მთავრობა, არამედ პოლიტბიურო, რომელიც პარლამენტსაც აკონტროლებს და სასამართლოსაც. მათი მიზანი ხელისუფლების შენარჩუნებაა. მთავრობამ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა ვერ მოახერხა, თან იმასაც მიხვდა, რომ დემოკრატიული მეთოდებით ქვეყნის მართვა არჩევნებში ვერ გაამარჯვებინებს. ამიტომ ახლა პრეზიდენტს აქვს იგივე დილემა, რომელიც თავის დროზე შევარდნაძეს ჰქონდა — ქვეყანა დემოკრატიული მეთოდებით მართოს, თავისი გადარჩევა დაუშვას თუ კლანები შექმნას. გადაწყვეტილებებს იღებს ის ხალხი, რომელსაც ეს არ ევალება. მაგალითად, ბოკერია, რომელიც უბრალო დეპუტატია, მაგრამ გაცილებით დიდი გავლენა აქვს მინისტრებსა და სააკაშვილზე, ვიდრე პრემიერ-მინისტრს ან პარლამენტის თავმჯდომარეს. გადაწყვეტილებებს იღებს ასევე გენერალური პროკურორი, შს მინისტრი, თბილისის მერი... გარკვეულწილად, გათვალისწინებულია ოქრუაშვილის ფაქტორიც, მაგრამ ამგვარ სიტუაციაში ყველა მაინც თავის თამაშს თამაშობს. პრეზიდენტის სუსტ მხარეებს მისი გარემოცვა კარგად იყენებს. ფაქტობრივად, მას იგივე ემართება, რაც თავის დროზე შევარდნაძესა და გამსახურდიას მოუვიდათ.

ეს პრობლემები, ძირითადად, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. ჟვანია ვერავინ ჩაანაცვლა, სამაგიეროდ, ზედაპირზე ამოტივტივდა ორი ძალა: ოქრუაშვილი და ისინი, რომლებიც „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ წამოვიდნენ.

(გაგრძელება იხ. გვ. 15)

# სირბილით იარ... ოღონდ ნაწილიდან ნუ გაიქცევით!



## ელიტურ ნაწილში დისციპლინაც სანიმუშო უნდა იყოს

ქართული არმიის შექმნის მე-15 წლისთავი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სენაკში, თანამედროვე დონის სამხედრო გარნიზონში აღნიშნეს, კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის სამხედრო ნაწილმა კი ამ ღირსშესანიშნავ თარიღს „მარშ-გადარბენა" მიუძღვნა.

კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადას, შექმნის დღიდან, ქართულ არმიაში ერთ-ერთ ყველაზე ელიტურ სამხედრო დანაყოფად მიიჩნევდნენ და ამა თუ იმ ბუნტის „ჩაქრობას" ავალებდნენ. ასე იყო მუხროვანის აჯანყების დროს (მაშინ ეროვნული გვარდიის ოფიცრებმა მუხროვანის შინაგანი ჯარების ნაწილის კონტროლი მოინდომეს, მათ დასაშოშმინებლად თავად პრეზიდენტ შევარდნაძეს მოუწია მუხროვანში მისვლა), ასევე მოხდა მეტროსადგურ „ისანთანაც" — იქ მდგარ ნაწილში უკმაყოფილო სამხედროები გამაგრდნენ. ამგვარ შემთხვევებში კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადა ვალდებული იყო, საჭიროებისას იერიში მიეტანა აჯანყებულებზე.

ამჯერად კი თავად კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის 70-მდე სამხედრომ უნებართვოდ დატოვა ნაწილის ტერიტორია და მახლობელ ტყეს შეაფარა თავი, თუმცა, რამდენიმე საათში უკან დაბრუნდა.

თავდაცვის სამინისტრომ ამ ინციდენტთან დაკავშირებით მეტად ძუნწი ოფიციალური კომენტარი გააკეთა. გენშტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლეიშვილი, თავდაპირველად საერთოდ უარყოფდა სამხედროთა გაქცევას და, რომ არა თავდაცვის მინისტრის, ოქრუაშვილის, გაკვრით ნათქვამი, ალბათ ეს ინციდენტიც ისევე მიიჩქმალებოდა, როგორც არაერთი სხვა.

საინფორმაციო წყაროების ცნობით, კვირაცხოვლობა და ქართული არმიის დღე კოჯრის ბრიგადის რამდენიმე სამხედრომ ღვინით აღნიშნა. სამხედრო ნაწილის მეთაურობამ მთვრალების დასჯა გადაწყვიტა, რასაც უკმაყოფილო ჯარისკაცთა მასობრივი გაქცევა მოჰყვა — ოღონდ არავინ აზუსტებს, ეს 70 სამხედრო ტყეში იარაღით გაიქცა თუ უიარაღოდ.

მეთაურობამ მთვრალი სამხედროების დასჯა რომ განიზრახა, ეს სწორია, მაგრამ ზოგიერთი ცნობით, დასჯა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაზრდილა. შეიძლება ეს გახდა სამხედროების მასობრივი გაქცევის მიზეზი...

თუკი მთვრალი სამხედროების მიმართ ნაწილის მეთაურობამ მხოლოდ წესდებით გათვალისწინებული მეთოდები გამოიყენა, მაშინ ისინი, ვინც თვითნებურად დატოვა სამხედრო ნაწილი, უფრო მკაცრ დისციპლინურ სასჯელს იმსახურებდნენ.

ეს ფაქტი მეტად შემაშფოთებელია, რადგან არმიაში არსებულ სუსტ დისციპლინაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე ნებისმიერი საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად ჯარის მზადყოფნაზე.

ნებისმიერი სხვა ქვეყნის არმიაში მომხდარი ასეთი ინციდენტი არა მარტო სამხედრო უწყების, არამედ მთავრობისა და პარლამენტის უაღრესად სერიოზული მსჯელობის საგანი გახდებოდა.

ჩვენთან კი ყველაფერი თითქმის ხუმრობაში გაატარეს. სხვადასხვა სატელევიზიო არხმა აჩვენა ამის თაობაზე თავდაცვის მინისტრის ღიმილიანი კომენტარი...

# NATO ჩვენს „გაყინულ" კონფლიქტებს ეცნობა

### ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დელეგაციამ კონფლიქტის ზონები მოინახულა

გასულ კვირას საქართველოს NATO-ს საპარლამენტო ასამბლეის მცირერიცხოვანი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი დელეგაცია სტუმრობდა. დელეგაციის ხელმძღვანელმა, NATO-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, პიერ ლელუშმა, ცხინვალიდან დაბრუნების შემდეგ ძალზე საინტერესო განცხადებები გააკეთა.

„რუსეთი გადამწყვეტ როლს თამაშობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებაში. თბილისმა და მოსკოვმა ერთმანეთთან შეთანხმებას უნდა მიაღწიონ. ჩვენ ყოველნაირად ხელს შევუწყობთ ამ მოლაპარაკებებს".

ლელუშის ეს განცხადება სწორად ასახავს იმ რეალურ სიტუაციას, რაც დღეს ცხინვალის რეგიონში სუფევს.

NATO-ელი დიდმოხელე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების აუცილებლობას და აცხადებს, — დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკის განვითარება საქართველოში ანდამატივით მოიზიდავს ოსებსა და აფხაზებსო.

ეს ნათქვამი მრავლისმთქმელია: უპირველესად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე არ მიესალმება რაიმე მორიგი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას საქართველოს ტერიტორიაზე. მეტიც, NATO-ს მაღალჩინოსანი წარმომადგენლები მკაფიოდ აფიქსირებენ, რომ მიუხედავად ტერიტორიული მთლიანობის გარკვეული პრობლემებისა და „თეთრი ლაქების" — სეპარატისტული რეჟიმების არსებობისა, ეს წინ ვერ აღუდგება საქართველოს NATO-სკენ სწრაფვას.

მეორე მხრივ, თუკი რომელიმე „გაყინული" კონფლიქტი „გალღვა" და საქართველო მორიგ შეიარაღებულ კონფლიქტში იქნა ჩათრეული, ძალიან საეჭვო გახდება საქართველოს მიერ „გაწევრების სამოქმედო გეგმის" — MAP-ის წარმატებით დაწყება და შესრულება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ცხინვალის სეპარატისტულმა რეჟიმმა ნეგატიურად შეაფასა NATO-ს საპარლამენტო ასამბლეის ვიზიტი, რაც სულ არ იყო გასაკვირი. როგორც წესი, მოსკოვის კარნახით, ცხინვალი ყოველთვის უარყოფითად აფასებს დასავლეთის მცდელობას, ეს კონფლიქტი მშვიდობიანი გზებით მოგვარდეს.

ვალში არც ბ-ნი ლელუში დარჩენილა. მან განაცხადა: — „სამწუხაროდ, იმ ორი წლის განმავლობაში, რაც ცხინვალში არ ვყოფილვარ, არ შეცვლილა მათი პოზიცია, ისინი ისევ ჩრდილო ოსეთთან გაერთიანებას და რუსეთთან შეერთებას ცდილობენ."

საზოგადოებაში ზოგჯერ ჩნდება აზრი, რომ თუკი საქართველოს NATO-ში ცხინვალისა და სოხუმის გარეშე მიიღებენ, მაშინ ეს რეგიონები დაიკარგებაო. საბედნიეროდ, ასე არ არის, რადგან დასავლეთი და, კერძოდ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, ყოველთვის აფიქსირებს საქართველოს ტერიტორიულ ურღვეობას. ამიტომაც ნუ მოვთხოვთ მას NATO-ში გაწევრებისთანავე ცხინვალი და სოხუმი დაგვიბრუნოს. NATO-ს სტანდარტებს მიახლოებული (როგორც სამხედრო, ისე, პირველ რიგში, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით) საქართველო თავადაც მოახერხებს რაღაცის დღევანდელზე უკეთ გაკეთებას...




საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8–100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8–100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# სომხური „აერობუსი“ რუსმა დისპეტჩერმა იმსხვერპლა?!

## ოთხ დღეში „არმავიამ“ ორი A-320 დაკარგა




ჩვენი დოსიე: „აერობუსმა“ A-320-მა პირველი გაფრენა 1987 წელს განახორციელა. იგი მსოფლიოში პირველი ელექტროდისტანციური მართვის სისტემის მქონე სამგზავრო თვითმფრინავი იყო. ლაინერი 150 მგზავრისთვისაა გაანგარიშებული. მისი სიგრძე 37,6 მ-ია, ფრთაგაშლილობა — 34 მ, სიმაღლე — 11,8 მ, მაქსიმალური ასაფრენი მასა — 73,5 ტ-ს აღწევს, ფრენის მაქსიმალური სიჩქარეა 900 კმ/სთ, ფრენის სიშორე 5 ათას კმ-ს აღემატება. ადლერთან ჩამოვარდნილი A-320 1995 წელს იყო აწყობილი.

ადლერთან, შავ ზღვაში, 680 მ-ის სიღრმეში, სომხური ავიაკომპანია „არმავიას“ კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი A-320 ჩავარდა. ვიდრე ზღვის ფსკერიდან „შავ ყუთებს“ არ ამოიღებენ და არ გაშიფრავენ, ძნელია კატასტროფის ზუსტი მიზეზის დასახელება. სავარაუდოა, რომ საჰაერო მანევრის დროს თვითმფრინავს არ ეყო სიჩქარე, ნაკლებეფექტიანი გახდა ფრთების ამწევი ძალა, ლაინერი ფრთაზე „ჩაცურდა“ და შტოპორში მოხვდა.

შედარებით მცირე სიმაღლე (არა უმეტეს 600 მ) არ იყო საკმარისი ლაინერის შტოპორიდან გამოსაყვანად და იგი ზღვის ზედაპირს დაასკდა.

ეს ვერსია უფრო სანდოა, რადგან ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს „არმავიას“ ლაინერს საწვავი არ ეყო, ძნელი დასაჯერებელია — სომხური ლაინერის ავზებში დაახლოებით 10 ტ-მდე საავიაციო ნავთი ესხა. ეს მარაგი საკმარისი იყო მარშრუტის — ერევანი-ადლერი-ერევანი — დასაფარავად და 30 წთ-იანი ავარიული ფრენისთვის. 3 მაისს ადლერთან მომხდარმა ტრაგედიამ 113 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათგან 105 მგზავრი (6 ბავშვი, 63 მამაკაცი და 36 ქალი), ხოლო 8 — ეკიპაჟის წევრი იყო.

5 მაისისთვის ნაპოვნი იყო 50-ზე მეტი ცხედარი. ნაწილი ამოიცნეს. პირველი 18 ცხედარი კატასტროფიდან რამდენიმე საათში ზღვიდან რუსული სასაზღვრო კატარღის ეკიპაჟმა ამოიყვანა.

ყველაზე საოცარი ის გახლავთ, რომ ცხედრები თითქმის შიშვლები იყვნენ. ასეთი რამ დამახასიათებელია ისეთი საჰაერო კატასტროფებისთვის, როდესაც თვითმფრინავის სალონის ჰერმეტულობის დარღვევა 2-3 კმ-ის სიმაღლეზე და უფრო მაღლა ხდება. ამ დროს, ჰერმეტულობის დარღვევისას, წარმოქმნილი წნევა და ჰაერის სწრაფი ნაკადი მგზავრებს ტანისამოსს ხდის.

სომხური A-320 დაახლოებით 600 მ-ზე მიფრინავდა. ამ სიმაღლეზე არცთუ ისე მაღალია ჰაერის გაუხშოება და, წესით, სალონის ჰერმეტიზაციის დარღვევას ასეთი შედეგი არ უნდა მოჰყოლოდა.

საერთოდ, ადლერის აეროპორტი ერთ-ერთი ყველაზე რთულია. თითქმის ყველა აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი ორივე მხრიდან თავისუფალია და მასზე დაჯდომა ორივე მიმართულებიდან არის შესაძლებელი. ადლერის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი ზღვის სანაპიროდან იწყება და თითქმის მთის მასივს ებჯინება. თუკი ეკიპაჟი სხვა აეროპორტებში პირველი შესვლით დაჯდომას ვერ ახერხებს, დაუბრკოლებლად იღებს სიმაღლეს და წრეს არტყამს. ადლერში კი, აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენ ბილიკთან მიახლოებისთანავე ეკიპაჟმა გვერდზე უნდა გაუხვიოს, თუკი დისპეტჩერმა მეორე წრეზე გასვლა ურჩია.

„არმავიას“ „აერობუსის“ ეკიპაჟმაც, ეტყობა, უამინდობის გამო, მეორე წრეზე გასვლა სცადა, მაგრამ საჰაერო მანევრის პარამეტრები ვერ დაიცვა და კრიტიკულად მცირე სიჩქარის გამო ლაინერი შტოპორში ჩავარდა.

საგულისხმოა, რომ ერევნიდან ადლერამდე სომხურმა A-320-მა თითქმის ნახევარი საქართველო გადაიფრინა. ლაინერის ეკიპაჟისა და „საქაერონავიგაციის“ დისპეტჩერის რადიოსაუბრებში არაფერი საგანგაშო არ ჩანდა, გარდა იმისა, რომ უამინდობის გამო სომხური ეკიპაჟი ადლერიდან ერევნისკენ გაბრუნებას აპირებდა. საერთოდ, როდესაც საეჭვო ხდება თვითმფრინავის უხიფათო დასმა, აეროპორტის დისპეტჩერი საბოლოო გადაწყვეტილების უფლებას ეკიპაჟის მეთაურს უტოვებს. ამ შემთხვევაშიც სომხურ ეკიპაჟს დაუბრკოლებლად შეეძლო ერევანში დაბრუნება, თუმცა ეს ამაოდ დახარჯული ძვირად ღირებული საავიაციო საწვავი და, შესაბამისად, ფირმა „არმავიას“ ფინანსური ნაგება იქნებოდა.

თუმცა, გარდა უზარმაზარი მორალური ტრავმისა, „არმავია“ ვერც უდიდეს ფინანსურ პრობლემებს გადაურჩა — თითოეული დაღუპული მგზავრის ახლობლებს 20 ათასი დოლარის შესაბამის სომხურ დრამს გადასცემენ.

საკვირველი კი ის არის, რომ „არმავიამ“ ადლერთან მომხდარი კატასტროფის შემდეგ სულ რალაც ორიოდ დღეში კიდევ ერთი A-320 დაკარგა, ამჯერად ბრიუსელში. 5 მაისს ბელგიის დედაქალაქის აეროპორტის ერთ-ერთ ანგარში გაჩენილი ხანძრისას 4 თვითმფრინავი დაიწვა, ერთი მათგანი „არმავიას“ „აერობუსი“ A-320 იყო. ამ საოცარი კატასტროფული დამთხვევის შემდეგ, ოთხ დღეში, „არმავიას“ ლიზინგში აღებული ოთხი A-320-დან ორიღა დარჩა (ცნობისთვის: „არმავიას“ ორი აერობუსის გარდა დარჩა ორი Як-42 და ერთი Ил-86 ტიპის სამგზავრო ლაინერი, თუმცა საავიაციო კომპანიის ხელმძღვანელობამ უკვე გადაწყვიტა ახალგამოშვებული ოთხი A-319 ტიპის „აერობუსის“ ლიზინგში აღება).

სხვათა შორის, ადლერთან სომხური A-320-ის კატასტროფის მეორე დღეს ირლანდიაში, დუბლინის აეროპორტში დაშვებისას, ძრავაში ცეცხლი გაუჩნდა ესპანური ავიაკომპანია „იბერიის“ ანალოგიური ტიპის სამგზავრო ლაინერს, თუმცა ეკიპაჟმა იმარჯვა და თვითმფრინავი მშვიდობიანად დასვა აეროდრომზე.

ადლერთან ზღვაში ჩაძირული სომხური ავიალაინერის ნარჩენების, დაღუპულთა ცხედრების და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ე.წ. შავი ყუთების ამოღებას 680 მ სიღრმიდან, სერიოზული წყალქვეშა მუშაობა სჭირდება. სავარაუდოდ, მოსკოვი დასახმარებლად დასავლეთს მიმართავს, რადგან წყალქვეშა სამუშაოების ჩასატარებლად ისეთი წყალქვეშა აპარატებია საჭირო, რომლებიც მხოლოდ ამერიკელებს, ინგლისელებსა და ფრანგებს აქვთ.

**P.S.** ავიაკომპანია „არმავიას“ მფლობელმა მიხაილ ბაგდასაროვმა სენსაციური განცხადება გააკეთა, რაც, ვფიქრობთ, ნათელს ფენს კატასტროფის მიზეზს. ბაგდასაროვის განცხადებით, რუსულ მასმედიაში გამოქვეყნებული პილოტისა და ადლერის აეროპორტის დისპეტჩერის რადიოსაუბრიდან ნაწილი ამოჭრილია. სრულ ტექსტში კი იკვეთება, რომ პილოტი სწორად მოქმედებდა, ხოლო დისპეტჩერმა ეკიპაჟს მეორე წრეზე წასვლა უკვე აეროდრომზე დაჯდომისას მოსთხოვა. ბაგდასაროვის თქმით, დასაფრენ ბილიკამდე 200 მეტრიღა რჩებოდა, როდესაც დისპეტჩერმა ეკიპაჟს უბრძანა მეორე წრეზე წასვლა, თუმცა მას ამ შემთხვევაში მხოლოდ რჩევის და არა ბრძანების უფლება ჰქონდა.

თუკი ბაგდასაროვის განცხადება სიმართლეს შეესაბამება, გამოდის, რომ რუსმა დისპეტჩერმა, ფაქტობრივად, გაწირა სომხური ეკიპაჟი და მგზავრები, რადგან ასაფრენ ბილიკთან 200 მ-ით მიახლოებული თითქმის 70-ტონიანი ლაინერის მეორე წრეზე გასვლას ენერგიული მანევრი სჭირდება, მით უმეტეს, მთის ძირში გადაჭიმული ადლერის აეროპორტში. ლაინერს კი სიჩქარე აღარ ეყოფოდა.

მეორე წრეზე წასასვლელად ეკიპაჟს, სავარაუდოდ, შტურვალით ენერგიული მოქმედება დასჭირდა, რასაც შეიძლება ვერ გაუძლო ლაინერის საჰაერო საჭეებმა, რომლებიც კომპოზიციური მასალებითაა დამზადებული. ამასთან, მცირე სიჩქარემ და არაეფექტიანმა მართვამ ლაინერი შტოპორში ჩააგდო...

# რუსული კოსმოდრომის ქართველი მშენებელი

## გარდაიცვალა ომის მონაწილე, უკანასკნელი ქართველი საბჭოთა კავშირის გმირი



ცენტრში დგას გენერალ-ლეიტენანტი გალაქტიონ ალფაიძე, მარცხნიდან მეორე კი ცნობილი კონსტრუქტორი, ასევე ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ნადირაძე.

მიხვდა თუ არა მოსკოვი, რა საქმე გაუკეთა ქართველმა გენერალმა... საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბაიკონურის კოსმოდრომი ხომ ყაზახეთის ტერიტორიაზე დარჩა და რომ არა გენერალ ალფაიძის მიერ აშენებული პლესეცკის კოსმოდრომი არხანგელსკის ოლქში, კრემლი მძიმე დღეში ჩავარდებოდა.

ამ კოსმოდრომიდან ხდებოდა ლეგენდარული კონსტრუქტორების — სერგეი კოროლიოვისა და ჩვენი თანამემამულის, ალექსანდრე ნადირაძის ხელმძღვანელობით შექმნილი კოსმოსური და ბალისტიკური რაკეტების საცდელი გაშვებები. გენერალ ალფაიძეს დიდ პატივს სცემდნენ კოროლიოვი, ნადირაძე და სხვა კონსტრუქტორები. ერთ დაბადების დღეზე მას მშობლიური სოფლის, კურსების, დიდი, დეტალური ფერადი ფოტოსურათი აჩუქეს, რომელიც პლესეცკიდან გაშვებულ საბჭოთა კოსმოსურ სადაზვერვო თანამგზავრს საგანგებოდ გადაალებინეს.

საგულისხმოა, რომ გენერალ-ლეიტენანტმა გალაქტიონ ალფაიძემ საბჭოთა კავშირის გმირობა მეორე მსოფლიო ომის დროს მიიღო.

**P.S.** ქართველი გენერლის გარდაცვალებამდე (2 მაისი) ორიოდ დღით ადრე, 29 აპრილს, რუსეთის უკანასკნელი სადაზვერვო თანამგზავრი „ჩამოვარდა“ ორბიტიდან. მოსკოვმა მხოლოდ 3 მაისს მოახერხა დაჩქარებული ტემპებით გაეშვა ახალი სამხედრო თანამგზავრი „კობალტი-მ“-ი პლესეცკის კოსმოდრომიდან...

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 61-ე წლისთავამდე რამდენიმე დღით ადრე გარდაიცვალა ქართველი გენერალი, რომელმაც რუსეთს პირველი კოსმოდრომი აუშენა.

გენერალ-ლეიტენანტ გალაქტიონ ალფაიძეს „კვირის პალიტრამ“ ორი წლის წინ მოზრდილი წერილი მიუძღვნა. გალაქტიონ ალფაიძე 1916 წელს დაიბადა სოფელ კურსებში. მთელი სამამულო ომი ბრძოლით განვლო. უკრაინის ფრონტზე საარტილერიო პოლკს მეთაურობდა, ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა მაიორმა ალფაიძემ უნგრეთში, ბალატონის ტბასთან გადაიხადა. იქ მისმა პოლკმა გერმანელების 10 ტანკი, 23 საცეცხლე წერტილი და 6 საარტილერიო ბატარეა გაანადგურა. ამ ბრძოლაში ალფაიძე სამჯერ დაიჭრა, მაგრამ პოლკის მეთაურობა არ მიუტოვებია, რისთვისაც 1945 წლის 28 აპრილს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს.

თუმცა მთავარი „ბრძოლა“ გალაქტიონ ალფაიძეს ჯერ კიდევ წინ ჰქონდა — მისი ხელმძღვანელობით, გასული საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა პლესეცკის კოსმოდრომი. ვინ გვეტყვის,

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### თურქეთი საბრძოლო შვეულმფრენებს ეძებს



1997 წლიდან დაწყებული ანკარა ამაოდ ცდილობს თავისი არმიის ახალი საბრძოლო შვეულმფრენებით აღჭურვას. ცხრა წელი საკმარისზე მეტია სასურველი ნიმუშის ასარჩევად — ამერიკული, ფრანგული, იტალიური, სამხრეთაფრიკული და რუსული ფირმები თავიანთ აპარატებს სთავაზობდნენ, მაგრამ თურქეთის არმია კვლავ თანამედროვე დამრტყმელი შვეულმფრენების გარეშეა დარჩენილი. 2000 წელს ანკარა თითქოს დათანხმდა 50 ამერიკული მოდერნიზებული საბრძოლო „კობრას“ ტიპის შვეულმფრენის შეძენას, მაგრამ ბოლოს მაინც უარი თქვა — ფასზე ვერ მორიგდნენ. ახალი პროექტი 2,5-3 მლრდ დოლარადაა შეფასებული და 91 საბრძოლო შვეულმფრენის შესყიდვას ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, ფრანგებმა, იტალიელებმა და სამხრეთაფრიკელებმა უარი თქვეს ამ ტენდერში მონაწილეობაზე. გასული წლის ბოლოს თურქების პრეტენზიებს ვერც ამერიკულმა ფირმებმა გაუძლეს და ტენდერს გამოეთიშნენ. ამიტომაც, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თურქეთის არმიამ შეიძლება ის რუსული საბრძოლო შვეულმფრენები შეისყიდოს, რომლებიც თავად რუსებს არ ჰყავთ შეიარაღებაში. კერძოდ, ლაპარაკია Ka-52-A ტიპის დამრტყმელ შვეულმფრენებზე, რომელიც ცნობილი „შავი ზვიგენისა“ და „ალიგატორის“ მოდერნიზებულ ვარიანტს წარმოადგენს და რუსებმა, თურქების საამებლად, „ერდოღანი“ დაარქვეს. აპრილის მიწურულს თურქი სამხედროების დელეგაციამ რუსეთში მოინახულა „კამოვის“ ქარხანა, სადაც „შავ ზვიგენებს“ აწყობენ. საგულისხმოა, რომ თავად რუსეთის არმიის შესაიარაღებლად თითქმის 20-წლიანი შეჯიბრი Ka-50 „შავ ზვიგენს“ მილის სახელობის ფირმის საბრძოლო შვეულმფრენმა, Ми-28Н-მა, მოუგო.

### ერაყში რობოტ-პარაშუტებს ცდიან

რობოტი-თვითმფრინავი, რობოტი-კატარღა, რობოტი-ტანკიც გასაგებია, მაგრამ რობოტი-პარაშუტის წარმოდგენა ცოტა ჭირს. მიუხედავად ამისა, ამერიკელი საზღვაო ქვეითები ერაყში ცდიან იმ რობოტ-პარაშუტებს, რომლებსაც ტვირთის მიწაზე „წერტილოვანი“ დაშვება შეუძლიათ. სატვირთო საპარაშუტო სისტემაზე დამონტაჟებული GPS-ის აპარატურა ზუსტად მიუთითებს დაშვების წერტილს. პარაშუტს კი მართავს ელექტროამძრავები, რომლებიც თოკებს საჭირო მიმართულებით ქაჩავენ. ამერიკელი საზღვაო ქვეითების აზრით, ასეთი რობოტი-პარაშუტები შეუცვლელია სპეცოპერაციების დროს მთებში, მცირერიცხოვანი სადაზვერვო-სადივერსიო ჯგუფის მოსამარაგებლად.

არ გამოგრჩეთ!
სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი




ყველაზე კარგი ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

ბიჭი სამი წლის იყო, ომმა რომ იფეთქა. მას აღარ ახსოვდა ჭურვისგან აღმოდებული სახლი და ნანგრევებში ჩამარხული დედ-მამა. არც ის, სასომიხდილი ბებია რომ ცდილობდა ტყვიის წვიმისგან მის გარიდებას. ბებიაც დაიღუპა. ბიჭი გადარჩა და ახლა სახელდახელოდ დახაზულ ფურცელზე გარბის ეს ულმობელი კალამი: „წარმოდგენილია ბავშვთა მიმღებ-გამანაწილებელში“; „დაახლოებით ოთხი წლის“; „მშობლები ვერ დადგინდა“; „მისამართი, გვარი არ ახსოვს“...

ვინ იცის, მერამდენედ გადაპარსეს და ნავთით დაბანეს მკბენარით სავსე თმა. მერე ძველმანები ჩააცვეს და ისევ ქუჩაში გააგდეს.

— ერთი ამას შეხედე, ანგელოზს არ ჰგავს, მაგრამ რა ჭუჭყიანია, ღმერთო ჩემო! ბიჭი! რა გქვია?

— იქ რომ ვიყავი, მაშინ იმ ბებიებმა გიორგი დამარქვეს, მერე, ფორმიანებმა რომ დამიჭირეს, მაუგლი ხარო. მე კი არ მახსოვს, ვინა ვარ...

მართლა არ ახსოვდა. ვერც მაშინ გაიხსენა, როცა სრულწლოვანი გახდა. ან როგორ უნდა გაეხსენებინა, როცა თითქმის ყოველთვე ახალ-ახალ გვარსახელს ირქმევდა. მე კი რა ვქნა, რომელი ერთი ამოვირჩიო. არადა, არ მინდა, ღვთის შვილი მხოლოდ ნაცვალსახელით მოვიხსენიო და ისევ გიორგის დავარქმევ. კი, ნამდვილად ასე აჯობებს. ჯერ მან ტირილისა და ჭამის მეტი არაფერი იცის და ისე მიუკრავს გულზე მტვერში ამოგანგლული ჭვავის პური, რომ ნათელია — ეს პურია მისი დედაც, ძმაც, ბებიაც და ბაბუაც, მისი ერთადერთი იმედი, აღმზრდელი და მარჩენალი. პური არსობისა რომ მოიპოვოს, ბევრი, ძალიან ბევრი უნდა იბრძოლოს პატარამ. არადა ირგვლივ ისევ ომია, ნამდვილი ომი. გზებზე მიმოქრიან ფაქტურებითა და ზედდებულებით სავსე, მაგრამ უკარაქო, უშაქრო და უპურო სატვირთო მანქანები... ფრონტის ხაზზე მაროდიორობისთვის არავინ ისჯება. ბიჭი კი ბნელ სარდაფში აგდია, ორი ცალი ჩურჩხელას ქურდობის ბრალდებით და სიცივისაგან აკანკალებული ჭერის ღრიჭოდან ხედავს, როგორ დააბიჯებს მის თავზე ნაცრისფერ ჯინსებში გამოკვართული ბიძა და ილუკმება თეთრ პურს, ბლომად კარაქი რომ აქვს წასმული. შია და სცივა პატარას. შიმშილს კიდევ ჰო, რამენაირად გაუძლებს, მაგრამ სიცივეს?..

უეცრად კუთხეში მიყრილი ჭინჭების გროვა აფუთფუთდა, ამოიზნიქა და რაღაც არსებებმა დაიწყეს ბიჭის სხეულზე სირბილი. „ვირთხები!..“ — გაუელვა თავში.

აღარ ახსოვდა, რა ძალამ გამოტყორცნა გარეთ. სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდა, მაგრამ ახლა უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე მაშინ, როცა ის ნაგვის გროვა აღმოაჩინა. მირბოდა, რადგან უკვე იცოდა, რომ პურთან ერთად გზა ხსნისა (ყოველ შემთხვევაში მისთვის), სირბილიც იყო. ასე სიცივესაც ნაკლებად გრძნობდა და ხიფათსაც. იცოდა, როგორ აევლო გვერდი სახაზო მილიციის კორდონებისთვის„ ხიდებზე მოდარაჯე სამხედროებისთვის. იცოდა, როგორ გამძვრალიყო, როგორ ეცრუა, როგორ მოეპარა (ჯერჯერობით წვრილმანები). უკვე ექვსი წლის იყო. რამდენი მისი თანატოლი მოყოლილა მატარებლის ბორბლებში, რამდენი მოაშთო ყინვამ და სიცივემ, შიმშილმა და ავადმყოფობამ. ბიჭს რაღაც ძალა იფარავდა სიკვდილისგან.

საღამოვდებოდა. მზე მდორედ ეშვებოდა ზღვის ჰორიზონტზე. გზაზე რუსი სამხედროების სატვირთო მანქანები ჩამწკრივებულიყო. გაცლა დააპირა, მაგრამ რაღაც იდუმალის მანიშნებელმა მსუბუქმა სტვენამ ადგილზე გაყინა, დაძონძილ ქურთუკში ჩამძვრალი კისერი დაიგრძელა, მიაყურადა და უკანა მანქანის ძარას დააცქერდა.

— ეი, ბიჭი... გესმის? — მანქანის ძარიდან ვილაცის ხრინწიანი, ნახევრად ჩურჩულით ნათქვამი რუსული სიტყვები ისმოდა, — ნუ გეშინია, შენ ვისთან ერთად ხარ, ა? აქეთ მოიწი...

— არც არავისთან... — რუსულადვე უპასუხა ბიჭმა, რომელიც სიცივესთან ერთად შიშმაც ააკანკალა, მაგრამ თითქოს ყნოსვით იგრძნო, რომ საქმე თავისიანთან ჰქონდა და ეს აღმოჩენა შიშზე ძლიერი გამოდგა. ბიჭი ფეხაკრეფით მივიდა მანქანასთან.

— ქენი სიკეთე, გავარდი და სიგარეტი მოგვიტანე. ოღონდ ისე, რომ არავინ მოიყოლო თან. აი, ფული.

ბიჭი დაბლა, რკინიგზის სადგურისკენ ეშვება. იცის, იქ ნამდვილად იშოვის სიგარეტს, თანაც იქ სულ ჩხუბი და აყალმაყალია. მას არავინ დააკავებს, მისთვის არავის სცალია.

— ბებია, ორი კოლოფი სიგარეტი მინდა ბიძაჩემისთვის.

— ჰო, მაგრამ ეს ფული რომ არ ეყოფა? სიგარეტი გაძვირდა, ბებო. ბიძას უთხარი, გუშინდლიდან გაძვირდა და კიდევ ათი შაური უნდა დამიმატოთ-თქო. ხომ მომირბენინებ, ა?

— კი, ახლავე მივუტან და დავბრუნდები. ფულს მოგიტან, — ქალმა იცის, რომ ბიჭი არაფრის მომტანი არ არის, მაგრამ მის ვედრებით სავსე თვალებს რომ უყურებს, უარს ვეღარ ეუბნება...

— აი, ყოჩაღ, ბიჭიც შენა ყოფილხარ. მაინც საით გაგიწევია?

— არ ვიცი.

— თუ ასეა, ჩვენთან წამოდი. ჩვენი საქმე ისეთია, ლაყბობას ვერ იტანს. დუმილია საჭირო. არაფერი დამინახავს, არაფერი ვიცი — გასაგებია?

— კი, გავიგე.

— აბა, ამოძვერი. სამხედროების ნუ გეშინია. მგზავრობის საფასურზე

# „მოუხელთებელი“ კავკასიელის სიკვდილი



მოლაპარაკებული ვართ. შენს ბილეთსაც ჩვენ ავიღებთ. ახლა კი გვითხარი, ვინა ხარ — ქართველი, აფხაზი, რუსი, ბერძენი თუ სომეხი?..

— არ ვიცი, არ ვიცი, ვინა ვარ, — ცოტა არ იყოს, აგდებით უპასუხა ბიჭმა და ძარაზე დაყრილი ლეიბების გროვაში შეძვრა.

ეს რა მაგარი ძმაკაცები გაიჩინა, რა ნაირფერი ნახატები აქვთ ხელებსა და თითებზე, რა ლამაზი არწივები ასხედან გულმკერდზე, ან რა სიმღერებს მღერიან — „საყვარელმა ანდრიჩამ, იმდენი იჩალიჩა, სახრჩობელას გამოჰკრა ხელი“... ისინი ორნი იყვნენ — ვასია და გრიგორი, იგივე გრიშკა. ეს მეორე უფრო მოსწონდა ბიჭს. გრიშკა იყო ერთადერთი ადამიანი ამქვეყნად, ვინც უყვარდა, თუმცა არ კი იცოდა, რისთვის, მაგრამ იგივე გრიშკა სადღაც უფასთან ჩაცხრილეს. მაშინ ის უკვე თოთხმეტი წლის იყო და თან ქურდიც, ახლა სხვებს უტარებდა გაკვეთილებს. გაქცევები, ჩასაფრებები, ახალი სასჯელები — ძალიან გაუშინაურდნენ მეციხოვნეები. თმა ამოსვლას ვერ ასწრებდა, სამაგიეროდ უმაგრდებოდა კუნთები, სიგანეში მიიწევდა მხრები და თექვსმეტი წლისა უკვე ზემოდან დაჰყურებდა ასაკით ბევრად უფროსებს. ლამაზი ბიჭი იყო, არ სვამდა, არ ეწეოდა. სხვებივით არ იჩხირავდა და გრიგორის შემდეგ არც არავის იკარებდა ახლოს, მარტო „მუშაობდა“. ეგ იყო ოღონდ, უცნაურად სევდიანი გახდა. ჩვიდმეტისას ათწლიანი ქურდობის სტაჟი ჰქონდა.

სულ რამდენიმე წიგნი წაეკითხა და ყველა მათგანი თითქმის ზეპირად ახსოვდა. მას უჯერებდნენ, ჰბაძავდნენ. თუმცა არავინ იცოდა, რას აკეთებდა. სიტყვა არავისთან დასცდენია თავისი „გმირობების“ შესახებ. იმ ღამესაც ისე უხმაუროდ გაალო კრასნოდარელი ბობოლას სახლის კარი, რომ ჩქამიც არავის გაუგია. ბიჭმა იცოდა, რომ კაცმა ცოლ-შვილი წინადღეს გაამგზავრა და ახლა მარტო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვიდრე შუქს აანთებდა, ქალის გამყინავი კივილი შემოესმა მეზობელი ოთახიდან. იგი მშველელს უხმობდა. წესით და რიგით, ეს მისი საქმე არ იყო, მაგრამ გულმა არ მოუთმინა. შესასვლელში შუქი აანთო, მერე მხრით შეანგრია საძინებლის კარი და გაქვავდა — სისხლის მეტი რა ენახა, თვითონაც საკმაოდ დაეღვარა, მაგრამ ამგვარი სადიზმი ვერც წარმოედგინა. კაცს ალაგ-ალაგ დაესერა საწოლზე მიბმული შიშველი ქალის სხეული და ახლა მისი ცქერით ისე ტკბებოდა, არც გაუგია ოთახში უცხოს შესვლა.

— მანიაკი... — თავში გაუელვა გიორგის. კაცი მისკენ ზურგით იდგა. ცალი ხელით აბურძგნილ თმაში სწვდა, მეორეთი დანა დაარტყა და მანამ არ გაუშვა, ვიდრე ფართხალი არ შეწყვიტა მომაკვდავმა. მერე ქალის ხელებზე წაჭერილი თოკი გადაჭრა. დარწმუნდა, რომ ღრმა ნაჭრილობევი არსად ჰქონდა და გამოცრა:

— ჩაიცვი და აქედან აიბარგე, ვიდრე ამასთან ერთად გაგისტუმრებდე საიქიოს... — ბიჭმა ზიზღით შეხედა ქალს და გაოგნდა — მის წინ ხორცშესხმული მშვენიერება იყო.

— ვაი, — ამოიგმინა ქალმა და თვალებზე ხელები აიფარა.

— რაო, ქართველი ხარ? — ჩაეკითხა ბიჭი და მაშინვე ინანა. არ იყო ეს მისი საქმე, ის მარტოხელა ქურდი და ყაჩაღი იყო და არა სათნოების სახლის დირექტორი, მაგრამ ახლა ცნობისმოყვარეობამ სძლია.

— სადაური ხარ? — ჰკითხა ქართულად.

ქალს რეაქცია არ ჰქონია მშობლიური ენის გაგონებაზე.

— სოხუმელი, ინგა მქვია... — წამოიკნავლა და შეეცადა ზეწარი წაეფარებინა სხეულზე.

— მერე აქ რამ მოგიყვანა?

— ჩემი დის ოჯახში მოვედი. ეგ პირუტყვი ჩემი სიძე იყო. ეტყობა, ჩემი და და დისშვილები საგანგებოდ გაუშვა თავისიანებთან. ვიდრე საძინებელში არ შემოიჭრა, არაფერი მიეჭვია. მერე კი დამემუქრა, თუ ხმას ამოიღებ, დასა და დისშვილებს დაგიხოცავო. დანარჩენი შენ უკვე იცი...

ჩვეულებრივ, არავის ენდობოდა ხოლმე, მაგრამ ამ ქალს დაუჯერა, იმიტომ კი არა, რომ გული აუჩვილდა ან ქალმა დაახვია თავბრუ (ან იქნებ ესეც იყო, ვინ იცის), დაუჯერა იმიტომ, რომ ქალმა სოხუმი ახსენა. თურმე როგორ მომნატრებია ჩემი ქალაქიო, გაიფიქრა და ქალს ასაკი ჰკითხა:

— თვრამეტის ვარ, — იყო პასუხი.

„ჩემი ტოლა ყოფილა“, — გაიფიქრა და განაგრძო:

— ახლა მე გავალ. შენ ჩაიცვი და გაეცალე აქაურობას, თორემ მკვლელობაში მონაწილეობას დაგაბრალებენ. როგორც ამბობ, შენმა დამ და დისშვილებმა არაფერი იციან შენი ჩამოსვლის შესახებ, ეს კი ბრალს ვერ წაგიყენებს. ასე რომ, სადგურამდე გაგაცილებ, მერე კი შენ იცი. ოღონდ აქედან ერთად ნუ გავალთ, ჯერ შენ წადი, ათი წუთის შემდეგ კი მეც დაგეწევი... შევთანხმდით?

ქალმა უხმოდ დაუქნია თავი. დანანებით დახედა მიცვალებულს და ოთახიდან გავიდა. ბიჭს ხელი არაფრისთვის უხლია, იჯდა და იმაზე ფიქრობდა, რა სასტიკები ვართო ადამიანები. კაცი პირველად არ მოუკლავს, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლეზე აქამდე არასდროს დაფიქრებულა. კაცმა რომ თქვას, ამის დროც არასოდეს ჰქონია — სულ ციხეში იჯდა, გაქცევაზე ფიქრობდა ან გარბოდა... სულ დასდევდნენ — ზოგჯერ იჭერდნენ, ზოგჯერ — არა.

უეცრად ხმაური შემოესმა. დააგვიანა. ეტყობა, ვიღაც მეზობელმა ამ უდროო დროს სახლში ანთებული შუქი რომ დაინახა, მილიციაში დარეკა. წამიც აღარ დაუყოვნებია, ფანჯარა გამოაღო და სიბნელეში შთაინთქა.

— აქეთ, ბიჭებო, გადახტა ეს ნაძირალა!

გიორგი გადაევლო ღობეს და ქუჩაში გავარდა, მაგრამ კუთხეში გაჩერებულ მილიციის მანქანას გადაეყარა, საიდანაც სროლა აუტეხეს გაქცეულს. თვითონაც იძრო პისტოლეტი, ისროლა კიდეც, მაგრამ სასხვათაშორისოდ. ახლა ფეხდაფეხ მისდევდნენ, ის კი აქაურობას კარგად არ იცნობდა, ამიტომ ვარაუდით უნდა ერბინა. მოულოდნელად განათდა და ვიღაცამ იყვირა:

— ის არის, ის „მოუხელთებელი“! აქეთ, კაპიტანო მიტროფანოვ, მგონი, მეორედ გეძლევათ მისი აყვანის შანსი!

თუმცა მიტროფანოვს ამჯერად აღარ გაუმართლა. ბიჭი ერთბაშად მოექცა ფარებანთებული მანქანის უკან, სულ რამდენიმე წამი დაახანა და როცა მდევრებმა გვერდით ჩაუქროლეს, რომელილაც სადარბაზოში შერგო თავი...

როცა კაპიტანმა მიტროფანოვმა ინგას სიძის სახლში გვამთან ერთად სისხლით საეჭვოდ დასვრილი ლოგინიც ნახა, თან ერთმა მეზობელმაც ამცნო საღამოს ინგას გამოჩენის შესახებ და იმაშიც დარწმუნდა, რომ სახლიდან არაფერი წაეღოთ, მკვლელობის ვერსია იმაზე ააგო, რომ „მოუხელთებელმა კავკასიელმა“ (ასე ეძახდნენ გიორგის მისი მრავალსახელიანობის გამო) ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა ინგას სიძე, მაგრამ ქალი ვეღარ გაიმეტა მოსაკლავად, რადგან ალბათ ძალიან უყვარსო და გადაწყვიტა, ინგასთვის ეთვალთვალა, რადგან იმ ამბის შემდეგ „მოუხელთებელის“ კვალი გაქრა კრასნოდარიდან. მიტროფანოვი მხოლოდ იმაში ცდებოდა, რომ ბიჭს სიყვარულის ნიჭი არ გააჩნდა — ეს ნიჭი მასში განვლილმა ცხოვრებამ ჩაკლა. სხვა მხრივ, არ ცდებოდა მიტროფანოვი... „მოუხელთებელს“ კრასნოდარში აღარ დაედგომებოდა. ჯიბეში იმ ღამით ყოველი შემთხვევისათვის ინგას ხელით ჩაწერილი მისამართი მოიძია და თბილისს მიაშურა.

— ინგა, შვილო, სოხუმშია, თავის აფხაზ დაქალთან. დამიბარა, ჩვენს სახლსაც ვნახავო. ალბათ რამდენიმე დღეში დაბრუნდება, ხომ არაფერი გადავცე? — ალერსიანად შეეგება ინგას დედა მომხიბლავ ახალგაზრდას.

— არა, ვეცდები, ამ დღეებში კიდევ შემოვიარო.

— შეგიძლიათ დარეკოთ კიდეც.

— მაგასაც ვცდი... — დაჰპირდა და იქაურობას გაშორდა. ბიჭი მიხვდა, რომ სიდედრმა ჯერ არაფერი იცოდა სიძის დაღუპვის შესახებ. ამჯერად იცრუა, ის არასოდეს რეკავდა ტელეფონით. ამას არც ინგას გულისთვის გააკეთებდა, რადგან იცოდა, სატელეფონო საუბრებს რომ უსმენენ და იოლადაც ადგენენ მოსაუბრის კოორდინატებს. სოხუმში კი მაინც ჩავა. მართალია, ამ ქალაქთან მწარე მოგონებების მეტი არაფერი აკავშირებს, მაგრამ მისი შვილია. მან ჯერ არ იცის, რომ მისი მასპინძელი ქალბატონი ინგას დედა კი არა, მილიციის აგენტია და დავალებას ასრულებს. ინგას დედა უკვე კრასნოდარშია და სიძეს გლოვობს.

ამჯერადაც იოლად დაუძვრა ენგურის ხიდზე რუსი სამხედროების კორდონს. მითითებულ მისამართზე ნაშუადღევს მივიდა და კარზე დააკაკუნა.

— ახლავე! — გაისმა შიგნიდან და იმავე წამს ავტომატის ჩახმახის ჩხაკუნი მისწვდა ბიჭის სმენას.

— აჰა, აქაც ჩამისაფრდით! — წაისისინა განრისხებულმა და აივნიდან გადახტა. ეზო თვალის დახამხამებაში გადაირბინა და ერთ მიგდებულ ფარდულს შეაფარა თავი. ახლა დაღამებას უნდა დაელოდოს. აგერ, ამწუთას ფარდულს მიტროფანოვმა და მისმა მარჯვენა ხელმა სერჟანტმა სვეტლოვმა ჩაუარეს, მაგრამ შორს არ წასულან. მაშასადამე ხვდებიან, რომ ის სადღაც აქ იმალება. უნდა გაუძლოს, მაგრამ ეს ოხერი ნერვები რომ აღარ ემორჩილება?! მით უმეტეს, ახლა, როცა ინგაზეც ეჭვობს, ის ხომ არ შეეკრა მილიციელებსო? თუ ასეა... არა, აქ გაჩერება აღარ იქნება, აგერ მიტროფანოვის დასახმარებლად აქაური მილიციაც გამოჩნდა. უკვე ექვსნი არიან. ეჰ, რაც არის, არის, მიტროფანოვს მეორედ ვეღარ მიანიჭებს მისი დაჭერის სიამოვნებას. სამი წლის წინანდელ შეცდომას აღარ გაიმეორებს, მით უმეტეს, რომ მიტროფანოვი ახლა პირდაპირ პისტოლეტის სამიზნეზე უზის. ჯერ სასხლეტს დააწვა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოსდო თითი ჩახმახს. ცოტაც და, სანიშნე მიტროფანოვის კეფას მოარგო, მაგრამ ეს რაღაა? — სერჟანტი სვეტლოვი გადაეფარა უკნიდან, ბიჭს კი არ უნდა სვეტლოვის მოკვლა. რატომღაც ეცოდება ეს კაცი, ახალგაზრდაა, მისი კბილა, ცოდვაა სიკვდილისთვის. აი, მიტროფანოვს კი ესროდა...

ერიჰაა, ამათ კიდევ ემატებიან ახალ-ახალი ძალები, ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქედან ვეღარ გააღწევს, ჩაბარება კი არ უნდა, არ აპირებს. უთუოდ მოკლავენ. მერედა, რისთვის მოვიდა ამქვეყნად, რა დატოვა ან რა მიაქვს? მხოლოდ მისი სისხლის კვალი დააჩნდება მიწას, საიქიოს კი ვერაფერს წაიღებს თვრამეტი წლის სხეულის გარდა. დასანანია. ჯანდაბას, მოსახდენი მაინც მოხდება, ცდა ბედის მონახევრეა. აგერ მიტროფანოვი ფარდულის კარს მოადგა. წამიც და, კარი ანჯამებს მოსწყდა და კაპიტანი მიტროფანოვი ქვეშ მოიყოლა. არ დაიბნა და ზემოდან გადააფრინდა „მოუხელთებელი „კავკასიელი“.

— არ ისროლოთ! — იყო ბრძანება.

ბიჭი ხევისაკენ გაიჭრა. მთელი სიცოცხლე დარბოდა, ჯერ სათამაშოდ, მერე კი ეს მის პროფესიად იქცა. ახლა კი მოთხოვნილებადაც, რადგან სირბილს უნდა გადაერჩინა. გარბოდა და მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა მდევარი.

შეეძლო, ესროლა, მაგრამ თითქოს დაავიწყდა, რომ იარაღი ჰქონდა. გარბოდა, დროდადრო ფეხი დაუცდებოდა, მკერდით ეხეთქებოდა ხეებს, მაგრამ მაინც გარბოდა. როგორც იქნა, ხევიანიც გამოჩნდა. აქამდე კი მოირბინა, მაგრამ ძალა გამოელია. მოეჩვენა, რომ სხეული კი არა, მისი სული გაიჭრა წინ და ახლა ის ექაჩება ქანცგამოცლილ, ასაკით ახალგაზრდა, მაგრამ მახინჯი ყოფით დაბერებულ მის სხეულს. ის იყო, სამშვიდობოს გადიოდა, რომ მიტროფანოვმა ბრძანება გასცა:

— ესროლეთ!

ტყვიამ ზურგში უწია გაქცეულს. ბიჭი ჰაერში ამოტრიალდა, ხელები გაშალა და მოცელილივით დაასკდა მიწას.

სერჟანტმა სვეტლოვმა კი, აფხაზეთში ომის დროს რომ ისწავლა ქართველებზე ნადირობა, არც ახლა „შეირცხვინა“ თავი — პისტოლეტს დახედა, ლულას შეუბერა, აკოცა და ქამარში გაირჭო.

P. S. ოპერაციიდან უკან დაბრუნებული კაპიტანი მიტროფანოვი მთელი გზა ფიქრობდა, ბოლოს კი იკითხა:

— როგორ გგონიათ, რატომ არ გვესროლა კავკასიელმა?

— იმიტომ, რომ ნაბრძანები იყო, არ ისროლოთო.

თავად არ იკადრა სროლის დაწყება, მეორე ბრძანება — „ესროლეთ!“ — კი არ გაუგია.

გვამი სადღაც ხევის პირას დამარხეს, ვერავინ გაიგო, ქართველი იყო, აფხაზი, რუსი, სომეხი თუ ბერძენი. არც ჩემთვის აქვს ამას მნიშვნელობა. მთავარია, რომ ის საქართველოს შვილი იყო.

**ვაჟა გავაშელი**


ჟურნალ „გზაში“!

— ...განა დაგავიწყდათ, რაზე შევთანხმდით? — უთხრა გამომძიებელმა.

— „პუშკაზე“ გინდა, ამიყვანო? არაფერი შეგეშალოს!

— შიშმა წაგახდინათ? აკი თქვით წელან...

— მე ვთქვი?!

— დაგავიწყდათ?.. ჩერქეზი... საშ-კა ჩერ-ქე-ზი, — დინჯად დამარცვლა მინდელმა.

ბალავაძე დაჭრილი ნადირივით წამოიჭრა სკამიდან, შიშმა საზარლად დაუმახინჯა სახე... ავაზასავით ისკუპა ივანისელმა, ერთი ნახტომით გადაევლო მაგიდას და ვიდრე სერჟანტი გამოერკვეოდა, ბალავაძე ქვეშ მოიგდო.

— „სუკა“! „პრასტიტუკა“! „ლეგავის“ „სტუკაჩო“! ალრჭიალებდა კბილებს ივანისელი და მშიერი მგელივით მანამდე იწევდა ბალავაძეზე, ვიდრე სერჟანტმა ხელბორკილი არ დაადო.

მონანიება

## ნაწყვეტები ედუარდ შევარდნაძის მემუარებიდან

# „მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ უკვე მომატყუა... ამჯერადაც შევცდი...“

*„— ბატონო პრეზიდენტო, ახლა სად მიდიხართ?*
*— სახლში...“*

*„ვარდების რევოლუციის“ პიკზე ხელისუფლების გადაცემა-ჩაბარების დაძაბულ ვითარებაში ამ კითხვით ედუარდ შევარდნაძეს მიმართეს. საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მოკლე პასუხით სახელისუფლებო პოსტებზე თავისი მოღვაწეობის ხანგრძლივი ეტაპი ისტორიას მიაბარა...*

*პენსიაში გასული სახელმწიფო მოღვაწეების აბსოლუტური უმრავლესობა, მას შემდეგ, რაც ასე ნანატრ თავისუფალ დროს პოულობს, განვლილი ცხოვრების გამოძახილს ყოველთვის ვრცელი მემუარების მეშვეობით გადმოსცემს. აქ აისახება ხოლმე მათ მიერ განვლილი ცხოვრების გზა, წარმატება თუ წარუმატებლობა, გახმაურებული თუ საიდუმლოებით მოცული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებები...*

*„კვირის პალიტრა“ გთავაზობთ ნაწყვეტებს ედუარდ შევარდნაძის ახალი წიგნიდან „ფიქრები წარსულსა და მომავალზე“.*

...სოხუმის დაცემის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა დასავლეთ საქართველოში. მდგომარეობა გამოუვალი გახდა, რუსეთმა თავისი შავი საქმე გააკეთა — ქვეყანა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. სიტუაცია უალტერნატივო იყო, შექმნილი ვითარება მაიძულებდა კომპრომისზე წასვლას: საქართველო რუსეთის მიერ კონტროლირებად „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ წევრობას უნდა დათანხმებულიყო.

სწორედ ამის გამო გავემგზავრე მოსკოვში, დსთ-ის მეთაურთა თათბირზე. ელცინს ჩვეულებად ჰქონდა: სამ კაცს, კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, გვტოვებდა ხოლმე სათათბიროდ. მართლაც ცალკე დავსხედით — ალიევი, პეტროსიანი, ელცინი და მე.

ელცინს ვუთხარი, რაღაცით უნდა გვიშველოთ, ფაქტობრივად, საქართველო ბლოკადაშია. დაგვეხმარეთ, რომ ფოთი გავათავისუფლოთ და რკინიგზის უსაფრთხოება ერთად უზრუნველვყოთ. გამცილებლები სამხედროები უნდა იყვნენ, რომ ჩვენ გარდა რკინიგზით ვერავინ ისარგებლოს. ეს თქვენს ინტერესებშიცაა, ისევე როგორც აზერბაიჯანისა და სომხეთის ინტერესებშიც-მეთქი.

მოშორებით რუსეთის თავდაცვის მინისტრი გრაჩოვი იჯდა.

— Дайте мне карту, — უთხრა გრაჩოვს ელცინმა.

გრაჩოვი ჩვენს მაგიდასთან მოვიდა, გადაშალა რუკა და ხელი დაადო: საქართველო წითელი ხაზით შუაზე იყო გაყოფილი, ხაზი გადიოდა წიფის გვირაბთან, სადაც დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ერთდება.

— Другого выхода нет, — მითხრა, — Пускай Звиад сидит в западной Грузии, а ты — в столице.

— Что вы, это серьезно? — გაოცებულმა და აღშფოთებულმა ვკითხე.

— Я со всей серьезностью говорю, другого выхода я не вижу.

— Это не помощь.

— Хороший совет тоже помогает, — უკმეხად მიპასუხა.

თავის შეკავება შეუძლებელი იყო, კარი გამოვიჯახუნე და აეროპორტისკენ გავეშურე...

...სასოწარკვეთა დამეუფლა, ვფიქრობდი, რა მექნა, სად იყო გამოსავალი... უცებ უკრაინა გამახსენდა — მისგან დახმარება რეალური მეჩვენა და ამავე დროს უკიდურესად პოლიტიზებული ქართველი საზოგადოებისათვის მისაღებიც. მეც მეგობრული ურთიერთობა მქონდა უკრაინის პრეზიდენტ კრავჩუკთან. დავუკავშირდი და შევჩივლე:

— მძიმე დღეში ვარ, ფოთი ბლოკირებულია, საქართველოში მალე შიმშილი დაიწყება. ფლოტით უნდა დამეხმაროთ. არ შეგაწუხებდით, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავ. ჰუმანიტარული დახმარება რომ გამოგვიგზავნოთ, მაინც ვერ მივიღებთ.

— ელცინისთვის ხომ არ დაგირეკავთ (მაშინ შავი ზღვის ფლოტი ორმაგ დაქვემდებარებაში იყო — რუსეთისა და უკრაინის — ე.შ.)? ან ხომ არ შეგიძლიათ, რომ დაურეკოთ?

ვუთხარი, რომ ვერ დავურეკავდი, ისიც ავუხსენი, რატომ:



— ელცინმა მირჩია, ორად გაყავითო საქართველო... შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ასეთი აბსურდი, რომ თქვენ უკრაინის ორად გაყოფა შემოგთავაზონ?!

— მშვენივრად მესმის, — მიპასუხა, — არსად დარეკვა აღარ გჭირდებათ, მე გავცემ განკარგულებას და თუ საჭირო გახდა, ელცინსაც მე შევუთანხმებ. ან სულაც, იყოს მანდ ფლოტი რამდენიმე დღე, სანამ ელცინი გაიგებს, ამასობაში პრობლემაც მოგვარდება.

რამდენიმე ხანში ისევ დამირეკა:

— განკარგულება გაცემულია, მალე სამხედრო გემები ფოთის პორტისკენ დაიძვრებიან.

ავთო მარგიანი, ჩვენი პრემიერ-მინისტრის მოადგილე, სასწრაფოდ ჩავიდა ადმირალ ბალტინთან და ყველაფერი გააკეთა, რომ დროულად წამოსულიყვნენ. არ შემიძლია მას ეს დამსახურება დავუკარგო.

და მართლაც, დღე-ნახევარში, საღამო ხანს, ფოთს ოცამდე გემი მოადგა, ჯარისკაცებითა და არტილერიით. თავისი პოსტები დააყენეს საკვანძო ადგილებზე — ერთი გასროლაც არ ყოფილა. სენაკი ჩვენ დავიკავეთ, ზუგდიდი „ზვიადისტებს“ დარჩათ, მაგრამ რაკი ფოთი და სენაკი გათავისუფლდა, ზუგდიდისკენ გზაც გაიხსნა.

ზემოთ უკვე ითქვა, 1992 წლის სექტემბერში, გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე მე მოვუწოდე მსოფლიო გაერთიანებას, მხარი დაეჭირა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ დემოკრატიული რუსეთისთვისაც, მისი დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, რადგან ჩვენი მომავალი უსაფრთხოება მაშინაც და ახლაც დემოკრატიულ რუსეთს უკავშირდება. იმავე დღეს რუსეთის პარლამენტმა მიიღო განცხადება „აფხაზეთის შესახებ“, რომელიც მიმართული იყო როგორც საქართველოს, ისე ელცინის მთავრობის წინააღმდეგ.

ფაქტობრივად, რუსეთის პარლამენტარებმა გზა დაულოცეს ინტერვენციას მშვიდობისმყოფელთა დროშით.

თავისი გადაწყვეტილებებით რუსეთის პარლამენტმა დაადასტურა იმპერიული პოლიტიკის მხარდაჭერა — „დაყავი და იბატონე“.

ამ ვერაგული ომის შემდეგ საქართველო იძულებული შეიქნა, დსთ-ში გაწევრებულიყო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამასვე მირჩევდნენ ჩემი კოლეგები, დსთ-ის ქვეყნების პრეზიდენტები. ვხედავდი, რომ ამ გაერთიანებას მომავალი არ ჰქონდა, თუმცა, ჩემს ქართველ ოპონენტებს დსთ ლამის ახალ საბჭოთა კავშირად წარმოედგინათ და მასში შესვლას ძალზე მძაფრი რეაქცია მოჰყვა.

ამ გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ ერთი რამ მამოძრავებდა: დსთ-ში თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა შედიოდა, მათი პრეზიდენტები კი ჩემი მეგობრები იყვნენ. როგორც აღვნიშნე, ისინიც მირჩევდნენ: „აქ რომ შემოხვალ, უფრო დაგეხმარებით, რუსეთზე აქტიურ ზეწოლას მოვახდენთ“.

მართლაც, მახსოვს, დსთ-ის მეთაურთა ერთ-ერთი ბოლო სხდომა, რომელსაც ელცინიც ესწრებოდა. აფხაზეთის საკითხზე დისკუსია ჩემი გამოსვლით დაიწყო. ყველა მეთაურმა ელცინს კატეგორიულად მოსთხოვა პრობლემის მოგვარება. მათი გამოსვლები სიმწვავით გამოირჩეოდა. ახლაც მახსოვს, ელცინი წამოდგა და განაცხადა: „გაძლევთ პირობას, აფხაზეთის საკითხს უახლოეს მომავალში მოვაგვარებთ“. დავუჯერე, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ უკვე მომატყუა — 1992 წლის 3 სექტემბერს. ამჯერადაც შევცდი.

აფხაზეთის საკითხი მრავალ სხდომაზე განვიხილეთ, მაგრამ — უშედეგოდ. ჩემს კოლეგებს ხშირად ვეუბნებოდი — ხვალ თქვენი ჯერი დადგება-მეთქი...

...სხვათა შორის, რუსეთს დსთ-ის კართან რომ დაეტოვებინა თავისი იმპერიული ზრახვები, ეს გაერთიანება მართლაც შეიძლებოდა გადაქცეულიყო ქმედითუნარიან სტრუქტურად, რომელიც საბჭოთა ეკონომიკური სივრცის ნგრევით გამოწვეულ უარყოფით მოვლენებს შეანელებდა. „დერჟავული“ ფსიქოლოგიისათვის წარმოუდგენელია თანაბარი პარტნიორობა — ამით მას ღირსება ელახება, არადა ოცდამეერთე საუკუნეში სხვაგვარი დამოკიდებულება სახელმწიფოთა შორის წარმოუდგენელია.

აფხაზეთის ომი და მასში დამარცხება გამოწვეული იყო რუსების ორმაგი თამაშით, ჩრდილოკავკასიელ ბოევიკთა ადამიანური რესურსებით, რუსული იარაღისა და ფინანსების უწყვეტი მიწოდებით, თავად რუსი სამხედროების მონაწილეობით საომარ მოქმედებებში, სეპარატისტების აშკარა თუ ფარული დახმარებით, რუსეთის გენშტაბში საქართველოს სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვითა და რუსების მიერვე განხორციელებით, დადებულ ხელშეკრულებათა მუდმივი დარღვევით...


კრისტალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია




სესხები 10,000 ლარამდე სწრაფი და გამარტივებული წესით, 1,5%-დან

შესაძლოა როგორც ბიზნეს-სესხების გაცემა, ასევე საოჯახო ნივთების შეძენა განვადებით

დაგვიკავშირდით:

ქუთაისი: თამარ მეფის №72 ტელ: (8231) 4 16 52
ფოთი, აღმაშენებლის №14/7 ტელ: (8293) 7 01 53
ზუგდიდი, რუსთაველის №85 ტელ: (8215) 5 00 21

WWW.CRYSTAL.GE



მამაკაცებო, გაიუმჯობესეთ ცხოვრების ხარისხი!

წინამდებარე ჯირკვალი ანუ პროსტატა — განსაკუთრებული, „სუფთა მამაკაცური“ ჯირკვალია, რომელსაც ხატოვნად მამაკაცის „მეორე გულსაც“ უწოდებენ.

პროსტატა სპერმატოზოიდების ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელ პროსტატის წვენს გამოიმუშავებს. მისი გლუვ-კუნთოვანი აპარატი ეაკულაციის ფიზიოლოგიურ მექანიზმში მონაწილეობს, ამიტომ ჯანმრთელი და „კარგად მომუშავე“ პროსტატის გარეშე, მამაკაცი „სრულყოფილი მამაკაცი“ ვერ იქნება.

სტატისტიკა გვარწმუნებს, რომ ორმოც წელს გადაცილებულ მამაკაცებში (ბოლო მონაცემებით, სამწუხაროდ, ეს ასაკი თანდათან გაახალგაზრდავდა) ხშირია პროსტატის ჰიპერპლაზია (გადიდება), რომელიც გახშირებული, გაძნელებული შარდვით, ღამის შარდვით და მოშარდვისას დისკომფორტით გამოიხატება.

პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის მთელს მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება მცენარეული პრეპარატები. იმ სამკურნალო მცენარეებიდან, რომელთაც „პროსტატოგენული“ (პროსტატისაკენ მიმართული) მოქმედება გააჩნიათ, განსაკუთრებით აქტუალური და კარგად შესწავლილია რამდენიმე. ესენია:

ჯუჯა პალმა, აფრიკული ქლიავი და ჭინჭარი.

- ჯუჯა პალმას ანტიპროლიფერაციული და ანთებისსაწინააღმდეგო თვისებები გააჩნია. მისი ექსტრაქტი ამცირებს დიზურიულ მოვლენებს, აიოლებს შარდვას.
- აფრიკული ქლიავის ექსტრაქტი აფერხებს და აბლოკირებს ზრდის ფაქტორებს — ნივთიერებებს, რომლებიც პროსტატის პათოლოგიურ გადიდებას იწვევს.
- ჭინჭრის ექსტრაქტი კი გამოხატული ანთებისსაწინააღმდეგო და შარდმდენი თვისებებით ხასიათდება.

პრეპარატი პენო-რიცი ზემოაღნიშნული სამი მცენარის შემცველი კომბინირებული სამკურნალო საშუალებაა. მისი კომპონენტები სინერგიული მოქმედებით გამოირჩევიან, რითაც ძლიერდება პრეპარატის სამკურნალო ეფექტი.

პენო-რიცი ამ ჯგუფის ერთადერთი კომბინირებული პრეპარატია. ამ ნიშნით იგი წარმოადგენს სრულყოფილ და უნიკალურ კომბინაციას, მონოკომპონენტიან პრეპარატებთან შედარებით.

პენო-რიცი პროსტატაზე პირდაპირი ზემოქმედების გარდა დადებითად მოქმედებს მთლიანად შარდ-სასქესო სისტემასა და ზოგადად მამაკაცის ორგანიზმზე.

პენო-რიცი ხსნის დიზურიულ და სექსუალურ პრობლემებს და აუმჯობესებს მამაკაცის ცხოვრების ხარისხს.

ჩემი ოჯახის აფთიაქი აღმაშენებლის 148!!! TUV ევროპული GMP წესების საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი "ISO-9001-2000" GMP ჯი-ემ-პი

# „იმედია, ორ მართლმადიდებელ საპატრიარქოს შორის ურთიერთობა მოგვარდება“



მოსკოვში არსებულ ერთადერთ ქართულ ეკლესიაში ქართულად წირვა-ლოცვა აიკრძალა, რამაც რუსეთში მცხოვრები ქართველები უკიდურესად გააღიზიანა, — მოსკოვიდან ჩამოსულმა ამ ინფორმაციამ კიდევ უფრო დაძაბა ისედაც გართულებული რუსულ-ქართული ურთიერთობა. ნუთუ შეიძლება რუსებმა ერთმორწმუნე ქართველებს მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვა აუკრძალონ? — შეშფოთდნენ თბილისში. შევეცადეთ მოსკოვში გადაგვემოწმებინა, არსებობს თუ არა შეშფოთების საფუძველი. ლაპარაკია რუსეთის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიაზე. სანდო წყაროს ცნობით, ამ ეკლესიაში ჯერ არავის განუცხადებია, რომ ქართველებს წირვა-ლოცვის ქართულად მოსმენა ეკრძალებაო. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის წინამძღვარი იყო მღვდელი ნიკოლაი სიტნიკოვი, მისი თანხმობით, მსახურებას ქართულ ენაზე აღასრულებდა საქართველოდან ნარგზავნილი და საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების მიერ კურთხეული მღვდელმსახური. ამჟამად აქ მსახურებს მამა მაქსიმე (ჭანტურია). მამა ნიკოლაი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. როგორც ირკვევა, მას ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს პატრიარქთან. ამჯერად ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი ფიოდორ კრჭეტოვი, რომელიც ღვთისმსახურებას რუსულად ატარებს.

***ჯონი კვარაცხელია***, მოსკოვში მცხოვრებ ქართველთა ასოციაციის, „ლაზარეს“ პრეზიდენტი: — სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ქართული მრევლის შეშფოთება. თუმცა, დარწმუნებული ვართ, რომ ყველაფერი მოგვარდება.

*— თბილისში ისიც ითქვა, თითქოს რუსი მღვდელი თანახმაა, ერთი კვირა რუსულად იყოს ღვთისმსახურება, მეორე კვირას კი ქართულად.*

— ღვთისმსახურება ყოველთვის ქართულად მიდის, რადგან დიაკვანი ქართველია, მგალობლებიც ქართულად გალობენ. მაგრამ ლოცვები, რომელსაც მღვდელი წარმოთქვამს, ხან რუსულად აღესრულება, ხანაც ქართულად. მრევლი შეგვაშფოთა ქადაგების რუსულად მოსმენამ. კარგად ვერ გავიგეთ. მიჩვეული ვიყავით ქართველი მღვდლის ქადაგებას. ახალ წინამძღვარს არც კი ვიცნობთ. მან ჯერ ვერ მოახერხა მრევლის გაცნობა. ვფიქრობთ, იგი გადმოდგამს ნაბიჯს ჩვენკენ.

*— იქნებ კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ, მან განაცხადა, რომ ქართულად წირვა-ლოცვა უნდა აიკრძალოს?*

— არა, მას მსგავსი არაფერი უთქვამს. მაგრამ ფაქტია, მან ჯვარი უნდა დაგვწეროს, ბავშვები უნდა მონათლოს, არ ვიცით რა ენაზე აღსრულდება წმინდა საიდუმლოებანი. ბუნებრივია, არჩევანს რუსულზე გააკეთებს, ამას კი მრევლი ძნელად შეეგუება. ხომ იცავენ საქართველოში რუსული მრევლის ინტერესებს, გვინდა ასევე დაიცვან ჩვენი ინტერესები რუსეთში. ძალიან განვიცდით, რომ აქ მამა მაქსიმეს (ჭანტურიას) ქადაგებებს ველარ ვისმენთ.

*— ეკრძალება მას ღვთისმსახურების ჩატარება?*

— ალბათ, არა. უბრალოდ, წინათ სულ მამა მაქსიმე ატარებდა წირვა-ლოცვას, მაგრამ ამიერიდან ახალი წინამძღვარი ჩაატარებს ღვთისმსახურებას. მოსკოვში, რუსულ გარემოცვაში, როდესაც ტაძარში მისასვლელად საათნახევარზე მეტი გჭირდება, გინდა წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე მოისმინო. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ქართულ ენას და ქართულ ხმას სხვა დატვირთვა აქვს. უამისოდ გაგვიძნელდება. იმედი გვაქვს, რომ ორ მართლმადიდებელ საპატრიარქოს შორის ურთიერთობა მოგვარდება, ჩვენ ხომ არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ რუსეთისთვისაც ვლოცულობთ.

***ეკა ლომიძე***

# მოსკოვის ქართული ეკლესიის მრევლის ცხოვრებიდან...

***მოსკოვის ქართული ეკლესიის მრევლის ცხოვრებაზე გვიამბობს ამ მრევლის წევრი, მწერალი და ჟურნალისტი მედეა შავლიაშვილი, რომელიც რამდენიმე ხნის წინ გვეწვია რედაქციაში.***

## ორი მრევლის შეხვედრა

მოსკოვის წმ. გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიაში წირვა-ლოცვებს, ჩვეულებრივ, ორასი-სამასი კაცი ესწრება. დღესასწაულებზე ეკლესიის შენობა ანთებულ ჩირაღდანს ემსგავსება.

მოსკოვში ჩამოსული სანქტ-პეტერბურგის ქართული ეკლესიის მრევლი სიწმინდეების მონახულების შემდეგ ჩვენთან, წმინდა გიორგის ქართული ეკლესიის მრევლის წევრთა ოჯახებში უნდა დანაწილებულიყო. ჩვენმა მოძღვარმა მამა მაქსიმემ (ჭანტურიამ), რომელიც ადრე მათი მოძღვარი გახლდათ, წინა კვირის წირვაზე გაგვაფრთხილა და ჩვენ იმ დღეს სტუმრების „ტაციობის“ მოწმენი და მონაწილენი გავხდით, ვინაიდან ჩამოსული დამხვედრზე ნაკლები აღმოჩნდა.

მეორე საღამოს, გამოთხოვებისას, ეკლესიის ეზოში აქოთქოთებული ავტობუსი ვერა და ვერ დაიძრა ადგილიდან. სადღეგრძელოებმა და საგალობლებმა ვერა და ვერ მოაოხებინეს გული დაცილების არმოსურნე სტუმარსა და მასპინძელს.

კიდევ კვირის თავზე მამა მაქსიმემ ბოდიში მოუხადა საკუთარი მრევლის წევრებს — იმ ღამით უსტუმროდ დარჩენილებსა და გულდაწყვეტილებს.

ვინმე შესწრებიხართ თანაჯგუფელების, თანაკურსელების, თანაპოლკელების და, საერთოდ, ვისიმე თავყრილობას, სადაც ერთმანეთს ბოდიშს უხდიდნენ: სტუმარი ვერ გარგუნეთო? მე არა!

## რუსი წმინდანი თბილისში დაბადებულა

ერთ-ერთი ჩვენი თანამემამულე, მრევლის წევრი ვასილი, შესაშური რუდუნებითა და სიყვარულით იკვლევს დიდი წმინდანის ალექსანდრე ელჩანინოვის ცხოვრების ყველა წვრილმანს, განსაკუთრებით — თბილისში ყოფნის პერიოდს. აჩას წინათ მოსკოვის ერთმა ბიბლიოთეკამ წმინდანისადმი მიძღვნილი კონფერენცია მოაწყო და პარიზიდან მისი 80 წლის ქალიშვილი მოიპატიჟა.

ამ თავყრილობაზე დასწრების პატივი ბიბლიოთეკის სამ მკითხველს ერგო. ერთი მათგანი იყო ვასილი: როცა ქალბატონმა ელჩანინოვამ მამისა და ნათესავების ცხოვრებიდან რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენა, ვასილმა მოკრძალებით, მაგრამ დაბეჯითებით შეუსწორა თარიღები და მამამისისა და სხვა ახლობლების ბიოგრაფიის მსხვილმანი თუ წვრილმანი ფაქტები. ქალი გაოგნდა: მე ვიცოდი, რომ მამაჩემს საქართველოში პატივს სცემდნენ, მაგრამ ესოდენზე ვერც ვიოცნებებდიო.

შვილმა მამის თაყვანისმცემელი პარიზში მიიპატიჟა და თავადაც საქართველოში ჩამოსვლის დიდი სურვილი გამოთქვა.

ვასილმა ინტერნეტის მეშვეობით იპოვა სახლი თბილისში, სადაც წმინდანი დაიბადა. ხოლო მისი სკოლის, ყოფილი ლივანდოვსკის გიმნაზიის ადგილსამყოფლის პოვნა აქეთ მომავალს მე დამავალა.

## იქ ქართული სამყარო სუფევს

რუსული ეკლესია დიდ პატივს მიაგებს თამარ მარჯანიშვილს, კოტე მარჯანიშვილის უფროს დას, რომელსაც ბედმა ადრე დაობლებული უმცროსი და-ძმის აღზრდა დააკისრა.

თამარ მარჯანიშვილი წმინდა ნინოს ქალთა მონასტრის იღუმენია გახლდათ. ილიას მკვლელობის შემდეგ გახშირებული ტერაქტების შიშით სინოდმა იგი მოსკოვში გადაიყვანა და მისი სურვილის წინააღმდეგ (მას განდგომილი ცხოვრება ეწადა), უკვე ფომად შერაცხულს, დომოდედოვოს ქალთა მონასტრის იღუმენიობა დაავალა, მონასტრისა, რომელიც შიშველ ადგილზე, რკინიგზელებისგან გამოსყიდულ მიწაზე უნდა დაეარსებინა.

თამარმა სიზმრად ნანახი თეთრი ეკლესია ააშენა, ხოლო მის ქვევით — წმინდა ნინოსი, რომელიც მაშინ ამ წმინდანის ერთადერთ ეკლესიად ითვლებოდა რუსეთში.

ამ მონასტერს საოცარი მრევლი და კიდევ უფრო საოცარი იღუმენია — დედა ინოკენტია ჰყავს. მათი წყალობით აქ ქართული სამყარო სუფევს და ჩვენც ლხინსა თუ ჭირში გული იქით მიგვიწევს. იქ ჩვენთვის ყველა კარი ღიაა. ასე განსაჯეთ, თვით დედა თამარის სენაკისაც კი.

ყოველ წელიწადს, დაბადებისა თუ სახელობის დღეს, გერმანულ სასაფლაოზე, სადაც დედა თამარის წმინდა ნეშტი განისვენებს, ქართული და რუსული საგალობლები თანაბრად გაისმის.

გასულ წელიწადს აქაურმა მონაზვნებმა წმ. ნინოს გზით წმინდანის ნაფეხურები მოიარეს და ქართული საგალობლებით მოხიბლულებმა ისე ზედმიწევნით შეისწავლეს სიტყვებიცა და მელოდიაც, ჩვენ მიერ გამართულ ყველა საღამოზე მგალობლებად მხოლოდ მათ ვიწვევთ.

## სამშობლოს დანატრებულნი

ქეთევან წამებულისადმი მიძღვნილი საღამოს გამართვა, ჩვეულებისამებრ, მრევლის აქტიურ წევრს ქეთევან სურმავას მიანდეს და ისიც ჩვეული გულისხმიერებით გაუძღვა საქმეს.

ძალიან გამიჭირდება იმ დარბაზში გამეფებული განწყობილების გადმოცემა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ნანახ სპექტაკლებსა და ფილმებზე განცდილს და ნაგრძნობს აღემატებოდა.

სამშობლოს დანატრებული ხალხით სავსე დარბაზი ოთხი საუკუნის წინათ მომხდარს დღევანდელივით განიცდიდა და ჩვენი ისტორიის თითქმის ყველაზე ტრაგიკულ პერიოდს შექსპირის ტრაგედიებზე უფრო ტრაგიკულად აღიქვამდა.

მომხდარის ქრონოლოგიური აღწერა არ დამთავრებულიყო და ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა უკვე გულდამთუთქველად ქვითინებდა. ხოლო სიტყვის დასასრულს, როცა მომხსენებელმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა იმ წამების დიდმნიშვნელოვნება: უმწეო ქალმა უდიდესი რწმენით უძლიერესი შაჰი რომ დაამარცხა, ქრისტიანები გააერთიანა და ქრისტიანობა განამტკიცა, — დარბაზმა გულით ინატრა, ის სასწაული დღეს, ჩვენს უმძიმეს ხანაში გამეორებულიყო.

მამა მაქსიმემ ორიოდე სიტყვა ძლივს შეგვაშველა, დაღლილობა მოიმიზეზა და მოგვარიდა სიხარულის ცრემლი — დღეს ხუთი ქორწილი და ორი ნათლობა ჩავატარეო.

## თანადგომა

ტელევიზიით ღვარცოფით დასილული დუშეთის ამბავი გადმოსცეს. ამის შემხედვარე ერთმა მრევლმა აცახცახებულმა თქვა:

— გული გამისკდება, თუ ამ უბედურების შორიდან მაყურებლები დავრჩებითო.

რის შემძლენი ვიყავით თანაგრძნობისა და გამხნევების გარდა... საყდრის კარიბჭესთან მუყაოს „სამათხოვრო ყუთით“ კალთაში მე დამსვეს, როგორც თითქმის ყველაზე უხნესი.

არც ერთი კაცისთვის არ მითხოვია შეწევნა!

არც ერთ კაცს არ ჩაუვლია ყუთისთვის გულგრილად!

შეწირული მეუფე ზოსიმეს წილკანში წერილთან ერთად გადავუგზავნეთ.

***დედაო ღვთისაო, შენ დაიფარე შენი კალთით ჩემი ქვეყანა!***




ფერადი ჩანართი ბავშვებისათვის — პირველი ნაბიჯები ქრისტეს გზაზე


## რას გვეტყვი, მამაო?



**— აღმოსავლეთ საქართველოში გაუთხოვარ ქალბატონს, ასევე ახალგაზრდა მამაკაცებს და გოგონებს გარდაცვალების შემთხვევაში ხელებს გულზე არ დაუკრეფენ. მსგავს სიტუაციას ზუგდიდშიც შევესწარი. რამდენად გამართლებულია ასეთი მოქმედება რელიგიურად?**

— აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, საბჭოური მმართველობის დროს, როცა ეკლესია დევნა-შევიწროებას განიცდიდა, სულიერ საზრდოს მოკლებულ ადამიანებში უამრავი ცრურწმენა გავრცელდა, მათ შორის ისეთიც, რომელსაც თქვენ აღწერთ. გულზე დაკრებილი, ანუ გადაჯვარედინებული ხელები ეს სწორედ ამ ადამიანის ქრისტიანობის ნიშანია, რომელიც მაცხოვრის მეორედ მოსვლას და საყოველთაო მკვდრეთით აღდგომას ელოდება.

**— არსებობს თუ არა საგვარეულო წყევლა. ეს წყევლა გადადის თუ არა შთამომავლობაზე. მაგ., პაპის შვილებსა და შვილიშვილებზე...**

— წყევლა, როგორც ასეთი, არსებობს, მაგრამ თუკი ადამიანი იცხოვრებს ქრისტიანულად, რაც ეკლესიურ ცხოვრებას ნიშნავს: აღსარებას იტყვის, ეზიარება, მაშინ არათუ წყევლა, არამედ ბოროტ ძალთა მთელი ლეგიონიც კი ამ ადამიანს ვერ შეეხება.

**— შეენდობა თუ არა ადამიანს ნათლობამდე ჩადენილი ცოდვები?**

— ნათლისღების საიდუმლო, რომელიც ერთხელ აღესრულება, ადამიანს განწმენდს ცოდვებისგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ საქმის კურსში არ უნდა ჩააყენოთ მოძღვარი ამ ცოდვების შესახებ. ეს აუცილებელია, რადგან მას სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თქვენს სულიერ მდგომარეობაზე.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***


ცხელი წიგნები
42-43-40; 33-26-73
სახლში მოტანით

წიგნში შეკრებილია „კვირის პალიტრაში“ წლების განმავლობაში გამოქვეყნებული კითხვები რელიგიურ თემაზე, რომელთაც მართლმადიდებელი მამები პასუხობენ.




336 გვერდი, რბილი გარეკანი,
ფასი: 5 ლ.

# „არავითარი აგენტი არ ვყოფილვარ“


სოკრატ ნიკოლიშვილი, 1945წ.

*იგი ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წლის 25 აგვისტოს გაასამართლა სამშობლოს ღალატის ბრალდებით — სოკრატ ნიკოლიშვილი ხომ გერმანული არმიის მსახური იყო მთელი ორი წლის განმავლობაში... მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა შეუფარდეს, მაგრამ... დღეს 91 წლის ვეტერანი „კვირის პალიტრის“ რესპონდენტია. ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისთვის ერთდროულად არის დაჯილდოებული ფაშისტური და საბჭოური ორდენებით; თავი თანაბრად მიაჩნია გერმანული და საბჭოთა ომის ვეტერანად და შესაძლოა, როგორც ომის ვეტერანმა, გერმანიის მთავრობას პენსიაც მოსთხოვოს — ის ხომ თავის დროზე გერმანიის მოქალაქე და ელიტურ მოტომსროლელთა №1 ბატალიონის ჯარისკაცი იყო...*

## „თუ ვინმეს ჰგონია, სტალინის წინაშე ქედს არ იხრიდნენ გერმანელები, ძალიან ცდება“

## „საჭმლის გამო მოგვივიდა ქურდებთან შეტაკება“

### ფაშისტური გერმანიისა და საბჭოეთის მთავარსარდლობისგან ერთდროულად დაჯილდოებული ჯარიკაცი?!

**სოკრატ ნიკოლიშვილი:** „1941 წელს ტაგანროგთან დამჭრეს და გერმანელებმა ავსტრიაში, ქალაქ ობერვალ-ტერდორფის ჰოსპიტალში გადამიყვანეს. ბედის წყალობით ოპერაცია ტყვედ ჩავარდნილმა ქართველმა ქალმა (ზესტაფონელმა) გამიკეთა. ასე რომ, გადავრჩი. სწორედ ამ დროს შევხვდი გერმანიის არმიის პოლკოვნიკს, შალვა ლორთქიფანიძეს. იდეური და პოლიტიკური თანამოაზრეები ვიყავით — კომუნისტურ რეჟიმს ვერც მე ვიტანდი და ვერც ის, ამიტომ გერმანელებთან სამსახურზე დავყაბულდი. ლორთქიფანიძეს გერმანელი მეუღლე ჰყავდა, შეძლებულად ცხოვრობდა. მალე ავსტრიიდან გერმანიაში, ქალაქ ბრანდენბურგში წამიყვანა. მის ოჯახში გრიგოლ რობაქიძესაც შევხვედრივარ. შალვა ბრანდენბურგის ელიტურ მოტორიზებულ დივიზიაში მსახურობდა და მეც ჩამრიცხეს... 1942-დან 1944 წლის თებერვლამდე გერმანიის არმიის მებრძოლი ვიყავი. მიღებული მაქვს გერმანული არმიის შტურმბანაფცაიხერის ორდენი.

**— რა დამსახურებისთვის?**

— ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის დამაჯილდოეს, თანაც ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გერმანელი შეთქმულების ხელით სიკვდილს გადავარჩინე. როცა გერმანელ ჯარისკაცებს შორის ამ ორდენით მკერდდამშვენებული ჩავივლიდი, მოწიწებით მითმობდნენ გზას.

**— საბჭოთა კავშირის არმიის ყოფილ მებრძოლს ეჭვის თვალით არ გიყურებდნენ?**

— შესაძლოა, გულში ფიქრობდნენ რამეს, მაგრამ მე არაფერი მიგრძნია. პირიქით, იცოდნენ, რომ ქართველი ვიყავი... სხვათა შორის, ქართველებს დიდ პატივს სცემდნენ. შალვა ლორთქიფანიძეს სპეციალური დავალება ჰქონდა — ტყვეთა ბანაკებში დადიოდა და ქართველების გადმობირებას ცდილობდა. ამას სამშობლოს სალალატოდ კი არ აკეთებდა, სხვა იდეას ემსახურებოდა — სწამდა, რომ საქართველოს კომუნისტებისგან გაათავისუფლებდა. ზოგიერთი სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ თანხმდებოდა გერმანელების ჯარში სამსახურს, ზოგი კი უარს ამბობდა. ლორთქიფანიძეს რამდენჯერმე მეც ვახლდი და რამდენიმე ქართველი დავითანხმეთ კიდეც...

**— არ გიფიქრიათ, რომ სამშობლოს ღალატობდით?**

— მაშინ ამაზე არ ვფიქრობდი, თანაც მე სამშობლოსთვის არ მიღალატია, მე კომუნისტური რეჟიმი მძულდა... საოცარია, როგორ მოიგო საბჭოთა კავშირმა ომი? — გერმანელი ჯარისკაცები ჩაცმულ-დახურულები, საკვებითა და იარაღით უზრუნველყოფილნი იყვნენ, საბჭოთა ჯარისკაცს კი ხეირიანი ტანსაცმელიც ენატრებოდა. მას შემდეგ, რაც გერმანულ არმიაში ჩავირიცხე, საუკეთესოდ ჩამაცვეს, მანქანაც მომცეს. „ქართველი“ ჩემს დივიზიაში „განსაკუთრებულის“ სინონიმი იყო...

... არ იხრიდნენ გერმანელები, ძალიან ცდება. ყველა გერმანელმა იცოდა, რომ სტალინი მათი მოსისხლე მტერი იყო, მაგრამ მაინც პატივს სცემდნენ. მე კომუნიზმის იდეური მოწინააღმდეგე ვიყავი მუდამ, მაგრამ ახლაც ვიტყვი, რომ ამ ომს სტალინის გარდა, ვერავინ გაუმკლავდებოდა.

**— თქვენი გერმანული ორდენი ამჟამად სად არის?**

— ჩემი პირადი საქმე და ორდენი ქალაქ აახენის არქივში ინახება. ვცდილობ, როგორმე დავიბრუნო ორივე. ეს ჩემი ცხოვრების ისტორიაა. შესაძლოა, პენსია (როგორც გერმანიის ომის ვეტერანმა) მოვთხოვო გერმანიის მთავრობას. მე ხომ ორი წელი ვიბრძოდი გერმანული არმიის რიგებში...

სოკრატ ნიკოლიშვილი 1944 წელს საბჭოთა არმიის რიგებს დაუბრუნდა — იგი ომის დამთავრებამდე საბჭოთა არმიის 333-ე დივიზიის 116-ე მსროლელთა პოლკის მე-3 ბატალიონის შემადგენლობაში იბრძოდა. ბრძოლებში თავის გამოჩენისთვის დაჯილდოებულია დიდების მე-3 ხარისხის ორდენითა და მედლებით: „სიმამაცისთვის“ და „გერმანიაზე გამარჯვებისთვის“. 1944 წლის აგვისტოში მთავარსარდლობისგან გამოცხადებული აქვს მადლობა ქალაქ ბენდერის აღებისთვის, მიღებული აქვს სიგელები ქალაქების — ვენის, ბელგრადისა და ბუდაპეშტის გათავისუფლებისთვის.

**სოკრატ ნიკოლიშვილი:** — 1944 წელს საბჭოთა ჯარებმა ჩვენი მოტომსროლელთა დივიზია თითქმის გაანადგურეს. ახლა საბჭოთა ჯარებს ჩავუვარდი ტყვედ. ერთმა ქალმა სხვენზე დამმალა, სამი დღე ვიმალებოდი. ვინმეს რომ ვენახე, აუცილებლად დამხვრეტდნენ, მაგრამ განგების ნებით გადავრჩი — აფხაზეთში მცხოვრებმა სომეხმა გადამარჩინა, 333-ე დივიზიაში მიმიყვანა და იქ ისე ჩამრიცხეს, არაფერი უკითხავთ.

**— ეს მაშინ წარმოუდგენელი იყო — დავიჯერო, გერმანიის არმიაში ნაბრძოლ კაცს არავინ მოგკითხათ პასუხი?**

— ასე იყო, იმ სომეხმა როგორ მოახერხა ეს, არ ვიცი.

**— მაშ თქვენი გერმანიაში ბრძოლის ამბავი როგორ გამჟღავნდა?**

— ომიდან რომ დავბრუნდი, არავის არაფერი უკითხავს. 1948 წელს ამბროლაურში ყოფილმა საბჭოთა მებრძოლმა მიცნო — უშიშროებაში მივიდა და თქვა, ესა და ეს კაცი გერმანელებთან, გერმანულ ფორმასა და ორდენში გამოწყობილი მყავს ნანახიო. იმავე დღეს დამაპატიმრეს. არ უარმიყვია ეს ფაქტი და 1948 წლის 25 აგვისტოში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალმა სამშობლოს ღალატის ბრალდებით გამასამართლა — სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მომისაჯეს, შემდეგ 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შემიცვალეს და ციმბირში მიკრეს თავი.

**— რა დამსახურებისთვის შეგიცვალეს დახვრეტა გადასახლებით, თქვენ ხომ სამშობლოს ღალატში გადანაშაულებდნენ?**

— დამსახურება ბევრი მქონდა. თავდადებული მებრძოლი, საუკეთესო მსროლელი ვიყავი. ბულგარეთში სამხედრო ჰოსპიტლებზე გერმანელების შეტევა რომ დაიწყო, ხელმძღვანელობამ მითხრა, შეტევაზე წამოსული რვა ტანკიდან არც ერთმა არ უნდა მოაღწიოს ჰოსპიტლამდეო. რვავე ტანკი დავადუღე ერთმანეთზე. ეტყობა, ესეც ბედი იყო, რომ გერმანელთა საუკეთესო სნაიპერის მოკვლაც მე დამავალეს. იმ გერმანელმა 26 საბჭოთა ჯარისკაცი მოკლა. მითხრეს, ან ის სნაიპერი უნდა მოკლა, ან შენ დაგხვრეტთო.

ამოვთხარე უზარმაზარი ორმო და ყელამდე ჩავჯექი. მალე შევნიშნე გერმანელი სნაიპერი, ხეზე იყო შემოსკუპებული, თავიდან ფეხებამდე რკინაში ჩამჯდარი. მარტო თვალები უჩანდა. მეც ვუყურებდი და ისიც მხედავდა, მაგრამ მაინც ვაჯობე. ტყვია პირდაპირ თვალებს შორის მოვარტყი... ასე რომ, მქონდა დამსახურება, მაგრამ ციმბირში გადასახლებას დანდობა ნამდვილად არ ჰქვია... ციმბირი იგივე სასიკვდილო განაჩენი იყო. რვა წელი გავატარე იქ, 60-გრადუსიან ყინვაში. ზოგი შიმშილით, ზოგიც სიცივით იხოცებოდა. ბუნებრივია, ვერ ვმარხავდით, ამიტომ მიცვალებულები შტაბელებად ეწყო. იქიდან ნორმალურ კაცს ცოცხლად არ უნდა გამოეღწია. მთელი საბჭოეთის ყველაზე საშიშ დამნაშავეებთან ერთად ვცხოვრობდით. ქურდები 7-8 თვის განმავლობაში თავზე გვასხდნენ, საშინელი შიმშილობა იყო და მთელი ჩვენი საკვები, ამანათები მათ მიჰქონდათ. ქურდებთან შეტაკება სწორედ ამის გამო მოგვივიდა. ჩვენ, პოლიტიკური პატიმრები, ნაომარი ხალხი ვიყავით და იმის ძალაც შეგვწევდა, კრიმინალურ სამყაროს გავმკლავებოდით. უმოწყალო შეტაკება მოხდა — ბევრი პატიმარი დაიღუპა მაშინ. სამი დღის განმავლობაში ხელისუფლება არაფერში ჩარეულა. როცა მოსახდენი მოხდა და მოკლულიც ბევრი დაგროვდა, ქურდები მერე გადაიყვანეს. მოკლედ, გაციმბირება უეჭველ სიკვდილს უდრიდა, მაგრამ როგორც ხედავთ, გადავრჩი. რვა წელი გავატარე ციმბირში. 1955 წელს 17 სექტემბერს ამნისტია შემეხო.

**— ვფიქრობ, რომ თქვენ ორმაგი აგენტი იყავით...**

— არავითარი აგენტი არ ვყოფილვარ... უბრალოდ, საქმის კარგი შემსრულებელი ჯარისკაცი ვიყავი...

P. S. არავინ იცის, კიდევ რამდენ საიდუმლოს ინახავს სოკრატ ნიკოლიშვილი. მისი ისტორია, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელიც კი არის, მაგრამ ფაქტია, რომ 91 წლის სოკრატ ნიკოლიშვილს ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობა ფაშისტურმა გერმანიამაც და საბჭოთა კავშირის მთავარსარდლობამაც... თანაბრად დაუფასა.

**ხათუნა პაიჭაძე**



სიგელი საბრძოლო მამაცობისთვის

ვაკანსია
საველე უსაფრთხოების ოფიცერი
კომპანია BP-ს მილსადენების ექსპლუატაციის მიზნებისათვის და BP-ის უშუალო ხელმძღვანელობით, შპს IRA კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს საველე უსაფრთხოების ოფიცრის თანამდებობის დასაკავებლად. საველე უსაფრთხოების ოფიცერი წარმოადგენს საქართველოში BP-ის მილსადენების ექსპლუატაციის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს BP-ის ხელმძღვანელობის ქვეშ.
სამუშაოს აღწერა
საველე უსაფრთხოების ოფიცერი ყოველდღიურ საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულია ობიექტის ან მშენებლობის საველე გუნდის ხელმძღვანელთან, ხოლო ფუნქციონალური ანგარიშვალდებულება ეკისრება ექსპლუატაციის ფაზის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გუნდის ხელმძღვანელის წინაშე.
საველე უსაფრთხოების ოფიცერი უზრუნველყოფს ყოველდღიურ ინსტრუქტაჟს მშენებლობისა და ექსპლუატაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ნებისმიერ საკითხთან მიმართებაში.
საველე უსაფრთხოების ოფიცერს მოუწევს დროის დიდი ნაწილის გატარება სხვადასხვა ობიექტზე და დაეკისრება პასუხისმგებლობა, რომ უზრუნველყოს უსაფრთხოება, უსაფრთხოების მონიტორინგი და BP-ის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (H&S) სტანდარტებთან შესაბამისობა.
საველე უსაფრთხოების ოფიცერი დაიცავს ყველა წესს და მუდმივად ეცდება, რომ გამოასწოროს უსაფრთხოების კულტურა თანამშრომელთა ყველა დონეზე.
ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები
• უნდა ამჟღავნებდეს ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი (HSE) საკითხებისადმი ერთგულებას და ემსახურებოდეს HSE საქმიანობის პოპულარიზაციას
• უნდა მუშაობდეს უსაფრთხოების კულტურის განვითარებაზე, რაც ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარგში სრულყოფილების მიღწევაზე იქნება მიმართული
• უნდა უზრუნველყოფდეს დახმარებასა და რჩევის მიწოდებას ყველა საქმიანობასთან დაკავშირებით, რათა გარანტირებული იყოს, რომ უსაფრთხოების პირობები, იურიდიული მოთხოვნები და BP-ის შიდასტანდარტები დაცულია
• უნდა უწყობდეს ხელს BP-ის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესების განხორციელებას
• უნდა მონაწილეობდეს კონტრაქტორის უსაფრთხოების პროგრამებისა და საქმიანობის განხილვისა და მონიტორინგის პროცესში იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი შეესაბამება BP-ის სტანდარტებსა და მოთხოვნებს
• უნდა ახორციელებდეს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობა უნდა მიიღოს უსაფრთხოების დარგში ინფორმირების კამპანიებში
• ინციდენტების ანალიზი და პრევენცია – უნდა მონაწილეობდეს ინციდენტების გამომწვევი ძირითადი მიზეზების ანალიზსა და ინციდენტების გამოძიებაში
• შემდეგი საქმიანობების პოპულარიზაცია, ჩატარება და მათში მონაწილეობის მიღება:
- უსაფრთხოების დაკვირვებები (STOP) და უსაფრთხოების აუდიტი (ASA)
- უსაფრთხო სამუშაოს ანალიზი / დავალების რისკის შეფასება / სამუშაოს დაწყებამდე უსაფრთხოების წესების შესახებ საუბარი
- HSE შეხვედრები
- HSE კამპანიები
- გარემოსდაცვითი გათვითცნობიერების პროგრამა
- აუდიტი და ინსპექტირება (მუშაობის ნებართვა, სახანძრო და უსაფრთხოების აღჭურვილობის მზადყოფნა)
• მზად უნდა იყოს საგანგებო სიტუაციებისათვის – უნდა უზრუნველყოფდეს, რომ თანამშრომლები გათვიცნობიერებულნი არიან თავიანთ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებში და რომ წვრთნები ტარდება, აღირიცხება და ხდება გამოცდილების შეძენა
• HSE მონაცემების შეგროვება და ანგარიშგება – იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველკვირეული, ყოველთვიური და ყოველკვარტალური HSE მონაცემები გროვდება და ანგარიშის წარმოდგენა ხდება BP-ის სტანდარტების მიხედვით.
სამუშაო გამოცდილება და განათლება
• მუშაობის გამოცდილება უსაფრთხოების სფეროში, სასურველია, პროექტზე
• უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი, სასურველია, ტექნიკურ დარგში
• ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ფლობა
• შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება: MS Word, Excel, PowerPoint, MS Outlook
• ინტერესი და მოწოდება, რომ შეიძინოს ახალი ცოდნა და გამოცდილება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში
• გუნდური მუშაობის უნარი, თანამშრომლებსა და სხვა გუნდის წევრებთან ურთიერთობის უნარი.
განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ხუთშაბათი, 2006 წლის 18 მაისი.**
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.
კადრების დეპარტამენტი
BP Georgia

# „პრინცები ვართო, ამბობენ და ღმერთი არ სწამთ?!“

როგორც ჩანს, საქართველოს ზოგიერთ რაიონულ სასამართლოში წარმოდგენაც კი არ აქვთ სხვადასხვა საკონსტიტუციო ცვლილებაზე. მაგალითად, მარტვილის რაიონულ სასამართლოში მოსამართლე თემურ ქათამაძემ სულ ახლახან შეიტყო, რომ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი აქტი, როგორიც არის ეკლესიისა და სახელმწიფოს საკონსტიტუციო შეთანხმება — კონკორდატი, რომლის მეშვიდე მუხლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ტაძარი და საეკლესიო ნაგებობა საქართველოს საპატრიარქოს ეკუთვნის.

თემურ ქათამაძემ უპრეცედენტო ფაქტი დაუშვა — სამეგრელოს მთავრების, დადიანებისა და ფრანგი დიდგვაროვნების, მიურატების შთამომავალთა სარჩელი დააკმაყოფილა და ყადაღა დაადო მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში მდებარე ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიას. ამასთან, ისე, რომ საჭიროდ არც კი მიიჩნია, სასულიერო პირთათვის რამე ეკითხა. ბუნებრივია, მოსამართლის გადაწყვეტილებამ საზოგადოება ალაშფოთა, დარცხვენილი მოსამართლე კი ეკლესიის წინამძღვარსა და მრევლს თურმე იქით ეხვეწებოდა, რალაც ილონეთ და განჩინება სასწრაფოდ გამაუქმებინეთო. ასეც მოხდა, მარტვილის რაიონულმა სასამართლომ ეკლესიასა და მის მიმდებარე მიწებზე დადებული ყადაღა ეკლესიის წინამძღვრისა და სალხინოელების სარჩელის განხილვის შემდეგ გააუქმა. თუმცა ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან ალენ და ვერონიკა დე შაბო ტრამკურები. მათი აზრით, მიწა, რომელზეც ეკლესია დგას, მათ ეკუთვნით და ითხოვენ როგორც მიწის, ასევე ეკლესიის საკუთრებაში გადაცემას. არადა დაცული დოკუმენტაციის მიხედვით, არ შეიძლება ფრანგებს დადიანების ქონებაზე პრეტენზია ჰქონდეთ. სხვა რომ არაფერი, როგორც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გვაცნობეს, საქართველოს პირველმა ეროვნულმა მთავრობამ ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ნაციონალიზაცია გაუკეთა დადიანების ქონებას და ყველაფერი, რაც სამეგრელოს მთავრებს ეკუთვნოდა, ხალხის საკუთრება გახდა. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი ინგა ქარაია ადასტურებს, რომ სალხინოში ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის ადგილსამყოფელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს და კანონის თანახმად, მისი კერძო საკუთრებაში გადაცემა-გასხვისება აკრძალულია.

მიუხედავად ამისა, დე შაბო ტრამკურები თურმე რკინის ქალამნების ჩაცმას და თუ საჭირო იქნება, სტრასბურგის სასამართლოში აპირებენ ჩივილს წინაპრების ქონების დასაბრუნებლად. სხვათა შორის, ფრანგების გააქტიურება მარტვილსა და სალხინოში არ უკვირთ. აქაურების თქმით, ფრანგებმა კარგად იციან იმ 27 ჰექტარი მიწის მნიშვნელობა, რომელზეც პრეტენზიას აცხადებენ — უნიკალური კლიმატური პირობების გამო მხოლოდ ამ ტერიტორიაზე ხარობს ოჯალეში. სალხინოელების ვარაუდით, ტრამკურებს ამ ადგილების ხელში ჩაგდება სურთ, რომ მერე მამასისხლად გაყიდონ.



ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია

## „ვის გაუგია, ეკლესიაზე ჩემია-ჩემიას გაიძახოდე?“

იქ, სადაც წინათ ოჯალეშის ზვრები იყო, ახლა სალხინოელ პაატა ლაშხიას აქვს 1000 ძირი ვაზი ჩაყრილი.

**პაატა ლაშხია:** „დადიანების შთამომავლები ადვოკატთან ერთად წითელ პარასკევს, წირვაზე შემოვიდნენ ეკლესიაში და მოძღვარს განუცხადეს, ეკლესია თქვენი არ არისო. ეს მიწაც ჩვენ გვეკუთვნის, როდესაც ყველაფერს დავიკანონებთ, ტაძარს იჯარით გადმოგცემთ(?!), მაგრამ მიწების დატოვება ყველას მოუწევსო. ვეცადეთ, ყურადღება არ მიგვექცია ამ პროვოკაციული განცხადებებისთვის, მაგრამ გაგვიჭირდა. ზედ ეკლესიის წინ მდებარე ერთ-ერთ კოტეჯში ღორი დაკლეს და მაშინ, როდესაც ქრისტიანი მრევლი გლოვობდა, მათ გვიან ღამემდე ტაშ-ფანდური ჰქონდათ“.

დადიანების მოურავის შთამომავალი, სალხინოელი **დათო გეგელიაც** ვერ მალავს უკმაყოფილებას: „რა უფლებით აცხადებს ეს ხალხი პრეტენზიას ეკლესიაზე, რომელიც 10 წლის წინ აქაურების ძალისხმევით აღდგა. მაშინ სად იყვნენ ეგ ფრანგები, როდესაც კომუნისტებმა სალხინოს სასახლე გადაწვეს, ეკლესიას კი ხან გარაჟად იყენებდნენ და ხან — საწყობად? ვის გაუგია, ეკლესიაზე ჩემია-ჩემიას გაიძახოდე? პრინცები ვართო, ამბობენ და ღმერთი არ სწამთ?! თუ ვინმეს კარგი საქმის გაკეთება უნდა, მხარში ამოვუდგებით. ეკლესია შეურაცხყვეს და წითელ პარასკევს ქეიფით სულში ჩაგვაფურთხეს. კუთვნილი მიწები ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს. იმას, რაც ოდითგანვე ღვთის სახლის განმგებლობაში იყო, არ შეიძლება კაცი განაგებდეს. მოვითხოვთ, რომ სალხინოს ეკლესიასთან მდებარე 7 ჰექტარი მიწა ეკლესიას გადაეცეს მოვლისა და სარგებლობის უფლებით“.

სალხინოში, სამწუხაროდ, დადიანების ქონებიდან მხოლოდ მიწებია ღირებული, თორემ სასახლეც დიდი ხნის წინ განადგურებულა, დადიანების სანაქებო მარანიც გაძარცულია და უპატრონოდ არის მიტოვებული.

დე შაბო ტრამკურებს ზუგდიდში, დადიანების სახლ-მუზეუმშიც შეუტანიათ შფოთი. როგორც მუზეუმის ხელმძღვანელობამ გვითხრა, ფრანგები თურმე მუზეუმის დაპატრონებაზეც ოცნებობენ.

დადიანების სახლ-მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი **ლილი ბერაია:** „ჩამოსვლის დღიდან ეძებენ სამეგრელოს მთავრების ქონებაზე დასაპატრონებელ დოკუმენტებს და გაიძახიან, აქ ყველაფერი ჩვენიაო. შარშან, წლის ბოლოს, პრეზიდენტი სააკაშვილი რომ ჩამოდიოდა, ვერონიკა მოვარდა და განაცხადა, სტრასბურგში შევიტანე სარჩელი და კანონით დავიბრუნებ ყველაფერსო. დადიანების კიდევ ერთი შთამომავლის, სალომე ობოლენსკაიას მაგალითითაც ვერ ისწავლეს ტრამკურებმა ჭკუა. თავის დროზე სალომეც ითხოვდა დადიანების ქონებას, მაგრამ საფრანგეთის სასამართლოში წააგო პროცესი. ექვთიმე თაყაიშვილმა დაუმტკიცა, რომ ოდიშის მთავრების ქონება მხოლოდ ქართველ ერს ეკუთვნოდა...

ტრამკურები კარგა ხანია ცდილობენ ჩვენი გულის მოგებას, რათა დადიანების ქონების გადაცემაზე დაგვითანხმონ. საფრანგეთშიც კი წაგვიყვანეს, გვეგონა, ეს მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილური ჟესტი იყო, მაგრამ დაბრუნებისას გაირკვა, რომ ალენი და ვერონიკა ტყუილად არაფერს აკეთებენ. მოითხოვეს, მუზეუმში სამი ოთახი დაგვითმეთ, აქ ვიცხოვრებთო. ეს კანონით დაუშვებელია. ეგეც არ იყოს, მათი მუზეუმში შემოშვება როგორ შეიძლება? სახლი, რომელიც ზუგდიდში ჩამოსვლისას იყიდეს, უგერგილობისა და უყურადღებობის გამო დაეწვათ. ხომ წარმოგიდგენიათ, რას დამართებდნენ მუზეუმს“.

ზუგდიდშიც და სალხინოშიც შიშობენ, რომ წინანდლის ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმის გასხვისების პრეცედენტის შემდეგ სახელმწიფო შეიძლება დათმობაზე წავიდეს და დადიანებისა და მიურატების შთამომავლებს მთავრების ქონების გაკონტროლების უფლება მისცეს, მაგრამ ამას დაუშვებლად მიიჩნევს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

როგორც ტრამკურები და მათი ქართველი ადვოკატი დოდო აბრალავა აცხადებენ, სამართალი იზეიმებს. შეუძლებელია, გულგრილად უსმინო ადვოკატს, რომელიც მხოლოდ იმ ნორმატიულ აქტებს ცნობს, რომელიც მის დაცვის ქვეშ მყოფთა ინტერესებს ითვალისწინებს. აბრალავას თქმით, თურმე სალხინოს სასახლე და კარის ეკლესია მიურატს უყიდია და მეუღლისთვის, სალომე დადიანისთვის უჩუქებია. დადიანების ქონების ნაციონალიზაციის შემდეგ დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოსთვის მნიშვნელობა არ აქვს, საიდან ჰქონდათ დადიანებს ადგილ-მამულები ზუგდიდში, სალხინოში, ჭკადუაში თუ სხვაგან.

**დოდო აბრალავა:** ტრამკურების ადვოკატი: „ნაციონალიზაციაზე რომ ლაპარაკობენ, კარგი იქნება, აქტს თუ გაეცნობიან და ნახავენ, ვისი ქონება იქნა ნაციონალიზებული. განვმარტავ — ნაციონალიზებულ იქნა საქართველოს თავად-აზნაურთა და არა ფრანგი დიდგვაროვნების ქონება. მიურატი არ იყო ქართველი თავადი. სასახლეც, რომელიც სალხინოშია და ჩვენი დავის საგანს წარმოადგენს, დადიანებს არ ეკუთვნოდა. იგი მიურატმა უყიდა მეუღლეს. ავიწყდებათ ისიც, რომ დადიანების ქონება გადაეცა არა სახელმწიფოს, არამედ კოლმეურნეობას(?!), რომელიც არ იყო სახელმწიფო სტრუქტურა. ის კერძო პირების მიერ შექმნილი კოოპერაციული მეურნეობა გახლდათ. შესაბამისად, ღვთისმშობლის შობის ეკლესია არ არის საპატრიარქოს ბალანსზე. უნდა ვიცოდეთ ერთი რამ — ეს არის კარის ეკლესია და არავის აქვს უფლება, ის საპატრიარქოს მიაკუთვნოს(?!). დღეს სალხინოს ეკლესია გამგეობის საკუთრებაა. ამის დამადასტურებელი ყველა დოკუმენტი მაქვს. ამიტომ მანამ დავიცავ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერესებს, სანამ ამის უფლებას სახელმწიფო და საერთაშორისო კანონები მომცემს. რა გგონიათ, მოგების საფუძველი რომ არ მქონოდა, ამ საქმეს ხელს მოვკიდებდი?“

**გიორგი კალანდია,** დადიანების სასახლის გადარჩენის ფონდის თავმჯდომარე, ისტორიკოსი: „როგორც ირკვევა, ქალბატონი დოდო არის არა მარტო ცუდი იურისტი, მან ხეირიანად არც საქართველოს ისტორია იცის — 1919 წელს საქართველოში იყო ეროვნული მთავრობა და მაშინ კოლმეურნეობა არ არსებობდა. საქართველოს თავად-აზნაურთა ქონების ნაციონალიზაცია საქართველოს ბოლშევიკებისგან ოკუპაციამდე ბევრად ადრე მოხდა. ის, რასაც იგი საფუძვლებს ეძახის, ილუზიაა და სხვა არაფერი. აბრალავამ ჟან მურიეს ისტორიული ცნობები წაიკითხოს ამ ეკლესიის შესახებ და მერე თქვას, ვის ეკუთვნის იგი. ტრამკურებსაც ვურჩევ, გაეცნონ არა მარტო იმ დოკუმენტებს, რომლებიც მათ ხელს აძლევს, არამედ ყველა ანდერძსა და ქონების გადაცემის დოკუმენტს, რომლებიც ინახება არქივში. წინაპრის მხოლოდ ქონებით კი არ უნდა იამაყო, არამედ იმითაც, რისთვის იყენებდა ამ ქონებას. იქნებ ამის მაგალითი აელოთ დე შაბო ტრამკურებს დადიანებისგან“.

ეკა ლომიძე

STANDARD BANK
სტანდარტ ბანკი

სტანდარტ ბანკი აცხადებს მიღებას პერსონალური ბანკირის თანამდებობაზე

*მოთხოვნები:*

- მინიმუმ 1 წლის სამუშაო გამოცდილება საბანკო დაწესებულებაში ან დაზღვევის სფეროში;
- ორგანიზებული, პასუხისმგებლობის გრძნობით, მოტივაცია წარმატებისათვის, სწრაფვა მუდმივი წინსვლისაკენ.

*საკვალიფიკაციო მოთხოვნები:*

- უმაღლესი განათლება;
- ენები: ქართული; სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
- საუკეთესო კომუნიკაცია, ანალიტიკური აზროვნება, მართვის უნარები.

განცხადების შემოტანის მსურველებს ვთხოვთ წარმოადგინონ საბუთები:

- CV (რეზიუმე)
- ფოტოსურათი
- დიპლომისა და სერტიფიკატების ასლები

ს.ს. სტანდარტ ბანკის სათაო ოფისში მისამართზე:

ეკა ბარამიძე
ადამიანთა რესურსების მართვისა და
ადმინისტრაციული განყოფილება
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 43

*ანაზღაურება:* 1500 ლარიდან + ბონუსი
*განცხადების შემოტანის ბოლო ვადა:* 20 მაისი, 2006 წ.

ტესტირებისა და გასაუბრებისათვის მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ კვალიფიციური კანდიდატები.
სატელეფონო ზარები არ მიიღება

ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

შ.პ.ს. ფენიქსი
www.phoenix.ge

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

# თვალთვალი სპეცრაზმის თანხლებით არ მიმდინარეობს



## პოლიტიკური ტენდენცია, არაპროფესიონალიზმი თუ „ზედმეტის“ მცოდნე მოწმეთა მიზანმიმართული განადგურება

**ამ ბოლო დროს სწორედ ისეთი დამნაშავენი არიან ლიკვიდირებულნი, რომლებიც წარსულში მაღალჩინოსან პოლიციელებთან ურთიერთობასა და მეგობრობაში იყვნენ შემჩნეულნი**

ბექა პაპუაშვილი



(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ბექა თავისი ფეხით ავიდა სახლში და დაჭრილი ბებიამისს ჩაუვარდა ხელებში. გამოძიება დაიწყო. ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო ნაწილის მაშინდელმა უფროსმა ლაერტ დულაშვილმა საქმე ისეთ გამოუცდელ გამომძიებელს ჩააბარა, რომ მან მომხდარს ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო. მერე გამომძიებელ ფირცხალავას გადასცეს, მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა — გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ფელიქს ძიმისტარაშვილმა საქმე „ჩაფარცხა“. ის ვაზაგაშვილის მეზობელი იყო — ძიმისტარაშვილის შვილი და ზურაბ ვაზაგაშვილი მეგობრები იყვნენ... ვაზაგაშვილის დაჭრა რესტორან „ვილა-ძარაში“ სპეციალურად დაიფარა

> კარგად დაგეგმილი სპეცოპერაციისას დამნაშავე მოთვალთვალე სამართალდამცველს ვერ ამჩნევს. ასეც რომ ყოფილიყო, სპეცოპერაციის მსვლელობისას ეს დეტალი, როგორც წესი, გათვალისწინებულია. ამიტომ გაშიფრული მოთვალთვალე ტოვებს სპეცოპერაციას და მას სათადარიგო ძალები ენაცვლებიან. გარდა ამისა, თვალთვალი, როგორც წესი, სპეცდანიშნულების რაზმის თანხლებით არ მიმდინარეობს.

და საავადმყოფოს შეტყობინებაც გააყალბეს. ამის მერეც არ გამოიძიეს საქმე ობიექტურად. სამი წლის განმავლობაში ვის არ მივმართეთ, მაგრამ ამაოდ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა უტყუარი ფაქტები, ეჭვმიტანილი ვაზაგაშვილი ორ-სამ დღეში გაათავისუფლეს და როგორც საგამოძიებო მასალებშია მითითებული, მისი უდანაშაულობა თურმე ელენე თევდორაძის შუამდგომლობით „გამაგრებულა“. ეს აბსურდია, სამართალდამცველებსა და შსს-ს ჩინოვნიკების ჩარევის გარეშე ამ საქმეს ელენე თევდორაძის შუამდგომლობა ვერ უშველიდა. მკვლელობა უამრავი თვითმხილველის თვალწინ მოხდა და იმას, ვინც ასე აშკარად ისვრის, ცხადია, გავლენიანი მფარველიც ეგულება.

ვაზაგაშვილის ლიკვიდაციით ჩვენს ოჯახს არაფერი მომატებია. პირიქით, სამართალდამცველებს რომ მაშინ თავიანთი მოვალეობა პირნათლად შეესრულებინათ, დღეს ის ცოცხალი იქნებოდა. ამ ხნის განმავლობაში რას აკეთებდა გამოძიება?“

რაც შეეხება ბუბა ბუთურიძეს, ის წარსულში კრიმინალურ საქმიანობაში შემჩნეული არ ყოფილა. ბუთურიძეს თბილისის სისხლის სამართლის საქალაქო სასამართლომ დაუსწრებლად უკვე შეუფარდა წინასწარი პატიმრობა პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის, იარაღის ტარებისა და ყაჩაღობის მომზადების ბრალდებით. ბუთურიძე უკვე გადაყვანილია ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

**ელენე თევდორაძე**: — სამწუხაროდ, არც ვაზაგაშვილისა და არც პაპუაშვილის გვარები არ მახსენდება. როცა ჩემთან ადვოკატი მოდის, არგუმენტები მოაქვს და ამბობს, რომ ადგილი აქვს უსამართლობას, ასეთ შემთხვევაში პროკურატურაში ვაგზავნი თხოვნა-შუამდგომლობას, რომელსაც ან ითვალისწინებენ, ან არა. კონკრეტულ შემთხვევაში, ე. ი. პაპუაშვილის მკვლელობის პერიოდში აღარ ვიყავი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, მე უკვე ოპოზიციაში ვიყავი და როგორ ფიქრობთ, ჩემს შუამდგომლობას გაითვალისწინებდნენ? შესაძლოა, ჩემი შუამდგომლობის საფუძველზე დამნაშავე უკანონოდ გაათავისუფლეს კიდეც, მაშინ პასუხი იმ სამართალდამცველებმა აგონ, რომელთაც ეს ჩაიდინეს.

**— თქვენ წლების განმავლობაში იყავით შეწყალების კომისიის წევრი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ხუბულოვი მეორე მძიმე დანაშაულის ჩადენის შემდეგაც შეიწყალეს, რაც დებულებით აკრძალული იყო.**

— 1995 წლის შემდეგ სულ შეწყალების კომისიის წევრი ვიყავი. თუ პირი მეორედ ნასამართლევი იყო, ჩვენი კომისია მის შეწყალებაზე თავს იკავებდა, მაგრამ პარალელურად ამ საკითხებზე მუშაობდა რუსუდან ბერიძე, რომელიც ცალკე, ჩვენს გარეშე ადგენდა სიას, შეჰქონდა პრეზიდენტ შევარდნაძესთან და აწერინებდა კიდეც

> „ამბობენ, ეს ჯგუფი უამრავ დანაშაულში იყო ეჭვმიტანილიო. თუ სამივეს დააპატიმრებდნენ, ხომ უამრავი საქმე გაიხსნებოდა? ეტყობა, ზოგიერთი პირის დაპატიმრება ვიღაცებს ხელს არ აძლევს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯერ კიდევ მუშაობს ის ხალხი და საკმაოდ მაღალ თანამდებობებზეც, რომელთაც ბევრ რამეში აქვთ ხელები გასვრილი და როგორ ფიქრობთ, აწყობთ მოწმეები?“

ხელს. სხვათა შორის, ბოლო აქტით 300-მდე პატიმარი შეიწყალეს, მათ შორის, რეციდივისტებიც და მკვლელებიც. არავინ ამბობს, რომ ლიკვიდირებულები ბოროტმოქმედები არ იყვნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი პირდაპირ ქუჩაში დახოცო. ვერ ვიტყვი, რომ სახელმწიფომ კრიმინალთა ლიკვიდირების პოლიტიკა აირჩია, მაგრამ ეს ტენდენცია რომ აშკარად გამოიკვეთა, ფაქტია.

ჩაიდინა პირმა დანაშაული? ის აუცილებლად უნდა აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა. არავინ ამბობს, რომ პოლიციამ ექსტრემალურ სიტუაციაში არ უნდა გამოიყენოს იარაღი, მაგრამ ეს უნდა იყოს უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული. კონკრეტულ საქმეშიც ბევრი კითხვის ნიშანია.

თუ პოლიციელებს ეჭვი ჰქონდათ, რომ ჯგუფმა ლომბარდი თუ მაღაზია დააყაჩაღა, რატომ არ გამოიძახა ისინი პოლიციამ დაკითხვაზე მაინც? ვფიქრობ, პოლიციამ საგანგებოდ აცალა მათ ახალი დანაშაულის მომზადება, რათა მერე შოუ მოეწყო. რა საჭირო იყო სროლის გაგრძელება მას შემდეგ, რაც ავტომანქანა ბოძს დაეჯახა, ხომ შეიძლებოდა სამივეს აყვანა? ამბობენ, ჯგუფი უამრავ დანაშაულში იყო ეჭვმიტანილიო. თუ სამივეს დააპატიმრებდნენ, ხომ უამრავი საქმე გაიხსნებოდა? ეტყობა, ზოგიერთი პირის დაპატიმრება ვიღაცებს ხელს არ აძლევს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ჯერ კიდევ მუშაობს ის ხალხი და საკმაოდ მაღალ თანამდებობებზეც, რომელთაც ბევრ რამეში აქვთ ხელები გასვრილი და როგორ ფიქრობთ, აწყობთ მოწმეები?

მაქვს ინფორმაცია, რომ მავანმა და მავანმა იცის სპეცოპერაციისას ჩაცხრილული ადამიანების თავიდან მოცილების ნამდვილი მიზეზი.

შესაძლოა, ელენე თევდორაძის ეჭვი სულაც არ არის საფუძველს მოკლებული. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს სწორედ ისეთი დამნაშავენი არიან ლიკვიდირებულნი, რომლებიც წარსულში მაღალჩინოსან პოლიციელებთან ურთიერთობასა და მეგობრობაში იყვნენ შემჩნეულნი. ცხადია, თავის დროზე მფარველები არც ხუბულოვს აკლდა და არც ვაზაგაშვილს, მაგრამ ეს არ ამართლებს არასწორად დაგეგმილ სპეცოპერაციას... ჯერჯერობით კი, მთავარ კითხვაზე

— რას ემსახურება ეჭვმიტანილთა ხოცვა-ჟლეტა? — პასუხი უცნობია.

P.S. პარლამენტის იურიდიული კომიტეტი კანონპროექტზე მუშაობს. ზუსტად უნდა განისაზღვროს, რა შემთხვევაში შეუძლია პოლიციელს იარაღის გამოყენება, მაგრამ საეჭვოა, ამან უკვე პოლიტიკად ქცეული დამნაშავეთა ლიკვიდაცია შეაჩეროს... კანონში ხომ ისიც განსაზღვრულია, რომ ლიკვიდაცია უკიდურესი აუცილებლობით უნდა იყოს გამოწვეული. სამწუხაროდ, პოლიციელები დღეს კანონის მოთხოვნებს არ ითვალისწინებენ და საინტერესოა, რა საჭიროა ახალი კანონი, თუკი ძველსაც არავინ ასრულებს?

**ხათუნა პაიჭაძე**

# „ქვეყანაში გაცილებით დიდი ფული ტრიალებს, ვიდრე ჩანს“

## „ვინც გარეთ რჩება, მალე ოქრუაშვილს მიაკითხავენ“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

2004 წელს სააკაშვილმა კონსტიტუცია შეცვალა, რის შემდეგ მას მხოლოდ უფლებები დარჩა და არა — მოვალეობები. კონსტიტუცია მთლიანად ძლიერ პრემიერ-მინისტრზე იყო მორგებული, მაგრამ ჟვანია გარდაიცვალა, ნოღაიდელი კი, მარტივად რომ ვთქვათ, ვერ „ქაჩავს“. შესაბამისად, სააკაშვილიც ვერ აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს და ამას ძალიან კარგად იყენებენ.

მთავრობაში არის მესამე ჯგუფიც, რომელიც პირადად სააკაშვილისაა. მასში შედიან: ზურაბ ნოღაიდელი, გელა ბეჟუაშვილი, ლევან ვარშალომიძე, ზურაბ ბეჟაშვილი, ლადო ჭიპაშვილი, გიორგი ხევიაშვილი, კოტე კემულარია, კახა ბენდუქიძე, ლექსო ალექსიშვილი, ირაკლი ჩუბინიშვილი...

რაც შეეხება თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის გუნდს, მას არ ჰყავს ისეთი თანაგუნდელები, რომლებიც სიტუაციას შიგნიდან ამოუტრიალებენ, ისევე როგორც საფეხბურთო გუნდ „ჩელსის“ არ ჰყავს ვარსკვლავები, მაგრამ სამაგიეროდ, ჰყავს კარგი მწვრთნელი და ამით იგებს. ოქრუაშვილთან არიან კარგი იურისტები: გია გუნაძე, ლევან ალაფიშვილი... მასთანაა მიხეილ ქარელიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართლი ოქრუაშვილისაა. ამას წინათ, კობა დავითაშვილმა კარგად იხუმრა — ოქრუაშვილი ახალი ქართლის დედააო, ქართლის პატრონია, ერთ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში — ღვინის თასი. ოქრუაშვილის გუნდის წევრია ქიბარ ხალვაშიც, „რუსთავი 2“-ის მფლობელი.

მართალია, ოქრუაშვილი არ არის ფავორიტი, მაგრამ ის ანგარიშგასაწევი ძალაა. მისი გავლენა დღითი დღე ძლიერდება. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ მერაბიშვილის რეიტინგი ბოლო დროს ძალიან დაეცა. გარდა ამისა, „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ წამოსული ხალხი გუნდში ყველას არ იღებს, ისინი კი, ვინც გარეთ რჩება, მალე ოქრუაშვილს მიაკითხავენ. შესაძლოა, ოქრუაშვილთან აღმოჩნდნენ მიხეილ მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი, ნოდარ გრიგალაშვილი და დავით კირკიტაძეც, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ ის ფრთა, რომელსაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ ლიბერალიზმი არ მოსწონს. ეს კი გამოიწვევს იმას, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს დიდი დაპირისპირება დაიწყება იმაზე, ვისი ხალხი უნდა მოხვდეს სიებში, მით უმეტეს, რომ მომავალ პარლამენტში დეპუტატების რაოდენობა შემცირებულია.

ოქრუაშვილი რომ როგორმე დააკმაყოფილონ, შესაძლოა, მართლაც შესთავაზონ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რომელიც ახლა, ფაქტობრივად, ვაკანტურია. ოქრუაშვილს მაინცდამაინც პრეზიდენტობა არ უნდა, ურჩევნია, ჩუმად მართოს ქვეყანა, პასუხისმგებლობა კი სააკაშვილს დააწვება. ის მოიყვანს თავის ხალხს ანუ ოქრუაშვილი გააკონტროლებს დიდი ფულის მოძრაობას და საქართველოში სწორედ ეს არის ბრძოლის საგანი. ფაქტია, რომ ქვეყანაში გაცილებით დიდი ფული ტრიალებს, ვიდრე ჩანს. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ როდესაც სჭირდებათ, ბიუჯეტს მაშინვე ავსებენ, რომელიღაც მოჯადოებული ჯიბიდან იღებენ ხოლმე. ახლაც პარლამენტში ბიუჯეტის ცვლილებები შეიტანეს — 42 მილიონზეა ლაპარაკი. საიდან მოდის ეს ფული?!

ჯერჯერობით, მთავრობაში „ცივი ომია“ — ხალხის გადაბირება, მოსყიდვა, ბიზნესმენების დაყოლიება... თუმცა ეს ყველაფერი შეიძლება უმართავიც გახდეს და დაიწყოს გარჩევები და მკვლელობები, საპარლამენტო არჩევნების წინ სამხედრო დაპირისპირებაც არ არის გამორიცხული.“

სხვადასხვა პრივილეგიით ხალხის გადაბირება სულ უფრო და უფრო რთული ხდება. სააკაშვილის ფავორიტებიდან ბევრი უკვე სააკაშვილის გარეშეც კარგად გრძნობს თავს. საქართველო კი მერამდენედ დგება ერთი და იმავე პრობლემის წინაშე. პოლიტოლოგების აზრით, კლანური მმართველობის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მოსახლეობა არ იჩენს ინიციატივას, ქვეყანაში საპარლამენტო ხელისუფლება შეიქმნას, იყოს ძლიერი პარლამენტი. ეს მოდელი ბევრ განვითარებულ ქვეყანას აქვს აღებული და მისი მეშვეობით გაცილებით მეტი შანსია, რომ ქვეყანა კონსტიტუციის მეშვეობით მართონ და რამდენიმე კაცის მმართველობის ქვეშ არ მოექცეს, რაც ოდითგანვე ყოფილა საქართველოში დაპირისპირების მიზეზი.

**თეა თოფურია**



# უკმაყოფილოთა თანამეგობრობა

**4 მაისს, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ბალტიის და შავი ზღვისპირეთის ქვეყნების სამიტი შედგა, რომელშიც მონაწილეობდნენ პოსტსაბჭოური ქვეყნების პრეზიდენტები, მათი აღმოსავლეთევროპელი კოლეგები და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი. უცხოური პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ მოვლენას.**

**„ვაშინგტონ პოსტი"** წერს, რომ ლიტვაში, საერთაშორისო კონფერენციაზე, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის მიერ წარმოთქმული სიტყვა იმის მანიშნებელია, რომ აშშ-მა რუსეთთან ურთიერთობაში ტონი შეცვალა.

დიკ ჩეინიმ რუსეთი საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების შელახვასა და ნავთობითა და გაზით მეზობელი ქვეყნების დაშინება-დაშანტაჟებაში დაადანაშაულა. თვით ის ფაქტი, რომ იმ დონის მოღვაწე, როგორიც ჩეინია, ვილნიუსში რეგიონის დემოკრატიული აქტივისტების სამიტზე ჩავიდა, ხოლო მერე აუცილებლობად ცნო კრემლისთვის ყველაზე საძულველ ადამიანებს — საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს შეხვედროდა, — თავისებური სიგნალი იყო მოსკოვისთვის.

ამერიკული წყაროების ცნობით, ბუშის ადმინისტრაციამ გააფრთხილა რუსეთი, თუ ახლო მომავალში კრემლი იმის დამადასტურებელ ნაბიჯებს არ გადადგამს, რომ ის დემოკრატიის მომხრეა, პეტერბურგში „დიდი რვიანის" სამიტზე მას უსიამოვნებები ელის.

„დსთ აღმოსავლეთად და დასავლეთად გაიყო, — წერს გაზეთი **„კომსომოლსკაია პრავდა"** და განაგრძობს, — 2006 წლის 4 მაისს ვილნიუსში, ისევე, როგორც 1945 წელს იალტაში, ევროპის რუკა გადააკეთეს — საბოლოოდ გაფორმდა ახალი გეოპოლიტიკური კავშირი დათ-ი — დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობა, — რუსეთი იქ არავის მიუწვევია, სამაგიეროდ, „დემარჩევანის" მომხრეები აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ ჩეინიმ აკურთხა. ახალშობილი თანამეგობრობა მძლავრ „სანიტარულ კორდონად" ჩამწკრივდა ჩვენი საზღვრის გასწვრივ და თითქმის კასპიის ზღვამდე გადაიჭიმა. გამოდის, რომ ვაშინგტონმა ძველი, ჯერ კიდევ ჩერჩილის მიერ შემუშავებული რუსეთის „იმპერიული ზრახვების" საწინააღმდეგო კონსტრუქცია გამოიყენა. სიახლე მხოლოდ ის არის, რომ „დასავლეთის ერთგულების სარტყელში" არა მარტო მოსკოვთან დიდი ხნის წინ წაჩხუბებული აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოცქვეყნები და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები შევიდნენ, არამედ დსთ-ში ფორმალურად ჯერ კიდევ მყოფი უკრაინა, საქართველო და მოლდავეთი.

აშკარაა, დსთ უკანასკნელ თვეებს ითვლის. საქართველომ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ თანამეგობრობიდან გასვლას აპირებს. იუშჩენკო თვალცრემლიანი ეხვეწებოდა დასავლეთს — რამენაირად მიგვანიშნეთ, რომ უკრაინა თქვენად მიგაჩნიათო. თბილისი, კიევი და კიშინიოვი მზად არიან, დღესვე „მიეწებონ" ნატოს. თანაც ვილნიუსში ჯერ კიდევ რუსეთს ჩაბღაუჭებული სომხეთის და მოჭოჭმანე აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც ჩავიდნენ. ეტყობა, რუსეთს ისღა დარჩენია, ბელორუსიას, შუა აზიასა და ჩინეთს შეეკრას."

გაზეთი **„კომერსანტი"** სტატიაში, „მტერი ზღურბლზე", ვილნიუსის კონფერენციაზე დიკ ჩეინის მიერ წარმოთქმულ სიტყვას საპროგრამოს უწოდებს. „უკანასკნელ წუთამდე თეთრი სახლი კრემლს მხოლოდ პრესმდივნის პირით აკრიტიკებდა. აშშ-ის პირველი პირები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში რუსეთს სანდო პარტნიორს უწოდებდნენ, თუმცა არ უარყოფდნენ ზოგიერთ საკითხში შეუთანხმებლობასაც. ვილნიუსში დიკ ჩეინის მოხსენებამ ეს ტრადიცია დაარღვია. ცივი ომის დასრულების შემდეგ ამერიკას რუსეთის პოლიტიკა ასე მწვავედ არ შეუფასებია.

დიკ ჩეინის მოხსენებას წითელ ზოლად გასდევდა ცივი ომის თემა. მან სათითაოდ დაასახელა ცივი ომის გმირები, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს დემოკრატიის გამარჯვებაში: ანდრეი სახაროვი, ლეხ ვალენსა, ვაცლავ ჰაველი, იოანე-პავლე II, ნათან შარანსკი და რონალდ რეიგანი. მათ სახელებს დიკ ჩეინი გამუდმებით ანაცვლებდა „ჩვენი დროის გმირების" — მიხეილ სააკაშვილის, ვიქტორ იუშჩენკოს და მინსკის ციხეში გამომწყვდეული ბელორუსიის ოპოზიციის ლიდერის, ალექსანდრ მილინკევიჩის სახელებს. ფაქტობრივად, დიკ ჩეინის სიტყვები იმას ნიშნავდა, რომ ცივი ომი განახლებას აპირებს, ოღონდ „ფრონტის ხაზმა" გადაინაცვლა. დემოკრატიის გავრცელება გარდაუვალია. ლიტვური მეთოდები მისაღები იქნება თბილისისთვის, კიევისთვის, ასევე მინსკისა და მოსკოვისთვისო, — თქვა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა. ჩეინმა ბელორუსიაზე ცოტა ხანს, მაგრამ დაუნდობლად ილაპარაკა, ლუკაშენკოს „ევროპის უკანასკნელი დიქტატორის" ტიტული მიანიჭა, შემდეგ კი რუსეთს დაატყდა თავს: რუსეთმა არა მარტო ქვეყნის შიგნით დაიწყო მავნე პოლიტიკის გატარება, არამედ მის გარეთაც — შეუძლებელია იმის გამართლება, რაც ზიანს აყენებს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას ან აფერხებს ამ ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს. არ შეიძლება საკუთარი ინტერესების დაცვის მიზეზით მეზობელი ქვეყნების დაშანტაჟება, გაზის და ელექტროენერგიის შეწყვეტით დაშინებაო. ჩეინის გამოსვლის კულმინაცია გახდა განცხადება: რუსეთს არჩევანის გაკეთება მოუწევს — დაუბრუნდეს დემოკრატიას ან მტრად იქცესო; მაგრამ დასძინა, არავის სჯერა, რომ რუსეთი მტრად იქცევაო. ამ ნათქვამიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვითარების ასეთი განვითარება სრულიად შესაძლებელია.

ბალტიისპირეთისა და შავი ზღვისპირეთის რეგიონების ლიდერები მონდომებით უკრავდნენ ტაშს. დიკ ჩეინის მათდამი მიმართვა ნიშნავდა, რომ სწორედ ეს ქვეყნები უნდა იქცნენ დემოკრატიული დასავლეთისა და პოტენციურად მტრული რუსეთის გამყოფ კედლად. თეთრი სახლის წარმომადგენლის მოხსენებაში უხვად იყო „ახალი დემოკრატების" ქება-დიდება."

„მადლობა ღმერთს, ვიღაცამ მაინც თქვა რუსეთზე სიმართლე, — წერს გაზეთი **„თაიმი"**, — ვლადიმირ პუტინი ალბათ ახლა აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ მისი მეგობრის, ჯორჯ ბუშის მოადგილემ, დიკ ჩეინიმ საქვეყნოდ დაადანაშაულა საერთაშორისო შანტაჟსა და ადამიანის უფლებათა დარღვევაში, თანაც არა ვაშინგტონში, არამედ საბჭოთა იმპერიის დეზინტეგრაციის პირველ პუნქტში — ვილნიუსში.

შესაძლოა ზოგიერთებმა ჩეინიზე თქვან, — ვაშინგტონის ინტერესებს დარტყმის ქვეშ აყენებსო, რადგან აშშ ახლო აღმოსავლეთის ენერგეტიკის ალტერნატივას სწორედ რუსეთში ეძებს. სხვები კი იტყვიან, ასე ჯიქურ იმიტომ ლაპარაკობს, რომ ვერ გაუგია იმ მტკივნეული ურთიერთობის ნიუანსები, რომელიც რუსეთს მეზობლებთან და წარსულთან აკავშირებსო. მაგრამ სათანადოდ ვერავინ აფასებს ვიცე-პრეზიდენტსა და იმ ტენდენციების სახიფათობას, რომელიც მან დაგმო. ევროპა კრემლს მწვავედ ვერ აკრიტიკებს, რადგან მის გაზზეა დამოკიდებული. მაგრამ ვიღაცამ მაინც ხომ უნდა უთხრას სიმართლე პუტინს, თანაც ახლა, მერე გვიან იქნება..."



# აფხაზეთს СНГ-ში შესვლა უნდა

LENTA·RU

აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა განაცხადა, რომ მისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები დსთ-ში შესვლა და რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური დაახლოებაა. თანამეგობრობაში შესვლის საკითხს აფხაზეთი ამ წლის ბოლომდე დააყენებს და არც რუსეთის ფედერაციაში ასოცირებულ წევრობაზე ამბობს უარს. აფხაზეთის ხელისუფლება უკვე რამდენიმე წელია, სთხოვს რუსეთის პრეზიდენტს, რუსეთის ფედერაციის ასოცირებულ წევრად მიგვიღეო, რადგან ეს სტატუსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აფხაზეთს ექნება იგივე ვალუტა, რაც რუსეთს, ხოლო საგარეო პოლიტიკურ საკითხებში — ერთიანი ხაზი, ანუ ერთობლივად გადაწყვეტენ უსაფრთხოების, სასაზღვრო და საბაჟო სფეროებში არსებულ პრობლემებს. დანარჩენ საკითხებში ასოცირებული წევრები დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ. მაგრამ ამგვარი ურთიერთობების დამყარება მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის არის შესაძლებელი.




„კპ"-ის ძვირფასო მკითხველო! არ გამოტოვოთ!

5 მაისს თქვენ „კომსომოლსკაია პრავდისგან" საჩუქრად მიიღებთ 2006 წლის საზეიმო კალენდარს წარწერით: „არ დალიო ქართული ღვინო!"

ლხინის საბაბს ყოველდღე მოძებნის კაცი, მაგრამ ახლა ჩვენ ჩვენი არამეგობარი მეზობლების სპირტიან სასმელებს აღარ დავლევთ! თუ საკუთარ თავს და სამშობლოს აფასებთ, დაკიდეთ ეს კალენდარი კედელზე.

თუ გაზეთში საჩუქარი არ აღმოჩნდება, აუცილებლად შეგვატყობინეთ.

# ვის ემუქრება საქართველოს თავდაცვის მინისტრი?

*ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას, — თუ 2007 წელს ცხინვალში არ შევხვდები, თანამდებობიდან გადავდგებიო, რუსული პრესა ხმალამოღებული შეხვდა.*

„ოქრუაშვილმა მსოფლიო ბაზარზე ქართული სპირტიანი სასმელების გატანის საქმეში ბევრს ვერაფერს მიაღწია, ადგილობრივი ღვინის მწარმოებლები გაანაწყენა, რუსულ ბაზარზე დაბრუნების თეორიული შესაძლებლობაც დაკარგა და ამის შემდეგ ძველი ხელობა გაიხსენა, — წერს **„როსიისკაია გაზეტა"**, — რადგან სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში ნებით შესვლას არ აპირებს, ნათელი ხდება, თუ რა გზით აპირებს ოქრუაშვილი „ამბოხებულების" დაბრუნებას, თუმცა კი ამტკიცებს, — ამერიკელი მეგობრების დახმარებით კონფლიქტის მოგვარებას მშვიდობიანი გზით ვაპირებთო".

გაზეთის აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ბაზების განლაგების სანაცვლოდ, ვაშინგტონმა შეიძლება ოქრუაშვილს აშშ-ში ღვინით ვაჭრობის ნებაც დართოს. სხვა საქმეა, როგორ შეხედავენ ამას ამერიკელი მეღვინეები და მოსახლეობა, რომელთაც პოლიტიკური მიზნით რუსი ექსპერტების მიერ დაწუნებული სასმელების გასინჯვა მოუწევთ.

**„ნეზავისიმაია გაზეტა"** მინისტრის ხმამაღალ განცხადებაში „საქართველოში ხელისუფლების ფარულ გადანაწილებას ხედავს". ოქრუაშვილმა არა მარტო სამხრეთ ოსეთის დაბრუნება დაიქადა, არამედ დსთ-ში საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხის ერთ კვირაში გადაწყვეტასაც დაჰპირდა მოსახლეობას. როდის აქეთაა, თავდაცვის მინისტრი ოფიციალური პოლიტიკური განცხადებებით გამოდიოდა? — კითხულობს გაზეთი, — ჩანს, თბილისი საკადრო გადანაწილებას აპირებს. განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელის პაატა ზაქარეიშვილის აზრით, „ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, დსთ-დან გამოსვლის შესახებ, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ არსებობს ერთგვარი „პოლიტბიურო", რომელშიც პრეზიდენტთან დაახლოებული პირები შედიან და თავისი ოფიციალური თანამდებობისგან დამოუკიდებლად, ფაქტობრივად მართავენ ქვეყანას".



# ხვალ რომ ომი დაიწყოს...

ИЗВЕСТИЯ

საქართველოს რუსეთის ნაწარმის შემოტანის აკრძალვა უნდა — ეტყობა, რუსეთთან სავაჭრო ომისთვის ემზადება.

ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებამ პირველი მსხვერპლი უკვე ამოიღო მიზანში — რუსული ლუდი. თეორიულად, ლუდს უნდა მოჰყვეს სიგარეტი, წვენები და სხვა სასურსათო საქონელი. შესაძლო სანქციები მაინცდამაინც არ დააზარალებს რუსეთის მწარმოებლებს, რადგან საქართველოს წილი ჩვენი ქვეყნის საქონელბრუნვაში დაახლოებით 0,1%-ია... მაგრამ რადგან დღეს საქართველოს მაღაზიები სავსეა რუსული ლუდით, წვენებით, სიგარეტითა და სხვა პროდუქტებით, ამიტომ აზრი საქართველოს მხრიდან ტრადიციული ალავერდის (იგულისხმება რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლების აკრძალვა) გადაცემისა, მთლად უპერსპექტივოდ არ გვეჩვენება. მით უმეტეს, რომ 2005 წელს რუსეთმა საქართველოში 351,3 მლნ დოლარის საქონელი შეიტანა, იქიდან კი 154,5 მლნ დოლარისა შემოვიდა. ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვა შარშან 505,8 მლნ დოლარს შეადგენდა, რომელიც 2004 წელთან შედარებით 50,1%-ით გაიზარდა.

მოკლედ, საქართველო პასუხისთვის მზად არის. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, — მივესალმები, თუ რუსული ლუდის აკრძალვას გადაწყვეტენ ქართულ ბაზარზე, რომლის წილი 15%-იაო. საკითხავია, ეს ბევრია თუ ცოტა? და მაინც, თუ საქართველო უარს იტყვის MADE IN RUSSIA-ს საქონელზე, ეს მისსავე ხალხს დააკლდება, რადგან 2004 წლის IV კვარტალში რუსეთიდან საქართველოში შეიტანეს 187.000 დოლარის 331038 ლ ლუდი, ხოლო 2005 წლის იმავე პერიოდში კი უკვე 274.000 დოლარის 491897 ლ.

საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს ხილის კონცენტრატებისაგან წვენების დამზადების თანამედროვე საწარმოები, ამიტომ, ალბათ ქართველებს პაკეტის წვენი ძალზე მოენატრათ. საქართველომ შარშან 1მლნ 237 ათასი ლ ტომატის, ფორთოხლისა და ვაშლის წვენები შეისყიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთში 2 მლრდ 200 მლნ ლიტრზე ნაკლები წვენი არ იწარმოება, ქართული ბაზრის დაკარგვა ჩვენთვის დიდი დანაკლისი არ იქნება — „თუ ქართველები ჩვენს წვენებზე უარს იტყვიან, ჩვენ დაახლოებით წელიწადში 25 მლნ რუბლს დავკარგავთ ანუ რას დააკლებს სპილოს ჩიტის საფანტი?"— ამბობს რუსეთის წვენების მწარმოებელთა კავშირის თავმჯდომარე ვალერი ოსტაპეცი.

მაგრამ საქართველოში „რუსეთისას" არა მარტო სვამენ, არამედ ეწევიან კიდეც. სხვათა შორის, საქართველოს ტერიტორიაზე მოწეული ყოველი მეორე სიგარეტი რუსულია. შარშან იქ რუსული წარმოების 2 მლრდ 442 მლნ სიგარეტი გავგზავნეთ (28,9 მლნ დოლარისა), რაც გაცილებით მეტია, ვიდრე აზერბაიჯანისა და მოლდავეთისთვის მიწოდებული საქონელი.

პარადოქსულია, მაგრამ მინერალურ სასუქსაც კი, რომელიც ქართულ ღვინოში ჩვენმა გენადი ონიშჩენკომ აღმოაჩინა, საქართველოს რუსეთი აწვდის.

# დაწუნებულ ღვინოებს — ოქრო და ვერცხლი...

РОСБАЛТ

მოსკოვში ჩატარებულ ღვინის საერთაშორისო კონკურსზე, VINNAIA KORTA OPEN-2006, მოლდავურმა ღვინომ, „კაგორმა", ოქროს მედალი მიიღო, ქართულმა „საფერავმა" — ვერცხლი. საქართველოს მიერ წარდგენილმა სხვადასხვა სახის ღვინოებმა კი ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. ჟიურიში შედიოდნენ რუსი, ფრანგი და იტალიელი სპეციალისტები.

ქართული ღვინოების ასე გულუხვად დაჯილდოება უცნაურად მოჩანს, რადგან 2006 წლის 27 მარტიდან რუსეთის ტერიტორიაზე მათი შეტანა აიკრძალა. კონკურსის ორგანიზატორთა განმარტებით, ღვინოები რუსეთში ოფიციალურ აკრძალვამდე იყო შეტანილი.

საგანგებოდ აღინიშნა, რომ ამ ჟიურიში MASTER OF WINE-ის ტიტულიანი სპეციალისტები შედიოდნენ. მათი შეფასების ფონზე რუსეთის სანიტარული სამსახურის აზრი მართლაც სასაცილოა, — განაცხადა ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა იგორ სერდიუკმა.

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიხითხილებს

ძმები 5-წლის **შოთიკო** და 4 წლის **გიორგი** უყურებენ ტელევიზორს.

შოთიკო ეუბნება გიორგის:

— გიორგი, ტუჩებში კოცნა არ შეიძლება!

გიორგი პასუხობს:

— ესენი კი არ კოცნიან ერთმანეთს, კბილებს ატოლებენ.

***

დედა აიძულებს პატარა **ლუკას** დალიოს წამალი:

— საყვარელო, შენს თავს შეუძახე: „წამალი გემრიელია, წამალი გემრიელია“ და შენც უფრო ადვილად დალევ.

— დედიკო, არ ჯობია, ვიძახო, — უკვე დავლიე, უკვე დავლიე!

## II ანა, გამოიცანი

**1. სად გამოიგონეს ქაღალდი?**

ა) ჩინეთში; ბ) ეგვიპტეში; გ) საბერძნეთში; დ) იტალიაში.

**2. რა არის კომპლიმენტი?**

ა) შური; ბ) ძაგება; გ) შექება; დ) გაკიცხვა.

**3. რომელ ანსამბლში მღეროდა ჰამლეტ გონაშვილი?**

ა) „ორერაში“; ბ) „დიელოში“; გ) „როველაში“; დ) „რუსთავში“.

**4. ამ ფრინველებიდან რომელია ყველაზე პატარა?**

ა) მტრედი; ბ) ყვავი; გ) მერცხალი; დ) თოლია.

**5. რომელია აღდგომის შემდეგ ყველაზე დიდი რელიგიური დღესასწაული?**

ა) ფერისცვალება; ბ) ხარება; გ) ნათლისღება; დ) შობა.

## III

ნუმერაციის მიხედვით შეიტანე უჯრედებში ქვემოთ მოცემული ნახატების სახელწოდებათა პირველი ასოები და გრაფებში მიიღებ ერთ ცნობილ ანდაზას



## I ააწყვე ნახატი, გამოიცანი, რომელი დეტალი აკლია და რომელია ზედმეტი







## ყორანი და მელა

იგავი

ყორანმა ხორცის ნაჭერი იშოვა და ხეზე შემოჯდა, მელას ხორცი მოუნდა. მიცუნცულდა და უთხრა:

— ჰეი, ყორანო, გიმზერ და ვფიქრობ, შენი ახოვნება და სილამაზე მხოლოდ მეფეს შეშვენის! რა კარგი მეფე იქნებოდი, ხმა რომ გქონდეს.

ყორანმა ხახა გაალო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყრანტალა. ხორცი გაუვარდა. მელამ პირი დასტაცა და შესძახა:

— ჰეი, ყორანო, ჭკუა რომ გქონებოდა, მართლაც მეფე იქნებოდი!.

მხიარული „ატრაქციონი“ თქვენი პატარებისთვის




ყველაზე საბავშვო ჟურნალი

## ვისაუბროთ სწორად!

| | | | |
|---|---|---|---|
| ემსგავსება | და | არა | ემგვანება |
| დაურტყამს | და | არა | დაურტყია |
| დავიწყებია | და | არა | დავიწყნია |
| დათვრება | და | არა | დაითვრება, დაითროზა |
| აპკურებს | და | არა | აბკურებს |
| ეკვრება, ეკვრის | და | არა | ეკროზა |

მოთხრობა

## კარგი ამხანაგი

— აბა, ერთი მითხარი, რა უნდა ისწავლო უჩასაგან? ქვებს ისვრის, ცუდ სიტყვებს ამბობს, გაუგონარია, მთელი დღე ნადირივით ტყეში დარბის... ნუთუ მაგაზე კარგი ამხანაგი ვერ გამონახე შენს ტოლებში?! — უჯავრდებოდა ტარიელს დედა.

ტარიელი ჩუმად იდგა.

— არ გესმის, ბიჭო! შენ გელაპარაკები! როგორ გაჩუმებულხარ? ხმა ამოიღე. რაზე ფიქრობ?

— მე იმაზე ვფიქრობ, ალბათ, უჩას დედაც ეგრე არიგებს თავის შვილს: — კარგ ამხანაგებთან ითამაშეო, — წარმოთქვა ჩაფიქრებულმა ტარიელმა.

*მარიჯანი*

## საიდან მოდის...

### დათვური სამსახური

გაჩნდა ი.ა. კრილოვის იგავ-არაკის „დათვი და მეუდაბნოეს“ გამოქვეყნების შემდეგ. დათვი და მეუდაბნოე დამეგობრდნენ. ტყეში გაისეირნეს, კაცი წამოწვა და დაიძინა, დათვი დარაჯად დადგა. მძინარე კაცს არ ასვენებდა ბუზი. დათვი ცდილობდა, ბუზი მძინარესთან არ მიეშვა, მაგრამ ბუზი კაცს მაინც დააჯდა. გაჯავრებულმა დათვმა ბუზს ქვა დასთხლიშა, „მაგრამ თქვენს მტერს, რაც ძმობილს მან გაუწია მოყვრობა“, — ამბობს პოეტი.

გამოიწერეთ ცხელი ნიმნები 42-43-40; 33-26-73

წიგნში შევიდა ოტია იოსელიანის თორმეტი ახალი ზღაპარი.




წიგნი საუკეთესო საჩუქარი იქნება თქვენი პატარებისთვის...

124 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: 8 ლ.

პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მაშუკა ხუციშვილმა

# ანიმაციით გაცოცხლებული საქართველოს ისტორია

*ქართველი კაცი წარსულის შესანახად ისევე იბრძოდა, როგორც აწმყოსთვის. აწმყოსთვის ომი ბევრჯერ წაგვიგია, მაგრამ მტერმა წარსულს ვერაფერი დააკლო. ჩვენი ყოფიერების ფესვი სამყაროში ნელ-ნელა ინახებოდა და მასზე დროდადრო ძლიერი ქვეყანა აღმოცენდებოდა ხოლმე. დრო შეიცვალა, მაგრამ ჩვენი არსებობის წესი არ შეცვლილა — ქართველი დღესაც იბრძვის, რომ წარსული შეინახოს და ამით მომავალი გადაარჩინოს...*

*ამას წინათ მეორე თუ მესამეკლასელების აცაბაცა, მაგრამ გულმოდგინედ დაწერილი წერილები წამიკითხეს. ისე ალტაცებით წერდნენ საქართველოს ისტორიაზე, ვიფიქრე, წარსულის ასე ცოცხლად აღქმა როგორ შეძლეს-მეთქი... თურმე სულ უბრალოდ: როცა ქვეყნის აწმყო დაუცველი გახდა, გამოჩნდა კაცი, რომელმაც იფიქრა, მომავალი თაობისთვის ისეთი რამ გაეკეთებინა, რომ თავისი სამშობლოს ისტორია შეეყვარებინა და ასე მომავალი გადაერჩინა... და ამ კაცმა წლების განმავლობაში თავდაუზოგავად იშრომა...*

*კარგ ხასიათზე დასადგომად პატარების წერილები შინ წავიღე და, თუმცა შთაბეჭდილებებს მათსავით ლამაზად ვერ გადმოგცემთ, მაინც მოგიყვებით ამბავს, თუ როგორ ისწავლება წარსულის სიყვარული.*


ირაკლი მახარაძე, გია ლაფაური

## „ამისთანა გმირობაზე თუ არ გაზარდე ქართველი...“

*გია ლაფაური, მხატვარი-მულტიპლიკატორი:* — აღარც კი მახსოვს, როდის დავიწყე ამ თემაზე ფიქრი. ეს ზღაპარივით უნდა ყოფილიყო... დავიწყე ხატვით — ჟურნალ „დილისათვის“ დავხატე ამბები საქართველოს ისტორიიდან და „ბოცოსა და გვანცას“ თავგადასავალი დავარქვი... ბოცო და გვანცა საქართველოს ისტორიაში „დადიოდნენ“, მე თან „დავყვებოდი“. ბავშვებს ისე მოეწონათ, როცა ჟურნალიდან წამოვედი, წერილები გამოგზავნეს და უკან მიმაბრუნეს. ვიფიქრე, ასეთივე ნახატებით ანიმაციური ფილმი გადამეღო. მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა მულტფილმების სტუდია, მაგრამ გადაღება რომ დავიწყე, სტუდიაც გაჩერდა. მე კი გაჩერებას გული არ მიშვრებოდა. ავდექი და ტელეფილმების სტუდიაში წავედი. ბატონმა მერაბ კოკოჩაშვილმა რეჟისორი ირაკლი მახარაძე გამაცნო... უკვე ორმა დავიწყეთ წვალება, მაგრამ ეს საქმე წვალებად ნამდვილად ღირს. ორივემ ვიცით, რა სიკეთე შეიძლება მოიტანოს ამ ფილმმა მაშინ, როცა ყველაფერი გლობალურ პროცესებშია ჩართული. დღეს ჩვენს ეროვნულობას სხვანაირად სჭირდება გაფრთხილება — რაღაც ახალი უნდა გამოვიგონოთ. ასე იქცეოდნენ ჩვენი წინაპრები დროისა და გარემოს შესაბამისად...

11 სერიის გადაღება მოვახერხეთ. რაც გადავიღეთ, სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა გარემოში გაზრდილ ბავშვებს ვაჩვენეთ და ეკრანებს ველარ ვწყვეტდით. ერთი ათწუთიანი სერიაც საკმარისია, რომ პატარას ბევრი რამ სამუდამოდ ჩარჩეს მეხსიერებაში... ბოლო სერიის ფული სახელმწიფომ გადაგვიხადა — სულ 14.000 ლარი. უცხოეთში კი ერთი ანიმაციური სერიის გადაღება დაახლოებით 200 ათასი დოლარი ჯდება... მაგრამ ჩვენ ესეც მადლიერებით მივიღეთ. გადავიღეთ თამარ მეფე და გავჩერდით... გიორგი ბრწყინვალესა და ერეკლე მეფეს რაღა ვუყოთ, რა ვუყოთ იმ ხუთ მოხევეს, დარიალის ხეობას მანამდე რომ სდარაჯობდნენ, სანამ არ შეუთვალეს, — მაქედან წამოდით, საქართველოს მთავრობა უცხოეთში წავიდაო!.. ამისთანა გმირობებზე თუ არ გაზარდე ქართველი, ქართველად ხომ ვერ ივარგებს... მით უმეტეს, როცა ბავშვები წიგნებს დაშორდნენ...

*ირაკლი მახარაძე,* რეჟისორი: — ვილას არ ვთხოვეთ დახმარება, ჩვენთვის მთავარია წარსული დაგვრჩეს და სულერთია ვინ დაგვეხმარება. ჩვენ ხომ მომავალი თაობისათვის, და არა მხოლოდ მათთვის, მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ. მეგობარს გავატანე ფირი და რამდენჯერმე დამირეკა — გაიხარე, ჩემს შვილს ამის გარდა აღარაფერი უნდაო...

*გია ლაფაური:* — ირაკლიმ ფილმში თანამედროვე ანიმაციის სიუჟეტებიც შეიტანა — ის, რაც ბავშვებს მოსწონთ. ზღაპრების პერსონაჟებიც გვყავს და მეგზურებიც — ბიჭი და გოგონა და, რა თქმა უნდა, — ჩვენი გმირი წინაპრები, ჩვენი ომები, მეფეები და დედოფლები... სერიალი სინთეზური გამოდის — ზოგი კადრი ნამდვილი ნატურაა: მაგალითად, ბრძოლის ველები (თუნდაც დიდგორი), ეკლესიები, ფრესკები...

**— ანიმაცია ისტორიულ ფაქტებს ხომ არ დაამახინჯებს?**

*გია ლაფაური:* — რატომ უნდა დაამახინჯოს? პირადად მე ათი წელი ვიარე კონსულტაციებზე ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძესთან. დროშით


„თამარის დროშა გაშალეს“...

დაწყებული, ტანსაცმლის ფორმით დამთავრებული, ყველაფერს ვათანხმებდი. სხვათა შორის, მისი და მისნაირი ადამიანების დამსახურებაცაა, ხელი რომ არ ჩავიქნიე. მარწმუნებდა, რასაც აკეთებ, ძალიან საჭიროაო. უამრავი ისტორიული წიგნი წავიკითხე. მათ შორის, წყაროებიც.

**— ხომ არ შეგიმჩნევიათ, რა მოსწონთ ბავშვებს ყველაზე მეტად საქართველოს ისტორიაში?**

*ირაკლი მახარაძე:* — ხასიათს გააჩნია. ისე, ომებს ყველა სუნთქვაშეკრული უყურებს. ის გადავიღეთ, რაც ბავშვის სულს გააფაქიზებს, მათ შორის ის, რასაც მემატიანე ძუნწად გადმოგვცემს. ამ ძუნწი წინადადების მიღმა რაც იყო, ბავშვების ფანტაზიით წარმოვიდგინეთ: ბავშვებს ვუამბეთ იმის შესახებ, როგორ მოიტაცეს ოსებმა მეფე ვახტანგ გორგასლის და გურანდუხტი და მერე მეფემ როგორ დაიბრუნა იგი; როგორ გაერთიანდნენ ქართლის მმართველი ფარნავაზი და ეგრისის მმართველი ქუჯი და როგორ განდევნეს საქართველოდან ბიზანტიური ორიენტაციის აზონი. ამ ბრძოლაში ქართველების მხარეზე ათასი ბერძენი მეომარი გადმოვიდა — უდიდესი სტრატეგიული ამბავია! ჰოდა, ეს ფაქტი რომ კარგად აღექვათ ბავშვებს, ამ ეპიზოდში ბერძნული ცეკვის, „სირტაკის“ მუსიკა შევიტანეთ — სულ „სირტაკის“ ცეკვით გადმოდიან ბერძნები ქართველების მხარეზე. დიდ ისტორიულ ამბებშიც შევიტანეთ ფანტაზიები, მაგალითად, დიდგორის ომში, მანგლისში დაბანაკებულ მტერს ქართველებმა ისე შეუქმნეს საქმე, რომ მთავარ ბანაკს ვერ შეუერთდნენ. მემატიანე არ გვამცნობს, როგორ მოხდა ეს ამბავი. ჩვენ კი სულ უბრალო რამ მოვიფიქრეთ — ჩვენი ფილმის გმირებმა თურქებს ფლავში საძინებელი წამალი ჩაუყარეს და... წკაპ — ისე დააძინეს, ბრძოლა ველარ მოახერხეს...

**— საინტერესოა...**

*გია ლაფაური:* — ჩვენც ასე ვფიქრობთ. მაგრამ მხოლოდ ფიქრით სერიალს ვერ დავასრულებთ. ეროვნული სახელმწიფოს შენებაზე ვლაპარაკობთ და იდეოლოგია კი არ გვაქვს... ასეთი ხელოვნება იდეოლოგიაა... საქართველოში მცხოვრებ არაქართველებს საქართველოს სიყვარულს ბრძანებით ვერ ასწავლი. ამ ანიმაციურ ფილმს კი ყველა ბავშვი სიამოვნებით ნახავს...

**— უხელფასოდ 11 სერიის გადაღება როგორ შეძელით?**

*გია ლაფაური:* — ასეთ რამეებში ადამიანს განგება ეხმარება... ისე კი ამ ჩანაფიქრის განხორციელებას მართლა წლები შევწირე. ამისთვის ტილოზე ხატვაც კი დავივიწყე. ანიმაციისთვის კი ათიათასობით ნახატი დავხატე. ვინც ანიმაციის სტრუქტურა იცის, მიხვდება, ეს რა შრომაა — პერსონაჟის ყოველი მოძრაობის გადმოსაცემად სულ ახალ-ახალი ნახატებია საჭირო. არ ვწუწუნებ — იმიტომ ვიშრომე, რომ ეს გვჭირდება, მაგრამ ფილმს, ჩვენ გარდა ვერავინ უპატრონებს — იგი მხოლოდ საქართველოს სჭირდება. თუ ასეთსავე ფილმს სხვას გავუკეთებთ, კი ბატონო — სიამოვნებით დაგვაფინანსებენ. რუსებმა უკვე მთხოვეს, მსგავსს ჩვენთვისაც ხომ არ გადაიღებდითო. ეს რუსების გასაკეთებელია-მეთქი. ჩვენ კი ყველას ჩვენი ვალი გვაქვს მოსახდელი და ჩვენი საქვეყნო ტვირთი გვადევს. თუ მის ზიდვაში ერთმანეთს არ შევეშველეთ, არაფერი გამოგვივა...

***ეთერ ერაძე***





15 საუკეთესო ქართული მოთხრობა 2005




ავტორები:
ნიკუშა ანთაძე
პაატა ბერიკაშვილი
თეონა დოლენჯაშვილი
ანა კორძაია-სამადაშვილი
ირმა მალაციძე
აკა მორჩილაძე
მარიანა ნანობაშვილი
ზაალ სამადაშვილი
ირმა ტაველიძე
დავით ქართველიშვილი
ეკა ღაღანიძე
ნუგზარ შატაიძე
გელა ჩქვანავა
ბესო ხვედელიძე
კოტე ჯანდიერი

ახალი წიგნი

ფასი 7.00 ლარი
252 გვერდი, რბილი ყდა

ლიტერატურული პრემია „წლის საუკეთესო მოთხრობა“

კრებულში შესულია 2005 წელს ქართულ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან შერჩეული 15 საუკეთესო მოთხრობა. თითოეული მათგანი ამავე დროს არის ნომინანტი პრემიისა „წლის საუკეთესო მოთხრობა“, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ წელს უკვე მეორედ გადასცა სამი საუკეთესო მოთხრობის ავტორს.

პირველი პრემიის ლაურეატი
კოტე ჯანდიერი

მეორე პრემიის ლაურეატი
ნიკუშა ანთაძე

მესამე პრემიის ლაურეატი
ანა კორძაია-სამადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუთხოვარი ქვრივი...

მარტოხელა ადამიანს რა დალევს წუთისოფელში. არც იმას ვიტყვი ახალს, რომ ბევრისთვის მარტოობა სოფლად უფრო იოლი გადასატანია, ვიდრე ქალაქში... არც თვლიან თავს მარტოხელად და გაიკვირვებენ კიდეც: „რათა ვარ მარტო, შემოგვევლე, აგერ არ მყვანან მეზობლები და კაი ბიძაშვილები?!“

ალბათ ესეც არის მიზეზი, რომ ქართველმა სადაც არ უნდა იცხოვროს, სიბერეში გული მაინც თავისი სოფლისკენ მიუწევს და თუ სიცოცხლეში ვერ აისრულა საწადელი, სიკვდილის წინ ანდერძად იბარებს — ჩემს სოფელში წამასვენეთ, იქაურ მიწას მიმაბარეთო!

ვერიკო ბებია გაუთხოვარი ქვრივი იყო... დიახ, არ შემშლია და სწორად ვწერ, რისი თქმაც მინდა...

ვლასი გურგენიძე გამორჩეული ყოფილა გარეგნობითაც და ვაჟკაცობითაც. საიდან არ მოდიოდნენ თურმე მაჭანკლები, რა ქონებას და მზითევს არ ჰპირდებოდნენ გასათხოვარი ქალების მშობლები, გოგონები ხომ მასზე ოცნებობდნენ, მაგრამ ისე მოიყარა 27 წლის, ცოლის მოყვანა არც უფიქრია. დაუქვრივდა ახალგაზრდა და, რომელსაც ორი შვილი და მოხუცი დედამთილ-მამამთილი დარჩა მისახედი: — ჯერ დის ოჯახს დავაყენებ ფეხზე და ჩემს თავზე მერე ვიფიქრებო...

ვერიკოს მამიდა ჰყოლია გამოთხოვილი ვლასის სოფელში და ხშირად მიდიოდა მასთან დედით ობოლი გოგო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მამამისმა ცოლი შეირთო და დედინაცვალს გერისთვის ტკბილი სიტყვაც არ ემეტებოდა ადვილად... მამიდამისის მეზობლად ცხოვრობდა ვლასი და პატარა გოგოს თავდავიწყებით შეჰყვარებია მასზე ბევრად უფროსი ბიჭი. ვლასი ბავშვივით ეფერებოდა თურმე 13-14 წლის გოგოს, ვერც ხვდებოდა, რა ცეცხლიც ბრიალებდა მის გულში. ვერა ხშირად გადაირბენდა ხოლმე ვლასის ეზოში. დატრიალდებოდა, დაგვიდა, ყვავილებს მორწყავდა, ფანჯრებს გაწმენდდა, თან მაშინ, როცა ვლასი შინ არ იყო...

მამიდა უფრო ადრე მიუხვდა გულისნადებს და დატუქსა, — გოგო ხარ, კაცმა სიყვარული არ უნდა შეგატყოს, თორემ სითამამეს არ გაპატიებს, სახელი გაგიტყდებაო! ბოლოს კი ძმისშვილს თავისთან ხშირად სტუმრობაც აუკრძალა...

...ვერას ათასი რამ უკლავდა გულს — გარდა იმისა, რომ ბევრად უმცროსი იყო, პატარას და სუსტს კეხიანი ცხვირიც ართმევდა ლაზათს, სარკეში რომ ჩაიხედავდა, თვალზე ცრემლი მოადგებოდა...

1941-ში, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ვლასი 28 წლისა იყო, ვერა მხოლოდ 16-ის... რომ გაიგო, ვლასის უწყება მოუვიდა და დღე-დღეზე ომის გზას დაადგებოდა, თითქოს გონება გადაეკეტა, აღარც თავმოყვარეობა ედარდებოდა, არც სოფლის ჭორი და საყვედური — შინიდან გაიპარა და დაძინებულ კაცს ნაშუაღამევს თავს დაადგა, მუხლებში ჩაუვარდა ატირებული: — მიყვარხარ და მთელი ცხოვრება დაგელოდები, სხვა კაცის ცოლი არასოდეს გავხდებიიო!..

ვლასიმ ბავშვის ჭირვეულობად ჩათვალა ყოველივე, სცადა ხუმრობაში გადაეტანა მოსმენილი, მერე დატუქსა, მაგრამ გოგომ, — სხვაზე გაყოლა რომ მაიძულონ, იცოდე, რიონის ტალღებს მივცემ თავსო.

ვლასიმაც გულახდილად უთხრა, რომ მართალია არავინ ჰყვარებია, მაგრამ არც მასზე ფიქრი გაუვლია გულში არასოდეს. ახლა კი ომში წასვლის გარდა არაფერზე ფიქრობდა... მერე სახლამდე მიაცილა... თუმცა კი ვერას სიყვარულზე ალბათ აღარც უფიქრია, რადგან გოგოს უამრავ წერილზე ერთი პასუხიც არ გამოუგზავნია. ძალიან განიცდიდა თურმე ვერა, ყოველდღე დადიოდა ტაძარში და ღმერთს თავისი ხელით ჩამოქნილ თაფლის სანთელს უნთებდა — ვლასის სიცოცხლეს ავედრებდა. ყველამ გაიგო სოფელში მისი სიყვარულის ამბავი, მაგრამ არავის დაუცინია, პირიქით, ამშვიდებდნენ: — ნუ გეშინია, დაბრუნდება და შენს სიყვარულსაც დააფასებსო!..

1943 წლის მაისში გამოჩნდა ვლასი, ორიოდე კვირით გამოეშვათ შვებულებით, ისიც იმიტომ, რომ ჩვილი გოგონა ახლობლებისთვის დაეტოვებინა: ბავშვი რუსი ექთანისგან შესძენოდა. დედა მშობიარობას გადაჰყვაო! — თქვა თავდახრილმა. მუხლებში ჩაუვარდა ვერა, — ხომ იცი, უშენოდ სიცოცხლეც არად მიღირს, მაგ ბავშვის გაზრდის ნება მაინც მომეციო!.. ჯერ იუარა ვლასიმ, მაგრამ როცა დაავადებულ დას და მის პატარებს შეხედა, უცებ მიიღო გადაწყვეტილება: სოფელი შეყარა და ხალხს გამოუცხადა: ჩემსა და ვერას შორის არაფერი ყოფილა, არც იქნება, სანამ ომი არ დასრულდება. რომ დავიღუპო, არ მინდა მარტო დარჩეს, ჯერ ახალგაზრდაა და თავისი გზა უნდა მოძებნოს, ჩემს ობოლს კი თქვენ გაბარებთო!..

წავიდა და წავიდა!.. მისგან ერთი წერილიც



აღარ მიუღიათ. ვერა პატარა ნატალიასთან ერთად საყვარელი ადამიანის სახლში დასახლდა და იმედს მოებღაუჭა. სოფელიც ეხმარებოდა ბავშვის გაზრდაში...

44-ის ზაფხულში უცნობი რუსი მომხიბვლელი ქალი ჩამოვიდა სოფელში, კითხვა-კითხვით მიაგნო გურგენიძეების სახლს, თან სამხედრო კომისარი და რაიონის პოლიციის უფროსი ახლდნენ — საბუთები გადმოაწყო, რომლის მიხედვითაც იგი პატარა ნატალიას დედა იყო, იქვე ვლასის რამდენიმე წერილიც წაიკითხეს... ნატალიას დედა მშობიარობას კი არ გადაჰყოლია, შვილზე დროებით უთქვამს უარი, ბავშვთა სახლში ჩაუბარებია — ჯერ უნდა ვიომოო! ეს კი ვლასის არ უპატიებია, შვილი მის დაუკითხავად წამოუყვანია საქართველოში. სიკვდილის წინ (ვლასი 1944 წლის მაისში დაჭრილა მძიმედ, განგრენა განვითარებია და ჰოსპიტალში გარდაცვლილა) გაუმხელია დედისთვის გოგონას ადგილსამყოფლის შესახებ, ორიოდე სიტყვა კი ვერიკოსთვისაც გამოუმეტებია, — მაპატიე ყველაფერი, მე ვკვდები და ბავშვს დედასაც ვერ დავუკარგავო!..

წაიყვანა დედამ ნატალია და თავს დატეხილი ორმაგი უბედურებით ლამის გული გაუსკდა ვერას. ელდისგან დიდხანს იავადმყოფა და როცა შინ წაყვანა დაუპირეს, უარი განაცხადა, თავი ვლასის ქვრივად გამოაცხადა, შავი მანდილი მოიხვია და ვერც ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა...

მას შემდეგ ყველასთვის საყვარელი ვერა ბიცოლა გახდა, მოგვიანებით, ვერიკო ბებია... არავის ტოვებდა ყურადღების გარეშე, ვისაც დახმარება დასჭირდებოდა, მის ჭიშკარს შეაღებდა... სოფლის რამდენი თაობა გამოიზარდა მის მადლიან კალთაში...

80 წლისა წავიდა ჯარიკაცის გაუთხოვარი ქვრივი წუთისოფლიდან... მისი ცხოვრება ლამაზ ლეგენდასავით ეხსომება სოფელს. ამგვარ ლეგენდას კი მხოლოდ საქართველოში თუ მოისმენთ...

# წინაპარი...

ჩემი გმირი ამჯერად ჩემივე ბაბუაა, ერთი უბრალო, მშრომელი გლეხკაცი, მიწა სიცოცხლესავით რომ უყვარდა და ამ ორ ცნებას აიგივებდა კიდევაც...

ნამდვილი ბრძენკაცი იყო, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში თითქმის არც უვლია. რომ გავიკვირვებდი, ამდენი რამე სად ისწავლე-მეთქი, თბილად გამიღიმებდა და მეტყოდა: „ცხოვრება ყველაზე დიდი მასწავლებელია, ბაბუ, მეიყრები ჩემი ხნის და მერე უფრო გეიგებ, რასაც გეუბნები. ადრე ფიცხი ვიყავი, რამე რომ არ გამომდიოდა, ღმერთსაც ვკადრებდი საყვედურს, მარა ახლა ყოველდღე ვბოდიშობ ამისთვის... იმასაც გეტყვი, კაცზე დიდი მხეცი არ გაჩენილა ქვეყნიერებაზე, მასზე საშიში არც ლომია და არც აფთარი, კიდო კაი, გონი მისცა ღმერთმა კაცს და შიში შეაცნობია, თვარა დაჭამდენ ერთმანეთს... ღმერთს კარ შოუქმნია კაცი ასეთად, ეშმაკი არ ასვენებს ზოგიერთს, მარა გამრჯეს და პატიოსანს ვერ ერევა ბოროტი, ზარმაცს და უქნარას უფრო ატყუებს, აპა?! მიტო მიხარია, შრომას რომ არ თაკილობთ, დეილლები, მარა დასვენებაც შეგერგება, ჩამოჯდომის საშუალება რომ მეგეცემა ხის ჩრდილში, ესეც სიხარულად გექცევა და ხის მომგონსაც დალოცავ... მადლიერი უნდა იყო, ბაბუ, ყოლიფერის და დილას თვალს რომ გაახელ, უფალს მადლობა შესწირე, რომ ისევ მოგასტრო ნათელს!..“

სიკვდილამდე ორი წლით ადრე თვალისჩინი დაკარგა და ძალიან განვიცდიდი, განსაკუთრებით, როცა გარინდებულს და თვალცრემლიანს შევისწრებდი — ხან ვაზის ფოთლებს, ხანაც აყვავებულ ატმის თუ ტყემლის ხეებს რომ ეფერებოდა. ერთხელ ვერ მოვითმინე და ვკითხე: რომ ვერ ხედავ, ძალიან გწყდება-მეთქი გული?!

— ღვთის შექმნილ საოცრებას რომ ვერ ვხედავ, გული მწყდება კარა, მიკვირს თლათ რო არ მისკდება, მარა უფრო მეტს ვფიქრობ კიდო, რა შემეშალა იმფერი, რა დავაშავე, თვალისჩინის წართმევით რო დავისაჯე, ალბათ რამე შემეშალა-მეთქი.

— შენ თუ რამე შეგეშალა და აღარ ყოფილა საშველი! — შევეკამათე მოხუცს.

— მაი არ თქვა, ბაბუ, უშეცთომო კაცი არ არსებობს წუთისოფელში — ხელმა და საქციელმა რომ არ გიმტყუნოს, ფიქრი და გულისთქმა შეგეშლება. რა მახსოვს, იცი?! — შენ არ გეცოდინება ისიდორე, შენ დაბადებამდე მოკვდა. გლახა კაცი იყო ნამეტანი, ის საცოდავი, ყველაფერში ჩხუბის საბაბს ეძებდა, გატანჯული ყავდა ცოლ-შვილი. თოფის საფანტი ოუფეთქდა ხელში და დეეფსო თვალები. რომ გევიგე, კარ შემეცოდა, ნიშნი მოვუგე, — ახია მაგაზე, მაინც ვერ ხედავდა შინოურის თუ გაროულის სიკეთეს და იაროს ახლა თვალდაფსებულმა-თქვა!.. იდარდა ისიდორემ, იდარდა და მოკვდა დარდით. მერე მეც შემრცხვა ჩემი ნაფიქრის — რახან დარდი შესძლებია, არ ყოფილა თლად წყალწაღებული ისიდორე. კაცი უმიზეზოდ არ იქცევა ძაღლად და ვინ იცის, რა ცეცხლს ატარებდა გულით, ვისი და რისი ბრალი იყო მისი უბედურობა?! რაც თვალისჩინი დავკარგე, სულ ისიდორეზე ვფიქრობ, რო არ შემეცოდა, იქნება მიტომაც დევისაჯე?!

...როგორც ჩანს, მართლა დაუნდობელი ყოფილა ისიდორე, თორემ მართლა მიკვირს, ბაბუაჩემს რომ არ შესცოდებია, კაცს, რომელსაც, ჩიტისთვისაც კი არ უსვრია არასოდეს. მისი საყვარელი იარაღი კაკანათი იყო. ზამთარში ბაბუასთან სტუმრობა ზღაპარში მოხვედრას ნიშნავდა ჩემთვის. უამრავი ჩიტი ჰყავდა შინ. მე რატომღაც ჭრელ-ჭრელი ოფოფები მომწონდა ყველაზე მეტად და მაჩუქე-თქო, ვეხვეწებოდი. უარს მეუბნებოდა: — ჩიტს თავისუფლება უნდა, თვარა ისე ჩიტი აღარ იქნება და მოკვდება. ოფოფს რა უნდა ქალაქში, შენ რომ მოვლას უძახი, მაგისთვის ტანჯვაა... გაზაფხულზე ერთად გოვუშვათ ტყეში და ნახავ, რა სიხარული ექნებათო!..

მეც მივყვებოდი ტყეში და ვუშვებდით გამოზამთრებულ ფრინველებს, კარგა ხანს რომ დაგვტრიალებდნენ თავს, თითქოს მადლობის ნიშნად და ბედნიერი ვბრუნდებოდი შინ იების და ენძელების ფერმკრთალი თაიგულებით, დიდხანს მესიზმრებოდა მერე ჩიტები და ყვავილები და ბედნიერი, სიცილით ვიღვიძებდი.

— ბავშვს გამიგიჟებო! — ნუწუნებდა ბებია.

ბაბუას კი უხაროდა: — ბავშვობაში რომ უდარდელად იცინის ადამიანი, ის კაი გეიზრდება, სიცილის და ცრემლის ფასი ეცოდინებაო!..

...როგორც გითხარით, მიწა და ვენახი იყო მისი საფიცარი, საათობით შემეძლო მეცქირა, როგორ ამყნობდა ვაზს და დასარგავად ამზადებდა. საიდან არ მოდიოდნენ ბაბუასთან ვაზის ნერგის წასაღებად და ბავშვივით უხაროდა: — დალევენ ჩემი გახარებული ვენახიდან დაწურულ ღვინოს, დეილოცებიენ და ჩემს ოჯახს წაადგებაო...

თავადაც ჰქონდა საყვარელი სადღეგრძელოები, რომელთაგან ერთი განსაკუთრებით დამამახსოვრდა: — ორი კოცნის ტკივილისა და უკვდავებისა მინდა ვთქვა: დედა რომ პირველად აკოცებს ახალშობილს და სიყვარულს დაახვედრებს — მეორე კი შვილი რომ უკანასკნელ გზაზე მიმავალ დედას აკოცებს და ტკივილთან ერთად სიყვარულს გააყოლებს იმ ქვეყნად. ეს რიგი და წესი არ მოგვშლოდესო!..

ბებიას გარდაცვალებამ შეუმოკლა სიცოცხლე! 18 წლისაც არ ყოფილან, რომ დაქორწინებულან. ადრე დაობლებულ ბაბუას ბევრი არაფერი გააჩნდა თურმე და სანამ ოჯახი გამართეს, ბევრი გაჭირვება გადაიტანეს. ეგ კი არა, ბებიას რომ არ ემარჯვა, ტყვეობაში დასუსტებულ-დაავადმყოფებული ბაბუა იქნებ ვერც დაბრუნებულიყო საქართველოში და როგორც ყოფილ „ნაპლენარს“, ციმბირშიც ამოეყო თავი. „ორი ღერი“ რუსულიც არ იცოდა ბებიამ და მაინც ჩააღწევინა ქმრის დარდმა და სიყვარულმა მოსკოვში, კრემლამდე. მართალია, იქ სტალინთან შეხვედრა ვერ მოახერხა, მაგრამ იმდენი მოახერხა, „უსისხლო რუსებიც“ კი დაარწმუნა ბაბუას უდანაშაულობაში და „ცოცხალ-მკვდარი“ ჩამოიყვანა შინ... ბაბუა ამბობდა: — თელი ცხოვრება მისი მეექვსე შვილი ვიყავი, სხვასთან ამდონს ვერ ვიცოცხლებდიო...

ბებიას დაკრძალვაზე, სიმართლე გითხრათ, ბაბუას უფრო დავტიროდი. იჯდა (დგომა სადღა შეეძლო) ბებიას სასახლესთან და სინათლედაშრეტილი თვალებით „დაჰყურებდა“... გამომშვიდობებისას, აკანკალებული ხელით მარჯვენა მოუძებნა, აკოცა და საცოდავად ჩაიბუტბუტა, — შენ რომ ღალატი არ იცოდი, სად მიდიხარო...

ქვეყნის არევ-დარევასაც ძალიან განიცდიდა ბაბუაჩემი და ზოგჯერ ისიც მიფიქრია: „იმიტომ ხომ არ წაართვა უფალმა თვალისჩინი, იცოდა, ამდენი ცოდვა-ბრალის დანახვას ვერ გაუძლებდა-მეთქი მისი გული?!“

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მითხრა: — მე შენი ექიმობა უფრო მინდოდა, მარა ჟურნალისტობაც არ არის ურიგო საქმე, სიტყვას მორჩენაც შოუძლია და კაცის მოკვლაც... ამიტომ ფრთხილად უნდა იყო, ბაბუ, ფრთხილად, წერის დაწყების და დამთავრების შემდეგ პირჯვრის გადაწერა არ დაგავიწყდესო!..

ეს სიტყვები, ბუნებრივია, მუდამ თან მდევს...

შეამჩნიეთ ალბათ, ბაბუაჩემის არც სახელი მიხსენებია და არც გვარი. ეს შემთხვევით არ მომხდარა, რადგან საბედნიეროდ, მისი მსგავსი ბევრია. ამიტომაც როცა საათობით ვუსმენ უბრალო ადამიანებს და ისეთ სიბრძნეს ვპოულობ მათ საუბრებში, ეჭვი არ მეპარება, ჩვენ, ქართველები, არასოდეს გადავშენდებით.

*გვერდი მოამზადა ინგა ჯაყელმა*

CAUCASUS BUILD 2006
CAUCASUS BUILD 2006
მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის მე-11 საერთაშორისო სპეციალიზირებული გამოფენა
Expo Georgia
საქართველო, 0119, თბილისი, ა. წერეთლის გამზ. 118
ტელ/ფაქსი: (995 32) 958306, 942028
Email: expo@expogeorgia.ge
WWW.EXPOGEORGIA.GE




# „მე სიკვდილი არ ვიცოდი“...

*როცა ადამიანი კვდება, მისი წილი ფიქრიც კვდება, რამდენი ფიქრი განისვენებს ახლა დედამიწის გულმკერდში უხმოდ და უსიტყვოდ — ვაჟა-ფშაველას ეს ნათქვამი ამედევნა, როცა დიდ სამამულო ომს შეწირულთა ლექსები კიდევ ერთხელ გადავფურცლე.*

*„დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,*
*რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს“, — ქუხდა ახალგაზრდული ჟინით ანთებული ლადო ასათიანი. „მე ოცი წლის გმირი ვარ და საუკუნე მიმაქვს მხრებით“ — ეხმიანებოდა მეგობარს მირზა გელოვანი. „მე სიკვდილი არ ვიცოდი, ვფეთქდი, ვჩქეფდი ჩანჩქერივით“, — ეს ალიოშა საჯაიამ დაიმღერა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. სიბერემ მართლაც გვერდით ჩაუარა ლადოსაც და მის დიდ სამეგობროს, „ჩვენთაობელებს“ — მირზა გელოვანს, გიორგი ნაფეტვარიძეს, ლადო უბილავას, ვაჟიკა ფხოველს...*

*საუკუნო იყოს ხსენება იმათი...*

## მირზა გელოვანი

### ო, მაპატიეთ

ბედმა უცნობი გზით გამაქანა,
თქვენ დარჩით შორი... ცაზედაც შორი...
და, როგორც კარტში აგურის ქალებს,
გქონდათ ქერა თმა და ყელი ბროლის.
მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,
რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც ქურდები,
ჩემს შეპირებას ანადგურებენ.
და სადმე ტყვია თუ გააციებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,
დანაშაული არდაბრუნების.

### ნუ მწერ...

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს,
რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.
...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.
ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.
ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.
მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვთ გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, —
გეტყვი, რომ მოველ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების.

## გიორგი ნაფეტვარიძე

### ნახვამდის

ნახვამდის, დედილო, ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო,
ხშირ-ხშირად მომწერეთ ქაღალდი,
ნუ ტირით, პატარა დებო!
მამები გიცავდათ აქამდი,
კავკასის მაღალო მთებო!
ახლა ჩვენ მივდივართ,
ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო!

ვინ იცის, გნახავთ თუ აღარა,
წინ გზაა შორი და მკაცრი,
ალვის ხემ თავი ძირს დახარა,
ცრემლებს ღვრის მოხუცი ნაძვი.
მშობლების ძვირფასი ჭაღარა
ღამეს მინათებენ თვალწინ!..
ვინ იცის, მოვალ თუ აღარა, —
წინ გზა დევს უნდო და მკაცრი.

სულ კუშტად მიცქერდი, ლამაზო,
ახლა გამიღიმე ერთი,
მე მივალ, მე მივალ, არასდროს
აღარ ჩამოგივლი გვერდით.

მე შენი ღიმილი არ მახსოვს,
არ მქონდა, არ მქონდა ბედი,
სულ მწყრალად მიცქერდი, ლამაზო,
ახლა გამიღიმე ერთი.

სურათი მქონოდა ნეტავი,
ტყვია რას მიზამდა მაშინ?
რა მხდალი, რა გაუბედავი,
რა მწარე ბედისა დავრჩი,
ისევ შენ, მშობელო დედაო,
იმედად მიმყვები ჯარში.
სურათი მოგეცა ნეტავი,
ტყვია რას მიზამდა მაშინ!

ნახვამდის, დედილო, ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო,
დედა, შენ მომწერე ქაღალდი,
ნუ ტირით, ძვირფასო დებო!
მამები გიცავდათ აქამდი,
კავკასის მაღალო მთებო!
ახლა ჩვენ მივდივართ, ნახვამდის,
მშვიდობით, ლამაზო ჩემო!

გზის პირად პატარა ნაკადი,
ნაკადთან პატარა ჩერო,
იქ გითხარ პირველად „ნახვამდის“,
ახლა კი მშვიდობით, ჩემო...

## ვლადიმერ უბილავა

### ნაქალაქევში

ერთ დროს რაინდულ ბრძოლაში მდგარა
თვითონ ეს კოშკი და ნაციხარი,
ამბობენ: ნანგრევს ია რომ ფარავს,
არისო სისხლი ქვაზე მიმხმარი.
აქ მარტო ქარმაც რომ ილულუნოს,
მწამს, ჩააფიქრებს მოგზაურს ვისმე,
მე თავის ქალას ვუმზერ ფულუროს
და ძველ კოლხების გულისთქმას ვისმენ.
საკვირველია, მართლაც რამდენი
მტერი ესხმოდათ, შეაწყდნენ თითქმის,
მამა-პაპათა მოვლენ ლანდები
და ჩემს გარშემო იწყებენ ქვითინს.
და ველარ ვითმენ, ვიდგე, ვუყურო.
ო, ეს აკლდამა როდის ახადეს,
აქ, თავის ქალა გდია ფულურო
და იგი რამდენ სიბრძნეს ლაღადებს.
გამოხრულ ძვლებში ნიავი მოთქვამს
და ნაციხარი დგას გარინდული,
და აგონდება დამპყრობელ ბრბოსთან
ომი ფიცხელი და რაინდული!

## სევერიან ისიანი

### საყვედური ჩემს საათს

გიძგერს გული და მიდის წუთები,
საუკუნეთა მდინარეს ერთვის.
ყოველთვის გივლი, გესათუთები
და საყვედური არ მითქვამს შენთვის.
შენ გვატყობინებ დროის დინებას,
მე შეგეთვისე დიდი ხანია.
და თუმც არ მითქვამს, გეცოდინება:
ხვალ გულისსწორთან მიმიხარია.
მაგრამ წუთები რა ნელა გადის,
გვიან ღამდება, გვიან თენდება,
თვალებში მიდგას ძვირფასი ლანდი
და მოლოდინის ცეცხლი მედება...
რად მიორგულე, რად მიღალატე,
ბედნიერების ჟამ-ალმნიშვნელო,
ხვალამდე მკერდში გულს ვერ დავატევ,
უნდა აჩქარდე, უნდა მიშველო!..

*გვერდი მოამზადა*
*მანანა ჯანელიძემ*


## ბესო ხვედელიძე — „უზარმაზარი ბაზარი“ რომანი

*პრეზენტაცია ორშაბათს*

*8 მაისს, 17 საათზე, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საპრეზენტაციო დარბაზში (დასწრება უფასოა).*

160 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 3.90 ლ




გიყვარს, მკითხველო, დეტექტივი, ფანტასტიკა, აბსურდი, მისტიკა, მელოდრამა, თრილერი ან სულაც შავი იუმორი?.. გადაშალე ეს წიგნი და აღმოჩნდები „უზარმაზარ ბაზარში“.

ტოტალიზატორი და დიდი ფსონი; მკვლელობა და მისტიკა; და... უზარმაზარი ბაზარი...

## გამოიწერეთ „ცხელი წიგნები“

### მაია ბურჭულაძე დეტექტიური რომანი ციკლიდან „იათამზე მდივანი — თვითმარქვია დეტექტივი“ „შეშლილი თაფლობისთვე“

288 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 4.90 ლ




ახალშეუღლებული წყვილი თაფლობის თვის გასატარებლად მეგობრის აგარაკზე გაემგზავრება. მეორე დღეს სარდაფში შემთხვევით ახალშობილის ჩონჩხს აღმოაჩენენ. იბადება უამრავი კითხვა, ჩნდება ეჭვები... ქალი ქალაქში ცნობილ ოჯახთან მიდის... სასიყვარულო ისტორიები, ინტრიგები, მკვლელობები... თუ რა მოხდა წლების წინათ, — ამ საიდუმლოს გასაღებს წიგნის წაკითხვისას შეიტყობთ.

### თემურ ყიფიანი სამაგიდო ენციკლოპედია ყველაფერი ყველაფერზე

884 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი 12 ლ




იმ თემებზე, რაც კი შეიძლება ადამიანს ცხოვრებაში დასჭირდეს. ის საუკეთესო მეგზური იქნება, როგორც თქვენთვის, ისე თქვენი შვილებისთვის...

## ახალი წიგნები

## სახლში მიტანით

## ფასნამატის გარეშე!

| გამომცემლობა „კვირის პალიტრა“ | |
|---|---|
| ბორის აკუნინი — „თურქული გამბიტი“ | 5 |
| მაია ბურჭულაძე — „შეშლილი თაფლობისთვე“ | 4,90 |
| ბესო ხვედელიძე — „უზარმაზარი ბაზარი“ | 3,90 |
| ამირან ჭიჭინაძე — „ჭკუა“ | 5 |
| „რას გვეტყვი, მამაო“ | 5 |
| თემურ ყიფიანი — სამაგიდო ენციკლოპედია: „ყველაფერი ყველაფერზე“ | 12 |
| ოტია იოსელიანი — „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მყდ) | 8 |
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |
| გოჩა დვალი — ანტიდეპრესანტი | 5 |

| გამომცემლობა „საბავშვო ენციკლოპედია“ | |
|---|---|
| საბავშვო თემატური ენციკლოპედიების „რა არის რა“ 50 ტომი | |
| ინდიელები მე-5 ტომი | 16 |
| მსოფლიოს 7 საოცრება 21-ე ტომი | 16 |
| ძველი ჩინეთი 42-ე ტომი | 16 |
| ვულკანები 50-ე ტომი | 16 |

| გამომცემლობა „ლიტერა“ | |
|---|---|
| „იულიუს კეისარი“ | 7 |
| „ტროას ომი“ | 7 |
| „ჰერაკლე“ | 7 |
| „ალექსანდრე მაკედონელი“ | 7 |
| „გულივერის მოგზაურობა“ | 7 |
| „საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის“ | 15 |

| „ელფის“ გამომცემლობა | |
|---|---|
| „საქართველოს დიდი მეფეები“ | 16 |
| „კომპიუტერის სახელმძღვანელო“ | 11 |
| „ინტერნეტის სახელმძღვანელო“ | 12 |
| „კომპიუტერის ლექსიკონი“ | 6.50 |
| „ვორდი“ | 7.50 |
| „ექსელი“ | 7.50 |
| „მხიარული არითმეტიკა“ | 8 |
| „მხიარული დედაენა“ | 7 |
| „ავტომობილის ისტორია“ | 5.90 |
| „შოკოლადის ისტორია“ | 5.90 |
| „რაინდების ისტორია“ | 5.90 |

| გამომცემლობა „არტანუჯი“ | |
|---|---|
| „ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები“ | 11.20 |
| „შუა საუკუნეების ისტორიის კრებული“ | 9.80 |
| ტიციან ტაბიძე — 100 ლექსი | 6 |
| ლადო ასათიანი — 100 ლექსი | 6 |
| ტერენტი გრანელი — 100 ლექსი | 6 |
| მირზა გელოვანი — 100 ლექსი | 6 |
| გალაკტიონ ტაბიძე — 100 ლექსი | 6 |

| გამომცემლობა „შემეცნება“ | |
|---|---|
| „მინდა ყველაფერი ვიცოდე“ | 12.50 |
| „პატარა ცნობისმოყვარე“ | 9.50 |

| ჭაბუა ამირეჯიბი — | |
|---|---|
| „დათა თუთაშხია“ | 16 |
| „გიორგი ბრწყინვალე“ | 16 |
| „გორამ ბორგალი“ | 15 |
| „ჭაბუა პაპას ცხრა ზღაპარი“ | 8 |

| ბესიკ ალადაშვილი — | |
|---|---|
| „სპეცსამსახურები და შპიონაჟი“ | 10 |

| გამომცემლობა „სიესტა“ | |
|---|---|
| გაბრიელ გარსია მარკესი — „მარტოობის ასი წელი“ | 12 |
| ირაკლი კაკაბაძე — „თანაგრძნობის სიმღერა“ | 8 |
| ლევან ვასაძე — „დღიური ათონის მოლოცვისა“ | 12 |
| ზაზა ბურჭულაძე — „წერილი დედას“ | 10 |

| ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | |
|---|---|
| საბავშვო | |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| საბავშვო ენციკლოპედია | 16 |
| საბავშვო ლექსები | 11 |
| მოსწავლის პირველი ენციკლოპედია, ცხოველები | 9 |
| მოსწავლის პირველი ენციკლოპედია, ჩვენი სამყარო | 9 |
| პროზა | |
| აკა მორჩილაძე — „სანტა ესპერანსა“ | 19 |
| „მისტერ დიქსლის მდუმარე ყუთი“ | 25 |
| პაულო კოელიო — „ალქიმიკოსი“ | 6 |

| გამომცემლობა „თბილისელები“ | |
|---|---|
| გოჩა მანველიძე — „მგლები I“ | 7 |
| „მგლები II“ | 7 |
| „იდუმალი ორდენი“ | 7 |
| „საკონტროლო გასროლა“ | 7 |

| გამომცემლობა „არეტე“ | |
|---|---|
| იენ მაკიუენი — „ამსტერდამი“ | 7 |
| ნიკუშა ანთაძე — „ახალგაზრდა სერიული მკვლელის მოგონებები“ | 6 |
| ლაშა ბუღაძე — „მესამე სართული“ | 6 |

ტელ: 42-43-40 33-26-73

# 13-დან 19-მდე

## „სიყმაწვილეშიც არ ვყოფილვარ ავოეს კაცი“

ახალ გამოცემებს კიდევ ერთი საყმაწვილო რომანი, **ამირან ჭიჭინაძის** „ჭკუა“ შეემატა, რომლის მთავარი მოქმედი გმირი თინეიჯერია — ირაკლი ჭკუასელი. რომანი, როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით იკითხება. რატომ? სიამოვნებით მოგიყვებოდით რატომაც, მაგრამ ვფიქრობ, ამას უმჯობესია თავადვე მიხვდეთ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ. ისე კი თბილისში ამ წიგნსა და მის ავტორზე უკვე ლაპარაკობენ...

„ჭკუის“ გაგრძელებას „ქვეყნის სამსახურში“ დაერქმევა... რომანის სიუჟეტს ვერ მოგიყვებით, მაგრამ ბავშვობაში „ოქროს ბიჭად“ მონათლული ამირან ჭიჭინაძე ხომ შეიძლება გაგაცნოთ...



— **ბატონო ამირან, ჭკუა, იგივე ირაკლი ჭკუასელი, თქვენი ბავშვობის ამბებს ხომ არ იმეორებს?**

— ჩემი ბავშვობა ჭკუას ბავშვობას იმით ჰგავს, რომ მეც მშობლებთან და დასთან ერთად ვცხოვრობდი, მყავდა ნინო მასწავლებლისნაირი მასწავლებელი — ოლია ჭეიშვილი... მეც იმავე უბანში ვცხოვრობდი და იმავე სკოლაში (53-ე, მაშინდელი მე-7 ვაჟთა) ვსწავლობდი, რომელშიც ირაკლი... თუმცა, ჩემგან განსხვავებით, მას მხოლოდ რუსულში ჰყავდა ხუთიანი.

— **ხუთოსანი იყავით? სხვათა შორის, მენიშნა, რომანი ოროსანი რეზო ნორდიას ამბით რომ იწყება. გამოდის, ოროსნებს ვერ ეგუებოდით?**

— პირველ და მეორე კლასში არ მივლია, პირდაპირ მესამეში მიმიყვანეს 5 წლის ასაკში. კლასში ტანითაც და ასაკითაც ყველაზე პატარას მასწავლებლები თან მყვებოდნენ, „ოქროს ბიჭიც“ კი შემარქვეს. ხუთოსანი ვიყავი, სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე. ჩემი და ჩემი ცოლის მედლები იმ პერიოდში გავყიდე, როცა საჭმლის ფული გაგვიჭირდა. ორ მედალში ასი დოლარი მომცეს... იყვნენ ჩვენს კლასში, 8 ორიანი რომ ჰყავდათ ისეთი ბავშვებიც, ერთ ორიანს რომ გამოასწორებდნენ, დედები ნამცხვარს უცხობდნენ. არ იფიქროთ, თითქოს ოროსნებთან არ ვმეგობრობდი, ან ისინი არ მიყვარდა. უბრალოდ, მათ ნაკლად ოროსნობა მიგვაჩნდა.

— **ვერელობა და ვაკელობა მაშინაც „გამორჩეულობაზე“ მიანიშნებდა?**

— მეუხერხულება, როცა ამბობენ, ვერა და ვაკე ელიტური უბნებიაო... ეგ მაშინ იყო, როცა ამ უბნებში უნივერსიტეტის თანამშრომლები, პროფესურა დასახლდა. იყო დრო, როცა ჩვენი სახლი (ახლაც იმ სახლში ცხოვრობს, ნაფარეულის ქუჩაზე. — ავტ.) უკანასკნელი იყო მდებარეობის თვალსაზრისით... კარგად მახსოვს ჩემი მეზობლის, გოლას ვირით (ურიკაზე შემოვსხდებოდით) ჩავდიოდით ბავშვები დაბლა ვერაზე, მამაჩემის ნაკვეთში. ვაკე, ვაკეო, რომ გაიძახიან, წლების წინ სოფელივით იყო.

ერთადერთი, თამაშებში თუ გავეჯიბრებოდით უბნელები ერთმანეთს. მახსოვს, ერთხელ მე-6 სკოლას შაშის თამაშში ვეჯიბრებოდით. გურამ ფანჯიკიძეს მოვუგე და კიროვის ბაღში გამართულ ფინალში მივიღე მონაწილეობა. ავლაბრელმა სომხის ბიჭმა მომიგო, თუმცა როგორც მეორე ადგილზე გასული, მაინც დამაჯილდოეს. პასტის კალამი მაჩუქეს, რაც მაშინ სენსაცია იყო.

— **რამე ხომ არ დაგიწერიათ „სენსაციური კალმით“?**

— ლენინის მოედანთან უგემრიელესი კუჭმაჭის ღვეზელი იყიდებოდა, საკმაოდ იაფად, მაგრამ ფული არ გვქონდა. მე და ჩემმა მეგობრებმა „ჩეინჯი“ გავაკეთეთ — სწორედ ეგ პასტა გადავცვალეთ კუჭმაჭის რამდენიმე ღვეზელში.

— **გოგო-ბიჭები თუ მეგობრობდით ერთმანეთთან?**

— 10 გოგონასა და 10 ბიჭის მეგობრობა, რომელიც პირველ კლასში დაიწყო, დღემდე გრძელდება. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ თანაკლასელთან, ჯილდა ქორქიასთან შევიკრიბეთ (ჩვენმა კლასელმა ალიკა ნიჟარაძემ მოიყვანა ცოლად)... 1-ელ მაისს ყოველთვის მასთან ვართ, ვინც დავრჩით, დაბადების დღე რომ მივულოცოთ (ბატონი ამირანი 70 წელსაა გადაცილებული).

— **ნინელისნაირ გოგოს თუ იცნობდით?**

— ნინელი თითქმის რეალური პერსონაჟია...

— **ე. ი. თქვენც ჭკუას მსგავსად ბავშვობაში გოგონას ჩამოხრჩობა სცადეთ?**

— მეც მინდოდა ერთი გოგოს ჩამოხრჩობა... ნინელივით ბევრს არ ლაპარაკობდა, მაგრამ არ მსიამოვნებდა, სულ რომ კუდში დამდევდა, მითვალთვალებდა. ვეუბნებოდი კიდეც, უნდა ჩამოგახრჩო-მეთქი. ეგონა ვეხუმრებოდი... ახლა რომ გაიგებს, მისი ჩამოხრჩობა მართლა მინდოდა, ხომ ეწყინება (იცინის)...

— **არც ანანოა გამოგონილი, აგურის სახლის მეორე სართულის ფანჯრიდან თქვენც ელოდით, გოგონა თუ გამოიხედავდა?**

— ზუსტად იმ სახლის ფანჯრიდან, რომელიც წიგნშია აღწერილი, მართლა შეიძლებოდა დამენახა გოგო, რომელიც ძალიან მომწონდა. ამიტომაც იმ სახლთან ხშირად ავივლ-ჩამოვივლიდი... მოკლედ, იყო ანანოს სიყვარულის მსგავსი ამბავიც. ისე, ჩვენი თაობა მორცხვი იყო, სიყვარულის ახსნის გვერიდებოდა. მაშინ გაცილებას თუ გაბედავდი, ეგ სიყვარულის ახსნაზე მეტი იყო.

— **სკანდალურ, სასიყვარულო ამბებში ხომ არ გახვეულხართ?**

— 16 წლის ვიყავი, მოსკოვში, ბაუმანის სახელობის უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდი. ამდენად, ჩემი „პირველი სიყვარულების“ ამბები რუს გოგონებს უკავშირდება...

არ ვიცი რატომ (ბევრს ჰყავს მშვენიერი რუსის ქალი ცოლად), მაგრამ გამოვრიცხავდი ცოლად რუსი მომეყვანა, აუცილებლად ქართველზე უნდა დავქორწინებულიყავი... მართალს ამბობს ჭკუას ბიძა ბიძინა. „ადამიანო! ნუ მოთოკავ გრძნობებს! მიენდე, მიუშვი სადავე, გააჭენე, გააფრინე! გაუღე კარი: ის მოვიდა!“ ჩემი აზრით, სიყვარული ორნაირია — ბობოქარი, ვნებიანი და მშვიდი, მაგრამ ჩემს შინაგან ბუნებასთან მშვიდი სიყვარული უფრო ახლოს არის.

— **ირაკლი „სიტყვის ბავშვია“ — რატომ დააკისრეთ მას ეს ფუნქცია?**

— სიტყვის ბავშვია ჭკუა და მან გადაწყვიტა, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნოს ეს წოდება. ისეთი თვისებები, როგორიც პატიოსნება, ნესიერება, ერთგულებაა, ადამიანს ან იმთავითვე აქვს, ან არა აქვს.

— **ბატონო ამირან, წიგნზე გაზრდილი ბიჭები არავის აღიზიანებდით, ანუ თქვენს თაობაში თუ არსებობდა სამეგობროებს შორის „დაპირისპირება“?**

— ჩვენი კლასი „აბრაგებად“ და „ვიკინგებად“ იყო დაყოფილი. დაყოფილი კი ვიყავით, მაგრამ ჩხუბამდე არასდროს მისულა საქმე. „ვიკინგები“ უფრო თამამები იყვნენ. არა, კრიმინალური არაფერი ჩაუდენიათ, თუმცა ვინ იცის, რაზე ფანტაზიორობდნენ...

— **რომანის კითხვისას ჟარგონები: „ტობე“, „წიწკვი“, „სტილნი“, „ნაშა“ — შემხვდა. ეს თქვენი სამეგობროს მაშინდელი ლექსიკიდანაა?**

— ჩემს სამეგობროში ისეთებიც იყვნენ, ვისაც ეგ მოდურ, თანამედროვე ნიშნად მიაჩნდა... მე უფრო გინება ვიცი (განსაკუთრებით „კარგად“ რუსულ ენაზე). ჟარგონისგან განსხვავებით, გინება უფრო ემოციურია. მაგ., „ნაშა“ ჩვენს ახალგაზრდობაში შეყვარებულს ნიშნავდა. „ნაშა“ გოგოც შეიძლებოდა ყოფილიყო და ბიჭიც. იმ დროს ბოიფრენდ-გელფრენდის გაგება, თავისუფალი ურთიერთობის იმგვარი აღქმა, რომელიც დღესაა, სიზმარშიც კი წარმოუდგენელი იყო. ერთხელ, როცა ჩემს ამხანაგებს მოსკოვური კოცნის ამბებს ვუყვებოდი და შემთხვევით დედამ მოისმინა, მითხრა, არ შეიძლება ასეთი რამეების მოყოლაო. მახსოვს, ამ თემაზე მამას დაველაპარაკე, რა მოხდა, რა არის ამაში უცხო, ნუთუ შენ ცოლის მოყვანამდე არავინ გყვარებია-მეთქი. დამარიგა, ამის შესახებ არ ლაპარაკობენო.

— **ბატონო ამირან, ჭკუა ხომ დანაშაულებრივ სამყაროს ებრძვის, სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს, ესეც რამეზე მიუთითებს?**

— ჩვენი ახალგაზრდობის პერიოდში, აბსოლუტურად გამორიცხული იყო, მე ან ჩემს რომელიმე მეგობარს უშიშროებაში ან პოლიციაში სამსახური ნდომებოდა... ახლა სხვა დროა. სხვათა შორის, „ჭკუას“ მომდევნო წიგნს „ქვეყნის სამსახურში“ ჰქვია. იქ მოთხრობილია, მშიერი და უძილო ჭკუა როგორ დგას ქვეყნის სამსახურში, ძიების საქმეში ჩართული.

— **მისი ნიჭისთვის სხვა სფერო ვერ „გაიმეტეთ“?**

— ნაწარმოების მიზანია, თხრობა დაძაბული იყოს, ჭკუას ეს უნარი ამ სფეროს უფრო კარგად მოერგება. თუმცა, თუ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზეა ლაპარაკი, აჯობებს, რაც შეიძლება მეტმა პატიოსანმა ადამიანმა იმუშაოს მათთან... მაშინ ნაკლებად დაირღვევა ადამიანის უფლებები.

— **ბატონო ამირან, თქვენ როდის ამბობთ ხოლმე — ა-ვ-ო-ე!**

— (იცინის) ეგ სიხარულის წამოძახილია. ჩემს ასაკში ავოე სულ სხვა რამეს გულისხმობს — იმას, რომ შემიძლია გავერთო, არაფერი მტკიოდეს, ვწერო, ესე იგი, თავისუფალი ვიყო... ისე, სიყმაწვილეშიც არ ვყოფილვარ ავოეს კაცი, ყველაფერი იყო — ჩხუბიც, თამაშიც, მაგრამ ყველაფერი ნორმის ფარგლებში.

## გამოხმაურება



*წინა ნომერში 17 წლის ანის წერილიდან შეიტყვეთ, რომ მას ვერ გაურკვევია, რატომ უყვარდება ხან ერთი, ხან მეორე ბიჭი... ეშინია, რამე „გადახრა“ ხომ არ მჭირსო. „გულახდილთა კლუბი“ ანის პრობლემით დაინტერესდა, თანატოლები შეეცადნენ დახმარებოდნენ იმის გარკვევაში, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს შეყვარებული და როდის გატაცებული. ეს-ემ-ესებიდან რამდენიმეს გთავაზობთ.*

ადამიანი ჯერ კარგად უნდა გაიცნო და მერე იფიქრო მასზე, შენ რასაც ამბობ, მხოლოდ გატაცებაა. ჩაიხედე გულში და მის კარნახს მიჰყევი.

**თამუნა, 14 წლის**

ანი, ძვირფასო, როცა ვინმე გიყვარს, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევ, სულ მასზე ფიქრობ. მეც ასე მემართება — ვითომ მიყვარს, ამ დროს კი სხვისკენ გამირბის თვალი და გონება. მგონი, ჩვენი თანატოლების უმეტესობა ასეა, კი არ გვიყვარს, მოგვწონს. გვინდა გვერდით გვყავდეს, თუმცა ეს გატაცებაა და არა ნამდვილი სიყვარული.

**მს, 17 წლის, „მილანი“**

ნუ ღელავ, ანი, განსაკუთრებული არაფერია იმაში, რაც განუხებს. არ შეგეშინდეს, ნამდვილი სიყვარული მოვა, უბრალოდ უნდა დაელოდო.

**გიორგი, 16 წლის**

არც ერთი გიყვარს და არც მეორე. ზუკა რომ გიყვარდეს, არ შეგეშინდებოდა, არ იფიქრებდი იმაზე, გული ხომ არ ამიცრუვდებაო. აუცილებლად გამოჩნება ის, ვინც მართლა შეგიყვარდება.

**თიკო, 15 წლის**

ანი, ეგ „გადახრა“ ნამდვილად არ არის! ისე, შეიძლება ითქვას, მეც შენს დღეში ვარ... ჯაბა არაჩვეულებრივი ბიჭია, მეგონა, ვერასდროს დავივიწყებდი, თუმცა მისი ადგილი ჩემს გულში ალეკომ დაიკავა. ორივე მომწონს, უპირატესობას ვერც ერთს ვერ ვანიჭებ, თუმცა ერთი რამ ზუსტად ვიცი — ეს არ არის სიყვარული, ამას თავისი სახელი ჰქვია — გატაცება! „სიყვარული სულ სხვაა“.

**„ჩიჩერინა“, 14 წლის**

ანი, რამე უნდა მოუხერხო თავს, უნდა დარწმუნდე, ზუკა მართლა გიყვარს თუ არა... თუმცა, ამას რა მიხვდრა უნდა, გულს მიენდე და ის გეტყვის ყველაფერს.

**ვახო, 17 წლის**

ანი, მეც შენს დღეში ვარ, როგორც კი გოგოს გავიცნობ, მაშინვე მიყვარდება. მაგრამ სხვისი გამოჩენაც კი საკმარისია, უცებ ვიცვლი აზრს... არ ვიცი, რა მჭირს, მართლა „გადახრა“ ხომ არ არის?! ჩემნაირ ბიჭებს „ბაბნიკებს“ ეძახიან, მაგრამ მე ხომ სპეციალურად არ ვიქცევი ასე. ანი, ჩემო კარგო, „გულს ვერ უბრძანებ“.

**ნიკა, 17 წლის**

## არარომანტიკული მუსიკოსები

მეგობრები ამას წინათ THE RASMUS-სა და მის ნამუშევარზე „DEAD LETTERS“ („მკვდარი წერილები“) ვლაპარაკობდით. გაგვიჩნდა კითხვა — ის, რაც მათ სიმღერებშია, გამოგონილია, თუ მართლა ასეთი არარომანტიკულები არიან. გთხოვთ, გაგვაცანით, რას ფიქრობენ ისინი ცხოვრებაზე და როგორ იქმნებოდა „მკვდარი წერილები“?

**ინგა, 18 წლის**



„DEAD LETTERS“ ჯგუფის პირველი ინგლისურენოვანი ალბომია. საინფორმაციო წყაროების ცნობით, შვედი პროდიუსერები ჩაწერის დროს სოლისტს აიძულებდნენ, რაც შეიძლება უაზროდ მოეწია სიგარეტი. უნდოდათ, ხმა გაუხეშებოდა. გარდა ამისა, ჯგუფის წევრებს იმდენი საშინელებათა ფილმი ანახვეს, რომ ღამე „კოშმარები“ ესიზმრებოდათ და... ლაურამ, ერომ, აკიმ და პაულამ შეძლეს პროდიუსერთა ჩანაფიქრის განხორციელება. ალბომის ყველა სიმღერა ვიღაცას ეძღვნება. გზავნილებში ან მობოდიშება, ან დადანაშაულება, ან საჩივარი, ან კიდევ თხოვნაა დახმარების თაობაზე.

ჯგუფში „საქმეები“ გადანაწილებულია: გიტარისტი პაულა სიმღერების არანჟირებაზე მუშაობს; აკი დასარტყამი ინსტრუმენტებით ფინურ ტემპერამენტსა და ენერგიას აცოცხლებს; ერო ხეიკონენი (ბასი) კი ჯგუფის „მკვდარი სიმია“.

გთავაზობთ ბლიცინტერვიუს, რომელიც THE RASMUS-ის წევრების ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას გაგაცნობთ:

*— რა მოქმედებს თქვენზე დამამშვიდებლად?*

*ლაურა:* — ოკეანე, წყნარი მუსიკა. მომწონს შორეულ ქვეყანაში მარტო მოგზაურობა. მიყვარს მზის ცქერა, სიჩუმის მოსმენა, ტბის ნაპირზე მარტო სეირნობა.

*ერო:* — მედიტაცია, იოგა.

*აკი:* — საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფნა.

*პაულა:* — ძილი.

*— რას დაასახელებდით თქვენი ცხოვრების ჯადოსნურ მომენტად?*

*ლაურა:* — ჯადოსნურად აღვიქვამ, როცა დაღლილი ან ცუდ ხასიათზე მყოფი საგასტროლო ავტობუსში ვიძინებ, გარეთ კი წვიმიანი ღამეა.

*ერო:* — ძმასთან ერთად ტბაზე თევზაობა.

*აკი:* — როცა ორ ადამიანს ერთმანეთი ძალიან უყვარს.

*პაულა:* — კონცერტები და ახალი სიმღერების შექმნა.

*— რა რჩევას მოგვცემდით?*

*ლაურა:* — რაც შეიძლება მეტი იმოგზაურე დედამიწის გარშემო.

*ერო:* — იყავი მოკრძალებული და შეეცადე, შეიცნო საკუთარი თავი.

*აკი:* — ეცადე, სიკეთემ ყოველთვის გაიმარჯვოს ბოროტებაზე.

*პაულა:* — თუკი რამე იცი, შენთვის შეინახე.



## გულახდილთა კლუბი

### ბიჭისა და გოგოს მეგობრობის გჯერათ?

შარშან შეყვარებული მყავდა. ვგრძნობდი, ჩემს მეგობარ გიოს არ სიამოვნებდა ჩემს სიყვარულზე რომ ვუყვებოდი. ერთხელ ისიც ვიფიქრე, ხომ არ ვუყვარვარ-მეთქი... მიუხედავად იმისა, რომ სხვა მიყვარდა, არ მინდოდა გული სტკენოდა და ამიტომ ვცდილობდი, მის გვერდით ხშირად ვყოფილიყავი. გამოგიტყდებით, მასთან თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი... სანამ შეყვარებულს არ დავშორდი, თავს ვაჯერებდი, რომ გიო არ მაინტერესებდა. მერე დიტო გამოჩნდა. სიყვარულში გამომიტყდა, მეც ცოტა ხანს თანავუგრძნობდი, მაგრამ გამოვიდა, რომ დიტო მოვატყუე... ბოლოს, როგორც იქნა, არ მიყვარხარ-მეთქი, ვუთხარი და დავშორდი.

ახლა დაბნეული ვარ, ვერ გავრკვეულვარ, რა მჭირს. ვერ ვიტყვი, რომ გიო მიყვარს, მაგრამ არც უიმისოდ ყოფნა შემიძლია...

გულახდილად რომ დამელაპარაკოს, იქნებ მეც გავერკვე ჩემს გრძნობაში. ის კი ვერაფერს მიხვდება... რა ვქნა? როგორ მოვიქცე, რომ გიომ ხმა ამოიღოს?

„გულახდილთა კლუბის“ წევრებს გთხოვთ, არ დაიზაროთ, ორივეს გვირჩიეთ რამე. როგორ ფიქრობთ, გოგოსა და ბიჭის მეგობრობის მიღმა ყოველთვის სიყვარული იმალება? მომწერეთ თქვენ შესახებაც, მოუთმენლად ველოდები თქვენს გამოხმაურებას.

**მაიკო, 18 წლის**

**რედაქციისაგან:** *თინეიჯერებო, მიიღეთ აქტიური მონაწილეობა რუბრიკის მომზადებაში. მოგვწერეთ, ვისთან ისურვებდით შეხვედრას ჩვენს რუბრიკაში, რა თემები გაინტერესებთ. გვიამბეთ თქვენი თავგადასავლები, თუ ფიქრობთ, რომ სხვებსაც დააინტერესებთ. აგრეთვე მოგვაწოდეთ ინფორმაცია გამორჩეული ნიჭის მქონე თქვენი თანატოლების შესახებ.*

**თინეიჯერთა ეს-ემ-ესებისა და წერილების სტილი მაქსიმალურად დაცულია.**

*რუბრიკა მოამზადა ინგა უბილავამ*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 22-52-16*

# თუთიყუში დააპატიმრეს



რამდენიმე კვირის წინ არგენტინის ერთ-ერთ ციხეში გამოჩნდა უჩვეულო ტუსაღი — თუთიყუში „პეპო“. ჩიტი, ვიდრე პოლიცია მის საქმეს „იძიებდა“, 5 დღე იჯდა საკანში.

ორი მეზობელი ვერ იყოფდა მოლაპარაკე პეპოს და დასახმარებლად სასამართლოს მიმართეს. მოსამართლემ გადაწყვიტა, თუთიყუში რამდენიმე დღით საკანში გამოემწყვდია, რომ თვითონ დაესახელებინა პატრონის ვინაობა. 5-დღიანი პატიმრობის შემდეგ პეპომ პატრონსაც უხმო და მისი საყვარელი ფეხბურთის გუნდის, „სან-ლორენცოს“ ჰიმნიც წაიღიღინა. „ვიცოდი, რომ ჩემი პეპო არ მიღალატებდა. ის ნამდვილი მეგობარია. ჩვენ ერთი ფეხბურთის გუნდს ვგულშემატკივრობთ!“, — ამბობდა გახარებული პატრონი. პეპომ კი დაამატა, რომ ფეხბურთის მატჩის დროს ისინი ერთად მიირთმევენ ლუდს.

*იტოგი*

# საბრალო ნივრიჭამია

თურქეთში მმართველი პარტიის ერთ-ერთი წევრი იმის გამო დააკავა პოლიციამ, რომ იგი თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის, ქემალ ათათურქის ძეგლთან გვირგვინის მიტანის დროს კევს ღეჭავდა. ბრალად ათათურქის შეურაცხყოფა დასდეს.

დაკავებულმა აღიარა დანაშაული და თავი გაიმართლა, — წინა საღამოს ნივრიანი კერძი მივირთვი და არ მინდოდა ასეთი საპატიო მისიის შესრულებისას ნივრის სუნი მქონოდაო.

ათათურქისადმი უპატივცემულობა თურქეთში კანონით ისჯება. საბრალო ნივრიჭამიას შესაძლოა 5 წლამდე პატიმრობა მიუსაჯონ.

*ოჯი*

# აკრობატი ბუთქუნა



ჩინელი ქსიაო იანგი 22 წლის არის. მისი სიმაღლე 1,55 სმ-ია და 150 კგ-ზე მეტს იწონის. თუმცა, სიმსუქნე ქსიაოს ურთულესი ვარჯიშების შესრულებაში სულაც არ უშლის ხელს. მართალია, სქელი ვარ, მაგრამ მოქნილობა არ მაკლია, — ამბობს იანგი და თავის ხელოვნებას ხალხს სიამოვნებით უჩვენებს. მაყურებელი ყოველთვის აღფრთოვანებული ეგებება მას. იანგი გახდომას არ აპირებს. ამბობს, — რატომ დავიტანჯო თავი დიეტებით, როცა საჯარო გამოსვლებში საკმაოდ დიდ თანხას მიხდიანო...

*თაიმი*

# სევდიანი შეყვარებული

მისი აღმატებულების, მონაკოს პრინცის ალბერტის და ულამაზესი მოცურავის, სამხრეთაფრიკელი შარლინ უიტსტოკის რომანი გრძელდება. ზამთრის ოლიმპიადის დროს, ტურინში, მთელი მსოფლიო გახდა მათი სიყვარულის მოწმე.

მარტში ალბერტი და 28 წლის შარლინი მალდივიზე გაემგზავრნენ დასასვენებლად. როგორც უკვე მოგახსენეთ, შარლინი პროფესიონალი მოცურავეა (12 წლიდან დღე და ღამე წყალშია). მის ბრწყინვალებას კი სატრფოსთან თავის გამოჩენა მოუნდა — წყალში ისკუპა და მხრის კისტამაც შეახსენა თავი. ტკივილი არც მონაკოში დაბრუნების შემდეგ დასცხრომია. მარტის მიწურულს სამეფოში ვარდების მეჯლისი ჩატარდა. ლაჟვარდოვან სანაპიროზე მაღალი საზოგადოების ფესტივალი ალბერტმა გახსნა, მაგრამ ძალიან სევდიანი ჩანდა, საზოგადოებასაც გაურბოდა. აშკარად ენატრებოდა შარლინი, რომელიც არდადეგების შემდეგ აფრიკაში დაბრუნდა. სამი დღის შემდეგ პრინცი კლინიკაში დააწვინეს. ოპერაციამ კარგად ჩაიარა — მას კისტა ამოჰკვეთეს...

*ოკნა*

# შვილებმა მამა გაიტაცეს

ეს ამბავი ზიმბაბვეში მოხდა. სოფელ ჰარირეს სკოლის ჰოლში საქორწინო ცერემონია იყო გამართული. ამ დროს მოზეიმეებთან მანქანა გაჩერდა. იქიდან ნაჯახებითა და დანებით შეიარაღებული სამი ყმაწვილი გადმოხტა. დაუპატიჟებელი სტუმრები — სასიძოს ვაჟები აღმოჩნდნენ. მათ კარგად გამოლანძღეს მამა — დედაჩვენის წინაშე დამნაშავე ხარ, არც მეორე ცოლის შერთვის უფლება გაქვსო. იარაღის ტრიალით წინ გაიგდეს საცოდავი ნეფე, მანქანაში შეაგდეს და გაუჩინარდნენ.

მოახერხა თუ არა სასიძომ შვილებისგან თავის დაღწევა, არავინ იცის. ზიმბაბვეში ოდითგან დაშვებული იყო მრავალცოლიანობა, ბოლო ხანებში კი ამ ტრადიციას ეჭვის თვალით უყურებენ. პოლიგამიის წინააღმდეგ ეკლესიამ დაიწყო კამპანია.

*მონდი*

# ჯიუტი დემონსტრანტი



უჩვეულოდ დიდი ნებისყოფის პატრონია 58 წლის იაპონელი ტეტსუ ტანაკა. თითქმის 25 წელია, 1981 წლის 29 ივნისიდან, სამსახურიდან გათავისუფლებას აპროტესტებს — უკანონოდ დამითხოვესო. ყოველ დილით მიდის ყოფილი სამსახურის ელექტრონული კონცერნის კართან და თავის შეთხზულ სიმღერებს მღერის. მისი გათავისუფლების შემდეგ კონცერნმა სამი უფროსი გამოიცვალა, ხოლო ქვეყანამ — 13 პრემიერ-მინისტრი. არავინ იცის, მარტოხელა, ჯიუტი დემონსტრანტი თავს რითი ირჩენს... პროფკავშირების მაგივრად მისი ბედით კინოს მესვეურები დაინტერესდნენ — უდრეკ ტანაკაზე ფილმის გადაღებას აპირებენ.

*დენგი*

# პაპები... მაგიდაზე

გერმანიაში იყიდება კათოლიკური ეკლესიის მეთაურთა გამოსახულებიანი ბანქო. ეს სიახლე ძირითადად, ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. თითოეულ ბანქოზე, პაპის სურათის გარდა, დაბეჭდილია მოკლე ინფორმაცია მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. დასტაში სულ 32 პაპია — წმინდა პეტრედან დაწყებული დღეს მოღვაწე ბენედიქტ XVI-ის ჩათვლით. ბანქოს მოჰყვება ოთხი სანთელი, თამაშის დროს განსაკუთრებული ატმოსფეროს შესაქმნელად.

„მას შემდეგ, რაც ჩვენი თანამემამულე იოზეფ რატცინგერი ბენედიქტ XVI გახდა, პაპები მოდაში შემოვიდა. ახალგაზრდები საეკლესიო ლიდერებით ისევ დაინტერესდნენ“, — ამბობს ბანქოს შემქმნელი დიზაინერი ქრისტოფ ენგელი.

*მირორი*

# დალევ, აბა, რას ვიზამ!



ყველა ქალაქში, სადაც ვალერი მელაძე გასტროლებს მართავს, ქართველები თანამემამულეს, რა თქმა უნდა, ქართული ღვინით უმასპინძლდებიან. მაგრამ ამჯერად ტულაში ტრადიცია დაირღვა... კონცერტის დასასრულს სცენაზე გამოვიდნენ დიასპორის წარმომადგენლები, მაგრამ დელეგაციის ხელმძღვანელმა ძვირფასი ღვინის ნაცვლად მომღერალს მიართვა... 16 კგ-იანი ტულური თაფლაკვერა, რომლის დიამეტრი 1,5 მ იყო!

— დიდი მადლობა, ძალიან გემრიელი ჩანს ტულური ხაჭაპური, — გულწრფელად გაიხარა მომღერალმა.

ეს ხაჭაპური კი არა, თაფლაკვერაა, — მორცხვად მიუგეს ტულელმა ქართველებმა და სინანულით დასძინეს, — ჩვენებური ღვინის ჩუქება გვინდოდა, მაგრამ ვერ გავბედეთო. მელაძე გაჯავრდა, — რას მიქვია აკრძალვა! ამიერიდან უფრო მეტ ქართულ ღვინოს დავლევ.

კონცერტის შემდეგ ვალერი მელაძეს საგრიმიოროში ქართული ღვინით გაწყობილი სუფრა დაახვედრეს.

*კომსომოლსკაია პრავდა*

# „მის ბულდოგი“ დაფრთხა



დიდ ბრიტანეთში ყოველწლიური, 47-ე ბულდოგების სილამაზის კონკურსი გაიმართა. გაიმარჯვა მშვენიერმა ბულდოგმა ჰანამ.

2 წლის „გოგონამ“ 49 კონკურენტს აჯობა და მთავარი პრიზიც დაიმსახურა. ჰანა გამოირჩეოდა ჩაცმულობით, გასაოცარი საზრიანობითა და საუცხოო ჩვევებით. „ჩვენ ძაღლებს შორის სუპერმოდელებს კი არ ვეძებთ, არამედ ისეთებს, რომლებიც ყველას მოხიბლავენ გონიერებით. სწორედ ასეთია ჰანა“, — აღნიშნა ერთ-ერთმა მსაჯმა. თავად ლამაზმანი ისე დააფრთხო აღფრთოვანებული ხალხის ყურადღებამ, რომ მსაჯებმა ძლივს მოახერხეს მისი გვირგვინით შემკობა.

*ნიუს რუ*

# უძველესი ბურთი — ჩემპიონატზე

ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის დროს ჰამბურგის მუზეუმში გამოფენენ მსოფლიოში ყველაზე ძველ ბურთს. სპეციალისტების აზრით, ის 450 წლისაა და ოდესღაც შოტლანდიის დედოფალს, მარიამ სტიუარტს ეკუთვნოდა.

XVI ს-ის ძვირფასი ექსპონატი დამზადებულია ღორის საშარდე ბუშტით, რომელსაც შემოკერებული აქვს სქელი ირმის ტყავი. ჰამბურგის მუზეუმში ბურთი სექტემბრამდე დარჩება, შემდეგ კი დიდ ბრიტანეთში დააბრუნებენ.

*სანი*

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ამოიკითხავთ სტენდალის სიტყვებს.




**პ.** ხანმოკლე შეჩერება მეტყველების დროს; **რ.** ამორტიზატორი; **ე.** სკანდალური გამოხდომა; **ს.** კარჩაკეტილი რელიგიური დაჯგუფება; **ა.** ბული, სიმხურვალე; **ს.** სამხრეთ კორეის დედაქალაქი; **ლ.** საყვავილე ვაზა; **ი.** ფარული დაცინვა; **დ.** მსახიობის პირველი გამოსვლა სცენაზე; **ე.** მინანქარი; **რ.** გეომეტრიული ფიგურა; **ო.** უდედმამო; **ბ.** თოკი; **ს.** დიდი ხმის გამომცემი ჩასაბერი საკრავი; **კ.** დარდი, სევდა; **ვ.** ბულგარელი წინასწარმეტყველი; **ი.** დოსტოევსკის რომანი; **რ.** ერთგვარი ხვეულა ნამცხვარი; **ი.** სრული მოგება ძიუდოში; **ს.** მადნეულის მოსაპოვებელი ადგილი; **პ.** ჭადრაკის ფიგურა; **ა.** შეუსაბამობა, უაზრობა; **ლ.** პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი; **ი.** მხარე საქართველოში; **ტ.** „ციხე შიგნიდან...“; **რ.** ესპანეთის ფეხბურთის გუნდი; **ა.** ნაკურთხი წყალი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ.** გუცაევი; **ა.** ანხელი; **ე.** ემისია; **რ.** რანგუნი; **თ.** თავადი; **ე.** ეპარქია; **დ.** დალი; **ა.** არშინი; **დ.** დოინჯი; **ა.** ანცი; **ი.** იავა; **ს.** სტიმული; **ვ.** ვაბანკი; **ე.** ეგრისი; **ნ.** ნაძვი; **ე.** ეროსი; **ჩ.** ჩადრი; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ენდრო; **ნ.** ნიაგარა; **თ.** თასმა; **ა.** აკორდი; **ნ.** ნიხრი; **ე.** ერუდიტი; **რ.** რუმბი; **თ.** თუშეთი; **ა.** აკიდო; **დ.** დოცენტი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: ცხინვალშიც ვიბრძოდი და სოხუმშიც.

## თქვენთვის, ქალბატონებო!

# იქნებ სჯობდა, სიმართლე არ გასცხადებულიყო

ქალბატონმა მაყვალამ დეიდის ამბავი მომითხრო და გულისტკივილით დასძინა: ზოგიერთი, როცა გაიგებს, რომ ნაშვილებია, მტრად გადაეკიდება გამზრდელებს და ბიოლოგიური მშობლების საძებრად მიდის. ცხადია, ასეთი საქციელი არ მიკვირს, მაგრამ გამზრდელის სიძულვილი არ უნდა ჩაუსახლდეთ გულში. დეიდაჩემი უშვილო იყო, გოგონა იშვილა და გაზარდა (სხვათა შორის, მისი ქმრის შვილი). მათი დედაშვილობა ყველასათვის მისაბაძი იყო მანამდე, ვიდრე გოგონამ სიმართლე არ გაიგო. მართალია, მან გამზრდელს ზურგი არ შეაქცია, მაგრამ...



— დეიდაჩემს საკმაოდ შეძლებული ოჯახი ჰქონდა. მისი მეუღლე, დავით დ. პოლკოვნიკი იყო, რკინიგზის სამმართველოში გამომძიებლად მუშაობდა. მათი ერთადერთი საწუხარი უშვილობა იყო. ერთ მშვენიერ დღეს დათიკო ბიძიამ თოთო ბავშვი მიუყვანა ცოლს — ეს ჩემი გოგონაა და ღვიძლი შვილივით გაზარდეო. პატარას დოდო დაარქვეს. მალე ოჯახმა ბინა შეიცვალა, რომ ვინმეს გოგონასთვის არ ეთქვა, — ნაშვილები ხარო.

ბავშვის დედამ დაარღვია შეთანხმება (მამამ გოგონა მისი ნებართვით წამოიყვანა) და უჩივლა დათიკო ბიძიას. იგი ჩამოაქვეითეს და „მინვოდში“, ერთ-ერთი სასტუმროს ადმინისტრატორად გადაიყვანეს. ოჯახი მხოლოდ ზაფხულს ატარებდა იქ, — დოდო კარგად სწავლობდა და მარო დეიდას არ უნდოდა მისთვის სკოლა შეეცვალა. ერთხელ, რაღაც საქმის გამო, მოულოდნელად მოუხდა „მინვოდში“ წასვლა. სახტად დარჩა, როცა ბინაში უცხო ქალი დახვდა... დეიდამ ვერ აპატია ქმარს ღალატი და გასცილდა. გოგონა წამოიზარდა, დამშვენდა. ერთხელ, დოდომ დედამისს შესჩივლა: — მეშინია სკოლაში სიარული. გაკვეთილების მერე ვილაც ბიჭი მხვდება, სახლამდე მომყვება და მეხვეწება, — ცოტა ხანს გაჩერდი, სალაპარაკო მაქვსო. დეიდაჩემი დაფრთხა, მაგრამ შვილს სახლში ხომ არ გამოკეტავდა. ბოლოს, დოდო დაამშვიდა: — წადი სკოლაში, მე ჩუმად გამოგყვები და გავიგებ, რა უნდა იმ ბიჭსო.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ის უცხო ბიჭი დაბარებულივით გაჩნდა და წინ გადაუდგა დოდოს. მარო დეიდა უმალ მათთან გაჩნდა და გააფთრებული ქეჩოში სწვდა ყმაწვილს: რა გინდა ამ გოგოსგან, რას გადაეკიდეო. ეტყობა, ბიჭი არ ელოდა ვინმეს გამოჩენას, ჯერ დაიბნა, მერე კი აყვირდა, — უთუოდ გამვლელ-გამომვლელთა ყურადღების მისაქცევად. მოსეირეებმაც მალე მოიყარეს თავი. ბიჭმა დრო იხელთა და დოდოს ყველას გასაგონად უთხრა: — დოდო, ეს დედაშენი არ არის. მე და შენ და-ძმა ვართ. გიცავ, რომ არავინ გაწყენინოსო. დეიდაჩემი ყველაფერს მოელოდა, ამას კი არა. ენა ჩაუვარდა. დოდოს კი მიტკლისფერი დასდებოდა, გაოგნებული ხან დედამისს შეხედავდა, ხან ახალგაცნობილ ძმას. ბოლოს, შებრუნდა და შინისკენ გაიქცა. დეიდაჩემიც უკან მიჰყვა. დოდო თავის ოთახში ჩაიკეტა, ორი დღე-ღამე არ გამოსულა იქიდან, არც ჭამდა, არც სვამდა. ლამის გაგიჟდა მარო დეიდა. დამირეკა და მთხოვა, შენი ხათრი აქვს, იქნებ დაგიჯეროს და გამოვიდეს ოთახიდან. მეშინია, თავს არაფერი აუტეხოსო. მაშინვე იქ გავჩნდი. დეიდაჩემის უახლოესი მეგობარიც მოსულიყო. ორივემ ვურჩიეთ, გოგონასთვის სიმართლე ეთქვა. დოდო ოთახიდან დიდი ხვეწნა-მუდარით გამოვიყვანეთ. დედამისმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. სახეზე ვატყობდი, რომ დოდო ძალიან განიცდიდა ყოველ წვრილმანს. ბოლოს, როცა დედამისმა თხრობა დაასრულა, გოგონა გიჟივით წამოიჭრა და გამზრდელს მივარდა, მოეხვია, სახე და ხელები დაუკოცნა — თუ შენი გაჩენილი არ ვიყავი და მაინც ასე გიყვარდი, აწი კიდევ უფრო შეგიყვარებ, შენზე ძვირფასი ამქვეყნად არავინ მყავსო.

იმ დღიდან გვერდიდან აღარ მოსცილებია დეიდაჩემს. რა მოხდებოდა, იმ ბიჭს, თუკი დისთვის მართლა სიკეთე უნდოდა, არ გაემჟღავნებინა სიმართლე? დოდოს არც კი მოუნდომებია ბიოლოგიური დედის ნახვა. სიმართლის გამჟღავნებამ კი ჭკუიდან შეშალა. მას მერე აღარც ის ბიჭი გამოჩენილა...

ყველას ხომ ერთნაირი ფსიქიკა არ ექნება. ასეთ ამბავს ზოგი მეტად განიცდის, ზოგიც — ნაკლებად. რამდენიმე წლის შემდეგ დეიდაჩემი ავად გახდა და გარდაიცვალა. დედის სიკვდილის მერე უფრო დაეტყო დოდოს ფსიქიკური აშლილობა. განმარტოვდებოდა და მთელი კვირა იჯდა თავისთვის. გული მეწვის, როცა დოდოს ვიხსენებ. მის ახლობლებს, ყველას, ჩვენ-ჩვენი პრობლემა გვქონდა და უდედოდ დარჩენილი გოგოსთვის ვეღარ ვიცლიდით. დოდოსთვის დეიდაჩემი იყო დედაც, მამაც, და-ძმაც, მეგობარიც... დოდოც ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. რომ არა ის ავადსახსენებელი დღე, დარწმუნებული ვარ, მათი ბედი სულ სხვანაირად წარიმართებოდა...

## ჩვენ გვწერენ

# შეეძლო, გაცილებით ადრე მოვეძებნე

მარტოხელა ქალი ვარ და ხშირად მომნდომებია თქვენთვის გულის გადაშლა, მაგრამ რამდენჯერაც გადავწყვიტე რედაქციაში მოსვლა, იმდენჯერ შემეშალა ხელი... ბოლოს, მოწერა ვამჯობინე.

შარშან დედა გარდამეცვალა. 10 წელი ლოგინად ჩავარდნილს ვუვლიდი. მისი წასვლის მერე ძალიან გამიჭირდა. შვილი რომ მყოლოდა, ასეთ დღეში არ ჩავვარდებოდი.

სიყვარულშიც არ გამიმართლა. 30 წლის წინ ჩემს რჩეულს დავშორდი. მას დღეს ოჯახი აქვს, მე კი ვეღარ შევძელი სხვისი შეყვარება...

განგებამ შარშან კვლავ შეგვახვედრა ერთმანეთს. იცით, რას ნიშნავს შეყვარებულების ხელმეორედ შეხვედრა? ეს მეორედ დაბადებაა, უზარმაზარი სიხარულია, რომლის განცდისას შეიძლება გული გაგისკდეს კიდეც...

წლებმა პატიება შეგვაძლებინა. შევრიგდით. მან სამსახური მაშოვნინა და გადამარჩინა უმუშევრობისგან. მადლობის მეტი რა მეთქმის...

თუმცა ხომ შეეძლო გაცილებით ადრე მოვეძებნე და დამხმარებოდა. არ მჯერა, რომ არ იცოდა, როგორ მიჭირდა. განა არ შეეძლო, უაზრო „პრინციპი“ — „მე მართალი ვარ“ — უკან წაელო და თავის სიყვარულს გაფრთხილებოდა. სამწუხაროდ, იგი დღესაც ვერ ნახულობს დროს წარსულზე სალაპარაკოდ, არადა, დღემდე მაწუხებს კითხვა: ვინ აამხედრა მაშინ ჩემს წინააღმდეგ?

ნათქვამია, სენი გაზაფხულზე მძლავრობსო. მეც განმიახლდა „ძველი იარა“. მინდა თუ არა, სულ მასზე ვფიქრობ, ყველგან დავეძებ, ძილში თუ ცხადში ის მელანდება. ვინ თქვა, რომ სიყვარული მხოლოდ განსაზღვრული ასაკის ადამიანებისთვის არსებობს? მე თუ მკითხავთ, ახალგაზრდების სიყვარული სულიერს მოკლებულია, მასში უფრო ვნება სჭარბობს, სიჭარმაგეში კი გრძნობა გაცილებით ძლიერია, სწორედ ასეთი ამაღლებული გრძნობით მიყვარს იგი დღეს. არადა, როცა ერთმანეთი შეგვიყვარდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი ასეთ „მომავალზე“. მართალია, სამი ათეული წელი ცალ-ცალკე ვიცხოვრეთ, მაგრამ ფიქრში ის სულ ჩემ გვერდით იყო.

...შესაძლებელი ყოფილა მთელი სიცოცხლე ერთი ადამიანი გიყვარდეს, გიყვარდეს უანგაროდ...

*პატივისცემით — მარიკა ა.*

# დამნაშავე ვარ, რომ გულწრფელად მიყვარდა

ძალიან გთხოვთ, ეს წერილი დაბეჭდოთ, რადგან ის, რაზეც გწერთ, მარტო ერთ მამაკაცს არ ეხება.

ბევრი ძვრება ნემსის ყუნწში ქალის გულის მოსაგებად და როგორც კი მიხვდებიან, შევუყვარდიო, გული უცივდებათ.

ვერ ვიტყვი, რომ ჩემზე არ იმოქმედა მერაბთან დაშორებამ, მაგრამ ახლა უკვე კარგად ვგრძნობ თავს — ერთ დროს ძვირფასმა ადამიანმა ნიღაბი ჩამოიხსნა და დამანახვა ნამდვილი სახე...

ერთმანეთი შემთხვევით გავიცანით. ყოველთვის აქტიური და ძლიერი ხასიათისა ვიყავი, მინდოდა, უზრუნველად გაზრდილს გათხოვების მერე უკეთ მომეწყო ჩემი ცხოვრება, მაგრამ მერაბთან შეხვედრამ ყველაფერი შეცვალა. მას თითზე გადასახვევი არაფერი გააჩნდა, მაგრამ ეს არ მადარდებდა, რადგან გულწრფელად მიყვარდა. ვფიქრობდი, რომ ჩემი მშობლები დაგვეხმარებოდნენ ოჯახის გამართვაში. თავდაპირველად მერაბი ჩემს სურვილებს თვალის დახამხამებაში ასრულებდა. ყოველთვის ერთსა და იმავეს ვთხოვდი — მინდოდა, მობილური ჩართული ჰქონოდა, რომ ნებისმიერ დროს შემძლებოდა მასთან დალაპარაკება. ერთმანეთის მესიჯების გაგზავნაში ხშირად თავზე დაგვთენებია. ეს მანამდე იყო, ვიდრე დარწმუნდებოდა, რომ მიყვარდა... მერაბთან ურთიერთობამ მიმახვედრა, რომ მას ცოლი კი არ სჭირდებოდა, არამედ მოახლე. რა თქმა უნდა, ქმრის მოვლა, სადილ-ვახშმის მომზადება ცოლის საქმეა, მაგრამ თანდათან შევატყვე, სიყვარული გაუნელდა, ამიტომაც, ერთ საღამოს, როცა მანქანით მომადგა, — გავიპაროთო, უარი ვუთხარი. საბოლოოდ, ჩვენ მაინც დავშორდით ერთმანეთს. ჩემი მთავარი „დანაშაული“ ის იყო, რომ გულწრფელად მიყვარდა და ამას არც ვმალავდი. მოგვიანებით მას უამრავი ნაკლი აღმოვუჩინე.

ამ წერილს ალბათ მერაბიც და მისი ოჯახის წევრებიც წაიკითხავენ და მიხვდებიან, ვინც ვარ. მიუხედავად გულისტკივილისა, ბოლომა გულში არ ჩამიდვია, რადგან ბევრი ლამაზი და ბედნიერი წუთიც მახსოვს... დარწმუნებული ვარ, სადაც არ უნდა იყოს და როგორც არ უნდა იყოს, ყოველთვის გავახსენდები და ინანებს ჩემს დაკარგვას, მაგრამ თუნდაც ამ წერილის გამოქვეყნებისთანავე მოვიდეს და პატიება მთხოვოს, არ ვაპატიებ იმ გულგრილობას, რაც დიდი სიყვარულის საპასუხოდ მომაგო...

*ლიკა, თბილისი*

# რათა, ბიჭო, რათა?..

აქამდე მეგონა, რომ ნანულისა და გურამის („შაბათის შოუს“ განუმეორებელი წყვილის) „უებრო“ დიალოგები მხოლოდ თინეიჯერთა გატაცების საგანი იყო. აღმოჩნდა, რომ მათ „ხატოვან“ გამონათქვამებს ასაკოვანი ადამიანებიც ხშირად იყენებენ.

ამბავი, რომელიც უნდა გიამბოთ, სულ ახლახან მოხდა...

თინათინი სამი წლის წინ საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ. აბა, პენსიონერ მშობლებს და უმუშევარ ქმარს ხომ არ შეაჩერდებოდა! 14 წლის ქეთის და 9 წლის გიორგის მერე და მერე მეტი დასჭირდებოდა. საქმე მალეააწყო და რადგან მშობლები ჯერ კიდევ მხნედ და ყოჩაღად იყვნენ, ქმრის წაყვანაც განიზრახა. ვალიკომ და ქეთევანმა ანუგეშეს დადარდიანებული სიძე: ბავშვებს ცივ ნიავს არ მივაკარებთ, აქ ნარდისა და დომინოს ჭახუნს, საბერძნეთში, ცოლთან ერთად მუშაობა გერჩივნოსო. წავიდა თენგიზიც. მართლაც თავს ევლებოდნენ ქეთის და გიოს. სიძე-ქალიშვილის გამოგზავნილი ფული ჰყოფნიდათ კიდეც და შავი დღისთვის გადანახვასაც ახერხებდნენ. ამასობაში ქეთი წამოიზარდა, დამშვენდა და ბებია-ბაბუაც გაფაციცდა, რადგან ლამაზ გოგონას ბევრი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. ცეკვასა და ინგლისურზე ბაბუა მიჰყვებოდა, მეგობრების სახლამდეც ვალიკო მიაცილებდა, გამოსვლის დროზე უთანხმდებოდა და შინ კვლავ ერთად ბრუნდებოდნენ. მართალია, ქეთის მაინცდამაინც არ სიამოვნებდა ბაბუამისის „კავალრობა“, მაგრამ უარის თქმაც ეხათრებოდა.



ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა თაყვანისმცემელმა, დათომ, იმდენი მოახერხა, რომ ქეთის ქორეოგრაფ-მასწავლებელთან „საქმე ჩააწყო“ და რეპეტიციაზე დასწრების უფლება მოიპოვა. ცოდვა გამხელილი სჯობს და მეჩვიდმეტე წელიწადში გადამდგარ გოგოს კარგა ხანია მოსწონდა დათო. მაგრამ: — სანამ სტუდენტი არ გავხდები, ვერ გამოგყვები ცოლადო, — შორს დაიჭირა ქეთიმ დათოს წინადადება.

— ას ბიჭს მაინც უყვარხ-არ, რომელ ერთს გავუმკლავდე, რალა ვქნა, შენი თავი რომ მომტაცონ? — შეწუხდა ბიჭი.

— რას ჰქვია მომიტაცონ!.. თანაც ვერ ხედავ, ბაბუაჩემი ყველგან რომ მახლავს? — გაეცინა ქეთის.

დათოს უნდოდა ეთქვა, — ნეტავ, ვის ეშინია ბაბუაშენ ვალიკოსიო, მაგრამ არ ეწყინოსო და გაჩუმდა.

ამასობაში ქეთიმ სკოლაც დაამთავრა, უმაღლეს სასწავლებელშიც ჩაირიცხა, მაგრამ კვლავ ფეხს ითრევდა, — დედაჩემი სააღდგომოდ ჩამოსვლას აპირებს, გავაცნობ შენს თავს და მერე გამოგყვებიო, — აშოშმინებდა დათოს. ბებია-ბაბუამაც გაიგო, რომ შვილიშვილს შეყვარებული ჰყავდა და მისი გაცნობა მოინდომეს. თბილად მიიღეს სასიძო. გამომშვიდობებისას ბაბუამ სთხოვა დათოს: — სანამ დედამისი არ ჩამოვა, არ იჩქაროთო. სასიძოც დაჰპირდა.

ერთ დღეს ქეთიმ შეყვარებულს უთხრა, — ჩემს მობილურზე დაფარული ნომრით ვილაც სიყვარულს მეფიცებაო. დაფეთდა დათო — სწორედ ამისი მეშინოდა, დედაშენს ვეღარ დავუცდიო, სულ გადაავიწყდა პირობა, მოჰკიდა გოგოს ხელი და გურიაში, ძმაკაცის სოფელში უკრა თავი.

...იმ დღეს დათოს უნდა მოეცილებინა ქეთი. რომ შეაგვიანდათ, აღელდნენ მოხუცები. ვისთან აღარ დარეკეს. მათი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. გვიან ღამით ტელეფონით გააგებინეს, — დათომ ქეთი ცოლად წაიყვანა და არ ინერვიულოთო. მთელი ღამე შუბლზე ცივ ტილოებს აფენდა ქეთევანი ქმარს. დილით კი ნათესავების თანხლებით გურიისკენ გასწიეს. გზაში ბობოქრობდა ვალიკო: — ის მამაცხონებული ხომ დამპირდა, თქვენი ქალიშვილის ჩამოსვლამდე დაველოდებიო? სიტყვა როგორ გატეხა, კაცი კი არა, კაცმაცუნა ყოფილა. რა ვუთხრა ჩემს თინას? შვილები როგორ სასოებით ჩაგვაბარა, ჩვენ კი ვერ მოვუარეთო.

როგორც იქნა, მივიდნენ იმ სოფელში. ქეთევანმა ეზოში შესულ ვალიკოს მიაძახა, — შენებურად არ გაგიჟდე ახლა, რასაც აღარ ეშველება, არ ღირს იმაზე ვიშვიშიო. ვალიკომ თვალები გადაუბრიალა ცოლს, რაც ნიშნავდა, — მე ვიცი ჩემი საქმისაო.

დათო, ცოტა არ იყოს, შემცბარი ჩანდა, ქეთი კი ღიმილით შეეგება ბაბუას. ვალიკომ ცივად ჩამოიშორა შვილიშვილი, დათოს მიუტრიალდა და:

— რათა, ბიჭო, რათა... რათა, რათთააა? — ნერვიულობისგან ენა დაება კაცს, არადა, რასაც გზაში ფიქრობდა, უნდოდა, ყველაფერი პირში მიეხალა მისთვის.

ჯერ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მერე ქეთის ფხუკუნი აუტყდა, სიცილი დანარჩენებსაც გადაედოთ და მალე ყველა ერთხმად ახარხარდა. მხოლოდ ვალიკო იდგა დაბნეული და როცა მიხვდა, ყბადაღებული „რათა, რათა“ უნებურად წამოსცდა, მასაც გაეღიმა...

ყველაფერი კარგად და მშვიდობიანად დამთავრდა. საბერძნეთიდან დროებით ჩამოსულ თინათინს მშობლებმა ქალ-ვაჟთან ერთად „შეძენილი შვილიც“ დაახვედრეს...

*რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-26-61*

1. რომის პაპის ბრძანებულება
2. აშშ-ის სამხედრო ბაზა კუბაში
3. ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი
4. დიდი საოკეანო გემი
5. დიდი ნემსი
6. ღამის ფრინველი
7. ქალაქი საქართველოში
8. მოხეტიალე მოცეკვავე ქალი ინდოეთში
9. ფიფას პრეზიდენტი
10. სასოფლო-სამეურნეო მანქანა
11. დაბა სვანეთში
12. ქიმიური ელემენტი, ლითონი
13. სახელმწიფო აფრიკაში
14. სიბრძნის ქალღმერთი რომ. მით
15. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში
16. „მილანის“ ბრაზილიელი მეკარე
17. რაიმე დისტანციის ცალკეული მონაკვეთი
18. ირლანდიის ეროვნული არმია
19. სისხლძარღვი
20. ქრისტიანული დღესასწაული
21. ბუსუსები ქსოვილზე
22. ბაფთიანი პატარა შუბი კორიდაზე
23. ხმამაღლა ტირილი, მოთქმა
24. ოთახის მარადმწვანე დეკორატიული ხე
25. ნორვეგიის დედაქალაქი
26. მწერის განვითარების ბოლო სტადია
27. ტბა აშშ-სა და კანადაში
28. პიტალო კლდე
29. მთვარის ფორმა
30. კალმანის ოპერეტა
31. კარჩაკეტილი რელიგიური დაჯგუფება
32. არაკების კრებული „... და დამანა“
33. მუზეუმი მადრიდში
34. ცურვის სტილი
35. სინარნარე მიხრა-მოხრაში
36. ქართული სადაზღვევო კომპანია
37. დარაჯი, გუშაგი
38. არაწახნაგოვანი ძვირფასი ქვა
39. თოფის სამიზნე
40. სმენადობის პირობები შენობაში
41. საყვარლის ხარჯზე მცხოვრები კაცი
42. შაქრის ლერწმის ჭრა
43. ყველაფრის ხელაღებით უარყოფა
44. დუმბაძის მოთხრობა
45. უდაბნო აფრიკაში
46. პორტუგალიის დედაქალაქი
47. შნო და მოხერხება
48. ქალღმერთ ათენას ერთ-ერთი ეპითეტი
49. დარტყმა კრივში
50. შექსპირის „მეფე ...“
51. იტალიელი კინორეჟისორი
52. ატმოსფერული ნალექი
53. ცხვრის ჯოგი
54. XIX ს-ის გერმანელი კომპოზიტორი
55. ძვირფასი ქვა
56. ლითონის თხელი ფურცელი
57. დაკოდილი მამალი ცხვარი
58. გემის განუწყვეტელი ცურვის პერიოდი
59. კრივის მოედანი
60. იტალიის ფეხბურთის გუნდი
61. ფუჭი, უნაყოფო
62. ჭადრაკის ფიგურა
63. ათასი კილოგრამი
64. დიპლომატიური წერილი
65. დონე
66. მწვანე კონტინენტი
67. ძალაყინი
68. მემკვიდრე
69. სომხეთის ფულის ერთეული
70. ქართული ვოკალურ-ინსტრ. ანსამბლ.
71. ჯუჯა კამეჩი





1. ამ ფრანგმა მწერალმა სიცოცხლეში ვერც კრიტიკოსთა აღიარება მოიპოვა და ვერც პოპულარობა მკითხველთა შორის



2. აღა-მაჰმად-ხანის მიერ დანგრეული თბილისის განახლების პროექტი ამ რუს მწერალსა და დიპლომატს ეკუთვნის



3. შოტლანდიაში მწყემსები კურდღლის სოროებში ქვების ჩაყრით ერთობოდნენ. ასე წარმოიშვა სპორტის ეს სახეობა



4. ამ ამერიკელი მწერლის დაბადებისა (1835წ.) და გარდაცვალების (1910წ.) თარიღები ემთხვევა ჰალეის კომეტის გამოჩენის წლებს



5. ამ ქვეყანაში სიკვდილმისჯილის დახვრეტის შემდეგ ტყვიის ღირებულებას მის ოჯახს ახდევინებენ

მე-17 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. არხარი; 2. არსენალი; 3. პრეფერანსი; 4. პირელი; 5. ბოი; 6. როი; 7. ბროში; 8. აუდი; 9. დოკი; 10. იონიკა; 11. შარი; 12. კაკაო; 13. პერიფერია; 14. აიათი; 15. ადიტი; 16. ნოველა; 17. ვილა; 18. გუარანი; 19. დანია; 20. ჯარი; 21. კოკი; 22. ლეგა; 23. იგუანა; 24. ნარტა; 25. თითა; 26. თიკუნი; 27. ასაკი; 28. პირამიდა; 29. ბარი; 30. პარასოლი; 31. ძიუდო; 32. ინდიანა; 33. ოქმი; 34. გალიუნი; 35. დაკა; 36. ონინი; 37. მასრა; 38. მანგო; 39. იაკი; 40. ბუკი; 41. კმაყოფილება; 42. სოლი; 43. სირმა; 44. ლეი; 45. ნალია; 46. სეიფი; 47. რუბრიკა; 48. მაყარი; 49. პინა; 50. მარიონეტი; 51. ტაილანდი; 52. ალპინისტი; 53. მიმი; 54. უილიამსი; 55. ფოსო; 56. მეფე; 57. კიტრი; 58. მოლიერი; 59. ვიკინგი; 60. ნოტი; 61. ლაკლო; 62. ურეკი; 63. ტბა; 64. კოლბა; 65. ლაბირინთი; 66. ოქსიდი; 67. ისარი; 68. ლებანი; 69. ისლი; 70. ელვა; 71. აია; 72. ტერფი; 73. დანტისტი; 74. ბარონესა; 75. გრეტა; 76. ვისკი; 77. ნადილი.

სურათებზე: პლატინი. 1. სალერნო; 2. შოშია; 3. ბაობაბი; 4. ლინკოლნი; 5. მულეტა.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა ვანო კაჭახიძე

# 25 წელია, ოქრო ასე არ გაძვირებულა...



newsru.com

ირანის მიერ ატომის გამდიდრება მსოფლიოს საფრთხეს უქმნის, — განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა სკოტ მაკლელანმა და პარტნიორებს გაეროს უშიშროების საბჭოში ირანის საწინააღმდეგო სანქციების მიღებისკენ მოუწოდა.

აშშ-თან რა გვაქვს მოსალაპარაკებელი, ჩვენი ატომური პროგრამა მშვიდობიანია. ამერიკელებს გულს ბირთვულ ზესახელმწიფოდ ჩვენი გახდომა უხეთქავს. თუ არ გვაიძულეს, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან არ გამოვალთო, — განაცხადა ირანის უშიშროების საბჭოს მდივანმა ალი ლაირჯანიმ.

ირანის გარშემო შექმნილ დაძაბულობაზე მსოფლიო ბაზარი ტრადიციულად რეაგირებს — ოქრო და ნავთობი ძვირდება. საინვესტიციო ფონდები აქტიურდებიან, ახალ გზებს ეძებენ სახსრების ხელსაყრელად დასაბანდებლად და ინფლაციისგან თავის დასაზღვევად. 12 თვის განმავლობაში ოქრო უკვე 54%-ით გაძვირდა, ბარელი ნავთობის ფასმა 73 დოლარს გადააჭარბა.

# ამერიკის ერთი დღე იმიგრანტების გარეშე

THE WALL STREET JOURNAL

1-ელ მაისს აშშ-ში ასობით ათასი იმიგრანტი სამუშაოდ არ გავიდა, მილიონზე მეტმა კი მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ქალაქებში გამართულ მასობრივ საპროტესტო აქციაში „ერთი დღე იმიგრანტების გარეშე". მისი მიზანი იყო, ეჩვენებინა იმიგრანტთა მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში. აქციის დროს ქვეყნის ბევრ ქალაქში დახურული იყო ხორცკომბინატები, რესტორნები, სასტუმროები, შეწყდა მუშაობა ვენახებში. ლათინურამერიკელ იმიგრანტებს ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები — „კრიმინალები არ ვართ, ჩვენ მშრომელები ვართ".

პრეზიდენტმა ბუშმა, რომელიც მხარს უჭერს იმიგრაციის კანონის რეფორმას, ბოიკოტი გააკრიცხა და თქვა, — იმიგრანტებმა უნდა ისწავლონ ინგლისური ენა, რათა აშშ-ის ჰიმნი იმღერონ ისე, როგორც დაიწერა და არა — ესპანურადო.

აშშ-ში ლათინური ამერიკიდან ჩასული 40 მლნ-ზე მეტი იმიგრანტი ცხოვრობს. მათი პროტესტი გამოიწვია წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებულმა კანონპროექტმა, რომლის თანახმად აშშ-ში არალეგალური ცხოვრება დანაშაულად არის მიჩნეული. რესპუბლიკელები კი ითხოვენ ახალი იმიგრანტების მიღების შეზღუდვას და ქვეყანაში 5 წელიწადზე მეტხანს მცხოვრები მექსიკელი მუშებისთვის (თუ მათ იციან ინგლისური ენა და იხდიან გადასახადს) მოქალაქეობის მისაღებად განცხადების შეტანის უფლებას.

# შენგენის ვიზა თითქმის ორჯერ გაძვირდება

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

ლუქსემბურგში შენგენის სივრცის „შერეულმა კომიტეტმა", რომელშიც შედიან ევროკავშირის ქვეყნების, აგრეთვე ნორვეგიის, ისლანდიისა და შვეიცარიის შინაგან საქმეთა მინისტრები, შენგენის ერთჯერადი ვიზის საფასურის გაზრდა გადაწყვიტა. თუ ახლა ვიზის გაფორმება 35 ევრო ღირს, მალე 60 ევრომდე გაიზრდება.

ევროპის ქვეყნების საელჩოებს ვიზის გასაფორმებლად ფული არ ჰყოფნით. გარდა ამისა, ვიზის მიმღების მიერ გადახდილი თანხის ნაწილი უნდა მოხმარდეს შენგენის საინფორმაციო სისტემის მეორე რიგის შექმნას — სტრასბურგს ექნება მონაცემთა ერთიანი ბანკი არასასურველი სტუმრების „შავი ნუსხით".

# ბერლუსკონიმ დატოვა კიჯის სასახლე

LA STAMPA

ვიდრე იტალიის პრეზიდენტს, კარლო ჩამპის, გადადგომის თხოვნას წარუდგენდა, სილვიო ბერლუსკონიმ მინისტრთა საბჭოს უკანასკნელი სხდომა მოიწვია. კოლეგებს მადლობა გადაუხადა გაწეული მუშაობისთვის და ყველა ვახშმად დაპატიჟა. „ჩვენ არაერთხელ გაგვიხსენებენ, როგორც რესპუბლიკის საუკეთესო ხელისუფლებას. რაც შეეხება ახალ, მემარჯვენე ცენტრისტულ მთავრობას, დარწმუნებული ვარ, რომანო პროდის (მისმა ბლოკმა გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში), ია-ვარდით მოფენილი გზა არ ელის. ის მემარჯვენეებს ვერ გააერთიანებს, ჩვენ კი ძლიერ ოპოზიციას შევქმნით", — თქვა ბერლუსკონიმ.

დამარცხებულ სილვიო ბერლუსკონის მართლაც შეუძლია გაურთულოს სიცოცხლე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებულ რომანო პროდის: საპრეზიდენტო არჩევნებს აუცილებლად მოჰყვება პოლიტიკური ბლოკების შეხლა-შემოხლა. ვითარება კიდევ იმიტომაც არის დრამატული, რომ ამჟამინდელი პრეზიდენტი, 85 წლის კარლო აძელია ჩამპი, გადაჭრით ამბობს უარს პრეზიდენტობის ახალ ვადაზე, იტალიაში კი არ ჩანს მისი ავტორიტეტის მქონე სხვა პოლიტიკური ფიგურა, ვინც შეძლებდა ბლოკების მორიგებას. საპარლამენტო არჩევნებში ერთ-ერთ გამარჯვებულს, ბლოკს „თავისუფლების სახლი", პრეზიდენტობის კანდიდატი ჰყავს, — ბერლუსკონის თანამოაზრე, ენრიკო ლეტა, რომელიც „რუხი კარდინალის" რეპუტაციით სარგებლობს.



იტალიის პრეზიდენტმა ბერლუსკონის სთხოვა, მთავრობის ახალი მეთაურის დანიშვნამდე (რამდენიმე კვირის შემდეგ) შეასრულოს პრემიერის მოვალეობა.

სილვიო ბერლუსკონი 2001 წლიდან იყო ქვეყნის პრემიერი. მისმა მთავრობამ კაბინეტის წევრთა რაოდენობით რეკორდი დაამყარა: ჰყავდა 24 მინისტრი (აქედან ორი — ვიცე-პრემიერი იყო), 63 მინისტრის თანაშემწე და 9 მინისტრის მოადგილე — სულ 107 კაცი.

# ტაივანის პრეზიდენტი ალასკაზე გაუშვეს



The Washington Post

ტაივანის პრეზიდენტმა ჩენ შუიბიანმა გადადო ვიზიტი აშშ-ში, რადგან გაიგო, რომ ამერიკას არ სურდა დიდი ხნით მისი თვითმფრინავის მიღება, ხოლო საწვავის შევსების ნებას აძლევდა მხოლოდ ალასკის რაიონის ერთ-ერთ აეროდრომზე. ტაივანის ლიდერი პარაგვაიში, შემდეგ კოსტა-რიკაში უნდა ჩაფრენილიყო, მანამდე კი სან-ფრანცისკოში ან ნიუ-იორკში აპირებდა ჩასვლას. ჩენ შუიბიანმა თქვა, მაინც ჩავალ ლათინურ ამერიკაში, ოღონდ სხვა მარშრუტითო. დამკვირვებელთა აზრით, აშშ-ის დემარში უკავშირდება ტაივანის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, ეროვნული ერთიანობის საბჭოს გაუქმებასთან დაკავშირებით. ეს საბჭო ჩინეთის იურისდიქციაში კუნძულის დაბრუნების საკითხებზე მუშაობდა.

## მოკლედ

**ბი-ბი-სის** მზრუნველთა საბჭოს გამოკვლევაში ნათქვამია, რომ ტელე-რადიომაუწყებლობის კორპორაცია ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის გაშუქებისას აშკარად ისრაელს უჭერს მხარს. ბი-ბი-სის ხელმძღვანელობა ძალიან გააკვირვა ამ ბრალდებამ, რადგან წინათ აბრალებდნენ, ანტიისრაელური ხასიათის მაუწყებლობა გაქვთო.

მზრუნველთა საბჭოს წინადადებით, კონფლიქტის გაშუქების გასაკონტროლებლად უნდა დაინიშნოს უფროსი რედაქტორი, კორპორაციამ კი უკეთესად უნდა იმუშაოს, რათა შეესაბამებოდეს ოქროს სტანდარტს, რომელიც თავადვე დაანესა.

**წყნარი ოკეანის** სამხრეთ ნაწილში, ტონგის არქიპელაგის ახლოს, რიხტერის სკალით 8-ბალიანი მიწისძვრა მოხდა. ამ ძალის მიწისძვრამ ბიძგებს გარკვეულ პირობებში შეუძლია დამანგრეველი ცუნამის გამოწვევა. ამის თაობაზე გაფრთხილებული იყვნენ ტონგა, ფიჯი, ახალი ზელანდია, სამოა და ჰავაის კუნძულები. საბედნიეროდ, ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

**მექსიკელი** კონგრესმენების მოთხოვნით, ქვეყნის პრეზიდენტს ხელი უნდა მოეწერა კანონპროექტებზე, რომელიც ნარკოტიკების ლეგალიზაციას ითვალისწინებდა. თავიდან პრეზიდენტი ვისენტე ფოქსი თითქოს აპირებდა ხელის მოწერას, მაგრამ ვაშინგტონის ზეწოლით გადაწყვეტილება შეცვალა. ლეგალიზების კანონი ითვალისწინებდა პირადი სარგებლობისათვის 5 გრამამდე მარიხუანის, 5 გრამამდე ოპიუმის, 25 მილიგრამამდე ჰეროინისა და 500 მილიგრამი კოკაინის შენახვის უფლებას. აშშ-ის ხელმძღვანელობას შეეშინდა, რომ თუ პრეზიდენტი ხელს მოაწერდა ამ კანონს, მექსიკა ამერიკის ახალგაზრდობისათვის „ნარკოტიკულ კურორტად" იქცეოდა.

**აშშ-ის** დაკვეთით, ქუვეითის სამშენებლო კომპანია ბაღდადში აშენებს ამერიკის საელჩოს კომპლექსს — 42 ჰა-ზე 21 შენობა განლაგდება: ოფისები და საცხოვრებელი ბინები ელჩისა და დიპლომატებისათვის — დაახლოებით 8 ათასი თანამშრომლისათვის. საამისოდ 592 მლნ გამოიყო. მსოფლიოში ყველაზე დიდი საელჩო 2007 წელს გაიხსნება. ბაღდადელებმა მას „ჯორჯ ბუშის სასახლე" შეარქვეს.

**ისრაელის** პარლამენტმა დაამტკიცა ახალი მთავრობის შემადგენლობა. პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა და 24-მა მინისტრმა ფიცი დადეს. მმართველ კოალიციაში შევიდა 4 პარტია: „კადიმა", „ავოდი", რელიგიური და პენსიონერთა პარტიები.

# პრეზიდენტმა ალიევმა ქალიშვილი გაათხოვა

Коммерсантъ

ბაქოში გაიმართა აზერბაიჯანის პრეზიდენტის უფროსი ქალიშვილის, 20 წლის ლეილასა და კომპანია „კროკუს ინტერნეიშნლის" კომერციული დირექტორის, 25 წლის ემინ აღალაროვის ქორწილი.

ახალგაზრდებმა ერთმანეთი ორი წლის წინ, შვეიცარიის ერთ-ერთ კურორტზე გაიცნეს. მშვენიერი ლეილა დედასთან ერთად რამდენჯერმე ჩაფრინდა მოსკოვში ემინის სანახავად, იანვარში კი, ბაირამის დღესასწაულზე, დაინიშნენ. სადედამთილომ ლეილას უძვირფასესი ბრილიანტის საყურე აჩუქა.

ემინ აღალაროვი, Forbes-ის მონაცემებით, 360-მილიონიანი ქონების მემკვიდრეა, მაგრამ სულაც არ აპირებს გულხელდაკრეფილ ჯდომას — მამამისი, არას აღალაროვი ირწმუნება, ბიზნესში დიდი წარმატებები აქვს, გონივრულად მართავს „კროკუს ინტერნეიშნლს", რომელიც რუსეთის ბაზარზე ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო იმპერიააო. ემინი, აშშ-ში სწავლის დამთავრებისთანავე, კომპანიის კომერციული დირექტორი გახდა. მას სწავლის დროს საკუთარი ბიზნესი ჰქონდა — თავიდან რუსეთიდან ჩატანილი საათებითა და სუვენირებით ვაჭრობდა, მერე ფეხსაცმლის მაღაზია გახსნა. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ საკუთარი კომპანიის დაარსება უნდოდა, მაგრამ მამამ ურჩია, — ჯობს ენერგია ჩემს დაწყებულ საქმეს მოახმაროო. როცა ყველა „კროკუსი" ააშენეს და არას აღალაროვმა, როგორც ადრე აკეთებდა, მათი ნაწილის გაქირავება მოინდომა, შვილმა ურჩია, — ამ ფართში საკუთარი მაღაზიები გავხსნათო და 30 ბუტიკი გახსნეს. „კროკუს მოსკვას" ყოველთვიური ბრუნვა 800 ათასიდან 4 მლნ დოლარამდე ავიდა. ემინი კარგადაც მღერის. ფრენკ სინატრასა და ტომ ჯონსის რეპერტუარიდან რამდენიმე სიმღერა ჩაწერა და ალბომიც გამოუშვა.

ბაქოში, „გიულისტანის" სასახლეში გამართულ ქორწილს მხოლოდ ახლობლები — პატარძლის 150 და სასიძოს 90 სტუმარი ესწრებოდა. სუფრის ორგანიზება აზერბაიჯანის პირველმა ლედიმ, მეჰრიბან ალიევამ ითავა, მუსიკოსებიც და რეპერტუარიც მან შეარჩია. ქორწილის წინა დღეს ბაქოში





მოსკოველი სტილისტები და პარიკმახერები ჩაიყვანეს, ჭურჭელი და მუსიკალური აღჭურვილობა დიდი ბრიტანეთიდან ჩაიტანეს. ამბობდნენ, რომ ჰოლანდიიდან სპეციალური რეისით ათასობით თეთრი ვარდი გაიგზავნაო, მაგრამ მოსკოველი სცენოგრაფი, რომელიც პირველ ლედის ეხმარებოდა, ირწმუნება, — პრეზიდენტის მეუღლე ძალიან გემოვნებიანი ქალბატონია, გადაჭარბებული არაფერი მოსწონს, მხოლოდ ჰოლი მორთეს აზერბაიჯანული ვარდებითო.

ლეილა ალიევასა და ემინ აღალაროვის ქორწინება კავკასიის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს წარმომადგენელმა დალოცა, მერე ხელმოწერის ცერემონია გაიმართა. პატარძალს თეთრი კაბა ეცვა, სიძეს — შავი სმოკინგი. ცეკვების დაწყებამდე პრეზიდენტების — ბუშისა და პუტინის მილოცვები წაიკითხეს. მათ ნეფე-დედოფალს საჩუქრებიც გაუგზავნეს. ქორწილს აზერბაიჯანის მთავრობის თითქმის ყველა წევრი დაესწრო. მათ გვერდით ექსტრავაგანტური სამოსით გამოირჩეოდნენ მოსკოველი სტუმრები: კომპოზიტორი იგორ კრუტოი, მსახიობი ვლადიმირ ვინოკური, მომღერალი ლევ ლეშჩენკო, მოდელიერები: ვალენტინ იუდაშკინი და ვიაჩესლავ ზაიცევი. პურმარილი — ტრადიციული იყო, სტუმრებს უხილავი კონფერანსიე გამომსვლელებს წარუდგენდა. აზერბაიჯანელი მომღერლის, ზულფია ხანბაბაევას სიმღერის ფონზე პრეზიდენტმა ალიევმა მეუღლე საცეკვაოდ გაიწვია. ეს სიგნალი იყო დანარჩენი სტუმრებისათვის. საცეკვაო ნაწილის კულმინაციად იქცა ილჰამ ალიევის მიერ მგზნებარედ შესრულებული როკ-ენ-როლი.

აზერბაიჯანული ტრადიციის თანახმად, ქორწილს პატარძლის ოჯახიც იხდის და ვაჟისაც. ასე რომ, ივნისის დასაწყისში ქორწილს მოსკოვში აღალაროვებიც გადაიხდიან.

*გვერდი მოამზადა*
*ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

**გრანტების მაძიებლებს!**

გთავაზობთ საგრანტო პროექტების მომზადებას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე დონორ ორგანიზაციებში წარსადგენად.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების მოსაპოვებლად მოგიმზადებთ კვალიფიციურ პროექტებს.

**ანაზღაურება ხელმისაწვდომია**

☎ 22 69 15; 91 31 62

**დავიცავთ თქვენს ინტერესებს სასამართლოში**

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გაგიწევთ კვალიფიციურ იურიდიულ დახმარებას თქვენთვის სასურველი შედეგების მიღწევაში.

☎ 899-32-97-97

„ტრანსცენტრის" ფირმის
**მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები**
**ძალიან იაფად**

ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.

**ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია**

მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით

☎ 34-49-40; 35-47-47; 26-30-50; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 35-13-13

მკითხველის ნააზრევი

# იაფი „სასახლეების“ ქვეყანა!

თავიდან მინდოდა მომეყოლა ცხინვალის, აფხაზეთის კონფლიქტების შესახებ... თუ რა ხდებოდა მაშინ საქართველოში, როგორ დავკარგეთ ჩვენი ტერიტორიები და როგორი იყო საყოველთაო განუკითხაობა.

უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა იყრის თავს: რა იყო სამოქალაქო ომის მიზეზები; როგორ ხდებოდა საქართველოს ძარცვა საქართველოსვე სახელით; როგორ გაძარცვეს ეროვნული ბანკი; როგორ მიითვისეს ხალხისთვის გამოყოფილი კრედიტები... [illegible]

...მერე იყო ვარდების რევოლუცია, მოვიდა ახალი ხელისუფლება, [illegible]

[illegible]

ბოდეს.

ერთხელ ჩვენმა ახლანდელმა ხელისუფლებამ ისიც კი განაცხადა, საქართველომ კუჭზე არ უნდა ააგოს თავისი პოლიტიკაო. ნურას უკაცრავად, ბატონებო, კუჭი ეკონომიკაა!.. არ გაქვს ეკონომიკური წინსვლა, ე. ი. არაფერი გაქვს. ხელისუფლებამ გახსნა უფასო სასადილო „უპატრონო“ მოხუცებისთვის. ძალიან კარგი, თუ ცხელ სადილს აჭმევენ მოხუცს, მაგრამ გარწმუნებთ, მათი უმრავლესობა სულაც არ არის უპატრონო. მათ ჰყავთ შვილები და შვილიშვილები! უბრალოდ, მათ შვილებს მათი რჩენა აღარ შეუძლიათ იმ მიზეზის გამო, რომ არა აქვთ სამსახური და თუ აქვთ, იმდენს შოულობენ, რომ სული არ გასძვრეთ. ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე, რომელიღაც საზღვარგარეთულმა ორგანიზაციამ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკვლევა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოდან წასულია მილიონ-ნახევარი ადამიანი! ხოლო თუ არ მოხდა ეკონომიკური წინსვლა, სულ მალე კიდევ ერთი მილიონი კაცი წავა! ჩემი აზრით, აქამდეც წავიდოდნენ, უცხო ქვეყნის საელჩოები და საკონსულოები პრობლემებს რომ არ უქმნიდნენ საქართველოდან გამგზავრების მსურველთ.

ჩვენ ჩამოვყალიბდით ქვეყნად, რომლის მოსახლეობა თითქმის არაფერს ქმნის და მხოლოდ სხვისი შექმნილით ვაჭრობს. ჩვენ ვასაღებთ: ჩინეთის, თურქეთის, ირანის მდარე ხარისხის საქონელს. თუ ამ ქვეყნების წარმომადგენლებს უსაყვედურებთ, გიპასუხებენ, ეგ უხარისხო საქონელი ისევ თქვენს ხალხს შემოაქვსო და მართალიც იქნებიან. სოფელში უშნო გოგო თუ დაიბადებოდა, იტყოდნენ, ეგ არაფერი, მეზობელ სოფელში გათხოვდებაო. ასეა იმ უცხო ქვეყნებშიც — კარგად იციან, მათი უხარისხო საქონელი საქართველოში რომ მოდის. შევარდნაძის დროს კაპიკების ფასად შესყიდული საწარმოები იშლება და ჯართის სახით საზღვარგარეთ მიედინება, ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

საქართველოში არიან უცხოური წარმატებული ფირმები, რომლებიც ძირითადად თავისი ქვეყნის პროდუქციას ასაღებენ. ამ ფირმებში დასაქმებულ ქართველებს კი მიზერულ ხელფასს უხდიან. საქართველოში შემოტანილ საქონელზე ძალიან დიდი გადასახადია, რაც თავისთავად ზრდის ფასებს ბაზარზე, ეს კი პირდაპირ „ურტყამს“ ჩვენს მოქალაქეთა ჯიბეს. შეიძლება კაცმა იფიქროს, იმიტომ არის დიდი გადასახადი, რომ ქვეყნის შიგნით მოხდეს ეკონომიკის აღორძინებაო, მაგრამ მომკალით და ამდაგვარს ვერაფერს ვამჩნევ. ხანდახან მეჩვენება, რომ ვიღაცას გულით უნდა, საქართველოს არ ჰქონდეს თავისი ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა. ამას წინათ ერთი ჩინოვნიკი ამბობდა, რომ მას და მის მეუღლეს აქვს დანაზოგი ბანკში, შავი დღისთვის, მე ეჭვიც არ მეპარება მის პატიოსნებაში. სახელმწიფო სამსახურში 50 000 კაცი მაინც მუშაობს, ამჟერად ნორმალური ხელფასები აქვთ და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. მაგრამ დანარჩენმა სამმა მილიონმა რა ქნას შავი დღისთვის? აი, რა უნდა ქნას: გაყიდოს ოქროს ბეჭედი, რომ წამალი იყიდოს. გაყიდოს სახლი, რომ თავის ცოლს, შვილს, ძმას ოპერაცია გაუკეთოს. ერთმა ჩემმა ნაცნობმა ტრავმა მიიღო და საავადმყოფოში საკაცეზე მანამდე ეგდო, სანამ ფული არ მიუტანეს ექიმებს და საოპერაციოში მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვანეს. თუ ავად გახდით და გასაყიდიც არაფერი გაქვთ, გირჩევნიათ მღვდელს დაუძახოთ და ეზიაროთ მაინც, იმიტომ, რომ თითქმის განწირული ხართ. თუ რამეს იტყვით, გეტყვიან, იცით რა ღირს ეს ოპერაცია საზღვარგარეთო? თითქოს ჩვენი ხალხი იქაური ხელფასებით ან პენსიებით არის განებივრებული.

ხელისუფლება უნდა ცდილობდეს, აღორძინოს ეკონომიკა და მერე ეკონომიკა თვითონ იზრუნებს: გზებზე, სკოლებზე, პენსიონერებზე, ავადმყოფებზე, კარგადმყოფებზე. ხელისუფლება ხედავს, რომ ქვეყნის ეკონომიკას უჭირს. ცდილობს მაღალი გადასახადებით შეავსოს ბიუჯეტი. იმას ვერ ხვდება, რომ ხალხის ცხოვრების დონე უკან და უკან მიდის. ხელისუფლება ჩადის რაიონებში, გადახედავს ვაზის ზვრებს, დაჯდება საგანგებოდ გაშლილ სუფრასთან, მიირთმევს მწვადს და ერთ საათში თბილისში დაბრუნდება. შემდეგ რამდენიმე საათში გაფრინდება სადმე ევროპის (ამერიკის და ა. შ.) რომელიმე ქვეყანაში, რათა დაესწროს გლობალურ პრობლემათა განხილვას. ასე ქვეყანა არ აშენდება! რა თქმა უნდა, იმას არ ვამბობ, რომ ჩვენი ხელისუფლება უნდა ჩაიკეტოს, ქვეყნიდან არსად გაიხედოს, მაგრამ პარალელურად ქვეყანასაც ხომ უნდა უშველოს: მწვადი კარგია, ღვინოც, მაგრამ სანამ სუფრას მიუჯდებოდეს, უნდა გადაუხვიოს თავის მარშრუტს... მივიდეს თუნდაც რომელიმე გლეხთან, ბოსლიდან ნაკელს რომ ეზიდება, შეეკითხოს, რა სჭირდება ყველაზე მეტად თავისი მეურნეობისთვის ან რას ფიქრობს ამ ქვეყანაზე, ან ჩავიდეს რუსთავში და შეეკითხოს რიგით მეფოლადეს ან ხარატს, რას საქმიანობს, ან რატომ არ ტრიალებს მის საამქროში ფოლადის სუნი. ჩავიდეს ქვანახშირის ან მარგანეცის საწარმოებში და შეეკითხოს იქაურ მუშას, რატომ არ იღებს ხელფასს. შეეკითხოს ამა თუ იმ ობიექტის ხელმძღვანელობას, რატომ არის, რომ პროდუქციაზე მოთხოვნილება აქვთ, მაგრამ საწარმო წამგებიანია. ჩავიდეს თუშეთში და შეეკითხოს იმ მეცხვარეს, ტალახში სველ ნაბადს რომ მიათრევს, რა სჭირდება, რატომ უყრია მატყლი უპატრონოდ და რატომ არ იცის, „სად ჭირში წაიღოს“. შეეკითხოს იმ პატარა ბიჭს, ბათუმში, სანაპიროზე რომ ზის და საყვარელ გოგონაზე ოცნებობს, როგორ საქართველოში ინატრებდა ცხოვრებას. და იქნებ ჩვენმა ხელისუფლებამ სხვაგვარად შეხედოს ამ ქვეყანას.

თბილისში ერთ-ერთ სარეკლამო აბრაზე წავიკითხე: „ვამზადებ იმქვეყნიურ სასახლეებს იაფად“ და მე მივხვდი, სასახლეები კი არ არის იაფი, ჩვენი ცხოვრება და სიცოცხლე არის გაუფასურებული ამ ქვეყანაში. იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენთან რაღაც სასიკეთო ძვრები შეინიშნება, ჩვენ მაინც ვრჩებით იაფი „სასახლეების“ ქვეყნად.

***ფ. ქავთარაძე, თბილისი, ლილო***

# „საბანკო სესხზე პროცენტი მალე კვლავ გაიზრდება“




ინფლაციური პროცესები, რომელიც ნავთობსა და ენერგომატარებლებზე ფასების ზრდის თანამდევია, თავის გავლენას საბანკო სექტორზეც მოახდენს. ინფლაციის გამო საპროცენტო განაკვეთი საბანკო სესხებზეც გაიზრდება. ასეთ არასასიამოვნო პროგნოზს აკეთებენ საბანკო სფეროს სპეციალისტები. ინფლაციის გამო, რომელიც სავარაუდოდ, კიდევ უფრო მოიმატებს, ბანკები იძულებული იქნებიან მოსალოდნელი რისკისგან თავი დაიზღვიონ და კრედიტები შედარებით მაღალი განაკვეთით გასცენ.

კომერციული ბანკების კრედიტებზე პროცენტი მას შემდეგ მოიმატებს, რაც მათგან ფულს ეროვნული ბანკი ისესხებს, სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოქმნილი 90-მილიონიანი დეფიციტი რომ დაფაროს. ეროვნული ბანკი კრედიტს შედარებით მაღალი განაკვეთით აიღებს, რაც ავტომატურად გაზრდის პროცენტს სამომხმარებლო სესხებზე.

ბანკების მიერ გაცემულ კრედიტებზე ფასების მოსალოდნელ ზრდას ადასტურებს „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ლადო გურგენიძე**: „ქვეყანაში ახლა ინფლაციური პერიოდია. ეროვნულმა ბანკმა ინფლაციური პროცესების შესაჩერებლად მის ხელთ არსებული ბერკეტები უნდა გამოიყენოს და ლარის ლიკვიდურობის ამაღლებაზე იზრუნოს. მაგრამ იგი ლიკვიდურობას ვერ გაზრდის, თუ კომერციულ ბანკებს აღებულ სესხზე მაღალი განაკვეთი არ შესთავაზა. როცა ფულს ეროვნული ბანკი მაღალი განაკვეთით შეიძენს, ყველა სახის სესხზე პროცენტი გაიზრდება. სამწუხაროდ, სხვა გამოსავალი ინფლაციასთან საბრძოლველად არ არსებობს. როცა ინფლაცია მატულობს, საპროცენტო განაკვეთი მაღლა მიდის, როცა პირიქით, ინფლაცია იკლებს, საპროცენტო განაკვეთი დაბლა ჩამოდის. ყოველთვის, ყველა ბაზარზე ასე ხდება. რამდენით გაიზრდება საპროცენტო განაკვეთი, ამის წინასწარ თქმა არ შემიძლია. ეს ეროვნული ბანკის მიერ შეთავაზებულ პროცენტზე იქნება დამოკიდებული“.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე აცხადებს, რომ მისი უწყება ეცდება, საბანკო სესხებზე პროცენტის მნიშვნელოვანი ზრდა არ მოხდეს.

**რომან გოცირიძე**: „შევეცდებით, კომერციულ ბანკებს სესხების ასაღებად უკიდურეს შემთხვევაში მივმართოთ. თუ დაგვჭირდა, ფულს იმ საპროცენტო განაკვეთის ფარგლებში ვისესხებთ, რომელიც სამომხმარებლო კრედიტებზე პროცენტის ზრდას არ გამოიწვევს“.

საქართველოში არსებული კომერციული ბანკები სესხებს ამჟამადაც საკმაოდ მაღალი პროცენტით გასცემენ. ამ მხრივ რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩვენთან ფიქსირდება. მსხვილი ბანკების მიერ ამერიკული დოლარით გაცემულ სამომხმარებლო სესხებზე წლიური სარგებელი 15-დან 22 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. ეროვნულ ვალუტაში კი ბანკები სამომხმარებლო სესხებს საშუალოდ 16-25 პროცენტად გასცემენ. სესხებზე მაღალ პროცენტს საბანკო კრედიტებზე დიდი მოთხოვნა განაპირობებს. ბანკებიდან კრედიტის გამოტანის მსურველთა რიცხვმა იმდენად მოიმატა, რომ საფინანსო ინსტიტუტები ფულადი მასის სიმცირის გამო, ყველას დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ. შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს ბანკირები ამ სექტორში ინვესტიციების შემოსვლაში ხედავენ. ინვესტიციების შემოსვლა უცხოური ბანკებისა და საფინანსო ინსტიტუტების მიერ ქართული ბანკების აქციების შეძენის ან უცხოეთიდან ახალი საკრედიტო ხაზების გახსნის შემდეგ მოხდება.

***ნონა ქვლივიძე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 6 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8152 |
| ევრო | 2,3033 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,3579 |
| რუსული რუბლი | 0,0669 |
| თურქული ლირა (1*) | 1,3760 |

* 2005 წლის 1-ელი იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1.000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)


განსხვავებული ჟურნალი

✓ ქართულ ტელესივრცეს კიდევ ერთი მარგალიტა შეემატა — მარგოს ცნობილი თაყვანისმცემლები და უარყოფილი პრეზიდენტის ორეული

✓ გიორგი ყიფშიძემ ახალი პარტნიორი იპოვა

✓ ანა ჯაკმა საყვარელ მამაკაცს ადგილი სამზარეულოში მიუჩინა

✓ პრობლემა ნარკომანია — უიტნი ჰიუსტონმა მიკროფონი „ბაიანში“ გაცვალა

✓ რატომ ვეღარ ულამაზებს „ჩაინიკა“ ცოლს ცხოვრებას






ორშაბათობით!

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**გვაინტერესებს, ძაღლის კბენისას რატომ ითხოვენ დაუყოვნებელ აცრებს, ზოგჯერ კი 10 დღის მოცდას გვირჩევენ. საერთოდ, რა შემთხვევაშია ცოფის აცრები აუცილებელი და როდის შეიძლება მისგან თავის შეკავება — ხომ არ არის ეს გარკვეულ რისკთან დაკავშირებული?**

***ვანო ჯმუხაძე***

ცოფი იმდენად მძიმე პათოლოგიაა, რომ მასთან არანაირი რისკის გაწევა არ შეიძლება. არსებობს ანტირაბიული ვაქცინაციის წესები, რომელთა ზედმიწევნით დაცვა აუცილებელია. შევეცდები მარტივად და მოკლედ გადმოგცეთ მისი ზოგადი მონაცემები:

ძაღლის მიერ ადამიანის დაკბენის ყველა შემთხვევა შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დავყოთ: 1) როცა ძაღლი უცნობია და მისი ადგილსამყოფლის დადგენა შეუძლებელია; 2) როცა ძაღლი შინაურია და შესაძლებელია მასზე დაკვირვება.

პირველ შემთხვევაში, იმის მიუხედავად, თუ სხეულის რა ადგილზეა ნაკბენი და რა სიდიდისაა კანის დაზიანება, ტარდება ანტირაბიული ვაქცინაციის სრული კურსი (6 კანქვეშა ინიექცია). მეორე შემთხვევაში, ანუ როცა ძაღლზე დაკვირვება შესაძლებელია, ვაქცინაციის დაუყოვნებლივ დაწყების აუცილებლობას განსაზღვრავს ის, თუ სად არის ნაკბენი — სხეულის რომელ უბანშია იგი ლოკალიზებული: თუ ნაკბენი ხელის ან ფეხის თითებზე, შორისის არეში ან თავზეა, ვაქცინაცია დაუყოვნებლივ იწყება (პირველსავე დღეს) და თან აკვირდებიან ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობას. თუ 10 დღის შემდეგ ძაღლი უვნებელი დარჩა, ვაქცინაცია წყდება ანუ აღარ კეთდება დარჩენილი 3 ინიექცია (პირველი სამი ინიექციის გაკეთების ვადებია — პირველი, მესამე და მეშვიდე დღეები).

თუ ძაღლზე დაკვირვება შესაძლებელია და ნაკბენი არ არის განსაკუთრებით საშიშ უბნებში, მაშინ დასაშვებია, არ დავიწყოთ ვაქცინაცია და დავაკვირდეთ ძაღლს 10 დღე. თუ იგი 10 დღის შემდეგ ცოცხალი იქნება, ვაქცინაცია საჭირო არ არის, ხოლო თუ მოკვდება, მაშინ იწყება ვაქცინაცია და ტარდება სრული კურსი.

ეს ის ზოგადი მონაცემებია, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს, თუმცა კბენის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გირჩევთ, აუცილებლად მიმართოთ ექიმ-რაბიოლოგს.

**ახალგაზრდა კაცი ვარ, მაგრამ ძალიან ხშირად მაწუხებს თავის ტკივილი. ვარ გაბრუებული, რაღაც-რაღაცები მავიწყდება. ხშირად მაყვედრობენ, უყურადღებო ხარო. ზოგჯერ შეკითხვებსაც არაადეკვატურად ვპასუხობ. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და როგორ ვიმკურნალო?**

***მკითხველი***

მსგავსი სიმპტომები შეიძლება გამოწვეული იყოს ნერვული სისტემის ფუნქციური პათოლოგიებით (მაგალითად, ნევროზით, დეპრესიით). თუმცა არ არის გამორიცხული თანდართული ორგანული პათოლოგიაც — კისრის მალების ოსტეოქონდროზი, თავის ტვინის სისხლძარღვების შევიწროება. შესაძლოა ავიტამინოზზეც მიუთითებდეს ან გაგრძელებული ქრონიკული დაღლილობის სინდრომი. გირჩევთ, მიმართოთ ნევროლოგს. საჭირო გამოკვლევების შემდეგ დაგიზუსტდებათ დიაგნოზი და დაგენიშნებათ მკურნალობა.

## კარაბადინი

**ბევრს აწუხებს ფეხის თითების სოკოვანი დაავადება. დღეს ბევრი თანამედროვე სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატი არსებობს, თუმცა ეს წამლები ხშირად ძვირია და თანაც მკურნალობა დიდ დროს მოითხოვს. მინდა გასწავლოთ საკმაოდ თავისი გამოცდილი მარტივი და იაფი საშუალება, რომელიც ერთმა ნაცნობმა მასწავლა და რომლის დახმარებითაც ათიოდე წლის წინ მართლაც თვალის დახამხამებაში შევძელი სოკოსგან თავის დაღწევა.**

**3-4 ცალი სამარილეები „ნეფა“ ან „პატენკა“ (გათეთრებელი, სხვა არ გამოდგება) დანაყეთ, ჩაყარეთ მინის ქურჭელში და დაასხით 30-40გ ძმარმჟავა. 3-4 დღეში ლითონი მთლიანად გაიხსნება და წამალიც მზადაა. ამის შემდეგ ჩირჩხ დაასველეთ ბამბა და მისი მეშვეობით წაისვით კარგად დაზიანებულ ადგილებში. ამ პროცედურის შემდეგ დაახლოებით 8-10 წუთის განმავლობაში ფეხები გააშრეთ, მაგრამ უნდა მოითმინოთ. საშიში არაფერია. სამაგიეროდ, ამის შემდეგ სამუდამოდ მოიშორებთ სოკოს. პირადად მე ერთი პროცედურით განვიკურნე. თუ ასეთი მკურნალობის შემდეგ სოკო ისევ დაგრჩებათ, ფეხები ხელმეორედ უნდა დაიმუშაოთ.**

***ალექსი ბარნაბიშვილი***

*ექიმის კომენტარი:* ძმარი რომ ეფექტიანი სამკურნალო საშუალებაა სოკოვანი პათოლოგიების დროს, ამის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია. რაც შეეხება ლითონს, რომელიც ძმარმჟავაში იხსნება, მისი ეფექტიანობის მექანიზმი ჩვენთვის უცნობია. ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმე გადაწყვეტს ამ მეთოდით მკურნალობას, ვურჩევთ, სიფრთხილე გამოიჩინოს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*


ოჯახის მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.

**დიაბეტური პრობლემები**

✔ როდის ინიშნება ინსულინი?
✔ აქვს თუ არა უკუჩვენებები ინსულინით მკურნალობას?
✔ რომელი მცენარეული პრეპარატები გამოიყენება დიაბეტის სამკურნალოდ?

**არტერიული ჰიპერტენზია**

✔ რატომ არის აუცილებელი სუფრის მარილის შეზღუდვა?
✔ შეიძლება თუ არა წნევიანისთვის ფიზიკური ვარჯიში?

**საკეისრო კვეთა**

პირველი საკეისროს შემდეგ რამდენ ხანში შეიძლება მეორე მშობიარობა?

**ჯანდაცვის რეფორმა**

✔ რა ბედი ელით ამბულატორიებს?
✔ როგორ მიიღებს მოსახლეობა ექიმის მიერ დანიშნულ მედიკამენტებს?

**ფრთხილად, გრიპის ეპიდემიაა!**


# დიაგნოზი პულსით



ძველი ინდოელები ფარისებრ ჯირკვალს ბედის ჯირკვალს ეძახდნენ. ეს არ არის შემთხვევითი — მასზეა დამოკიდებული ადამიანის გუნება-განწყობილება, ხასიათი, აღნაგობა და ხშირად პულსის სიხშირეც.

ჩაჯექით სავარძელში. დახუჭეთ თვალები, იფიქრეთ რაიმე სასიამოვნოზე. 10 წუთის შემდეგ დათვალეთ პულსი. წუთში 60-80 დარტყმა ნორმალურია.

81-100 — შესაძლოა თირეოტოქსიკოზის მსუბუქი ფორმა გქონდეთ. თირეოტოქსიკოზის ამ სტადიაზე ადამიანი ინარჩუნებს შრომისუნარიანობას, მაგრამ სწრაფად იკლებს წონაში — თვეში 8-10კგ-ს.

101-120 დარტყმა წუთში — საშუალო სიმძიმის თირეოტოქსიკოზის ნიშანია. იზრდება გაღიზიანება, ოფლიანობა, სისუსტე, კუჭნაწლავის მუშაობის მოშლა.

121-140 დარტყმა წუთში — მძიმე ფორმაა. ადამიანი აჩრდილს ემსგავსება, გულისცემა აჩქარებული აქვს, თვალები — ბუდიდან გამოვარდნილი.

***ჟენსკიე სეკრეტი***

## წიწაკა სიმსივნის წინააღმდეგ



წითელი, წვრილი, ცხარე წიწაკა „ხაბანერა“ ანადგურებს ავთვისებიან უჯრედებს და ამცირებს სიმსივნის ზომას. ინგლისელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მასზე დამზადებული წამლის ინიექცია სპობს ავთვისებიანი უჯრედების 80%-ს. ამიტომაც წიწაკის ამ თვისებას გამოიყენებენ ონკოლოგიური დაავადებების საწინააღმდეგო ახალი პრეპარატების შესაქმნელად.

***მირორი***

# მეცნიერები გვირჩევენ...

● თუ ყოველდღე კვების რაციონს შეამცირებთ 100 კკალ-ით მაგალითად, 2 კანფეტის ნაცვლად შეჭამთ ერთს, წონაში არ მოიმატებთ.

● თუ დღეში 2 ცალ ვაშლს შეჭამთ, შეამცირებთ ინსულტის, ფილტვებისა და ღვიძლის კიბოს, მამაკაცებში კი პროსტატის განვითარების რისკს.

● E და C ვიტამინები ამცირებს კატარაქტის განვითარების რისკს. თუ ყოველდღე მიიღებთ ახალგამოწურულ ფორთოხლის წვენს და სხვა, C ვიტამინის შემცველ პროდუქტებს, კარგი მხედველობა გარანტირებული გექნებათ.

● თუ ყოველდღე, ერთი თვის განმავლობაში, მიიღებთ 75გ ნუშს, ორგანიზმში დაიწევს ცუდი ქოლესტერინის დონე.

● თუ ქალბატონები ზეითუნის ზეთით მომზადებულ კერძებს მიირთმევენ, დაზღვეული იქნებიან სიმსივნისაგან და მოუწესრიგდებათ არტერიული წნევა.

***სანი***

## მიირთვით ნიგოზი და ისპანახი!

15 წლის კვლევის შემდეგ ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მაგნიუმით მდიდარი დიეტა ხელს უშლის მეტაბოლური სინდრომის განვითარებას (გულის იშემიური და სხვა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, აგრეთვე შაქრიანი დიაბეტი). ვინც მაგნიუმით მდიდარ ისპანახს ხშირად მიირთმევს, ეს სინდრომი ნაკლებად უვითარდება. მაგნიუმი უხვადაა ნიგოზში, თხილში, ავოკადოში, ბანანში, ჩირეულში (გარგარი, შავქლიავის ჩირი, ქიშმიში, კრუპეული). შეგიძლიათ თავისუფლად გადახვიდეთ ამ პროდუქტების დიეტაზე.



***ზდოროვიე***

# ჰორმონების ბუნტი...



თანამედროვე ქალები ისე მოუცლელები არიან, რომ ხშირად ავიწყდებათ პირადი ცხოვრება და დადებითი ემოციები. ამის მიზეზი არის ჰორმონული მოშლილობა. ბალახეული და სწორი კვება ყველაფრის მოგვარებაში დაგვეხმარება. ჰორმონული მოშლილობის მიზეზი ხშირად ესტროგენების ნაკლებობაა. ის გამოწვეულია როგორც ასაკით, ასევე ცხოვრების არასწორი წესით. თუ თირკმელზედა ჯირკვლები (ქალს აძლევენ ძალას) ცუდად მუშაობენ, ეს აისახება გარეგნობაზე, გუნება-განწყობილებაზე და, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობაზე.

ენდოკრინული სისტემის მუშაობის მოსაწესრიგებლად მოხარშეთ მინდვრის მიხაკის გამხმარი ყვავილები (1ს/კ:1ჩ/ჭ მდუღარე წყალზე) და გააჩერეთ 10 წუთით, დალიეთ, როგორც უშაქრო ჩაი დღეში 4-ჯერ ჭამის შემდეგ (მკურნალობის კურსია 15 დღე, 15-დღიანი შესვენების მერე გაიმეორეთ). მინდვრის მიხაკი შეიცავს ალკალოიდებს, რომლებიც აუცილებელია იმუნური სისტემის მუშაობისათვის. აწესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას, წმენდს სისხლს.

ნებისმიერი ენდოკრინული მოშლილობის დროს იკვებეთ იმ პროდუქტებით, რომლებიც შეიცავენ ფოტოესტროგენებს — ნივთიერებებს, რომლებსაც აქვთ მიკრობების, სიმსივნის და ანთებსაწინააღმდეგო მოქმედება. ასეთებია: სოია, კენკრა, სოკო, პარკოსანი კულტურები, ისპანახი.

***ლიზა***


**თმის გადანერგვის კლინიკა «თალიზი»**

თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები.
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

# ყავა ღვიძლს იცავს...



მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად იტალიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ყავა ღვიძლს იცავს სხვადასხვა დაავადებისაგან. ისინი უკვე შეუდგნენ კოფეინის შემცველი ახალი სამედიცინო პრეპარატების შექმნას. გამოკვლევების თანახმად, იტალიაში ბოლო წლების მანძილზე ღვიძლით დაავადებულთა რიცხვი 30%-ით შემცირდა და ამის მიზეზი არის ის, რომ იტალიელები დილიდანვე მიირთმევენ ამ არომატულ, ნალექიან, სასარგებლო სასმელს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერში საჭიროა ზომიერება.

*ცელებნიკი*

# თუ ორგანიზმს იოდი აკლია...

იოდის ნაკლებობას განიცდიან როგორც ბავშვები, ასევე ზრდასრულები. ამ მიკროელემენტის სადღეღამისო ნორმაა 100-დან 200 მიკროგრამამდე. იოდის ნაკლებობის დროს ადვილად ვიღლებით, ცუდად ვაზროვნებთ, ხშირად ვხდებით ავად. ორგანიზმს აკლია თუ არა იოდი, ამის დადგენაში დაგეხმარებათ ტესტი:

1) პერიოდულად გაქვთ შეგრძნება, თითქოს ყელში ლუკმა გაქვთ გაჩხერილი?
2) სისხლით ნათესავებში ვინმეს თუ ჰქონია ფარისებრი ჯირკვლის დაავადება?
3) ობიექტური მიზეზების გარეშე წონა თუ დაკარგეთ?
4) ერთბაშად მოიმატეთ?
5) გაგიძლიერდათ მადა?
6) თითქმის აღარაფერს მიირთმევთ?
7) გაწუხებთ ოფლიანობა?
8) გამუდმებით გცივათ?
9) ცხელი ხელები გაქვთ?
10) ხელ-ფეხი გეყინებათ?
11) ქრონიკულად გეძინებათ, რეაქცია შეგინელდათ?
12) პულსი გიჩქარდებათ?
13) კანი ზედმეტად გამოგიშრათ?
14) კუჭ-ნაწლავის აშლილობა გაწუხებთ?
15) ყაბზობამ შეგაწუხათ?

თუ თუნდაც 6 შეკითხვაზე დადებითად უპასუხებთ, შესაძლოა ორგანიზმს არ ჰყოფნის იოდი. დღეში მიირთვით 5-7 ცალი ცოცხალი ფეიხოა. აუცილებელია ექიმის კონსულტაციაც.

*ზდოროვიე*

# პლეიერიდან სასმენ აპარატამდე ერთი ნაბიჯია!



მოზარდებს უყვართ მუსიკის მოსმენა ფლეერის საშუალებით, თანაც მაქსიმალურ ხმაზე. ამას მოჰყვება სმენის რეცეპტორების უჯრედების დროებითი დეგრადაცია, რომელიც შესაძლოა სერიოზულ დაავადებად იქცეს. ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოა 85 დეციბალი (დაახლოებით მტვერსასრუტის ხმის ტოლია) 8 საათის მანძილზე. 3 დეციბალით ხმის მომატება უკვე სარისკოა.

*ტაიმი*

რევმატოლოგიის ცენტრი!

მაღალკვალიფიციური ექიმები დახმარებას გაუწევენ ავადმყოფებს დაავადებულებს რევმატიზმით, სახსრების ანთებითი და არაანთებითი დაავადებებით (ხერხემლის სვეტის ოსტეოქონდროზი, სპონდილოზი, რადიკულიტი, პოდაგრა, ე.წ. „მარილების დაგროვება“ – მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრების და სხვა).

ტარდება გამოკვლევები უახლესი აპარატურით (დენსიტომეტრია - ძვლის სიმკვრივის განსაზღვრა).

მის: დ. უზნაძის 51 (ყოფ. კამოს) ქუჩა

ტელ: 95-60-59

პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს

ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
იმკურნალეთ




იკითხეთ აფთიაქებში




საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით

ცხელი ხაზი: 39 66 03

„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება

სექსოპათოლოგია
•ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
•ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
•სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
•სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
•უროლოგიური,გულსისხლძარღვთა,ნევროლოგიური, ნივთიერებათა ცვლის მოშლით და ნარკომანიით გამოწვეული სექსუალური დარღვევების მკურნალობა
ფსიქოთერაპია
ვაქცინაცია დასავლეთის წარმოების ვაქცინებით.
თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ტელ: 32 21 21; 31 73 24

## რა არის უშვილობის მიზეზი?

*ლ. კარჩხაძე*

# უშვილობის პრობლემა საქართველოში...



საქართველოში უშვილოთა რაოდენობა კატასტროფულად მატულობს. ადრე ამის მიზეზი ქალი ეგონათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უშვილობის თითქმის 50% მამაკაცის ბრალი ყოფილა.

**როდის საუბრობენ უშვილობაზე:** თეორიულად უშვილოდ მიიჩნევდნენ წყვილს, რომელთაც შეუღლებიდან 2 წლის განმავლობაში ბავშვი არ უჩნდებოდა, მაგრამ დღეს ეს დრო 1 წლამდე შემცირდა.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორი ცნება: უშვილობა და უნაყოფობა.

უშვილობის შემთხვევაში ქალი ორსულდება, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო ორსულობა ბოლომდე ვერ მიდის, უნაყოფობისას კი ვერ ორსულდება.

არსებობს მეორეული უშვილობაც, როდესაც ქალს შვილი ჰყავს, მაგრამ მეტი აღარ უჩნდება.

რამდენიმე ათეული წლის წინ საქართველოში უშვილო წყვილები მოსახლეობის მხოლოდ 5%-ს შეადგენდა, დღეს კი 15-20%-ია.

ჯანმრთელი წყვილის შეუღლებისას ქალი რამდენიმე თვეში ან ერთ წელიწადში უნდა დაორსულდეს, თუ არა და, ხელისშემშლელი მიზეზი გამოკვლევებით უნდა დადგინდეს. თუ უშვილობის მიზეზი დროულად გაირკვევა და შესაბამისი მკურნალობაც ჩატარდება, შედეგსაც მალე მივიღებთ.

**გამომწვევი მიზეზები:** უშვილობა უამრავი ფაქტორითაა განპირობებული, მაგრამ საქართველოში მისი ძირითადი მიზეზია (40-50%) ანთებითი, უფრო სწორად, სქესობრივი გზით გადამდები სნეულებანი: გონორეა, ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი, სოკოვანი დაავადებები.

ანთებით დაავადებებს ჩვენში, რატომღაც, ყოველთვის ქალს მიაწერენ, არადა, ძირითადად მამაკაცია დამნაშავე, რომელიც მეუღლესაც ასნებოვნებს. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად ქორწინების წინ წყვილმა, განსაკუთრებით მამაკაცმა, ელემენტარული გამოკვლევები უნდა ჩაიტაროს. ანთებით ფონზე ახალგაზრდებს უკვე პროსტატიტი, სპერმის ნაკლებობა ან არასრულფასოვნება აღენიშნებათ.

ანთებითი ცვლილებები იწვევს შეხორცებებს, ირღვევა კვერცხსავალი მილის განვლადობა. ნორმალურ პირობებში სპერმატოზოიდი კვერცხსავალის გავლით მუცლის ღრუში, საკვერცხესთან გადადის და კვერცხუჯრედს ანაყოფიერებს. შემდეგ განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ისევ კვერცხსავალი მილით გამოდის საშვილოსნოში, სადაც ინერგება და ვითარდება.

როდესაც მილი გაუვალია, ეს მექანიზმი ირღვევა და განაყოფიერება ვერ ხდება. თუმცა, ზოგჯერ, მილის ნაწილობრივი შეხორცებისას, სპერმატოზოიდი მაინც ახერხებს მასში გაძრომას, განაყოფიერებული კვერცხუჯრედი კი ველარ ეტევა მილში და ვითარდება საშვილოსნოს გარეორსულობა.

უშვილობას სხვადასხვა ენდოკრინული დაავადებებიც განაპირობებს. ქალებში ამის მიზეზია პოლიკისტოზი (მისი ერთ-ერთი სიმპტომია ჭარბთმიანობა), ე.წ. ადრენოგენიტალური სინდრომი, თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგიები...

მამაკაცებში — ძირითადად სათესლე ჯირკვლების, პროსტატის, თირკმელზედა ჯირკვლის, ჰიპოფიზის ფუნქციების დარღვევა.

უშვილობის 15%-ის მიზეზი დაუდგენელი რჩება. ძალზე იშვიათია წყვილის იმუნოლოგიური შეუთავსებლობა.

**სპერმის გამოკვლევა:** უშვილობის დროს უპირველესად უნდა გამოიკვლიონ მამაკაცის სპერმა, რასაც მცირე დრო სჭირდება. ამის შემდეგ დგინდება, აქვს თუ არა სპერმას განაყოფიერების უნარი; ქალის გამოკვლევა კი ზოგჯერ რამდენიმე თვეც გრძელდება.

განაყოფიერების უნარი რომ ჰქონდეს, სპერმის 1 მილილიტრში სულ ცოტა, 40 მლნ სპერმატოზოიდი მაინც უნდა იყოს. მნიშვნელობა აქვს სპერმის შემადგენლობას, ხარისხს, რამდენად მოძრავია ის, ხომ არ შეიმჩნევა სხვა რაიმე პათოლოგია. ზოგჯერ სპერმატოზოიდები ნორმალურია, მაგრამ ანთების გამო ერთმანეთს ეწებება.

**შემდეგი კვლევები:** ამის მერე იწყება ქალის გამოკვლევა. კეთდება საშოს ნაცხი, მისი ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა. როცა ინფიცირება დასტურდება, განისაზღვრება ბაქტერიების მიმართ ანტიბიოტიკების მგრძნობელობა და ქალი (ასევე მამაკაცი) უკვე შერჩეული პრეპარატით მკურნალობს.

თუ ქალს დარღვეული აქვს მენსტრუალური ციკლი ან სხვა ჰორმონალურ დარღვევებზეა ეჭვი, ინიშნება ჰორმონალური კვლევაც.

კვერცხსავალი მილების გამოსაკვლევად ტარდება კონტრასტული რენტგენოლოგიური, კომპიუტერული, ულტრაბგერითი (ექოსკოპია) კვლევები.

**მკურნალობა:** გამომწვევი მიზეზის გათვალისწინებით, უშვილობას მკურნალობენ ანთების საწინააღმდეგო, ჰორმონალური და ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატებით...

**ლაპარასკოპიული მეთოდი:** მილისმიერი უშვილობის დროს ფართოდ გამოიყენება ლაპარასკოპიული მეთოდი — ამ დროს მუცლის ღრუს გაუხსნელად, ჭიპის ქვეშ, მცირე განაკვეთიდან შედიან მცირე მენჯის ღრუში, იქიდან კი — კვერცხსავალში. თუ მილი საკვერცხის მხარესაა ჩაკეტილი, მაშინ მეთოდი 70%-ით ეფექტიანია, თუ საშვილოსნოს მხარეს — შედეგი ნაკლებია.

**საშვილოსნოს გარეორსულობა:** ლაპარასკოპიულ მეთოდს საშვილოსნოს გარეორსულობის დროსაც წარმატებით იყენებენ. ამ ოპერაციის გზით ქალს მილს უნარჩუნებენ, რაც მუცელკვეთის შემთხვევაში არ ხერხდება (ხდება მილის ამოჭრა).

ამიტომ ორსულობის ტესტის ჩატარების შემდეგ, ქალმა მალევე უნდა ჩაიტაროს ულტრაბგერითი კვლევა, რომ საშვილოსნოს გარეორსულობა გამოირიცხოს.

საშვილოსნოს გარეორსულობის დროს ნაყოფი მილში 1 თვის განმავლობაში ვითარდება, მუცლის ღრუში კი ორსულობა 3-4 თვემდე და მეტიც გრძელდება.

**„სინჯარის ბავშვი“:** თუ ქალს მილები აღარ აქვს ან ისეთ მდგომარეობაშია, რომ დაორსულების შანსი არ არსებობს, მიმართავენ სინჯარაში განაყოფიერებას. ამ მიზნით წინასწარ ხდება ფოლიკულის სტიმულირება, სპეციალური მომზადება, რომ ფოლიკული დიდი გაიზარდოს, რითაც მისი პუნქცია ადვილდება. ექოსკოპიის კონტროლის ქვეშ საშოს მხრიდან ნემსით შედიან საკვერცხის ფოლიკულისკენ და იღებენ შიგთავსს, რომელსაც სპერმასთან ერთად 2 დღე-ღამის მანძილზე სინჯარაში, სპეციალურ ინკუბატორში, ამყოფებენ. შემდეგ შიგთავსი საშვილოსნოს ღრუში გადააქვთ (საშოს მხრიდან). უკვე ათეული წელია ეს მეთოდი საქართველოში ეფექტიანად გამოიყენება.

**პროფილაქტიკა:** უშვილობის პროფილაქტიკა ჯერ კიდევ დაქორწინებამდე იწყება. თუკი გოგონას აღენიშნება მენსტრუაციის დარღვევა, ჭარბთმიანობა, ექიმს უნდა მიმართოს.

ქორწინებამდე წყვილმა უნდა გამოიკვლიოს თავისი ჯანმრთელობა, ყველაზე მარტივი — ნაცხის გამოკვლევა მაინც უნდა ჩატარდეს, რაც ხელმისაწვდომიც არის.

*მაია მუხიგული*

# ტუბერკულოზს რწმენა და სახალხო მკურნალი არჩენს

საქართველოში ტუბერკულოზის განსაკუთრებით საშიში ფორმით დაავადებული ადამიანები უიმედო მდგომარეობაში არიან. ფიბროზული ტუბერკულოზით დაავადებულმა პაციენტმა გიგა კობახიძემ, რომელსაც ტუბდისპანსერის ექიმები ოპერაციის გარდა ვერაფერს სთავაზობდნენ, რუის-ურბნისის ეპისკოპოსის მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით შექმნილ სამკურნალო ცენტრ „მკურნალს“ მიმართა.

გიგა კობახიძე უფლის ნებას ხედავდა იმაში, რომ გაზეთში განცხადებას წააწყდა, სადაც მითითებული იყო, რომ სახალხო მკურნალი ნინო ქურდაძე ფიბროზული კავერნის მქონე ტუბერკულოზიან ავადმყოფებს არჩენდა.

გიგა კობახიძემ ნინო ქურდაძის მიერ დამზადებული ბალახების ნაყენი მიიღო და... ისევ მიმართა ტუბდისპანსერს. როდესაც ექიმებმა ხელახალი რენტგენის შედეგი ნახეს, თვალებს არ უჯერებდნენ. კავერნა სრულიად გამქრალიყო, მხოლოდ ფიბროზების მცირე კვალი — ნაწიბურებილა შეინიშნებოდა.

10 წლის წინ, როდესაც 19 წლის დაავადებული გოგონას მშობლებმა საშველად მიმართეს ქ-6 ნინო ქურდაძეს, მის მიერ შემუშავებულმა მეთოდმა პირველივე ცდაზე გაამართლა.

**ნინო ქურდაძე:** „ის რომ ვიცოდე, რომ ვიღაც ჩემზე იოლად არჩენს ამ დაავადებას, რაღას უნდა ველოდო?! პაციენტს პირდაპირ მასთან გავუშვებ“.

საეკლესიო-სამონასტრო მედიცინის აღდგენა, მემკვიდრეობით გადმოცემული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდა წლების განმავლობაში მიმდინარეობდა.

ტუბერკულოზის გარდა, ნინო ქურდაძე მკურნალობს: კუჭ-ნაწლავის ანთებით და წყლულოვან (გასტრიტი, ენტერიტი, კოლიტი, ეროზიები), სასუნთქი გზების ანთებით (პნევმონია, პლევრიტი, ტუბერკულოზი), საშარდე სისტემის მარილოვან, ანთებით და კენჭოვან (ნეფრიტი, პიელონეფრიტი) დაავადებებს, ქოლეცისტიტს, ჰეპატიტს. მისი წამალი პარაზიტი ჭიებისგან (ლამბლია, ასკარიდა, მახვილა) განკურნების საუკეთესო საშუალებაა.

ნინო ქურდაძეს სწამს, რომ მას, როგორც მკურნალს, უფალი ეხმარება და ყველა ავადმყოფს ურჩევს, პირველ რიგში რწმენაში გაძლიერდეს.

მის: თბილისი,
თამარ მეფის გამზ. №20,
შაბათ-კვირას ხაშურში
მის: 9 აპრილის ქ. №10.
ტელ: 899-74-41-60 R

სამედიცინო ცენტრი “ლაზერი“ ბახტრიონის ქ. №18

უახლესი ტექნოლოგიები. უნიკალური მეთოდები. 5-წლიანი მუშაობის გამოცდილება.

პროქტოლოგია: ბუასილის „ოპერაცია“ დანისა და ნარკოზის გარეშე. 15-30 წუთში. ამბულატორიულად. ანალური არხის ნაპრალის, კოლიტის მკურნალობა.

უროლოგია: პროსტატიტის მკურნალობა პროფესორ ს.მოსკვინის 2005წ გამოშვების უნიკალური ლაზერული აპარატით; სექსუალური პრობლემების მოგვარება; პროსტატის ადენომის ადრეული სტადიის მკურნალობა დაბალინტენსიური ლაზერით.

ექიმი ვიტალი ბერიშვილი ტ. 36-14-18; 899.70.00.40; 37-93-41

ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო..." „გაიყინება", გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავანყვეტილი სრბოლით გაგრძელდება წუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის" ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო **„ინტერპრესნიუსის"** ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული წამი" — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).




საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობას საფუძველი ოფიციალურად ჩაუყარა. მიხეილ სააკაშვილმა ტექნიკის დათვალიერებისას თან თურქეთის სახელმწიფო მინისტრი ქურშად თუზმენი იახლა და „საავიაციო შთაბეჭდილებებიც" გაუზიარა.

## „გაიტანეთ გრენლანდია"



ახალქალაქიდან რუსული ბაზების გაყვანას ადგილობრივი სომხები სასტიკად ეწინააღმდეგებიან. ამის მიუხედავად, პროცესი მაინც დაიწყო და ჯარის ერთმა ნაწილმა უკვე წალკაში გადაინაცვლა, საიდანაც მათ სომხეთში მიუჩენენ დისლოკაციის ადგილს. რუსებმა ტრადიციას არ უღალატეს და გასვლისას სამწყობრო მარშიც „დააგრუხუნეს".

**„— ეს მკვდრის გამცილებლები აქ აღარ მაათრიოთ, თორე ცეცხლს გაგიჩენთ!"**
**(კ/ფ „გარიგება")**







**„— მოგვაშორეთ ბატონო აქედან, დაგვხოცა...**
**— რა სჭირს თქვენი დასაწუნი, თქვე გოუცრელი მჭადით გამოზრდილებო!"**
**(კ/ფ „უდიპლომო სასიძო")**

ქართული ღვინის შემდეგ რუსული ბაზარი ოფიციალურად „ბორჯომისთვისაც" გადაიკეტა. მსოფლიოში აღიარებული მინერალური წყლის სამკურნალო თვისებებით ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები წლების მანძილზე იამებდნენ შინაგან ორგანოებს, ახლა კი აღმოაჩინეს, რომ თურმე „ბორჯომი" უვარგისი ყოფილა.

საქართველოში ავტოსავ ზაო შემთხვევები ახალი ფაქტებით „მდიდრდება". გურამიშვილის ქუჩაზე მიმავალ „გაზ-24"-ს მოულოდნელად ბორბლებქვეშიდან ასფალტი გამოეცალა და კინაღამ (თუმცა, რაღა კინაღამ) „მიწამ უყო პირი". როგორც აღმოჩნდა, კურიოზული ავტოავარიის მიზეზი წყლის მილის დაზიანება ყოფილა, რამაც მიწის ზედაპირის ჩანგრევა გამოიწვია. საინტერესოა, ვინ აუნაზღაურებს უდანაშაულო მძღოლს მიყენებულ ზარალს?..

**„შენც კაი ვინმე ხარ, აბესალომ, რომ მიძვრებოდი, სად მიძვრებოდი?!."**
**(კ/ფ „ქვევრი")**





გასულ კვირას კრიმინალურმა დეპარტამენტმა ჩოგბურთის კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე ყაჩაღობაში ეჭვმიტანილები ჩაცხრილა. დღევნის ოპერაცია, რომელიც ხალხმრავალ ადგილზე ჩატარდა, ორი ეჭვმიტანილის ლიკვიდაციით დასრულდა, ერთი კი მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, სპონტანურად დაგეგმილი ჩასაფრების შედეგად შემთხვევით გამვლელებს ბედმა გაუღიმა და როყიო ტყვიებისგან სიკვდილს გადაურჩნენ.



3 მაისს, გამთენიისას, ადლერთან ტრაგედია დატრიალდა. კატასტროფა განიცადა სომხეთის ავიახაზების A-320 ტიპის ავიალაინერმა, რომელიც დაშვებისას შავ ზღვაში ჩავარდა. 113 დაღუპული მგზავრიდან ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნახევრის მოძიება და იდენტიფიკაცია მოხერხდა. მომხდარის გამო რუსეთსა და სომხეთში გლოვა გამოცხადდა.





თბილისში კონცერტის გასამართავად ლეგენდარული ფრანგი აკორდეონისტი რიშარ გალიანო ჩამოვიდა. მის პატივსაცემად მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელებმა ეს კონცერტი გამართეს, რომ ძვირფას სტუმარს აღფრთოვანებისგან ასეთი სიტყვები ათქმევინეს: „ასეთი რამ ცხოვრებაში არ მინახავს, მე უდიდესი ენერგია მივიღე. ეს ბავშვები შეუდარებლები არიან!.."

**„ეს ძველისძველი ერია, სახელი გაუთქვამს თავისი სიმღერებითა თუ ლეგენდებით... და მაინც, ასე სამარცხვინოდ უცნობია ჩვენთვის, ევროპელთათვის..."**
**(სტეფან ცვაიგი)**

# „ქალბატონი დედა“

**„ყველაფრის გაძლება ღირს, იმიტომ, რომ ცხოვრება მშვენიერია“**



ასეთია მსახიობის ცხოვრება: რეპეტიციებზე უნდა მოასწრო მისვლა, სპექტაკლზე, არც გადაღება უნდა „ჩააგდო“, თუკი ფილმში ხარ მიწვეული, ემოციებით სავსე უნდა იყო და, ამავდროულად, მისხალ-მისხალ აკონტროლო გრძნობები — ყოფიერებამ ვერ უნდა შეაღწიოს ხელოვნებაში. საკუთარი პრობლემები თეატრის ზღურბლთან უნდა დარჩეს...

ვინ იფიქრებდა, თუ ეს პატარა, მეტყველთვალებიანი ცქრიალა გოგონა ამდენს შეძლებდა: სცენაზე უზადოდ ითამაშებდა, კინოროლებშიც, ოჯახსაც გაუძღვებოდა, შვილებს, შემდეგ შვილიშვილებს, შვილთაშვილებსაც არ მოაკლებდა ყურადღებას. თან ამ გზების ხიდზეც შეუძლებდა უდარდელად გავლას, კარგ ადამიანად ყოფნა-არყოფნას რომ უდრის ზღვარს. ასეთია ქალბატონი მედეა ჩახავა. მისთვის, ნიჭთან ერთად, ბრწყინვალე პიროვნული თვისებებიც მოუცია ღმერთს.

რეპეტიციისას სცენაზე გამოსულ შვილს — რეჟისორ თემურ ჩხეიძე ასე მიმართავს: „ქალბატონო დედა“. ეს სიტყვები სიყვარულით აიხსნება ყველამ, ვინც გაიგო, იცის, რომ „ქალბატონი დედა“ მართლაც ქალბატონი დედაა!

მედეა ჩახავა იუბილარია. წელს თეატრისა და კინოს თაყვანისმცემლები განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ პატივისცემასა და სიყვა-



ვასილ ჩახავა თემურთან — პირველ შვილიშვილთან ერთად

რულს, მსახიობმა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე რომ დაიმსახურა. ის დღესაც სცენაზეა და ბრწყინვალედ თამაშობს როლს სპექტაკლში „აქ, ამ სავანეში“.

— **ოდესმე თუ გქონიათ ისეთი პერიოდი, როცა არ გსურდათ სცენაზე გასვლა?** — ვკითხე ქალბატონ მედეას.

— ყველა ადამიანს აქვს რთული პერიოდი ცხოვრებაში... მეც მქონდა რამდენჯერმე... ერთხელ საერთოდ არ მინდოდა სცენაზე დაბრუნება. მაშინ საღ-სალამათი მამა მოულოდნელად გარდამეცვალა. წინა ღამით თავზე ადგა პაციენტს. მეან-გინეკოლოგი იყო... რამდენი ხანია, მამა ცოცხალი აღარ არის, მის პაციენტებს კი დღემდე ახსოვთ. მამის გარდაცვალება ტრაგედია იყო ჩემთვის — მეხსიერება დავკარგე... ამას მეორე უბედურება დაერთო. ჩემი მეუღლე (კოტე მახარაძე) რომ შემოვიდა ოთახში და ნახა, მამა აღარ იყო, უმძიმესი ინფარქტი დაემართა. მას მერე ექვსი თვე არ მითამაშია სცენაზე...

ბოლო წლებში ისევ მომიწია უსცენოდ ცხოვრებამ, მაგრამ ეს ჩემი მიზეზით არ მომხდარა, დრომ მოიტანა. საბჭოთა წყობილებაში პენსიაზე ყოფნა და მუშაობა არ შეიძლებოდა... მე არხეინად ვუყურებდი ამას. ვფიქრობდი, პენსიაზე რომ გავალ, ალბათ აღარც ვიქნები საჭირო თეატრისთვის-მეთქი. მარწმუნებდნენ, უშენობა წარმოუდგენელიაო. დრომ კი, რომელიც სცენის გარეშე გავატარე, აჩვენა, თურმე შეიძლება უჩემობა. მაგრამ მაყურებლის ჩემდამი დამოკიდებულება მაინც მაიმედებდა. და აი, ექვსი წლის შემდეგ სამეფო უბნის თეატრის სცენაზე ამოვიდგი ენა — თურმე ჯერ კიდევ შემიძლია ლაპარაკიც, სცენაზე დგომაც...

— **და მერე როგორ... თქვენი და ქალბატონი თამარ სხირტლაძის თამაში სპექტაკლში, „აქ, ამ სავანეში“, 2005 წლის საუკეთესო როლებად აღიარეს...**

— მიხარია, რომ ასეა...

— **მამა ახსენეთ, რომელთანაც მართლაც გამორჩეული ურთიერთობა გქონიათ. ისიც სიმბოლურია, რომ მამა, რომელიც ცოცხალი აღარ გეგონათ, იმ დღეს დაბრუნდა ფრონტიდან, როცა თქვენ თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე პირველ პრემიერას თამაშობდით...**

— ჰო... არავის ჰქონდა იმედი, თუ ცოცხალი იყო — ქერჩში იბრძოდა. იქ კი საშინელი ტრაგედია ტრიალებდა. დროდადრო გვატყობინებდა, — ცოცხალი ვარო, მერე ვიღაცამ ამბავი მოგვიტანა, — ჩემი თვალით ვნახე, როგორ დაიღუპაო. მართლაც, ერთხელ კატარღიდან გადავარდნილა, მაგრამ, საბედნიეროდ, გადარჩა და დამიბრუნდა მამა, თანაც პრემიერის დღეს. ინსტიტუტში სადიპლომო სპექტაკლი — გიორგი ტოვსტონოგოვის „ცისფერი და ვარდისფერი“ ვითამაშე. იმდენად ბედნიერი ვიყავი იმ დღეს... მამის ჩამოსვლა ხომ მიხაროდა, თან სპექტაკლიც ისეთი გამოდგა, უმალ მიიპყრო ყურადღება... იმ წელს თბილისში ომის გამო ევაკუირებული მოსკოვის სამხატვრო თეატრი იმყოფებოდა. მისი დიდი არტისტები აღტაცებულნი გამოეხმაურნენ ჩვენს სპექტაკლს. ბედნიერებისგან ვბრწყინავდით. ბედნიერად დაიწყო ჩემი მოღვაწეობა, ოღონდ ამას ახლა ვამბობ. როცა ვიწყებდი მსახიობობას, სხვაგვარი განცდები მქონდა, დიდხანს მომიხდა მასობრივ სცენებში დგომა. კარგა ხნის მერე გამოიმეტეს ჩემთვის დუბლიორობა. შესანიშნავი მსახიობისა და ქალბატონის, ნინო ლაფაჩის დუბლიორი ვიყავი. ის არაჩვეულებრივი, ტანადი ქალი იყო, მე წრიპა გამოვჩნდი, ჩემი ხმაც არ ისმოდა სცენიდან. მოკლედ, ჩამივარდა როლი... პირველად ვერ გავამართლე მოლოდინი. მერე მივხვდი რაღაცებს, ვისწავლე...

— **თქვენს პრემიერებს ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ?**

— რა თქმა უნდა. დღემდე გამომყვა — საშინელი ღელვა ვიცი სპექტაკლის წინ. სპექტაკლზე რომ ვმუშაობდით, იმ პერიოდში შინაც სულ ამაზე ვფიქრობდი. სამზარეულოში ვიყავი თუ სხვა საოჯახო საქმეს ვაკეთებდი, გულში სულ იმას ვასახიერებდი, ვინც სცენაზე უნდა



„ფილოსოფიის დოქტორი“ კლარა — მედეა ჩახავა, პეპისი — მაკა მახარაძე

მეთამაშა. პრემიერის დღეს ისე ვღელავდი, სადილად რომ დავსხდებოდით (წინათ ერთად ვსხდებოდით სადილად. ახლა ვინ როდის მოასწრებს, ისეა), მამა პულსს გამისინჯავდა ხოლმე. ისეთი თახათუხი გაჰქონდა ჩემს გულს... ერთხელ კონცერტში ვმონაწილეობდი. ვერიკო ანჯაფარიძემ შემამჩნია, რომ ვნერვიულობდი. რატომ ღელავო, — მკითხა. ჩემდა უნებურად-მეთქი, — ვუპასუხე. მომკიდა ხელი ხელზე — აცახცახებული, გაყინული მქონდა. ვერიკო გაოცდა: — რა გაღელვებს შე სულელო, ისე კარგად კითხულობ ლექსს, როგორ შეიძლება ასე ღელვაო. გურამ სალარაძეც მახსენებს ხშირად, კულისებში როგორ ვცახცახებდი. მაგრამ სცენაზე რომ გავიდოდი, შიში ქრებოდა. ყოველთვის მაინტერესებდა, ის წუთი დამეჭირა, როდის ხდებოდა ჩემი შინაგანი განწყობის გადართვა და სასცენო შესაძლებლობების რეალიზება... ამ მომენტს ვერასოდეს ვიჭერდი.

— **კინოროლებზე რას იტყვით?**

— უაღრესად მადლიერი ვარ იმ კინოგმირებისა, რომლებიც მე განვახორციელე. ალბათ ამან გამხადა პოპულარული. კინომ ბევრი რამ მოგვცა. მაყურებელიც გაგვიმრავლდა... მაგრამ ჩემთვის მთავარი მაინც თეატრია.

— **როლის მიღება მსახიობისთვის ბედნიერებაა. მითხრეს, რომ შეგეძლოთ თქვენი როლი დაგეთმოთ ახალგაზრდა არტისტისთვის. მიხეილ თუმანიშვილის ერთ სპექტაკლში თურმე თქვენს დუბლიორად დალი მაცაბერიძე დაამტკიცეს. თქვენ კი რეპეტიციებზე საგანგებოდ აგვიანებდით, საყვედურსაც იღებდით, ოღონდ ქალბატონ დალის ეთამაშა ეს როლი...**

— რა გითხრათ... მსახიობის ცხოვრებაში ასეც ხდება და პირიქითაც... „ხევისბერ გოჩაში“ უნდა მეთამაშა, მაგრამ მანქანა დამეჯახა და ვერ შევძელი. როლი ზინა კვერენჩხილაძეს არგუნეს — გამიხარდა. დიდი წარმატება ხვდა ზინას. მერე შემაგულიანეს — შენც გაქვს ის თვისებები, რომლებიც ამ როლს სჭირდებაო. ვცადე და ვითამაშე... ხან ისეა, ხან ასე...

— **თქვენს თავზე რას ფიქრობთ, მტკიცე და ძლიერი ქალბატონი ბრძანდებით?**

— რა ვიცი... ქალი ყოველთვის ძლიერია. ნორმალურ ქალზე მოგახსენებთ, რომელიც სამსახურშიც ასწრებს ყველაფერს და შინაც. ილლები, მაგრამ უეცრად ძალა მოგეცემა... პაწაწკუნა იყო თემური, წლინახევრისამ აიდგა ენა. როცა სპექტაკლზე წასასვლელად მოვემზადებოდი — „დონ დიჩი“ გადიოდა მაშინ — დაიწყებდა ტირილს. მე კი არ შემეძლო გაცდენა, სოლოს ვცეკვავდი. ვამშვიდებდი თემურს: დედიკო, რა ვქნა, „დონ დიჩი“ მაქვს-მეთქი... ერთხელ, გულზე მიირტყა ხელი — მე ვარ შენი „დონდიჩიო“. ეს ძალიან გულსაკლავი იყო, მაგრამ კარი მაინც უნდა გამეხურა. ძნელი იყო, როცა კულისებში ბავშვებს ვტოვებდი. ვიდრე სცენაზე ვიყავი, სხვები შეიქცევდნენ ხოლმე. თუმცა სანამ დედმამა გვერდით მყავდა, ნაკლები განცდები მქონდა...

— **ოდესმე დაღლილობისაგან თუ გიტირიათ?**

— არ ვარ მტირალა. საერთოდ არ გამოვხატავდი ამ განცდას. წყენისაგან ვმუნჯდებოდი ხოლმე. წყენას გულში ვიკლავდი. ხშირად ვთმობდი კიდეც. საერთოდ, აუცილებლად მიმაჩნია პატიება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანებთან ურთიერთობაში.

— **შვილებიც თქვენ გგვანან... ერთხელ ბატონმა თემურმა თქვა: მე მშვიდი კი არა ვარ, უბრალოდ, ასე ვარ აღზრდილიო...**

— ყველა შვილი ასეთი მყავს. არ ხმაურობენ, არავის აწუხებენ. ბავშვებს ყოველთვის ვაძლევდით საშუალებას, რომ თვითონ აერჩიათ, რა უნდოდათ, თვითონ ეცადათ. არ გამოუვიდოდათ? — ჩვენც ვწუხდით, მაგრამ მაინც გვერდში ვედექით „ნუ გეშინიას“ სათქმელად და არა — გზის გასაკაფად. ივიკო შესანიშნავი კომენტატორია, მაგრამ თავმდაბალია, არასოდეს „ხმაურობს“... ჩვენ არაფერი გავუკეთეთ საამისოდ.

— **ოდესმე თუ გიცდიათ სხვა შემოქმედებითი საქმიანობა მსახიობობის გარდა?**

— მაგისი დრო არასოდეს მქონდა. გურამ ბათიაშვილი 20-25 წლის წინ მეუბნებოდა, — ქალბატონო მედეა, დაიწყეთ წერაო. ამას იმიტომ ამბობდა, რომ ვიღაცაზე რაიმეს რომ დავწერდი, თითქოს გამომდიოდა. ახლა მენანება ეს გაშვებული დრო, მაგრამ... ყოველთვის ვჭოჭმანობდი, — ჩემი შვილების, ჩემი ოჯახის გარდა სხვისთვის არ იქნება საინტერესო, რასაც ვფიქრობ-მეთქი. ოჯახი კი არაჩვეულებრივად საინტერესო მყავდა: მშობლები, ძმა, რომელიც დიდი მეცნიერი იყო... შვილები... სამწუხაროდ, წასულია დრო... მიყვარს კითხვა. კითხვა ყველას უყვარს... თუმცა ახალ თაობას აღარ უყვარსო, ამბობენ. კითხვას უნდა მიაჩვიო ბავშვი. ჩემს შვილთაშვილს — ნატოს უფროს ბიჭს — პატარაობაშივე ვეხვეწებოდით, — წაიკითხე, წაიკითხეო, ახლა 16 წლის არის და — დაისვენე, დაისვენეო, — ვეჩიჩინებით.

— **დიდი ოჯახის ბებიას ერთი საათი მაინც თუ გაქვთ, რომ მარტო იყოთ?**

— ახლა სულ მარტო ვარ. ყველა გაქცეულია — მოვლენ ორ საათზე, უნდა ვასადილო. უნდა რაღაც მოვიფიქრო, საჭმელი მოვამზადო... ამაზე ფიქრმა მომკლა! არ მიყვარს ბაზარში სიარული... ის კი მიყვარს, ყურადღებას რომ მაქცევენ... ერთხელ, თელ-ავივში ვიყავი ბაზარში. დამესია აქედან წასული ებრაელობა, ოღონდ ვინმეს რამე ეჩუქებინა... აღტაცებული ვიყავი. ამან ისეთი სიხარული მომგვარა...

— **სიხარული მრავლად გექნებათ — თქვენი შვილებისა და შვილიშვილების შემხედვარეს...**

— მართალია. მიხარია, რომ ვუყურებ მაკას, როგორ ბავშვებს იღებს სტუდიაში, როგორ ცდილობს, გემოვნება ჩამოუყალიბოს, ნამდვილ პიროვნებებად აქციოს. მიხარია თემურს, ივიკოს რომ ვუყურებ, მიხარია ჩემი შვილიშვილების, შვილთაშვილების წარმატებები.

— **ყველაზე მთავარი მაინც რა იყო თქვენს ცხოვრებაში?**

— კითხვის დასმა ადვილია, მაგრამ პასუხი — რთული. ყველაფერი მთავარია, რასაც აკეთებ, როგორ შეიძლება გამოყო რამე. რასაც ვაკეთებ, ყველაფერს იმიტომ ვაკეთებ, რომ მთავარია. აბა, თუ არ არის მთავარი, რატომ გავაკეთებ? ახლა მე რომ შეგითავსე ჩემს საქმესთან, შეგხვდი, გგონია, არა ხარ მთავარი? ყველაფერი მთავარია.

— **„კვირის პალიტრა“ და მისი მკითხველი გილოცავთ დაბადების დღეს, თუმცა ასაკთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდად გამოიყურებით...**

— გარეგნობით ყოველთვის ყველას უფრო პატარა ვეგონე, ვიდრე ვიყავი. ასაკს არასოდეს ვმალავ... აგერ, თემური 62 წლის მყავს და მე რანაირად ვიქნები 75-ის? ვხუმრობ ხოლმე, — თემური ნაშვილები მყავს-მეთქი. ახლა 85 წლის ვხდები. სულაც არ მჭირდება ასაკის დაკლება. მე სხვა ღირებულებებით ვცხოვრობ... ომის დროს მე და დედა ვქსოვდით და ბაზრობაზე გაგვქონდა გასაყიდად. ძაფი რომ აღარ გვქონდა, ძველს ვარღვევდით... თბილისის ომის წლებში ოჯახში როგორ გვიჭირდა, იცი? ვიღაცები მაინც რაღაცას ფაფხურობდნენ, დაგვიძახებდნენ და ანაზღაურებას — 5 ან 10 მანეთს გვაძლევდნენ. შეურაცხმყოფელიც კი იყო ეს ფული... ხან ვფიქრობდი, უარს ვიტყვი-მეთქი, მაგრამ ესეც რომ მნიშვნელოვანი იყო ოჯახისთვის?! სირთულე — სირთულეა, მაგრამ ყველაფრის გაძლება ღირს იმიტომ, რომ ცხოვრება მშვენიერია. უნდა გაგიჭირდეს, რომ მიხვდე, რა ბედნიერებაა, რომ ცოცხლობ.

ლელა ჯიჯაშვილი

„აქ ამ სავანეში“ — ბოლო სცენური სახე, რომლისთვისაც 2005 წელს ქალის საუკეთესო როლის შემსრულებლად დაასახელეს



ბოლო წლებში ისევ მომიწია უსცენოდ ცხოვრებამ, მაგრამ ეს ჩემი მიზეზით არ მომხდარა, დრომ მოიტანა. საბჭოთა წყობილებაში პენსიაზე ყოფნა და მუშაობა არ შეიძლებოდა... მე არხეინად ვუყურებდი ამას. ვფიქრობდი, პენსიაზე რომ გავალ, ალბათ აღარც ვიქნები საჭირო თეატრისთვის-მეთქი. მარწმუნებდნენ, უშენობა წარმოუდგენელიაო. დრომ კი, რომელიც სცენის გარეშე გავატარე, აჩვენა, თურმე შეიძლება უჩემობა.

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. „ინტერნატურა"



იმ პერიოდში, როდესაც ინტერნატურას გავდიოდი, დიდი ხნის უნახავმა კლასელმა მომაკითხა რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ჯერ კიდევ შუადღეზე შემიჩნდა, გინდა თუ არა რესტორანში უნდა წამომყვეო. დიდი სიამოვნებით, მაგრამ ინტერნატურას რა ვუყო-მეთქი.

— ვინაა, ძამა, მაგი ინტერნატურა, ამფერი მკაცრი, რომ ვთხოვო, შვიდი წელია ძმაკაცი არ მინახავს, რაფერ არ გამოგიშობსო?!

მეც გავაგრძელე, — ინტერნატურა ჩოხელი ისეთი მკაცრი პროფესორია, მისი ყველას ეშინია-მეთქი და დერეფანში შემთხვევით მიმავალი ჩემი დოცენტი, თემურ კოდუა დავანახვე. შენ აქ დამიცადეო, წამოიძახა და ისე, რომ სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე, თემურს გაეკიდა ძახილით, — ბატონო ინტერნატურა, პატივცემულო ინტერნატურა, ერთი წუთითო.

უნდა გენახათ დოცენტის განცვიფრებული სახე, რომელსაც ლამის ნახევარი საათის განმავლობაში არ ეშვებოდა ჩემი კლასელი, რაღაცას გამწარებული უხსნიდა და სთხოვდა.

...საღამოს, რესტორნის ვერანდიდან ლისის ტბას გადავყურებდით მე, დიმა — ჩემი კლასელი და... ინტერნატურა ჩოხელი.

***ვასიკო ჩხაიძე, თბილისი***

## 2. მიპატიჟება ჯახურად



70-იანი წლების დასაწყისია. მე და მამაჩემი სოფელ კაკაბეთში ჩავედით. ბირჟაზე, მაღაზიის გვერდით ცეცხლი ანთია, მწვადი იწვება და ბიჭები არაყს მიირთმევენ. ჩვენც მიგვიპატიჟეს. მივედით. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენს სიახლოვეს „ჟიგული" გაჩერდა და მძღოლი მაღაზიისკენ გაემართა. მოქეიფეებმა დაუძახეს:

— გიო, მოდი, ერთი ჭიქა დაგვილიე.

— არა მანქანითა ვარ, ვერ დავლევ.

— ბიჭო! განა ჩვენ ტ...ებით დავცურამთ, ჩვენც მანქანითა ვართ, მოდი, დალიე!..

***ვაჟა, თბილისი***

## 3. სასოწარკვეთილი



2006 წლის თებერვალში საგარეჯოელ მიშა ძ-ს წნევამ დაარტყა. ბინაზე გამოძახებული ნევროპათოლოგი რომ წავიდა, გარეთ გამოსულ ნინას (მიშას მეუღლეს) მეზობლის ქალები შემოეხვივნენ და ამბავი ჰკითხეს:

— ყველაფერი გაუჩერდა, ქა, ხელი, ფეხი, ენა და რა ვიცი კიდე...

ერთ-ერთმა მეზობელმა, ცარომ დაამშვიდა:

— უარესიც გამოსწორებულა, რაო მაინც ექიმმა, მკურნალობით არ ალუდგებაო?

ნინამ თავისებურად გაიგო და სასოწარკვეთილმა შესჩივლა:

— ეჰ, ჩემო ცარო, ისე ჩვენს მტერს ალუდგესო!..

***რომან ზუკაკიშვილი, საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული***

## 4. ხანძარი



კომუნისტების დროს სამტრედიის რაიონის სოფელ ხუნჯულაურში მეფრინველეობის ფაბრიკა იწვოდა. ფაბრიკაში მუშაობდა ჯემალ მეიშვილი, საკმაოდ ენამოსწრებული და ხუმარა კაცი. თუმცა მაშინ სახუმაროდ ნაკლებად ეცალა და შეშფოთებულმა სახანძროში დარეკა, — არიქა, გვიშველეთ, ვიწვითო.

სახანძროში მშვიდად უპასუხეს, — გასაგებია, რომ იწვით. ეგ არაფერი, მალე მოვალთ, ოღონდ გვითხარით, რა წამოვიღოთო.

ამასობაში კვამლმა ჯემალის კაბინეტამდეც მიაღწია და ისიც გამწარებული აყვირდა: — ტყემალი და ღომი წამოიღეთ, შემწვარი წიწილები აქა გვაქვსო!..

***რუდიკო მეიშვილი, თბილისი***




**5.** ხანში შესულ ჭიჭიკიას გულმავიწყობა დასჩემდა და ბიჭიკიას შესჩივლა:

— ისე გამოვჩურჩუტდი, ჭადის სახელს ველარ ვიხსენებ, ბიჯო!

— ყველი, შე კაცო! — „გაახსენა" ბიჭიკიამ.

***თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი***





**6.** ჩასუქებული ნაზიკია ზის ექიმის კაბინეტში.

— აი, ქალბატონო, ამ გასახდომ წამალს ყოველ დილით დალევთ. რაც შეეხება საკვებს — მიირთვით 200 გრამი მაგრად მოხარშული, უმარილო საქონლის ხორცი ერთხელ დღეში.

ნაზიკიამ მადლობა გადაუხადა ექიმს, დაემშვიდობა და წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კი კარებში თავი შეჰყო:

— ექიმო, ის ხორცი რომ მითხარით, ჭამის წინ უნდა მივიღო, თუ ჭამის შემდეგ?

***ნიკოლოზ იოსებიძე, თბილისი***

| კურიოზების კონკურსი |
| --- |
| საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ——— |
| ——— |
| თქვენი სახელი, გვარი |
| კვირის პალიტრა №19 |

**ყურადღება!**

## კურიოზების კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 10 მაისის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 11 მაისის 13 საათამდე.



## ამ წიგნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება!




1943 წლის 30 ნოემბერს თეირანში გამართულ შეხვედრაზე სტალინმა ჩერჩილსა და რუზველტს შესთავაზა, ომის დამთავრების შემდეგ ბერლინის შუაგულში 50 ათას ნაცისტ ოფიცერს მოვუყაროთ თავი და სახალხოდ დავხვრიტოთო. ასეთმა წინადადებამ ჩერჩილში თანდაყოლილი სამართლიანობის გრძნობა გაალვივა და სასტიკი პროტესტი გამოთქვა. სიტუაციის განმუხტვას რუზველტი ხუმრობით შეეცადა — ჯანდაბას, 49 ათასი იყოსო. ჩერჩილი გაბრაზდა. ცალკე ოთახში გავიდა და უკან არ შემობრუნებულა, სანამ სტალინმა არ მიაკითხა და არ უთხრა, ვიხუმრეო.

იაკობ გოგებაშვილმა თავისი ქონების გარკვეული ნაწილი სომხურ და მაჰმადიანურ საქველმოქმედო ორგანიზაციებსაც დაუტოვა.

სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს შევარდნაძემ ჯორჯ ბუშს ქართული ხანჯალი გადასცა და უთხრა: „აი, ხომ ხედავთ, ჩვენ უკვე განვიარაღდით, ჯერი თქვენზეა."

1336 წლის 11 მარტს მომთაბარე სოფელ ხოჯა-ილღარში გათურქებული მონღოლი ბეგის, ტარაღაის იურტაში დაბადებულ ბიჭს სახელად თემური დაარქვეს.

იმისათვის, რომ აღწერილი ფაქტი უეჭველი გახადოს, პლუტარქე თავის პარალელურ ბიოგრაფიებში ხშირად იფიცებს ზევსსა და სხვა ღმერთებს.

შეუძლებელია ბაზარში საყიდლებზე შესული ტაბელური იარაღის მფლობელი პოლიციელი წონაში მოტყუვდეს. ყველა პოლიციელმა ზუსტად იცის საკუთარი იარაღის წონა და ნებისმიერი სასწორის სიზუსტის შემოწმება შეუძლია.



## © .ფოტოპალიტრა.



ნინო ბურჯანაძე, ირაკლი ოქრუაშვილი

**ი.ო.** — რა პარლამენტის სპიკერის საქმეა ქართული ღვინის რეკლამა, ეს ხომ თავდაცვის მინისტრის წმიდათაწმიდა მოვალეობაა...

***იური ცუცქირიძე, თბილისი***

**ი.ო.** — წუხელ მე ლექსი დავწერე!

**ნ.ბ.** — მიდი, ერთი წამიკითხე.

**ი.ო.** — ღვინის ნაცვლად დალიონ
*ფეკალური მასები,*
*ვინც გვაგინებს და გვლანძღავს,*
*ვისაც არ ვევასებით.*

**ნ.ბ.** — ბებიაშენმა თუ იცის?

**ი.ო.** — ბებიამ ჯერ არა, მაგრამ ჟირინოვსკიმ — კი.

*(კ/ფ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" მიხედვით)*

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

**ი.ო.** — *არ უნდოდა გემრიელი*
*„ხვანჭკარა" და „ციცქა"?*
*ფეკალიები მიირთვას*
*ქალბატონმა სლისკამ!*

***მათე სულწაძე, წყალტუბო***

**ი. ო.** — *ზედმეტი რომ მომივიდა,*
*მეც კი მივხვდი, ჩემო ნინო,*
*გლეხს იმედი დავუკარგე,*
*სადღა გაასაღებს ღვინოს.*

***გიგი, თბილისი***

**ნ.ბ.** — *რა მინდოდა პუტინ-ბურგში?!*
*„დუმამ" ჩამცა წიხლი ზურგში!!!*

**ი.ო.** — *ვირის წიხლი არ გეწყინოს,*
*წამო, ღვინო შევსვათ, ნინო!*

***ლადო კვანტალიანი, თბილისი***

**ნ.ბ.** — თქვენი ბილწსიტყვაობის გამო, ჩემო ირაკლი, ჯავრი დუმაში ჩემზე იყარეს.

**ი.ო.** — მაპატიეთ, ქალბატონო ნინო, თუმცა ვირის წიხლი არ უნდა გეწყინოთ.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

**ნ.ბ.** (ფიქრობს): „მგონი, ჟირინოვსკი მართალია. ამას ფსიქიკურად შემოწმება სჭირდება. აბა, რა აცინებს, ლამის ომი დაგვიწყოს რუსეთმა?"

***ლეილა გულიტაშვილი, თბილისი***



# მილოცვა

**თამუნა სიხუაშვილს!**

ჩვენო ლამაზო და ჭკვიანო თამუნა, თამარობის დღესასწაულს გილოცავთ. სახელოვანი გოგო გაიზარდე და ყველანი გაგვახარე კოცნით და გვერებით.

*პაპიტო, ნანა ბებო, მამიკო, ანა და ოლიკო მამიდა*

---

გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ **გია ვალერიანის ძე მახარაძეს.** წმინდა გიორგის მფარველობა არ მოგკლებოდეთ ყველგან და ყველაფერში, პირადად თქვენ და მთელ თქვენს ოჯახს. დიდხანს იცოცხლეთ.

*იზოლდა ცინცაძე*

---

**გიორგი ცინცაძესა და ნანა ჭიკაძეს** ვულოცავთ მესამე ქალიშვილის, ანასტასიას დაბადებას. ღვთის წყალობა და წმინდა ქალწულის, ღვთისმშობელ მარიამის მფარველობა არ მოჰკლებოდეს პატარა ქალბატონს. ამქვეყნად მოვლინება ყოფილიყოს მისთვის საუკუნო ცხოვრების დასაბამი.

*ქრისტესმიერი სიყვარულით – ნარიყალას, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი თევდორაშვილი და ტაძრის მრევლი*

---

**ქეთი დუნდუას!**



ჩვენო უსაყვარლესო ქეთი! გილოცავთ დაბადების დღეს, 8 წლის შესრულებას. გისურვებთ ლამაზ ბავშვობას, ულევ სიხარულს, შენს დედიკოსთან, მამიკოსთან და ყველა კეთილისმსურველთან ერთად. იყავი დღეგრძელი, მზეგრძელი.

*მაკა დუნდუა*

# მადლობა

ადამიანის დანიშნულება სითბოსა და სიყვარულის გაცემაა, თუმცა გაიშვიათდნენ და ყოველი ჭეშმარიტი ადამიანის ამოცნობისას მადლიერებისა და სიხარულის შეგრძნება გეუფლება მხოლოდ.

სიხარული, სითბო და იმედი მოაქვთ ჩვენთვის ექიმ-ნევროპათოლოგ **მალხაზ ცომაიას** და მის მეუღლეს, თერაპიული განყოფილების გამგეს, **ცისმარა ვაშაკიძეს.** იმედი კი რას ნიშნავს ჩვენთვის – ლტოლვილებისთვის, ცხადია. დახმარების ხელს გვიწვდიან, უანგაროდ, დაუზარებლად, ხალისით გვიდგანან გვერდით. მადლობა მათ ყველაფრისთვის. ღმერთმა სიკეთის უნარი ნუ მოუშალოთ.

*აბაშის „სათნოების სახლის" ლტოლვილები*

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ფილტვისა და ტუბერკულოზის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ქირურგიული განყოფილების გამგეს, პროფესორ **შოთა გოგიშვილს.** ასეთი გულისხმიერი ექიმი ჩემი ხანგრძლივი ავადმყოფის მანძილზე არ შემხვედრია. მისი სითბო, დიდი ადამიანობა ყოველგვარ წამალზე ძლიერია და ამდენ ხანს მაცოცხლებს. მინდა, დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა ვუსურვო ბ-6 შოთას. მისი დათესილი სიკეთე გოგიშვილების რამდენიმე მომდევნო თაობას ეყოფა სახელად.

*მადლიერი ალექსანდრე ბოკოევი ოჯახით*

# ბინები

იყიდება 3-ოთახიანი ბინა დიდუბეში, მარცხულავას ქუჩაზე, მე-7 სართულზე, ორი აივნით, ბ/აირით, წყლის გამთბობლით. ფასი $45.000. ტელ: 35-51-10; 899 22-55-70

3-ოთახიანი, კუთხის, სუფთა ბინა 8(4), ტელეფონით, რკინის კარით, პარკეტით, ბ/აირით, სამების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბაბისხევის ქუჩაზე. ტელ: 37-76-34. ნანა

იყიდება 4-ოთახიანი ჩეხური პროექტის, გარემონტებული ბინა დიდუბეში, [illegible] IX სართულზე. ფასი $85.000. ტელ: 35-18-16

სასწრაფოდ! იყიდება [illegible] 2-სართულიანი კაპიტალური შენობა, [illegible]. ტელ: 893 45-33-28; 899 27-76-82

იყიდება ბათუმში 3-ოთახიანი, [illegible] ბინა 1(5), მაღალ ბელეტაჟზე, [illegible]. ტელ: 893 67-36-83; 877 47-66-12

# გთავაზობთ სამუშაოს

[illegible] 51 [illegible] 400–600 [illegible] $200-დან [illegible] ტ: 899 76-68-50. [illegible] ტ: 34-02-38

18-დან 25 წლამდე [illegible] ტელ: 95-64-18; 7-74-79 [illegible]

[illegible] 600-800 [illegible] 2008-[illegible] 61 [illegible] 415. [illegible] ტელ: 93-38-46

[illegible] 30-45 [illegible] ტელ: 7-28-44 [illegible]

[illegible] ტელ: 22-72-44; 899 92-76-18

[illegible] №16, [illegible] მე-13 სართ. [illegible] ტელ: 893 33-18-86; 51-73-08

ფირმა INTERNATIONAL-ში გვესაჭიროება შემდეგი კადრები: 1. [illegible] 2. [illegible] BAKU-TBILISI-IRAN. ტელ: 893 41-45-02. [illegible] 27-90-89

[illegible] – 20 [illegible] 50 [illegible] ტელ: 893 55-07-73. [illegible]

[illegible] 30-55 [illegible] ტელ: 95-33-47; 899 14-64-95

[illegible] სპეციალისტი ექიმები: თერაპევტი, დერმატოლოგი, ფიზიოთერაპევტი, პედიატრი, გინეკოლოგი, ენდოკრინოლოგი. ტელ: 64-63-40; 893 99-90-89

ოფისში პერსპექტიული საქმიანობისათვის ვიწვევთ ენერგიულ ადამიანებს პედაგოგიური მუშაობის გამოცდილებით. შესაძლებელია შეთავსება. შერჩევა გასაუბრების შემდეგ. გასაუბრება უფასოა. ტელ: 39-15-45; 57-61-86; 899 22-88-03

გვჭირდება ფარმაცევტი/პროვიზორი აფთიაქში სამუშაოდ. ტელ: 911-900; თეონა 899 97-97-59

# მომსახურება

აგიკრებთ ნებისმიერი სახის ტექსტს, სწრაფად, ხარისხიანად. დაგიმზადებთ ბლანკებს, დოკუმენტებს. 1 გვერდის ფასი – 70 თ. ტ: 34-32-79; 893 96-00-42

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, მორჩენის გარანტიით. ფასი: 1 სთ – 12 ლარი. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. 9. ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ნაოჭების სრული დაშლა-გასწორება, გამონაყარის მოშორება, მოდუნებული სახის კანის, ყელის, ღაბაბის აღდგენა, ცელულიტის დაშლა სამკურნალო მასაჟით (35 წუთი) + ეგზოტიკური ნილბებით. შედეგი გარანტირებულია 7-10 დღეში, შემდგომში ნაოჭის არგაჩენის გარანტიით, სპეციალური მალამო-ზეთით. 1 სეანსი – 6 ლარი. მიღება ჩაწერით. მის: ჯავის ქ. 26. I საშობიაროსთან. ტ: 899 17-63-90; 822 69-98-92. ეთო

კოსმეტოლოგი გთავაზობთ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, ანესთეზიით, ყოველგვარი გალიზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით. 1 სთ 8 ლარი. აგრეთვე გთავაზობთ სახის კანის გაწმენდას და მალამოებს. მის. მ. „სამგორთან", ხარაბაძის ქ. №43ა. ტელ: 893 96-91-30; 77-61-64. ნონა

# მკურნალობა

მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული და ფუნქციური გამოკვლევა – წნევების დარეგულირება, თავის ტკივილები, ნევროზი, კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, ბუასილი (სისხლდენა, ნაპრალი, ქავილი), ფსორიაზი, სოკო, ღრძილებიდან სისხლდენა, უნებლიე შარდვა, პროსტატიტი, ქოლეცისტიტი, ჰაიმორიტი, ღრძილებიდან სისხლდენა. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან. ტელ: 899 43-97-34 (ნებისმიერ დროს); 32-39-46. ექიმი ნათია. მიღება – ჩაწერით.

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, საჯდომი ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომლიც ხსნის აბსტინენციის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტელ: 893 96-50-32 მაია; 93-44-25 (11-17); 96-34-51 (საღამოს)

რუსეთის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული მკურნალობს გარანტიით, ფუტკრის პროდუქტებისგან დამზადებული პრეპარატებით, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს (თუნდაც გახსნილი სისხლმდენი ძლიერი ტკივილებით). მის: ქ. ახმეტა, ყაზბეგის ქ. №72. ტ: 899 48-91-05. მიხეილი

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით, შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით, ასევე „პახმელიის" მოხსნა. გარდა ამისა ნევროზი, აგრესია, დეპრესია, უძილობა, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის პრობლემები, ბავშვების სიმაღლეში გაზრდა (აკად. ლიხარიოვის მეთოდებით), სიახლე! – გახდომა დიეტის გარეშე. ტელ: 893-35-45-35 (ნების. დროს); 93-44-25 (12-16 სთ); 58-04-67 (საღამოს). მაკა ექიმი

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად. დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპებზე (ფასი 45 ლარი). კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის, ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. მის: ზიდის ქ. №2 (შშრალ ხიდთან) ტელ: 877 45-78-39; 96-66-49. ქ-ნი ბელა; 92-39-44; 893 16-70-76. ბ-ნი ზვიადი

ალკოჰოლიზმის მკურნალობა (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის" მოხსნა, აგრესიები, აკვიატება, შიშები, უძილობა, თავის ტკივილები, ნევროზი, თამბაქოს გადაგდება, ბუასილი (სისხლმდენი, ქავილი, ნაპრალი), კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ფსორიაზი, სოკო, კანის დაავადებები, ასთმა, წითელი ქარი, პოდაგრა, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი – ღვიძლის დაავადებები, კლიმაქსი – მცენარეული პრეპარატებით, რომელთაც არ გააჩნია უკუჩვენება. ექიმის მიერ აყვანილი პაციენტის განკურნება გარანტირებულია. ტელ: 899 21-13-66; 68-92-77. ექიმი ლალი

100%-იანი გარანტიით, ოპერაციის გარეშე ვმკურნალობ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, კოლიტი, წვა, ქავილი). მწვავე ტკივილი იხსნება 1-2 დღეში, ხდება კვანძების გაწოვა. მის: ც. დადიანის 87. ტელ: 69-91-92 (კაბ); 39-39-97; 899 57-16-99. ექ. ალექსიშვილი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი, სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), შაკიკი, ჰაიმორიტი, ნევროზი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (ც. დადიანის 87). ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 69-91-92; 899 57-16-99

ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა, მაღალხარისხიანი მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით; ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ფსიქოზები – თეთრი ცხელება („ბელაია გორიაჩკა"), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადებები და სხვა გართულებები; აგრეთვე ჰეპატიტების, ნევროზების, უძილობის და სხვა დაავადებების მკურნალობა. შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ. 899 35-27-13; 53-08-02. თამრიკო ექიმი (ნებისმიერ დროს)

მამაკაცების საყურადღებოდ! გარანტირებული შედეგით: ნატუროპატია, ჰომეოპათია და უძველესი ხალხური მედიცინა, რომელსაც აქვს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, გაძლევთ შესაძლებლობას განიკურნოთ შემდეგი დაავადებებისგან: პროსტატიტი, სპერმის ნაძირევი და უნებლიე გამოყოფა, პენისის ანთება, ერექციის დაქვეითება, წვა, ხშირი შარდვა, სოკოვანი დაავადება, ქავილი, კონტაქტის შიში, ბუასილი (ნაპრალი, კვანძები, სისხლდენა, გაუსაძლისი ტკივილი, კოლიტი). შარდის შეკავება და შეუკავებლობა. შედეგი ეფექტურია და გარანტირებული. პაციენტს ემსახურება მაღალკვალიფიციური თერაპევტი. ტელ: 899 49-84-23; 34-42-00 (ოფისი)

სხვადასხვა მეთოდით ვმკურნალობ: აგრესიას, უძილობას, დეპრესიას, აკვიატებულ აზრებსა და შიშებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, ფსიქიკის დარღვევას, უიმედობას, კოშმარულ სიზმრებს, შეტევით ძილს, ძვლის, ნაღვლის შეტან-ქოლიას, დამბულობას, შინაგან შებოჭილობას, ნებისმიერ შიშს, სუნთქვის გაძნელებას. შედეგი ეფექტურია და გარანტირებული. პაციენტს ემსახურება მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ტელ: 899 49-84-23; 34-42-00 (ოფისი)

გთავაზობთ უახლესი მეთოდით, თანამედროვე აპარატით, შემდეგი დაავადებების მკურნლობას: უნებლიე შარდვა, შარდის შეუკავებლობა, ბავშვებში ღამის ენურეზი, პროსტატიტი, სახსრების დაავადებები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სიმაღლეში ზრდის შეჩერება, წონაში დაკლება, ყურებში ხმაური. მის: ალმაშენებლის 115, პოლიკლინიკის შენობა (ეზოს ბოლოში), კაბ. 5. ლია. ტელ: 95-83-54; 899 19-59-19; 51-77-11; 53-15-51 (ბინა, 20 სთ-ის შემდეგ). ყოველდღე, კვირის გარდა, 10-17 სთ. კონსულტაცია უფასოა

მასტიტების, მასტოპათიის, ონკოდაავადებების უზუსტესი დიაგნოსტიკა ბიოლოგიური მედიცინის მეთოდებით. პუნქციის აღებისა და აპარატურის გარეშე რამდენიმე წუთში დაგიდგენთ სარძევე ჯირკვლებისა და მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებებს (მათ შორის სიმსივნეს). მკურნალობა – 10-დღიანი კურსით. მის: ალმაშენებლის 115, პოლიკლინიკის შენობა (ეზოს ბოლოში), კაბ. 5. ნინო. ტელ: 95-83-54; 899 78-21-24; 61-61-18 (ბინა)

ალკოჰოლიზმი – სერიოზული ქრონიკული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს „პახმელია", „ზაპოი", ჰალუცინაციები („ბელაია გორიაჩკა"), ნევროზები, აგრესიულობა და მიდის ისეთ გართულებამდე, როგორიცაა ალკოჰოლური ჰეპატიტი და ღვიძლის ციროზი. ალკოჰოლიზმის ავადობის ტვირთი არის მსოფლიოში 9,0%, რასაც სჭირდება სერიოზული, თერაპიული მკურნალობა. გთავაზობთ თერაპიულ კურსს მცენარეული, უსაფრთხო, ქარხნული პრეპარატებით „გაიტლაინი". შესაძლებელია პრეპარატების შერევა საკვებში (ანუ პაციენტისგან ფარულადაც). საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯერი-ექიმი ნინო ან ნანა. ტელ: 99-75-90; 899 36-67-46; 899 36-65-34

მცენარეებითა და ფუტკრის პროდუქტებით გთავაზობთ შემდეგი დაავადებების ეფექტურ, უვნებელ და გარანტირებულ მკურნალობას უოპერაციოდ. იკურნება: საკვერცხის კისტა, ფიბრომა, მიომა, მასტოპათია, ბუასილი, კუჭისა და თორმეტგოჯას წყლული! ასევე ვმკურნალობთ მცენარეებით სიმსივნით დაავადებულებს, მეტასტაზების შეჩერების და ორგანიზმის სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 70-78-03 (ბინა); 899 74-23-69

ლომთათიძის დიაგნოსტიკურ ცენტრში, საზღვარგარეთ მიღებული მეთოდებით, გარანტიით, აპარატურით მკურნალობენ მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ჭორფლს, ჭარბთმიანობას, ბუასილს, თმის ცვენას, სოკოვან დაავადებებს, ბავშვებში სიმაღლეში ზრდას, ჰაიმორიტს, სქოლიოზს, რადიკულიტს, პროსტატიტს, შარდის შეუკავებლობას. კონსულტაცია უფასოა. მკურნალობის კურსი 5-10-დღიანია. მის: მ. „მარჯანიშვილი", ალმაშენებლის №93, „ბარბარის" გვერდით. ტელ: 893 39-04-87; 96-38-27. ირინა

პოლიკლინიკის დირექტორი ლომთათიძე საზღვარგარეთ მიღებული მეთოდებით (იაპონური აპარატი) კურნავს უნებლიე შარდვას, შარდის შეუკავებლობას, ბავშვებში, დიდებში; პროსტატიტი, სახსრების დაავადებები, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, სიმაღლეში მომატება, ყურებში ხმაური, თმის ცვენა, ბუდობრივი და ჩვეულებრივი; ფრჩხილის სოკო, კანის დაავადებები, ბუასილი, გიდ. ჰიპერტონია (წურბლებით მკურნალობა). კომპიუტერული გამოკვლევა – 30 ლარი. კონსულტაცია უფასოა, მკურნალობის კურსი – 5-10-დღიანი. მის: მ. „მარჯანიშვილი", ალმაშენებლის №93, „ბარბარის" გვერდით. ტელ: 893 39-04-87; 96-38-27. ირინა

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება: ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლოესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი. მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 41-50-30; 36-14-18

მასტიტების, მასტოპათიის, ონკოდაავადებების უზუსტესი დიაგნოსტიკა. პუნქციის აღებისა და აპარატურის გარეშე, რამდენიმე წუთში დაგიდგენთ სარძევე ჯირკვლების, საშვილოსნოსა და საკვერცხეების დაავადებებს. მკურნალობა 10-დღიანი კურსით, დაავადების შესაბამისად, ბიოლოგიური მედიცინის მეთოდებით. აქვე წარმოებს მკურნალობა კლიმაქსურ მოვლენებთან დაკავშირებით. მის: ალმაშენებლის 115, კაბ. 5. ნინო სისაური. ტელ: 95-83-54; 899-78-21-24

პარკინსონი; ქრონიკული თავის ტკივილები; ნევროზი; უძილობა; წნევის რეგულირება; ვენების ვარიკოზული გაგანიერება; უნებლიე შარდვა (ენურეზი) ბავშვებში. მკურნალობა – მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 67-37-31; 93-44-25; 899 48-93-98. ნათია

საგვარეულო ხსნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა – ამოდის თმა; თმის ძირების გამოკვლევა აპარატით, ტილებისა და წილების მოსპობა, კანისა და ფრჩხილის სოკო, ფსორიაზი, ეგზემა, ღრძილების, ჭრილობების, ნაწოლების, ქუსლებზე ნახეთქების მკურნალობა. აგრეთვე ვაკეთებ მასაჟს. აქვე გაიხსნა კოსმეტოლოგიის შემსწავლელი კურსები. მის: ვაჟა-ფშაველას 47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართ. ოთახი 28, ყოველდღე, 11-18 სთ. ტელ: 39-39-51 (სამს); 35-32-62; 893 91-89-17

ბუასილი – უოპერაციოდ, ოპერაცია – უსისხლოდ, მკურნალობა – უწამლოდ; აგრეთვე ლაზეროთერაპიული აპარატურა. მის: ბახტრიონის ქ. №18. ტელ: 36-14-18 (მ. „პოლიტექნიკური")

# ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დიჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო მობილით. მის: ლ. ასათიანის ქ. №28. მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

სპეციალიზირებული სკოლა Paradox-ის ლიცენზირებული სპეციალისტები პროფესიულ დონეზე შეგასწავლით კომპიუტერულ პროგრამებს, ბუღალტერიას და ინგლისურს. გაიცემა შესაბამისი ლიცენზირებული სერტიფიკატი: საოფისე: windovs-xp, msofiice-xp. გრაფიკა: coreldraw, photosop, autocad, archicad, 3-dmax. მის: გაბაშვილის ქ. №7 (მ. „რუსთაველთან", კინოსახლ „ოსკარის" უკან). ტელ: 98-80-23; 899 77-49-40. url: www.paradox.ge

შპს „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიონალური მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგი-ვიზაჟისტი (კანის მოვლა, ეპილაცია, სახის გაწმენდა, იონოფორეზი, ლიფტინგი, ფიზიოთერაპია, მალამოები, კოსმეტიკური მასაჟი, მაკიაჟი); 2. მასაჟისტი (ჰიგიენური, სპორტული, სამკურნალო, წერტილოვანი); 3. საპარიკმახერო (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი), საბანკეტო ვარცხნილობა; 4. ვიზაჟისტი; 5. მანიკიურის ოსტატი. გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის №113, თაღიანი შესასვლელი, ეზოს ბოლოს, მარცხნივ. შპს „ქართი". ტელ: 94-01-82; 96-22-89

ვამეცადინებ მოსწავლეებს ფიზიკაში. შემიძლია ბინაზე მისვლა. ტელ: 75-94-24 გელა


გაორმაგებული ძალით!
„სიტყვა და საქმე"
ერთი გაზეთი —
ორ რვეულად!
64 გვერდი




ორჯერ უფრო ეფექტური და
ორჯერ უფრო მოსახერხებელი!

### პაატა გურამის ძე ფოცხიშვილის მონატრება



პაატა, შვილო, 8 მაისს 42 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო მოსიყვარულე, ალალო შვილო. 8 მაისს შენს დაბადების დღეს როგორ სიხარულით ვხვდებოდით 6 წლის წინ. ახლა კი, 8 მაისი და ყოველი დღე გაუსაძლისია შენი მშობლების, შენი დაიკოს და ყველა იმ ახლობლისა და მეგობრისთვის, ვისაც კი საერთო ჰქონდა შენთან.

საოცარი იყო 1999 წლის 7 ნოემბერი – სწორედ ეს დღე იყო დედა-შვილის განშორების დღე. თავს იმით ვინუგეშებ, რომ ღმერთსაც რჩეული უყვარს. უანგარო თბილი სიყვარულის და პატიოსნებით შემკული წარდგი უფლის წინაშე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უმანკო სული, ჩემო დაუვიწყარო შვილო პაატა.

*მშობლები – ნელი, გურამი*

### ჩვენო პაატა!

კიდევ ერთი დაბადების დღე მოვიდა უშენოდ, პაატა. 42 წელი მარადისობაში დაბრუნებულს შეგისრულდა. მუდამ მშვიდი, წყნარი ხასიათის, ხალასი გულის, იუმორით სავსე, ყველასთვის სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, ერთგული და უანგარო მეგობარი იყავი. შენ არა მარტო ოჯახს, არამედ მთელ უბანს, სამსახურს და სამეგობროს დააკელი, დიდი ტკივილი, ცრემლი და მონატრება დაგვიტოვე. უნდა შეგვეფერო იმას, რომ ყოველ 8 მაისს შენს დაბადების დღეს მარმარილოს შავ ქვაზე დახატულ სურათს მივულოცავთ და ეკლესიაში სანთელს დავუნთებთ შენს ლამაზ სულს.

*თანაკლასელები და მეგობრები*

### გია ვეძძე!

*„შენ სიკვდილით მე სიკვდილი ნაჭრად მაქცია, უფალს შევთხოვ, ეს ოცნება ცხადად მაქციოს!"*

გია, დედა, 165 დღე სრულდება იმ საზარელი დღიდან უშენოდ მისულ პირველ დაბადების დღეს, რაც ჩვენგან წახვედი და წაიღე სიცოცხლით სავსე გული, რომელიც იმედი სითბო და სიყვარული გასცა 18 წლის მანძილზე, რომ უკვდავად ვრცელ სავსემს შენზე ბუნებით გამორჩეულს, უფლისგან მარადიული სიმშვიდე გერგო, შენს გამწარებულ დედ-მამას და ერთადერთ დას სალის კი – სამუდამო მონატრება და სულის მოურჩენელი ტკივილი. ნეტავ შეიძლებოდეს სიცოცხლის გაცვლა შვილისთვის, მაგრამ ვაი, რომ უსაშველო სჭირს ჩვენს ოჯახს და ნუგეში არ არსებობს. ჩემო სიცოცხლის სიხარულო, შვილო, 12 მაისს 19 წელი შეგისრულდებოდა. ვინ წარმოიდგენდა, შენი მშობლები უშენოდ შეხვდებოდნენ ამ დღეს.

და მაინც, მოვალთ შენთან, შენი ცოცხლად დამარხული დედ-მამა, შენით დაჩაგრული და, შენი ახლობლები, მეგობრები და მწარე ცრემლებით მოგილოცავთ, ავანთებთ უამრავ სანთელს და ვილოცებთ შენი სპეტაკი სულის უკვდავსაყოფად, რათა გზა გაგინათოთ წმინდა სასუფეველში, სადაც შენმა კეთილმა სულმა დაიდო ბინა. ცხოვრებას შენნაირი ვაჟკაცები იქაც [illegible], ჩემო მართალო შვილო. ჩვენ სანამ ვარსებობთ, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა შენმა სულმა დაიმკვიდროს სუფევა სასუფეველში იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. მსუბუქი იყოს მშობლიური გურიის მიწა, რომელმაც დედის ნაცვლად, ნაჭრებად ჩაგიკრა გულში.

*უსაზღვრო მონატრებით – შენი უბედური დედ-მამა და დაიკო სალომე*

### მამუკა პაჭკორიას მონატრება

გავიდა ცრემლიანი 4 წელი უშენოდ, ჩემო სიცოცხლით გაუმაძღარო, უბედო შვილო მამუკა. მოვიდა 29 აპრილი, შენი დაბადების დღე, 42 წელი შეგისრულდებოდა. როგორ გადავიტანოთ ის უბედურება, რაც შენმა დაკარგვამ დაგვატეხა თავს?! გვიჭირს სიცოცხლე უშენოდ შენს დედ-მამას, ძმას, რძალს, [illegible] შვილო, წუთისოფლად გაიხარე დედის გული. ვერაფერი შეავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც შენმა დაკარგვამ მოგვცა დედ-მამის გულს.



შენს დაბადების დღეს მოვალთ შენს საფლავთან, ავანთებთ წმინდა სანთლებს, შევთხოვთ უფალს, ნათელი არ მოაკლოს შენს სულს. ნათელში იყოს შენი ალალ-მართალი სული, ჩემო სიცოცხლით სავსე შვილო მამუკა.

*დედ-მამა – ლუნა და შოთა პაჭკორიები*

### მამუკა პაჭკორია!

ბუნებისგან ყოველგვარი სიკეთითა და მადლით შემკობილო, უთბილესო და უსაყვარლესო მამუკა, წახვედი, ტკივილი დაგვიტოვე ყველას. ოთხი წელია, უშენოდ ვხვდებით 29 აპრილს, შენს დაბადების დღეს.

უკვდავებაში გადანაცვლე და იქ გქონდეს მარად ნათელი.

*მამიზა და დათო*

### ზაურ ნონიერას მონატრება



40 დღე გავიდა უშენოდ – მამა, ხვედიანი, ცრემლიანი. მწუხარებით დაგემშვიდობეთ კეთილ, ლამაზ, საყვარელ ძმას.

მოულოდნელი, თავზარდამცემი იყო შენი [illegible] სიკვდილი 38 წლის ასაკში. [illegible] შენი მეუღლე და მოხუცი დედა. შენი ქეთის სიყვარული მიგყვება, ხანმოკლე, მაგრამ უსაზღვრო. ვაი, რომ შენი შვილი სურათებიდან გვიცინის.

ღმერთმა შეგინდოს ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი შეცდომა. ღმერთმა გაგინათოს ადგილსამყოფელი ზეცაში.

*თენგო, თეა ცომაიების ოჯახი*

### მურაზ რომანიშვილის მონატრება

მონატრებას შენი სახელი ჰქვია, მურაზ! უშენობამ სევდად გვაქცია. მწარე ცრემლები ქვეყნება ძვირფას სამარეს, არ ილევა მწუხარება, არ ყუჩდება ტკივილი. თუკი ცოტა ხანს არ ვტირით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცრემლი გვეშრია.



მურაზ, კიდევ ველით სასწაულს, დაგელოდით შინ და გარეთ, მეგობრებში, მეზობლებში, სადაც გიყვარდა ყოფნა. მშობლები ვერაფრით შეეჩვივნენ უშენობას, თვალი მუდამ გზისკენ უჭირავთ. როცა ლოდინი გაუსაძლისი ხდება, მამა შენი საფლავისკენ მიიჩქარის, რომ ნაფოტზე მოგეფეროს, თავს შემოგევლოს, ეგებ თბილი ცრემლით გაგათბოს, მაგრამ ამაოდ. ირგვლივ სიცარიელე და მდუმარება.

უკვე მეორე 6 მაისი მოვიდა უშენოდ, მურაზ! სიტყვა უძლურია მწუხარების გადმოსაცემად. ძალიან გვენატრები, გვტკივა უშენობა, მაგრამ ხსოვნა სინდისით არის და სიკვდილზე ფიქრის უფლებას არ გვაძლევს. შენი შეწყვეტილი სიცოცხლე კი შენს შვილებში გრძელდება, რომლებიც უფლის ნებით და [illegible] დაგვიტოვე, მათ შენი ვაჟკაცური სახელი საგზლად გაჰყვებათ ცხოვრების გზაზე.

დაე, ჩვენ მიერ ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში. იძინე მშვიდად, შენს სახელს დავიწყება არ უწერია, ძმაო!

*შენი და ლია*

### ვასილ ფოჩხუას გახსენება



ჩვენო ძვირფასო, მარად დაუვიწყარო, სიკეთისა და სიყვარულის განსახიერებავ, 15 ტკივილიანი წელი მიიწურა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. გვიჭირს უშენობა, დაგვიტოვე ფრთამოტეხილი ლამაზი ოჯახი, მეუღლე და ქალიშვილები.

[illegible], მოგიგონოთ და ვილოცოთ შენი სულისთვის.

*მეუღლე იზოლდა; შვილები: თამილა, ნატო, დარეჯანი, მაია ოჯახებით*

### ხატია ხარებავა!

გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი გაზაფხული, [illegible] ბუნება, უშენოდ მზის სითბო დაჰკარგვია, ხატო. შენ გიხაროდა ყველაფერი, მაგრამ არ გაცალა განგებამ, 17 წლისას მოგისპო სიცოცხლე. წახვედი და გაიყოლე შენი ახალგაზრდა ფიქრები, უშენოდ გაქრა ყველაფერი, შენი ოჯახის სიხარული, ჩვენო ლამაზო, ხალისიანო და საყვარელო ხატული. შენ სასუფეველი დაიმკვიდრე, რომელიც ჩვენთვის შეუცნობელია. მაგრამ რა ვუყოთ იმ სიცარიელეს, რომელსაც შენი მონატრება ჰქვია? მხოლოდ მწარე ცრემლები ქვეყნება ძვირფას სამარეს, დარჩა ლამაზი ხსოვნა, დარჩა უდიდესი ტკივილი...



გვენატრები, გვენატრება შენი ლამაზი ხმა, შენი სიცილი, სითბო და სიყვარული. დაე, ჩვენმა ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიული სასუფეველი, ჩვენო კეთილო გოგო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

### ნათელა კოჩლამაზაშვილის მონატრება



უეცრულად და [illegible] მოვიდა [illegible] გაზაფხული [illegible], ფიქრიდან გარემორებული, ჩემო ნათელა, შვილო, როგორ მენატრები. ცეცხლი მეკიდება გულზე [illegible] შენი სადამრიგებლო კლასი, შენ კი არსად ჩანხარ. ვაი, შენს დედას, რომ შენ [illegible] გაუსაძლისმა წელმა განვლო, მაგრამ დარდი და მწუხარება მაინც არ ნელდება დედის გულში.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სპეტაკი სული.

### დოდო შელაძის მოსაგონარი



ჩვენო მოუნელებელო ტკივილო და მწუხარებავ, ძვირფასო დოდო!

5 მაისს ერთი წელი შესრულდა შენი წასვლიდან იქ, მარადიულ სამყაროში. შენი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება იმდენად დიდია და გაუსაძლისი, უძლური ვართ, პატარა მოგონებაში ჩავატიოთ ჩვენი შენდამი სიყვარული. შენ ყველასთვის ცდილობდი, სამაგალითო კეთილსინდისიერებით გეცხოვრა და არ დაგერღვია მართლმადიდებლური ათი მცნების ღირებულებები, მაგრამ როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, შენს მოქმედებებს [illegible] არ უკეთებდი.

შენი სახელის უკვდავსაყოფად ყოველნაირად ვეცდებით, ვიყოთ ერთგული შენი ცხოვრებისეული პრინციპებისა. ღმერთმა სული განათლოს მარადიულ სასუფეველში, ყველასთვის ღირსეულო და უსათნოესო დოდო!

*ძმა გურამ შელაძე, მეუღლე შოთა სალაძე, შვილი ვახო სალაძე, ძმისწულები – გოგი, კოკა შელაძეები*

### მარინა ბაბუნაშვილს

*დაბადების დღეს ულოცავენ შვილები*



ისევ მოვიდა გაზაფხული... ყვავის ნუში... ცივი, სუსხიანი ზამთრის შემდეგ სითბომ და სიყვარულმა დაისადგურა ადამიანთა გულებში, მაგრამ არა ყველასთვის. სულ სხვანაირი ტკივილია ჩვენთვის, შენი შვილებისათვის წელიწადის ამ შესანიშნავი დროის მისვლა...

შვიდი წელი გავიდა უშენოდ, დედა! გაზაფხულის სილამაზე და სურნელი ძნელია შეიგრძნო საყვარელი ადამიანის გარეშე... ბევრმა წყალმა ჩაიარა... თითქოს ყველაფერი უნდა შეგვეჩვია და გაფერმკრთალებულიყო, მაგრამ არა და არა! დრო ვერ [illegible] ტკივილებს, სიცარიელე ისადგურებს გულში, ის ნაწილი კვდება, სადაც პიროვნების, დედის ტკივილი რომ მიაქვს თან.

დედა! 40 წლისას უფროსი ვაჟი ირაკლი სტუდენტი [illegible], – გითქვამს. ოცნება რეალობად ქცეა: არათუ სტუდენტი გახდა, დაოჯახდა, მალე მამაც გახდება, შენ კი ბებია იქნები – სამწუხაროა, რომ არა ჩვენ გვერდით, არამედ მარადისობაში გადასული, მაგრამ მუდამ ჩვენ გვერდით და ჩვენზე მლოცველი.

10 მაისს 40 წელი შეგისრულდებოდა. ყვავილებით გილოცავთ და გეფერებით. მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი ლამაზი სულისთვის. ჩვენ გვჯერა, უფლის ნებით დაიმკვიდრე ჭეშმარიტი სასუფეველი.

*შენი შვილები – ირაკლი და გეგა გიორგაძეები*

### ირაკლი ჩიქობავას მონატრება



ირაკლი, ძვირფასო! ხუთი წელი გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. მეხუთედ მოვიდა 14 მაისი უშენოდ, მაგრამ ვერავითარი დრო ვერ აწელებს ჩვენს დარდს და მწუხარებას, ვერაფრით ვეგუებით უშენობას, უფრო გვაკლიხარ, გვიყვარხარ და გვენატრები.

ირაკლი! რა დრო გასულა... 9 ივნისს 40 წელი შეგისრულდებოდა. ეს დღე ყველასთვის სიკეთის და სიხარულის მომტანი იყო ჩვენთვის, ახლა კი რა?

ისევ ცრემლები, ყვავილები და სანთლები შენს საფლავზე, მეტი აღარაფერი შეგვიძლია. დაგინთებთ სანთლებს, ვილოცებთ შენთვის და შევთხოვთ ღმერთს, რომ მშვიდი სასუფეველი დაგიმკვიდროს იმ ქვეყნად და ნათელში ამყოფოს შენი მარად ახალგაზრდა სული. მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური მიწა.

*ოჯახი*

### ლუნა თოფურია-ცომაიას მოსაგონარი

*(9 მაისი დაბადებიდან – ოთხმოცი, 24 მაისი გარდაცვალებიდან შვიდი წლისთავი)*

ვიცი, შენ რომ გამყვები



*შვიდი წელი გაქრა, როგორც თოვლის ფიფქი,*
*ისე როგორც დამწვარი ზმანება,*
*სიკვდილია წმინდა, მარადიული და*
*სიცოცხლე კი თვალის დახამხამება.*
*უშენობა რაც დრო გადის, უფრო მტკივა,*
*ფიქრი ხშირად ბავშვობაში წამიყვანს,*
*მტკივა, დედა, ზამთარ-ზაფხულ სულში მტკივა,*
*ვიცი, სხვებზე მეტად შენ რომ გამყვები.*
*შენთან ყოფნის ნებას დამრთავს მხოლოდ ღმერთი*
*და მე შენზე მლოცველი ვარ მარადის,*
*სანუგეშო დამრჩა მხოლოდ ერთადერთი,*
*რომ [illegible] ტკივილს დაგუბებულს არავის.*

*შენი თამილა (თამარი). ათენი*

### ჩვენო სოფიკო!



სოფო, უკვე მეხუთედ მოვიდა უშენოდ გაზაფხული, მეხუთედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. როგორ გვენატრები. ამბობენ, დრო მკურნალიაო, მაგრამ ვისთვის როგორ?

გვენატრები და ძალიან, ძალიან გვტკიხარ. უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მარიკა, ქეთევანი, გოგა, სალომე, ნინო*

### გოგია ბექაიას გახსენება



შავად გვეთენა 2001 წლის 25 მაისი. იმ საბედისწერო დღეს შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე, ადრე მიილია განგების მიერ შენთვის ნაბოძები წუთისოფელი, რომელმაც მხოლოდ 47 წლის სიცოცხლე გაჩუქა. შენთვის ცხოვრება ერთი საშინელი წამი აღმოჩნდა, წამი, რომელმაც დაგვაშორა, შენმა განშორებამ კი სამუდამო სევდა დაგვიტოვა გულებში. შენ წახვედი, გაიხურე კარი, უსიტყვოდ დაწვდი ცივი სიკვდილის ბასრ კლანჭებს.

მეხუთედ მოვიდა უშენოდ გაზაფხული. დღეს, 10 მაისს ხომ 52 წელი შეგისრულდა, რომელსაც უშენოდ მეხუთედ ვხვდებით, ჩვენ კი მწარე გულისტკივილითა და უსაზღვრო მონატრებით, მიწიერი საქართველოდან მოგილოცავთ ზეციურ საქართველოში დაბადების დღეს. უშენოდ ამ დღის შეხვედრა წარმოუდგენელი იყო თორემ რა დაუვიწყარი ყოფილა წუთისოფელი, უშენოდ არსებობა დღითი დღე აუტანელი ხდება, ძალიან ძალიან გვენატრები. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენთვის და ღმერთს ვთხოვოთ, ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს ადგილსა განსასვენებელსა მარად [illegible] და მშვენისა.

*შვილები*

### ლოთია იოსავას მონატრება

საყვარელო ბაბუა, უშენოდ მილია ცრემლითა და გაუსაძლისი ტკივილით სავსე 40 დღე. უშენოდ ამოუვსები სიცარიელე, ჩვენს გულებში გადაუტანელად წვიმს... საოცრად გულჩვილი და ადამიანთა მიმართ უანგაროდ მოყვარული, ჩვენი [illegible] ჩაუქრობელი ჩირაღდანი ხარ, ბაბუ... მარადისობაში იცოცხლებ, ბაბუ! ჩვენში ღრმად ხარ და უშენობა გვიმძიმს, უსაზღვრო მონატრებით გვენატრები, ბაბუ! უფალმა ნათელში ამყოფოს მარადიული სამკვიდრებელი შენი.

*შვილიშვილები*

### მარიამ (მარგალიტა) გიორგაძე-თოროლაძეს



გავიდა ტკივილიანი 10 წელი. ოჯახმა, რომელშიც მე გავიზარდე, უამრავი რამ მასწავლა და კაცთმოყვარეობის საოცარი ნიჭი და უნარი ჩამინერგა. მათი ეს თვისებები ღრმად [illegible]. ისინი (ე.ი. ჩემი ძვირფასი ბებია-ბაბუა) სიკეთეს ისე აკეთებდნენ, რომ არანაირი სარგებლისა და სამაგიეროს მოლოდინი არ ჰქონდათ. მრავალშვილიანი ოჯახით დაჯილდოებულს, [illegible]. ერთდროულად იყავი წარმატებული დირექტორი, [illegible] თაობების აღმზრდელი, სანიმუშო დიასახლისი, არაჩვეულებრივი დედა და ბებია. უამრავი სწავლას მოწყურებული ახალგაზრდისთვის მოუძღვნია ბინა შენს სახლში და დახმარება გაგიწევია ბაბუასთან ერთად.

სიკვდილით ყველაფერი როდი მთავრდება. შენი უსაყვარლესი, საამაყო შვილიშვილი ექიმის დიპლომით დაბრუნდა სანქტ-პეტერბურგიდან. ვიცით, შენ ვერ მოესწარი მის ექიმობას. ჩემო გამზრდელო, თბილო, ტკბილო ბებო, შენ შენს ნაშიერში განსახიერდი – შვილიშვილი თამუნა მოევლინა ამ ქვეყანას, როცა შენ წახვედი ამ ქვეყნიდან. ბე, დღეს შენი დაბადების დღეა. შენს საფლავთან მოვლენ შენი აღზრდილი, სასახელო შვილიშვილები – ზაალი და ხათუნა, მე კი გერმანიიდან მოგეფერები, ჩემო გამზრდელო, ერთადერთი, განუმეორებელი ბებო.

*ნატა ლექმინაძე*

### მარი რაზმაძის ხსოვნას!



უკვე შვიდ წელია, უშენოდ ვხვდებით გაზაფხულს. თავზარდამცემი იყო 11 მაისი ყველასათვის. შენ ხომ პირველი კლასის დამთავრებაც არ დაგაცალა. ეს დღე ჩვენთვის სევდიანი და ტკივილიანია. შენ ჩვენთან იქნები მარადის, მოვალთ შენს საფლავზე ყვავილებით და ყველასთვის მოგიგონებთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი პატარა და უმანკო სული.

*შენი თანაკლასელები*

### გიორგი თვალავაძეს!



მოვიდა გაზაფხული, შენი დაბადების დღე უშენოდ. ეს პირველი 8 მაისია შენი დედ-მამისთვის, შენი და-ძმებისთვის ასეთი მწარე და მტკივნეული: ვეღარ გხედავთ, ვეღარ გეხებით, შენი სიახლოვით ვერ ვტკბებით, ჩვენო საყვარელო, ჩვენო განუყოფელო ნაწილო.

ბევრჯერ ვყოფილვართ შენი ნიჭიერებით და მოხერხებულობით აღტაცებულნი, მაგრამ ცხოვრებაში შენი შესაძლებლობების რეალიზება ვერ შეძელი. შენი ყოფა აღარ მოგწონდა, იმედგაცრუებაც ბევრჯერ განიცადე, ბოლოს ჩაიკეტე, დეპრესია მოგეძალა. ცხოვრების ასე გაგრძელება აღარ გინდოდა. შენთვის ამ საწუთრომ აზრი დაკარგა და სიკვდილი მაცხოვართან მისასვლელი გზა გახდა. „სურვილ ვართ, რათა მოვკვდეთ და ქრისტესთან ვიყოვნეთ" – სიტყვისაებრ მოციქულისა. დაგვიტოვე გულდაწყვეტილი დედ-მამა, და-ძმა, შიშითა და ეჭვებით სავსენი, დაუღალავი შენი სულისთვის მლოცველნი.

გულმხურვალედ ვევედრებით ღვთისმშობელ დედას, სითბოს და სინათლეს, მარადიულ სასუფეველს ნუ მოაკლებს შენს სულს, ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარო და სანატრელო, ჩვენგან განუყოფელო გიორგი.

*შენი ოჯახი*

### ლანდა კობახიძის გახსენება

ექვსი წელი გავიდა უშენოდ, ძვირფასო ლანდა. მეექვსე წელია, შენ გარეშე ვხვდებით გაზაფხულის ულამაზეს თვეს და შენს დაბადების დღეს – 9 მაისს. გილოცავთ ამ დღეს, თუმცა ძნელია ვარდობისთვის მშვენიერება და სურნელი შეიგრძნო საყვარელი ადამიანის გარეშე. შენ ხომ ძალიან გიყვარდა სითბო, სიმწვანე, გვირილები. გვირილებითა და სხვა უამრავი ყვავილით შეიმოსება 9 მაისს შენი საფლავი. მოვლენ შენთვის საყვარელი ადამიანები, შენი უკვე დიდი ბიჭები – გოგი და ბექა, შენი პაატა, მშობლები, ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები. ყველა მოგეფერება სითბოთი, ღიმილით, ცრემლით და დიდი მონატრებით.



ყველას უყვარდი, უაღრესად კეთილო ადამიანო. ყველა ლოცულობს შენი მშვენიერი სულისთვის და ყველას გვჯერა, რომ უფლის ნებით დაიმკვიდრე ჭეშმარიტი სასუფეველი.

*მშობლები, ოჯახის წევრები*

### ლუბა ლურჩკაია-თოდუას მონატრება



დედა, ჩვენი უბედურება, უფრო სწორად, შენი სიკვდილი იმ დღიდან დაიწყო, ერთადერთი ვაჟიშვილი რომ მოგიკვდა. სიბერე გაგიმწარა, მაგრამ სულით არ დაცემულხარ, მაინც იბრძოდი [illegible] და კვლავ მომავლისკენ იყურებოდი, შენს წმინდა ოჯახს, შენს სათაყვანებელ შვილიშვილებს თავს დასტრიალებდი, მაგრამ ვაგლახ, მაინც დამარცხდი სიკვდილთან ომში. მთავარია, რას ტოვებს ადამიანი. შენ ლამაზი გზა დატოვე, რომელზე გავლაც არასოდეს შერცხვება შენს შთამომავლობას. სამი წელი სრულდება ამ ცხოვრებიდან შენი მოულოდნელი წასვლის შემდეგ. ცხოვრების უკუღმართობამ ბევრი ტკივილი მოგაყენა, ბევრი სატანჯველი გადაგიტანია. სულ ახალგაზრდას – 25 წლისას წაგართვეს [illegible] მეუღლე. მთელი შენი სიცოცხლე, სამი შვილის აღზრდას შეალიე. ჩემო ლამაზო დედიკო! შენ ხომ ყველასთვის დედობის, ოჯახის, ქალობის, პატიოსნების და ერთგულების მაგალითი იყავი. თუ ეს თვისებები ჩვენშიც არსებობს, შენი დამსახურებაა, დედა. ცხოვრება იცვლება, თქვენი ნაშენები სახლ-კარი [illegible]. ალბათ იმ ქვეყნიდან ევერები და ლოცავ ახალ ჭერს, ოჯახის სიმრავლეს. უსაშველოდ გვენატრები. ამიტომაც საათობით შევცქერით შენს სურათებს, ლამაზ სახეს, რითაც ასე უხვად იყავი დაჯილდოებული ბუნებისაგან. სასაფლაოზე არ მეკადრები, ვითომ ქმარ-შვილთან ხარ. ჩვენ ყოველთვის ვამაყობთ შენით. მიუხედავად ჩემი ავადმყოფობისა, შენზე დარდით ყოველი დღე ჩემთვის ცრემლიანია, დედა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. გვაპატიე უშენოდ სიცოცხლე, დედა.

*შვილები – მერი, ფაცია თოდუები*

### პაატა კოტანოვის გახსენება

ჩემო შვილო პაატა, 6 მაისს გიორგობის დღეს, 29 წელი შეგისრულდებოდა. რა მხიარული იყო ყოველი 6 მაისი ჩვენს ოჯახში, ახლა კი პირველი დაბადების დღის აღნიშვნა ტკივილიანი და სევდით მოსილი იქნება. ენით აუწერელია ის მწუხარება, რომელიც შენმა გარდაცვალებამ მოგვაყენა. ამბობენ, ღმერთსაც კარგი უნდაო და მჯერა, შენ უფალთან ახლოს იქნები, შენი კეთილი გულისა და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულის გამო. სიკვდილი გარდაუვალია და არც ისე საშინელი, როცა ის ღრმა მოხუცებულობის ასაკში მოდის. შენ კი ძალიან ადრე დაგვტოვე და დაუტოვე საშინელი მონატრება დედას, დას, ძმას და ახლობლებს, რომელთაც მხოლოდ შენი სურათი და საფლავი რჩებათ სანუგეშოდ.



აღდგომას გილოცავთ, ჩემო პაატა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და მოსიყვარულე სული.

### მელუდ დიდბარიძის და მარიამ შალიკიანის მოგონება

9 მაისს ნაადრევად, 62 წლის ასაკში შეწყდა შენი სიცოცხლე, ჩემო უსაყვარლესო ძმაო. გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი, ერთი ავად მოსაგონარი წელი.



რაც დრო გადის, უფრო მეტად მამძიმებს შენ გარეშე ყოფნა, შენ ხომ ჩემი ერთადერთი საყვარელი ძმა იყავი. ღმერთმა ეს სიმწარე არ მაკმარა და 26 მაისს სიკვდილმა დედაც შენთან ამყოფინა წამოსვლა, შენ გარეშე მისი სიცოცხლე არარაობა იყო. ორივემ კი სამუდამო ადგილი დაიმკვიდრეთ მამასთან და მეუღლესთან, **შოთა დიდბარიძესთან** ერთად. ძალიან მძიმეა შეგუება იმისა, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხართ სამი საუკეთესო ადამიანი: მამა, დედა და უსაყვარლესი ძმა. საოცარმა დარდმა მოიცვა შენი მეუღლე და შვილი, რომლებიც სიკვდილის წინ დაუბარე როგორ უნდა გაგრძელოს მამის სახელი და ოჯახის ტრადიცია.

შენ ხომ ყველას დიდი იმედი იყავი. მთელი ცხოვრების ის გზა, რომელიც მედიცინისკენ მიდიოდა, კაცურად განვლე. შენ ხომ ნამდვილი პროფესორი იყავი, საქმის უბადლო მცოდნე, ძმაო, ამიტომ ყველას ახსოვხარ, როგორც კარგი პიროვნება, კაცი, რომელიც ამაყად დაატარებდი იმერეთის შუაგულში, რომელსაც ქუთაისი ჰქვია.

9 და 26 მაისს, ჩემ გარდა, თქვენს საფლავზე მოვლენ ნათესავები, დისშვილები, შვილიშვილები, შენი შოთიკო და ირაკლი ოხოლავა, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ საყვარელი ბიძის გადასარჩენად, მაგრამ სამწუხაროდ, სიკვდილმა აჯობა.

შენი დაიკო კი მარტო, შორს, უცხოეთში, წმინდა ქრისტიანულ ტაძარში ილოცებს თქვენთვის, ავანთებს სანთლებს, რომლებიც გაგინათებთ სასუფეველს და ღმერთს შევედრებს, ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი სული. მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაყრილი სამშობლოს წმინდა მიწა ამინ!

*მანანა დიდბარიძე, ნაუმი გოგისვანიძე*

### კოკას და მანკას (გიორგი კვირიკაშვილისა და გიორგი მანჯავიძის) მონატრება

გიორგობას გილოცავთ, ბიჭებო... დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ ვაი, რომ [illegible] დღე უფრო მძაფრებით და გონებიდან არ იშლება ის ავბედითი დღე, თავზარდამცემი 31 ოქტომბერი... ძნელია და აუტანელი უთქვენობა, თქვენი ხმის არგაგონება, თქვენი არყოფნა...



*დასავიწყებლად არ*
*მემეტება თქვენი თვალები...*
*თქვენი სიცილით თითქოს*
*თვალწინ მიდგახართ ახლაც...*
*მომენატრეთ და გავიხსენეთ „ძველი წამებით",*
*გული მწყდება, რომ [illegible] წასვლამ*
*დასავიწყებლად არ მემეტება თქვენი სახელი...*
*თქვენი ცხოვრებაც სიზმარივით რა სწრაფად გაქრა,*
*თქვენთვის ყოველთვის ანთია ჩემთან სანთელი*
*და იმედი მაქვს, უფლის ნებით იმ ქვეყნად გნახავთ...*
(ეს ლექსი – ჩემგან სანუგეშოდ).

*თქვენი ნანა კიკნაძე*

### მამია ფანჩულიძის ხსოვნას!



ორმაგი ტკივილიანი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან, მამა. 9 აპრილი მთელი საქართველოსთვის ტკივილიანი იყო, ჩვენთვის უფრო ტკივილიანი გახდა. ამ დღეს დატოვე შენი ლამაზი კარ-მიდამო, სადაც ბაბუის – დამსახურებული პედაგოგის ილია ფანჩულიძის ტრადიციებს შესანიშნავად აგრძელებდი.

ბავშვობაში ვფიქრობდი, რომ მამის, ქმრის, კარგი შვილის, ვაჟკაცის იდეალი იყავი, ცხოვრებამ ამაში თანდათან დამარწმუნა. მადლობა, მამა, იმისათვის, რაც გააკეთე შენი შვილებისათვის, ოჯახისა და სხვა ადამიანებისათვის. ვაგრძელებთ იმ ზნეობრივი ღირებულებებით ცხოვრებას, რაც ჩვენს ოჯახს ტრადიციულად მოსდევს.

შენს ვაჟკაცურ სახელს გააგრძელებენ შენი საყვარელი გია და მისი ვაჟკაცები – მამუკა და ირაკლი; შენი შვილიშვილები – ნინო და ნიკუშა, თამთა და თეონა და პატარა შვილთაშვილი ლუკა. თქვენს სიძეს – თამაზს განსაკუთრებით მოუხაროდა თქვენთან, დიდი ურთიერთპატივისცემა გქონდათ... გული მტკივა, რომ სიტყვებით ვერ დაგიტირე. შენი საყვარელი და – ლილი მამიდა, როგორ ტკბილად დაგტიროდა. ნახევარი საუკუნე იცხოვრეთ შენ და დედამ ერთად. ბოლო წლებში პატარა ბავშვივით ზრუნავდა დედა შენზე.

მამა, ალბათ იმიტომ იჩქარე, რომ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული გინდოდა მიგელოცა მშობლებისათვის, საყვარელი დებისთვის – ლენიკოსა და ქეთოსათვის, ახალგაზრდა ცოლისძმისა და ცოლისდისთვის – კაკო და ციალა კაკაბაძეებისათვის; შენი ახალგაზრდა სიძისთვის – ვალო მასურაძისათვის. საქრისტიანო დღესასწაული მიულოცე ჩვენს ყველა ძვირფას მიცვალებულს, განსაკუთრებით უდროოდ წასულებს.

მადლობა ყველა პიროვნებას, ვინც ჩვენი ოჯახის ტკივილი გაიზიარა. ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს და ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შვილები – ლენა, გია, ნანა*

### ჟანი კალანდაძის გახსენება

9 მაისი ჩვენი ოჯახის უბედურების დღეა. ერთი წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან. შენ თან გაიყოლე ჩვენი ოჯახის სიხარული. როგორ არ მინდა დავიჯერო, რომ აღარ მყავხარ, ჩემო ძვირფასო შვილო.



უშენობა აუტანელია, ჩემო ჟანი. ერთი წელია, არ გვინახავს შენი ლამაზი, ვაჟკაცური სახე, შენი ვარსკვლავებივით მოციმციმე თვალები. მოგვენატრა შენი ხმა, შენი მოყოლილი ამბები, შენი იუმორი, შენი ბავშვური ღიმილი, შენი გაბრაზებაც. ერთი წელი გავიდა, რაც დატოვე მიწიერი ცხოვრება და მარადისობაში გააგრძელე არსებობა. წახვედი უნუგეშოდ, მოულოდნელად, მარტოდმარტო, გვერდით არავინ გყავდა. ვინ იცის, როგორ გამოგწირდა სიცოცხლე, ამ ყველაფრის გახსენება აუტანელი ტკივილის მომგვრელია, რომელიც არასოდეს მოშუშდება.

სიცოცხლით სავსე და მომავალზე მეოცნებე, შენი ასაკისათვის შეუფერებლად უზომო ნიჭიერება, გონიერება და კარგი სახელი გაიყოლე იმ ქვეყნად. რამდენი რამ მოასწარი ამ ასაკში, ბევრი სიცოცხლის ბოლომდე ვერ ტოვებს ასეთ სახელს. ალბათ ამიტომ ჩქარობდი, სულ ჩქარობდი და ამიტომაც, სიჩქარე გახდა შენი ბედისწერა. მაგრამ გვჯერა, რომ შენ მხოლოდ გარდაიცვალე, შენი კეთილი და ძლიერი სული ცოცხლობს, განაგრძობს სიცოცხლეს მარადიულ სასუფეველში.

ყველაფერი გახარებდა, სიცოცხლეს შეტრფოდი, გულით უდიდეს სიყვარულს ატარებდი, მალე ოჯახის შექმნას აპირებდი, სულ ფიქრებსა და საქმეში იყავი ჩაფლული. უსაშველოდ მტკივა შვილო, რომ ასე უშვილძიროდ შეუერთდი ცათა სასუფეველს. არადა, როგორ გიყვარდა სხვისი პატარები. უამრავ საზრუნავთაგან მთავარი ბავშვებთან ურთიერთობა იყო.

იმ საშინელი დღის შემდეგ, შენ აღარ ალამაზებ ჩვენს ოჯახს, შენს სამეგობროს, მთელ შენს სანათესაოს. მუდამ შენს მლოცველში ვარ, ისევ გურიაში მგონიხარ, ისევ გელოდები. ქუჩაში რომ დავდივარ, მინდა შენი სახე დავინახო, ხან ვის გამსგავსებ, ხან ვის, ყველა მიყვარს, ვინც ოდნავ შენს სახის ნაკვთებს და ვარცხნილობას მაგონებს.

გვაპატიე, დედიკო, ვერავინ გაგიფრთხილდით, შვილო, ისე, როგორც შენ იმსახურებდი, ჩემო სიყვარულო. ადრეული ასაკიდან ძალიან ბევრი საქმე, ტვირთი და პასუხისმგებლობა გქონდა დაკისრებული შინ და გარეთ. ძალიან დაიღალე, ალბათ, ჩემო სიცოცხლევ. არ იმჩნევდი, თორემ ძალზე მორიდებული და ხათრიანი იყავი. შენს თვალებში ბოლოს ძალიან დიდ სევდას და უხასიათობას ვკითხულობდი, აღარ იყავი ძველებურად ხალისიანი. არ ვიცი, რისი ბრალი იყო, იქნებ გრძნობდი მოახლოებულ საშინელებას?! არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, მილიონი კითხვა მტრიალებს თავში...

შენი დაიკო ლიკა ძალიან დარდობს შენზე, თქვენ სხვანაირი [illegible] გქონდათ, შენ იყავი მისთვის ყველაფერი. რომ მახსენდება, როგორი სითბოთი ზრუნავდი მასზე, ყველაფერში ეხმარებოდი და გვერდით ედექი. შენი უახლოესი მეგობრები ყველაფერს უკეთებენ შენს დაიკოს, შენსავით უდგანან გვერდით, მზრუნველობას არ აკლებენ, შენ ხომ მის გარდა არავინ დაგრჩა!

მთელმა საქართველომ გულით დაგიტირა, აქ შენს სახელს დავიწყება არ უწერია. შენი მეგობრები ყველაფერს აკეთებენ შენი სახელის უკვდავსაყოფად. ან კი როგორ მოახერხე 27 წლის ასაკში ამდენი სითბოს და სიყვარულის დათესვა?

მე ყოველთვის ვამაყობდი და ვიამაყებ შენით, ჩემო დიდო, მოუშუშებელო ტკივილო. ნუგეში მხოლოდ ერთია, ეკლესიურობა და ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა. ეს ის გზაა, რომელ გზაზეც შენ დამაყენე და აუცილებლად შენამდე მომიყვანს, ჩემო ანგელოზო.

შენი გარდაცვალების, იმავე [illegible] დაბადების დღეს, შენი ოჯახი და შენი უახლოესი მეგობრები, ახლობლები ყოველთვის მოვალთ, ჩემო ჟანი, შენს საფლავზე უამრავი ყვავილით; დაგინთებთ წმინდა სანთლებს და შევევედრებით უფალს შენს სპეტაკ სულს, რომ დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

*შენი მშობლები*

### გია ლაბარტყავას გახსენება

უკვე მეოთხედ მოდის ავადსახსენებელი 10 მაისი, რომელსაც შენი მარადისობაში გადასვლა მოჰყვა... 6 მაისს ხომ 50 წელი შეგისრულდებოდა და კიდევ ცხოვრების II ნახევარი უნდა გაგველო ტკბილად, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.



რაც დრო გადის, მით უფრო გვაკლია შენი სიყვარულით გამთბარი თვალები, შენი მართალი სიტყვა. დღევანდელ საქართველოში ცოტა შენისთანა ვაჟკაცი.

უამრავი სათქმელი დაგვეგროვდა, ჩემო სულიერო ძმაო. შენ ხომ ხშირად [illegible] ხოლმე ჩემთან. მოდი, გაგვახარე შენთან საუბრით. შენი შვილები უკვე საამაყო ვაჟკაცები არიან. გია, გავა დრო და გაიფრენენ წლები, შენ კი ისევ ისეთი ახალგაზრდა დარჩები. სიკვდილს ხომ ეს ერთი უპირატესობა ჰქონია სიცოცხლესთან შედარებით. გვეყოლება შვილიშვილები, რომელთა შორისაც ალბათ ერთ-ერთი, გია იქნება და ასე გაგრძელდება შენი სახელი, შენს შთამომავლობაში.

შენი სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ შენს ხსოვნას ბინდი არ ეკარება. ისევ ჩვენთან ხარ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული ზეციურ სუფევაში.

*ნოდარი და ხათუნა*

149-ე ბაგა-ბაღის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**მზია გიორგის ასული ჯალაღონია-დოლაბერიძე**

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

კახმეც კუდავა, საშა სილაგაძე ოჯახებით, თანაკლასელთა სახელით, თანაგრძნობას უცხადებენ აბესალომ ხურმავას, დედის – ცნობილი ქართველი პედაგოგის, თაობათა აღმზრდელის

**ეთერ ჯებაშვილი-ხურმავას**

გარდაცვალების გამო.

და ლია მესხია, სიძე გურამ ნაჭყებია ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ხუტა ტარასის ძე მესხიას**

გარდაცვალებას.

[illegible]

# გაფრთხილება საიქიოდან

— ისტორიკოსი ვარ, ამიტომ ხშირად მიხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა ძეგლების ალსანერ-ასაზომად. ჩვენს ჯგუფში არქიტექტორებიც იყვნენ. იქ გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე სანდრო გ-შვილი. ოჯახიც შევქმენით, მაგრამ ქორწინებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჩემს ქმარს ნერვული აშლილობა დაეწყო. სწორედ ექსპედიციაში შევნიშნე პირველად მისი ავადმყოფობა. ღამით, როცა ყველას ეძინა, წამოდგებოდა და გარეთ უაზროდ დადიოდა. რამდენჯერაც დავეწიე და შეჩერება ვთხოვე, ხელით უხმოდ მომიშორა. თავს ძალიან უბედურად ვგრძნობდი.



ერთ ღამეს სანდრო გამტკნარებული სახით შემოვარდა და დაიძახა: — აშალეთ კარვები, სასწრაფოდ გავეცალოთ აქაურობასო. ბიჭებმა იფიქრეს, მთვრალიაო და დამშვიდება სცადეს. ის კი სულ გაგიჟდა, — წუთებს აქვს მნიშვნელობაო. რომ ვეკითხებოდით, რა მოხდაო, ახლა მაგის დრო არ არის, მერე გეტყვითო. შიშის მომგვრელი სიჩუმე ჩამოვარდა. ჯგუფის ხელმძღვანელმა უხმოდ გვანიშნა, — გავყვეთო. ფეხდაფეხ ავედევნეთ სანდროს. სამი წუთი იქნებოდა გასული... სწორედ იქ, სადაც დაბანაკებულები ვიყავით, გრუხუნი გაისმა და მეწყერმა ჩვენი კარვები მიწაში ჩაიტანა.

ადვილი წარმოსადგენია, რა დაგვემართებოდა. ისტერიკაში ჩავცვივდით. დილით სანდრომ გვითხრა, უკვე ერთი თვეა, ჩემს გარდაცვლილ ძმას, მიხეილს ვხედავ... მეხვეწება, — შინ დაბრუნდითო. ამისი გამხელა არ მინდოდა. წუხელ კი საშინლად გაბრაზებულმა მომახალა, — ახლავე მოსწყდით ამ ადგილს, თორემ ყველას მიწა ჩაგიტანთო. ვიგრძენი, რაღაც ცუდი გველოდა და ამიტომაც გაგალვიძეთო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ჩემს ქმარს გარდაცვლილი ძმა აღარ გამოცხადებია.

*ეკატერინე ს-ია*

# ალჟირული მძივის ტყვე

პაპაჩემს ხშირად უხდებოდა საზღვარგარეთ მოგზაურობა და ყველა ქვეყნიდან სუვენირები ჩამოჰქონდა. ასე დაემსგავსა ჩვენი პატარა ბინა მუზეუმს.

რომ წამოვიზარდე, პაპამ ერთი უცნაური მძივი გამომიტანა და ყელზე შემაბა. უცნაური-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ იგი ძალიან ჰგავდა რიყის რუხ კენჭებს.

— ეს ერთმა ალჟირელმა მეგობარმა მაჩუქაო, — მითხრა და მხიარულად ჩამიკრა თვალი.

— რაღაც უფერულია, — ვუთხარი გაუბედავად.

— უშნო გეჩვენება? თავიდან მეც ვიფიქრე, რას ჰგავს-მეთქი, მაგრამ იმ მეგობარმა მითხრა, — საოცარი თვისება აქვსო. უსახური ქვები ფერს იცვლიან. ავ თვალსა და გარემოს გრძნობენ და მეწამულ ელფერს იღებენ. ატარე, ბედნიერი იყავი და გახსოვდეს, თუკი ოდესმე შენს ყელზე მძივი გაწითლდება, სასწრაფოდ გაეცალე ყველას და ყველაფერს, საფრთხე გემუქრებაო.

პირველად პაპაჩემის ნათქვამის სიმართლეში ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ დავრწმუნდი. შინ კურსელები მეწვივნენ. გოგონებმა სამკაულების დათვალიერება დაიწყეს. ნაილიმ ალჟირული მძივი ყელზე ჩამოიკონწიალა. უცებ რუხ კენჭებს მეწამული ფერი დაედოთ... გოგონები ნაილის შემოეხვივნენ, რა ლამაზიაო, — ამბობდნენ. მართლაც თვალწარმტაცი იყო მძივი...

იმ საღამოს ნაილის მანქანა დაეჯახა. საბედნიეროდ, გადარჩა.

მას შემდეგ მძივს არ ვიშორებდი. არ ყოფილა შემთხვევა, განსაცდელი წინასწარ არ შემეტყო. ამ მძივის გარეშე ცხოვრება აღარ შემეძლო. სულ მას დავჩერებოდი — რა მელის, რას შემატყობინებს-მეთქი. წონაშიც დავიკელი, ფერიც დავკარგე. ოჯახი შეფოთავდა...

ერთ დილით მძივი ტუმბოზე აღარ დამხვდა. შეწუხებულს პაპამ მითხრა: ახლა ვხვდები, ავი ზნის მძივია, ამიტომ მტკვარში გადავუძახეო.

ჯერ კი ძალიან დამწყდა გული. მერე შვებით ამოვისუნთქე. ახლა კმაყოფილი ვარ, რომ თავი ამ მძივის ბატონობისაგან ვიხსენი.

*ელენე ტურაშვილი, თბილისი*

# ლიქიჩირი

სამხრეთ ამერიკაში უძველესი დროიდან არსებობს ლეგენდა ზებუნებრივ არსებებზე — ლიქიჩირებზე, რომლებიც მძინარე ადამიანს ცხიმს სწოვენ. მიიჩნევენ, რომ ლიქიჩირები ანდების ერთ-ერთ პლატოზე სახლობენ. თავად „ლიქიჩირი" ინდური ტომის, აიმარას ენაზე „ცხიმის მომტაცებელს" ნიშნავს.

1996 წელს დოქტორი ევლოგიო ჩავესი, ლა-პასის ფოლკლორისა და ეთნოლოგიის მუშაკი, ბოლივიის მთიან რაიონს ეწვია ლეგენდის წარმომავლობის შესასწავლად. იგი რამდენიმე თვე ცხოვრობდა აიმარას და კეჩუას ტომის ინდიელებში, რომლებმაც სწავლულს უამბეს: თუკი მინდორში დასასვენებლად წამოწოლილ გლეხს ჩაეძინება, შესაძლოა მას ლიქიჩირი მიეპაროს და წვრილი მილით გამოსწოვოს ცხიმი. ჭრილობა მალე ხორცდება და არც მტკივნეულია, მაგრამ ადამიანს, რომელმაც რამდენიმე კილოგრამი ცხიმი დაკარგა, სწრაფად ეცლება ძალ-ღონე, ბერდება და კვდება. ლიქიჩირები თავს ესხმიან მსუქან ადამიანებს, მაგრამ თუ ძალიან მშივრები არიან, არც გამხდრებისა და თვით ბავშვების ლიპოსაქციაზე ამბობენ უარს. აბორიგენებს ძალიან ეშინიათ ლიქიჩირის, ამიტომ ცდილობენ, მინდორზე არ დაიძინონო.

ჩავესმა ვერ დაადგინა, როგორ გამოიყურება ლიქიჩირი. აიმარები ამბობენ, იგი კაცივითაა, როცა გამოჩნდება, მეზობელი სოფლის მცხოვრები შეიძლება გეგონოსო. კეჩუები კი მაქციად მიიჩნევენ — ადამიანის, მაიმუნის ან ოპოსუმის სახის მიღება ძალუძსო. ლიქიჩირის შიშით ანდების მცხოვრებლები ცდილობენ, არ გასუქდნენ. ინდიელებს არ უყვართ მსუქნები და თუ სოფელში ბუთხუზა თეთრკანიანი გამოჩნდება, თავს არიდებენ. 1999 წლის 5 სექტემბერს ლა-პასის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა ინფორმაცია, — ლიქიჩირი საბარგო მანქანის მძღოლს, ჰუგო მორალესს, დაესხა თავს. მანქანას საწვავი გამოელია და ჰუგო იძულებული გახდა, უკაცური ტრასის პირას გაეთია ღამე. მანქანის სავარძელზე მოკალათდა. კარი ღია დასტოვა და დაიძინა. დილით საშინელი სისუსტე იგრძნო და ნეკნების ქვეშ იარა აღმოაჩინა. მეორე დღეს, ქალაქში რომ ჩააღწია, ექიმთან მივიდა, მაგრამ უთხრეს, არაფერი გჭირსო. თუმცა მორალესი აწონისას ოთხი კილოთი ნაკლები აღმოჩნდა!

ამ შემთხვევამ ბოლივიელები ერთობ შეაშინა და გზაზე მარტო დარჩენას ველარავინ ბედავდა.

საინტერესოა, რომ არსებობს ლიქიჩირისგან თავდაცვის ნაცადი ხერხებიც. თურმე ნიორი შთანთქავს ცხიმს, ლიქიჩირს არ უყვარს ნივრის სუნი და ერიდება ნიორნაჭამ ადამიანს. ამ მიზეზით არგენტინის, ჩილეს, კოლუმბიის და ბოლივიის მკვიდრი ინდიელები ძალზე ბევრ ნიორს მიირთმევენ და ხშირად მას კევივით ლეჭავენ.

ქალაქელებსაც სჯერათ ლიქიჩირების არსებობისა, მაგრამ ისინი მათ ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებად მიიჩნევენ — მათ შეუძლიათ მსხვერპლის მონუსხვა და დაძინება, რის შემდეგადაც სწოვენ ცხიმსო. გარკვეულწილად, ლიქიჩირები ვამპირის მსგავსი არსებები არიან.

ევლოგიო ჩავესმა შეადარა ლიქიჩირებთან დაკავშირებული წარმოდგენები ევროპულ ლეგენდას ვამპირების შესახებ: „არსებობს რამდენიმე პარალელი: თავდასხმა ღამით, ბიოლოგიური სუბსტანციის გამოწოვა, მაქციების განსადევნად ნივრის გამოყენება, მათი უნარი — იქცნენ უჩინრად. თუმცა არის კარდინალური განსხვავებაც — ევროპული ლეგენდა ფიქციაა, სამხრეთამერიკულს კი აქვს საფუძველი — უეჭველია, რომ თავდასხმა ნამდვილად ხდება".

*ნლო №8*

# სოფლის სალოცავი გემდურისო...

ეს ამბავი 1954-55 წლებში მოხდა დუშეთის რაიონის სოფელ კუჭეჭში (ახლა იქ ნასოფლარია!). გაზაფხულზე ჩვენმა სამმა დეკეულმა ერთად მოიგო ხბო. ფშაური ადათის მიხედვით, პირველ ხბოს სალოცავში კლავენ, ამიტომაც წავიყვანეთ სამივე ხბო და სოფლის სალოცავში დავკალით.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთი დეკეული ავად გახდა. გამოვიყვანდით საძოვარზე თუ არა, მაშინვე ჩაწვებოდა აბიბინებულ ბალახში და პირს არაფერს აკარებდა. ვეტექიმიც მოვუყვანეთ, მაგრამ ვერაფერით გაუგო, რა სჭირდა.

იმ დღეებში ერთ ჩვენს მოხუც მეზობელ ქალს, ნანას თავისი ვაჟი და რძალი ესტუმრნენ თიანეთიდან. გვითხრეს, ნანას რძალმა, ბაბალემ შელოცვა იცის და თქვენს ფურს იქნებ რამე ეშველოსო.

მეორე დილით მე და დედაჩემმა ძლივძლივობით წავიყვანეთ მომაკვდავი ძროხა მეზობელთან. მივუახლოვდით თუ არა მის სახლს, ძროხა ბალახში ჩაწვა და ძვრა ვეღარ ვუყავით. რაღას ვიზამდით, დავუძახეთ ნანას, რომელმაც თავისი რძალი მოიყვანა. ისიც ჩვენს ფურს თავთან დაუჯდა, ასე ნახევარ მეტრში, ხელში გახსნილი ჯიბის დანა ეჭირა, ჩამქრალი ნახშირით გადანერა პირჯვარი ბალახში საცოდავად თავჩარგულ ფურს და შელოცვა დაიწყო. ისე ჩუმად ლოცულობდა, რომ სამწუხაროდ, ვერც ერთი სიტყვა ვერ გავიგონე.

ბაბალემ დაამთავრა თუ არა შელოცვა, დედაჩემს დაუძახა და უთხრა, როგორც ჩანს, სოფლის სალოცავი გემდურის. მანდაურ სალოცავს რომ სამი ხბო შესწირეთ, ერთი ჩემს კარზე მოგეყვანაო (დედა სოფელ გომეწრიდან იყო, რომელიც კუჭეჭიდან 4-5 კილომეტრითაა დაშორებული), ამიტომ შენს ოჯახს რომ რაიმე უბედურება არ შეემთხვეს და ეს ძროხაც გადარჩეს, სახით გომეწრისკენ დადექი, გადაიწერე პირჯვარი, მოუხადე ბოდიში შენი სოფლის სალოცავს, შეუთქვი, რომ უახლოეს ხანში მიხვალ მის კარზე საკლავითო.

დედამაც ზუსტად შეასრულა ბაბალეს ნათქვამი. დაამთავრა თუ არა ლოცვა, მოხდა სასწაული — ჩვენი მომაკვდავი ძროხა ტყვიანაკრავივით წამოხტა და ბალახს გამალებით დაუწყო ძოვა.

ამ ძროხამ სიბერემდე იცოცხლა და რომ იტყვიან, ჩლიქიც აღარ წამოსტკივებია.

*ალექსი ჩოხელაშვილი, დუშეთი*

## „საზალოლო-სალაღო" გვერდის პასუხები

I. ბ-დეტალი ზედმეტია, ხოლო მე-4 დეტალი აკლია;
II. აბა, გამოიცანი
1. — ა); 2. — გ); 3. — დ); 4. — გ); 5. — დ);
III. ზარმაცისთვის ყველა დღე უქმეაო.

# იაპონური სუდოკუ სენსაცია

. გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ" ნიშნავს ციფრს, „დოკუ" — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ, არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ განმეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ, საშუალო და რთულ სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

### წინა კროსვორდების პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 5 | 1 | 8 | 2 | 4 | 9 | 3 |
| 1 | 3 | 9 | 4 | 7 | 6 | 8 | 2 | 5 |
| 2 | 4 | 8 | 9 | 5 | 3 | 1 | 7 | 6 |
| 3 | 1 | 7 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 8 | 9 | 6 | 3 | 4 | 5 | 7 | 1 | 2 |
| 4 | 5 | 2 | 6 | 1 | 7 | 3 | 8 | 9 |
| 7 | 8 | 4 | 5 | 3 | 9 | 2 | 6 | 1 |
| 9 | 6 | 1 | 7 | 2 | 4 | 5 | 3 | 8 |
| 5 | 2 | 3 | 8 | 6 | 1 | 9 | 4 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 4 | 3 | 9 | 5 | 1 | 7 | 8 |
| 3 | 1 | 7 | 8 | 6 | 4 | 5 | 9 | 2 |
| 9 | 5 | 8 | 7 | 2 | 1 | 3 | 6 | 4 |
| 2 | 7 | 5 | 6 | 4 | 9 | 8 | 1 | 3 |
| 4 | 6 | 9 | 1 | 8 | 3 | 2 | 5 | 7 |
| 8 | 3 | 1 | 2 | 5 | 7 | 4 | 6 | 9 |
| 5 | 4 | 6 | 9 | 3 | 2 | 7 | 8 | 1 |
| 1 | 9 | 2 | 5 | 7 | 8 | 6 | 3 | 4 |
| 7 | 8 | 3 | 4 | 1 | 6 | 9 | 2 | 5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 8 | 2 | 4 | 9 | 1 | 3 | 5 |
| 5 | 4 | 2 | 8 | 3 | 1 | 7 | 9 | 6 |
| 3 | 1 | 9 | 5 | 6 | 7 | 8 | 2 | 4 |
| 4 | 9 | 6 | 7 | 1 | 2 | 5 | 8 | 3 |
| 8 | 2 | 7 | 4 | 5 | 3 | 9 | 6 | 1 |
| 1 | 3 | 5 | 6 | 9 | 8 | 2 | 4 | 7 |
| 6 | 7 | 4 | 9 | 2 | 5 | 3 | 1 | 8 |
| 9 | 5 | 1 | 3 | 8 | 4 | 6 | 7 | 2 |
| 2 | 8 | 3 | 1 | 7 | 6 | 4 | 5 | 9 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 3 | | | | | 6 | 9 |
| | | 9 | 6 | 3 | | 5 | 1 | 7 |
| 1 | | 6 | 7 | 9 | 4 | | | |
| 5 | 6 | | 3 | 4 | 7 | | | |
| 7 | 2 | 4 | | | | 3 | 5 | 8 |
| | | | 8 | 2 | 5 | | 4 | 6 |
| | | | 2 | 1 | 6 | 8 | | 5 |
| 8 | 3 | 5 | | 7 | 9 | 6 | | |
| 6 | 1 | | | | | 9 | 7 | 4 |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 7 | | | 4 | | | 2 |
| | | | | | 9 | 3 | 6 | 5 |
| | 5 | 3 | | 6 | 8 | | | 4 |
| | | | | 2 | | 6 | 1 | 8 |
| 3 | | | 7 | 8 | 5 | | | 9 |
| 4 | 8 | 2 | | 1 | | | | |
| 8 | | | 3 | 4 | | 7 | 2 | |
| 1 | 2 | 6 | 8 | | | | | |
| 7 | | | 6 | | | 8 | 9 | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | 1 | 2 | 5 | | |
| | | | | | 9 | 1 | | |
| | | | | 3 | 4 | | 8 | 6 |
| | 8 | | | | 7 | 4 | | |
| | 3 | | 1 | | 6 | | 9 | |
| | | 7 | 9 | | | | 1 | |
| 8 | 7 | | 2 | 9 | | | | |
| | | 9 | 7 | | | | | |
| | | 6 | 4 | 5 | | 3 | | |

# №19 (501) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## თემა №19(501) — ნდობა

**რომელი პერსონა იმსახურებს თქვენს ნდობას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

| № | თემა №19(501) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნინო ბურჯანაძე | |
| 2 | ბადრი პატარკაციშვილი | |
| 3 | სალომე ზურაბიშვილი | |
| 4 | ბიძინა ივანიშვილი | |
| 5 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 6 | კონსტანტინე გამსახურდია | |
| 7 | კობა დავითაშვილი | |
| 8 | შალვა ნათელაშვილი | |
| 9 | ირაკლი ოქრუაშვილი | |

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

### დამატებითი კითხვა

როგორია თქვენი დამოკიდებულება ე.წ. „კანონიერი ქურდების" მიმართ?

| | | |
|---|---|---|
| 1 | უკიდურესად უარყოფითი | |
| 2 | უარყოფითი | |
| 3 | ნეიტრალური | |
| 4 | დადებითი | |
| 5 | მიჭირს პასუხის გაცემა | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

### მკითხველის პრემია

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

დაასახელეთ შედარებით სუსტი ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ. გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

## 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

**№19(501)** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 10 მაისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 11 მაისის 13 საათამდე.** ©თბილისი

## ყურადღება!

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგსა" და „მკითხველის პრემიაში".
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.
- რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.
- „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

# №18 (500) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

ჯეკ-პოტის მოგების მსურველთა რიცხვმა 1149-ს გადააჭარბა. 16 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 505-მა ქალმა და 608 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი გასართობი ტელეგადაცემა/შოუ მოგწონთ ყველაზე მეტად?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობას — 67%-ს ყველაზე მეტად „შაბათის შოუ" მოსწონს. მკითხველთა მხოლოდ 1%-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით. **7.33** საშუალო ქულით „შაბათის შოუ" პირველ ადგილზეა.

შემდეგი ადგილები ასევე „რუსთავი 2-ის" იუმორისტულმა შოუებმა გადაინაწილეს — „ღამის შოუ" 6.05 საშუალო ქულით მეორე, ხოლო „ცოცხალი შოუ" — 5.42 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა. აქ ჩამოთვლილ გადაცემათა შორის რეპონდენტთა 17%-ს ყველაზე მეტად „ღამის შოუ" მოსწონს. დაწინაურებულ ოთხეულში მოხვდა ასევე „გაიღიმეთ, ფარული კამერაა", რაც იმას ნიშნავს, რომ იუმორის სფეროში აღნიშნული შემადგენლობა უალტერნატივოა.

როგორც ვხედავთ, იუმორისტული ხასიათის ტელესერიალები მაინცდამაინც არ „იტაცებს" მაყურებლის თვალს.

სულ ბოლო ადგილზე პროექტ „პატრულის" პაროდიაა — „შმატრული", საშუალო ქულაა 2.11.

საპრიზოს ზუსტად ხუთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 46 წლის **ნოშრევან არაბული,** 42 წლის **დიანა საღრიშვილი,** 45 წლის **რამაზ მანია,** 47 წლის **ნიკოლოზ ნაზღაიძე** და წყალტუბოელი, 44 წლის **ელგუჯა შალამბერიძე.**

საპრიზო ფონდი 200 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 10 მაისს, 17 საათზე.




## გამოავლინეთ ნომრის საუკეთესო სტატია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში, ნომრის რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი მოგეწონათ და არ მოგეწონათ ყველაზე მეტად. საუკეთესოდ დასახელებულ ნაშრომს თქვენგან ემატება ერთი ქულა, ხოლო იმ ნაშრომს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგეწონათ, შესაბამისად აკლდება ერთი ქულა. იმ მასალის ავტორს, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 30 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 25 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 20 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

### ნინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „მკვლელი აზარტულ შვიდეულში" — 122 ხმა
2. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 59
3. **ეკა ლომიძე** — „უფესვო კაცი არც თავისთვის ვარგა და არც იმ ქვეყნისთვის, რომელსაც შეეკედლება" — 51
4. იზო რიკაძე — „არ ვიცი, ვის სურს თავდაცვის მინისტრის დისკრედიტაცია" — 21

5-6. იზო რიკაძე — „ევროპელები ალმაცერად გვიყურებენ" — 20

5-6. კობა ბენდელიანი — ორივე მხარის გაუკულმართებელი იდეოლოგია მათ ქცევას განსაზღვრავს" — 20

*მკითხველის პრემიის მფლობელები 421-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

## (19) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№19 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 11 მაისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### დაასახელეთ აპრილის თვის ადამიანი საქართველოში



| | | |
|---|---|---|
| 1. | ნინო ბურჯანაძე | 39.7% |
| 2. | ირაკლი ოქრუაშვილი | 34.1% |
| 3. | მიხეილ სააკაშვილი | 6.8% |
| 4. | ბადრი პატარკაციშვილი | 6.4% |
| 5. | კობა დავითაშვილი | 1.1% |
| 6. | სალომე ზურაბიშვილი | 0.9% |
| 7-10. | ვანო ჯავახიშვილი | 0.8% |
| 7-10. | გურამ შარაძე | 0.8% |
| 7-10. | კახი კალაძე | 0.8% |
| 7-10. | შალვა ნათელაშვილი | 0.8% |
| | სხვები | 6.1% |
| | არავინ | 0.5% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა | 1.2% |

*მკითხველის რეიტინგში 667 რესპონდენტი მონაწილეობდა*

### ცნობილთა აზრით:



**თემურ ჩიქლაური**: — სამწუხაროდ, აპრილის თვეში ვერც ერთ კარგ მოვლენას და მასთან დაკავშირებულ პერსონას ვერ ვიხსენებ, გარდა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისა. ამიტომაც მიჭირს პასუხის გაცემა და კონკრეტული ადამიანის დასახელება.



**ლევან წულაძე**: — მართალია პოლიტიკურ სპექტრში აპრილის თვეში ყველაზე აქტუალური ირაკლი ოქრუაშვილი იყო, მაგრამ მირჩევნია, თავი შევიკავო მისი დასახელებისგან, მით უფრო შეფასებისგან. კაცმა არ იცის, მომდევნო ეტაპზე პოზიტიური აღმოჩნდება თუ ნეგატიური მის მიერ რუსეთის ღვინის ბაზრის „შეფასება" საქართველოსთვის. ამიტომ აპრილის თვის ადამიანად ინგა გრიგოლიას ვასახელებ. ჩემი აზრით, მისი გადაცემები ამ თვეში ყველაზე აქტუალური იყო ქართველი საზოგადოებისთვის.



**ნათია ლაზაშვილი**: — ცალსახად ირაკლი ოქრუაშვილი, იმ ფრაზისა და შეფასების გამო, რაც რუსეთის ბაზრის შეფასებისას ხმამაღლა გამოთქვა. ჩემი აზრით, მან რეალური სინონიმი მოუძებნა ქართული ღვინის ჩრდილოელ მომხმარებელს.

მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") ყუთების საშუალებით.

ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი — სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი, აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული არტისტი.

ომარ ელერდაშვილი — აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული არტისტი.

ვახტანგ ელერდაშვილი — მათი ერთადერთი ვაჟი, რომელიც სოხუმის თეატრის მაყურებელს „მარადისობის კანონში" ბაჩანა რამიშვილის ბავშვობის როლით დაამახსოვრდა. მან სანთლებით ხელში დალოცა სოხუმის ქართული თეატრის ახალმოსახლეობა. შემდგომში ვახტანგი თეატრში ტექნიკურ რეჟისორად მუშაობდა და პარალელურად მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტში სწავლობდა, მაგრამ... ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, გადავინაცვლოთ უკან, რამდენიმე „კადრით".

ომარ ელერდაშვილი და ლორინა პაპუაშვილი თბილისში შეუღლდნენ. მათი სცენური ნათლობა კი ზუგდიდის თეატრში შედგა.

***ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი:*** „ზუგდიდის თეატრში მეც და ომარიც როლებით დავიტვირთეთ (ვახო მაშინ ერთი წლისა იყო და მთელი თეატრი ხელიხელ დაატარებდა). მერე იყო სოხუმის თეატრი და იქ განსახიერებული როლები. რეჟისორები: დათო კობახიძე, იური კაკულია, გოგი ქავთარაძე და თეატრის ალორძინების წლები. მიმაჩნია, რომ როგორც მსახიობმა, ყველაზე უკეთ რეალიზება იური კაკულიასთან შევძელი. მასთან არ გჭირდებოდა იმის კითხვა, თუ სად და როგორ უნდა დამდგარიყავი სცენაზე, როდის რა უნდა გეთქვა, შენ თვითონ „აწყობდი" როლს... თუ შემდგომ წლებში რაიმეს გაკეთება შევძელი, ამ რეჟისორს ვუმადლი. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო დიასახლისის როლი გორკის პიესაში „ფსკერზე" და არკადინა — ჩეხოვის „თოლიაში", მაგრამ დიდ როლებს ხშირად ეპიზოდურს ვამჯობინებდი. ტრაგიკოსი მსახიობი ვარ...

...ჯერაც სიმშვიდეა აფხაზეთში... მოჩვენებითი სიწყნარით უბერავს ზღვაური და წამითაც არავის გაუელვებს ფიქრად, რა საბედისწერო რკალი იკვრება ცაზე.

დედისერთაა, მაგრამ ვახოს ოჯახში არ ანებივრებენ. დედა თითქმის ყველა სპექტაკლშია დაკავებული და პატარა უფრო მამასაა „მიბმული", სკოლაშიც მამა დაატარებს. კულისებში იზრდება და მშობლების როლებს გაუცნობიერებლად აყურადებს...

9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით, ჯარიდან იწერება: „დედა, როგორ ხართ, რას შვრებით. შენ სულ მაწყნარებ, რომ მანდ ყველაფერი რიგზეა. გაზეთი მომიტანეს, წავიკითხე და კინაღამ გავგიჟდი... „ეგენი" ქართველებს რა დღეში აგდებენ, ვერა და ვერ ისვენებენ... რისი იმედით ასწიეს ხელი ჩვენზე, რამ გაამხნევათ ასე?"

„...თბილისში თექვსმეტი კი არა, უფრო მეტი მოუკლავთ... ამდენი ახალგაზრდა, ჯანსაღი კაცი აქა ვართ და მანდ ასეთი რამ ხდება. ვერ გამიგია, ვის ვუხდი ვალს და ვისი მშვიდობისთვის ვმსახურობ, თუ ჩემი სამშობლო ასეთ დღეშია?.. ბიჭები მე შემომყურებენ, ერთი შვილი რომ გყავართ, ეგ მაკავებს და ისიც, აქ რომ რამე მოხდეს, ამ ბიჭების მშობლებს რა ვუთხრა მერე? დედა, ნუ დამიმალავ, დაწვრილებით მომწერე ყველაფერი"...

9 აპრილის ტრაგედიიდან სულ რალაც სამი წელი გაივლის და კრემლში დაწერილი „სცენარით" რუსეთი საქართველოს აფხაზეთის ძირძველ მიწას მიიტაცებს, აგორდება ზვავი ძმათა მტრობისა, აღსრულდება ანათემა და სისხლის კალო დატრიალდება ეგრის-აფხაზეთის ისტორიულ მიწაზე.

სოხუმი უკვე ფრონტისპირა ქალაქია. ელერდაშვილების ოჯახს რვა აფხაზი, ვახოს თანატოლი სოხუმელი ბიჭი ჰყავს შეფარებული. ვახტანგი თბილისიდან ალმოდებული სოხუმისკენ ფოთის ნავსადგურიდან „ბარჟით" მიეშურება. ჩემს მოსვლამდე აქაურობას მოუარეთო, — იბარებს სახლში და მათ თვალწინ აფხაზების წინააღმდეგ საბრძოლველად მიდის. 29 სექტემბერს, სომხურ სოფელ ათარასთან, მოწინააღმდეგე მხარის მიერ დადებულმა ნაღმმა სწორედ ის ტანკი ააფეთქა, რომელიც ვახტანგმა თავისი ხელით ააწყო.

23 წლის ვახტანგ ელერდაშვილი ტანკში ჩაიწვა. მეორე დღეს, მამა, მუდამ ჩუმი და მოკრძალებული ომარ ელერდაშვილი, საკუთარი ბინის აივნიდან (მეცხრე სართულიდან) გადახტა და 49 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე.

ასე დაწყვილდა მამა-შვილი მარადისობაშიც.

***დიმა ჯაიანი:*** „ძნელია ისაუბრო ადამიანზე, რომელიც საოცარ იუმორს და სითბოს აფრქვევდა. ომარს სიყვარულის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა, რომელიც მთელი არსებით მამაშვილობაში გამჟღავნდა. აქ დარჩენა აღარ უნდოდა და შვილისკენ გაეშურა..."

***გოგი ქავთარაძე:*** „ომარ ელერდაშვილმა ჩემი ყურადღება „საბრალდებო დასკვნაში" ტიგრანას როლით მიიპყრო. „მარადისობის კანონში" იგი ბულიკას განასახიერებდა, პატარა ვახო კი — პატარა ბაჩანას. აქედან დაიწყო ვახოს სცენური ნათლობა. გავიდა წლები. ვახო ნიკოლაევში სამხედრო სამსახურს იხდიდა, ომარმა მასთან წასვლა მთხოვა. იმ პერიოდში თეატრში მისი არყოფნა წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ვინც მათი მამაშვილური დამოკიდებულების შესახებ იცოდა, მისთვის არ იყო ძნელი გასაგები, რომ ომარის ეს ნაბიჯი ისევე კანონზომიერი იყო, როგორც შემდგომ მისი აღსასრული..."

***დათო კობახიძე:*** „იმდენად ჩუმი და მორიდებული გახლდათ ომარი, რომ როდესაც მასზე საუბარს ვიწყებდით, უხერხულობისგან ადგილს ვერ პოულობდა, ზოგჯერ ჩუმად გაგვეცლებოდა... ხშირად ნახავდით განმარტოებულსაც, ფიქრიანსაც... მაგრამ საოცარი მეტამორფოზა ხდებოდა, როდესაც გვერდით ვახო ედგა. ამ დროს ამაყი, მხიარული და მხრებგაშლილი დადიოდა და უნდოდა ასე ბედნიერად დარჩენილიყო. დარჩა კიდეც!"

ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი: „ქართველმა და აფხაზმა შვილდაღუპულმა დედებმა უნდა შევუნდოთ ერთმანეთს. ძნელია... მაგრამ შენდობა ხომ მაშინ არის შენდობა, როცა იგი ძნელია. მას შემდეგაც კი, რაც ეს ტრაგედია თავს გადამხდა, აფხაზი ჩემს ცნობიერებაში უარყოფითად არასოდეს ამოტივტივებულა. თავს მოხვეულ ომში როგორც ერთი მხარე იცავდა თავის თავს და თავის აფხაზეთს, ისე იქცეოდა მეორეც. როგორც მე ვერ შევეგუებოდი, რომ ჩემი შვილი გულხელდაკრეფილი შინ მჯდარიყო, ისე აფხაზი დედა ვერ გადაუდგებოდა შვილს — ომში ნუ წახვალო. ქართველებს ჩვენი სიმართლე გვქონდა, აფხაზებს — თავისი. ორივე მხარე ჩვენ-ჩვენი აფხაზეთისთვის ვიბრძოდით და გამარჯვებული „მესამე" გამოვიდა.

როგორ დავბრუნდეთ უკან? — მოლაპარაკებების გზით დაბრუნებისა მე არ მჯერა. პირდაპირი კონტაქტებია საჭირო, რომ ორივე მხარემ ჩვენ-ჩვენი სიმართლე ამოვთქვათ და თუ შინ დაბრუნება გვინდა, კომპრომისზეც წავიდეთ. მიმაჩნია, რომ ქართველებიც და აფხაზებიც ამ ეტაპზე ერთმანეთისკენ სავალი გზების ძიების პროცესში ვართ".

P.S. ცხინვალის მაჩაბლის დასის თავგანწირვა სოხუმის თეატრმაც გაიმეორა. აფხაზეთის ომში დასის ცხრა წევრი დაიღუპა.

***სვეტლანა კვიკვინია***

# „ორივე მხარე ჩვენ-ჩვენი აფხაზეთისთვის ვიბრძოდით"...



## „იარებოდა დედაი..."

*„ზუგდიდის თეატრში მისულ ახალბედა მსახიობს რეჟისორმა შალვა ჩერქეზიშვილმა სპექტაკლში „უკანასკნელი გარიჟრაჟი" შეშლილი ქალის ტრაგიკული როლი შემომთავაზა. სიუჟეტი ასეთი იყო: ქალს ქმარი მოუკლეს და შვილიც დაეკარგა. შეშლილი დედა ტყე-ღრე დაეხეტება და შვილს დაეძებს. რეჟისორი მიხსნიდა: წარმოიდგინე, რომ ომარი მოგიკლეს და ვახოც აღარა გყავს..."*

*ამ როლის შესრულებამ დიდი ხნის შემდეგ ცხოვრებაშიც მოუწია... აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე. მსახიობ ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილის ერთადერთი ვაჟი — ვახტანგ ელერდაშვილი ძმათამკვლელი ომის მსხვერპლი გახდა. მამამ, ომარ ელერდაშვილმა ამ ტრაგედიას ვერ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.*

*სოხუმის ქართული თეატრიდან ომის პირველი მსხვერპლნი — მამა-შვილი ომარ და ვახტანგ ელერდაშვილები თბილისში, საბურთალოს პანთეონში განისვენებენ. ოჯახის გადარჩენილი წევრი, ლორინა პაპუაშვილი-ელერდაშვილი ტრაგიკული როლების მოლოდინში სცენაზე რჩება...*

*ამ სევდიანი ამბის თხრობას ომამდელი სოხუმის ერთი ლამაზი, თეატრალური ოჯახიდან დავიწყებთ...*


# 9 მაისი

შეინარჩუნე კავშირი ისტორიასთან




მაგთიკომი გილოცავთ 9 მაისს
და მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს
გიწვევთ მაგთიკომის მომსახურების ოფისებში
10 მაისის ჩათვლით, სადაც საჩუქრად გადმოგეცემათ
SIM-ბარათი და 30-ლარიანი მონო-ბარათი.

ვეტერანებს აქვე შესაძლებლობა გექნებათ დარეკოთ
მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და უფასოდ
ილაპარაკოთ 30 წუთის განმავლობაში.

მიულოცეთ მეგობრებს გამარჯვების დღე!

25 11 11 25 00 00 525
www.magtigsm.ge

მაგთი MAGTI GSM

# არქეოლოგიური ძეგლი განადგურებას გადაურჩა

საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი არქეოლოგიური ძეგლების გაუფრთხილებლობითა და ე. წ. შავი არქეოლოგიის აყვავებით რა დიდი ზარალი მიადგა სახელმწიფოს. ამ სავალალო მდგომარეობის გამო განგაშის ზარებიც შემოვკარით, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მივაღწიეთ... შავი არქეოლოგიის „პრინცები“ ახლა უფრო ფრთხილად მოქმედებენ, აღარავის ენდობიან, ეროვნული კულტურის ძვირფას ნიმუშებს კი ისევ სარფიანად ყიდიან უცხოელებზე. ისინი თუ შეგნებულად „ატანენ წყალს“ საქართველოს ისტორიას, სხვები უნებლიეთ აკეთებენ ამას. ცოტა ხნის წინ მცხეთაში, რესტორან „არაგვთან“ მისმა მფლობელებმა საკმაოდ დიდ ფართობზე მიწა ჩამოჭრეს. ჩამოჭრილი ნიადაგი არაგვმა წაიღო... საბედნიეროდ, გამოჩენილი სამარხები, რომელთა არსებობა მოულოდნელი არ ყოფილა, უყურადღებოდ არ დარჩენილა. მცხეთა-მთიანეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა ვასილ მაღლაფერიძემ ყველას შეატყობინა აღნიშნულის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ გადაურჩა დაზიანებას. ისიც გადაწყდა, რომ რესტორანი „არაგვი“ აქ მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებს დააფინანსებს კიდეც.

მცხეთა და მისი შემოგარენი ჯერ კიდევ ბევრ არქეოლოგიურ საიდუმლოს ინახავს. დროა, საქართველოს ყველა მოქალაქემ გაიგოს, რომ ნებისმიერ ადგილას რაიმე სამშენებლო სამუშაო არქეოლოგიურ სამსახურთან შეთანხმების შემდეგ უნდა ჩატარდეს. მით უმეტეს, მცხეთასა და მის შემოგარენში. გვესაუბრება მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **გურამ ყიფიანი**:

— შეიძლებოდა ნებართვის გაცემა, რათა იქ მშენებლობა დაწყებულიყო, მაგრამ აუცილებლად არქეოლოგის დასტურით. როგორც კი ის შენიშნავდა არქეოლოგიურ კატეგორიას, მშენებლობა შესაბამისად, შეჩერდებოდა. მეწარმემ, რომელიც მშენებლობას აპირებს და არ ეთმობა ესა თუ ის კონკრეტული ადგილი, უნდა დააფინანსოს არქეოლოგიური კვლევა. შემდეგ კი რაც უნდა, ის ააშენოს.

საერთოდ, ამ ადგილის შესახებ საუბარი უფრო ადრე დაიწყო... მიმდინარეობდა სარწყავი არხის მშენებლობა. ბუნებრივია, იმ არხის გაყოლებით არქეოლოგებმა იმუშავეს. ეს ტერიტორია სერისა და წინამურის ველის უშუალო გაგრძელებაა. 1998-99 წლებში გზის მოპირდაპირე მხარეს გავთხარეთ კიდეც ადრექრისტიანული სამაროვნის ნაწილი. საყურადღებო აღმოჩენაც გაკეთდა... რაც ახლა მოხდა, ვერ ვიტყვი, რომ ძეგლის განზრახ დაზიანება ან კანონის შეგნებული უგულებელყოფაა-მეთქი. ეს ელემენტარული უცოდინარობისა და გაუფრთხილებლობის შედეგია. მთავარია, რომ შეიძლება ამ ძეგლის გადარჩენა. მართალია, დაზიანებულია, მაგრამ განადგურებული არ არის. კარგად ჩანს არაგვის სანაპიროს თავდაპირველი დონე, სამარხები... არა მგონია, დიდი ნაწილი იყოს გამქრალი... სამწუხაროა, რომ საზოგადოება ცუდად იცნობს კანონს.

— **ამ მიდამოში საინტერესო აღმოჩენაც გქონიათ...**

— ეს იყო ჩვეულებრივი სამარხი ნაგებობა — ქვაყუთი, რომელშიც ჩასვენებული იყო ორი ქალი, ანთროპოლოგების განსაზღვრით, ერთი დაახლოებით 40-ის, ხოლო მეორე — 20 წლისა. აღნაგობით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, სავარაუდოდ, დედა-შვილი უნდა ყოფილიყვნენ. საყურადღებოა, რომ ქრისტიანული წესით არიან დაკრძალული, თავი დასავლეთით აქვთ. სამარხი ნაგებობის აღმოსავლეთ ქვის ფილაზე, შიგნითა მხრიდან, ამოტვიფრული იყო კონსტანტინეს ჯვარი (ბოლნურ ჯვარს ვეძახით). ეს უნიკალური შემთხვევაა. სამარხი IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის. საინტერესო იყო მასში


ოქროს სამელნე

აღმოჩენილი ინვენტარიც. მოგეხსენებათ, ქრისტიანებს განსაკუთრებული სიმკაცრით კრძალავდნენ. საფლავში არ ატანდნენ ნივთებს, მაგრამ სამოსის შემკულობის მიხედვით ჩანს, რომ აქ დაკრძალული ქალბატონები ზეპურ საზოგადოებას ეკუთვნოდნენ.

— **მსგავსი საინტერესო აღმოჩენები შეიძლება იმ ადგილზეც გაკეთდეს, სადაც რესტორნის მშენებლობას აპირებდნენ?..**

— დიახ. აქ სხვადასხვა პერიოდის შრეები


სვეტიცხოვლის კედელთან აღმოჩენილი უნიკალური სამარხი

ჩანს. არის უფრო ადრეული ნაშთებიც. წინამური ის არქეოლოგიური კატეგორიაა და ის გამაგრებული დასახლება, რომელსაც სტრაბონიც მოიხსენიებს სევსამორას სახელწოდებით. სტრაბონი ქალაქს მხოლოდ იმ დასახლებულ პუნქტს უწოდებს, რომელიც შემოსაზღვრულია ციხესიმაგრით... ესეც მნიშვნელოვანია.

— **კიდევ რაზე მუშაობთ?**

— მცხეთის ინსტიტუტი ჩართულია სვეტიცხოველში მიმდინარე სამუშაოებში. საპატრიარქომ გადაწყვიტა, რომ უნდა გამოიცვალოს იატაკი. დასადგენია არსუკისძის აშენებული ტაძრის იატაკის ნიშნული და დონე. აღსადგენია ტაძრის ინტერიერი. დღევანდელი იატაკი მეტისმეტად ამაღლებულია. ის ჯერ რუსულმა ეგზარქატმა აამაღლა, შემდეგ კი 1970 წელს რესტავრაციის დროს კიდევ მოუწიათ ამაღლება...

— **იატაკს რატომ ამაღლებდნენ?**

— ვერ გეტყვით... რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებს ალბათ ყველაფრის წაშლა უნდოდათ. მოხატულობას ათეთრებდნენ, იატაკს ფარავდნენ... სამთავროს მონასტერი საკანცელარიო შენობასავით თეთრ-ლურჯად შეღებეს, იატაკი 60 სანტიმეტრით აამაღლეს. ნახევარსვეტის ბურჯები მთლიანად დაფარეს და რაც ყველაზე წარმოუდგენელი იყო, იატაკის მასალის შემავსებლად XI საუკუნის ბრწყინვალე კანკელის ნამსხვრევები გამოიყენეს...

— **სვეტიცხოველში მიმდინარე სამუშაოებმა შეიძლება რაიმე ახალ აღმოჩენამდეც მიგიყვანოთ, არა?**

— რა თქმა უნდა, აქ ხომ უზარმაზარი მშენებლობის ისტორიაა ჩადებული. პირველად წმინდა ნინოსა და მეფე მირიანის ძალისხმევით აშენდა ხის ეკლესია იმ ადგილას, სადაც ანტიკური, წარმართული ნაგებობა იდგა. ეს იყო დიდი ეკლესია. შემდეგ მას ვახტანგ გორგასლისეული ბაზილიკა დააშენეს, შემდეგ სვეტიცხოველი, მაგრამ როცა გასული საუკუნის 70-იან წლებში ვახტანგ ცინცაძე სარესტავრაციო სამუშაოებს ასრულებდა, გამოიკვეთა, რომ ვახტანგ გორგასლის და არსუკისძის მშენებლობებს შორის კიდევ ერთი ბაზილიკა აუგიათ... სადაც სვეტიცხოველი შენდებოდა, იმ ადგილს სამოთხე ერქვა. ეს სამეფო ბაღს ნიშნავს. მაგრამ სამოთხე არ არის მხოლოდ ნარგავთა კომპლექსი, იქ იყო სასახლეებიც, სამარხებიც და სხვა კომპლექსებიც. აკი აღმოჩნდა კიდეც მდიდრული სამარხი. სვეტიცხოვლის საძირკვლის შესწავლა მიმდინარეობდა. ამ დროს გამოჩნდა სამარხის ზედა ფილა და ქვაყუთი. გავხსენით. სამარხი III საუკუნის ბოლოთი თარიღდება და დიდგვაროვანი ქალბატონისა უნდა იყოს. მის ინვენტარს შეადგენდა საწერი მოწყობილობა — ოქროს სამელნე, საკალმე, ვერცხლის სტილოსები, შემკული რელიეფებით... სტილოსების შესანახ ე.წ. პენალზე ბერძნულად ეწერა: საწერი მოწყობილობა ეკუთვნის მეფე უსტამოსს და ევგენიოსს. თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ, ვინ არის უსტამოსიო... არც ერთ ქართულ წყაროში უსტამოსი არ მოიხსენიება. ყურადღება იმას უნდა მივაქციოთ, რომ არსებობს მეფის საკუთარი სახელი და მისი ნომენკლატურული სახელი. ამ ნომენკლატურული სახელის უკან ვინ იმალება, ძნელი დასადგენია. ეს ნივთი ქართველი მეფის მიერ არის შეკვეთილი და დამზადებული რომელიღაც რომაულ ცენტრში, ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ის თავის ნომენკლატურულ სახელს აღნიშნავს...

ევგენიოსი მეფესთან დაახლოებული პირი იქნებოდა, ხოლო ის ქალბატონი, ვისაც ამ მოწყობილობას საფლავში ჩაატანდნენ, სავარაუდოდ — სამეფო ოჯახის წევრი. პენალი უნიკალურია. მასზე ცხრავე მუზაა გამოხატული, შემკულია ორნამენტებით.

P.S. ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენები სხვაც ბევრი ექნებათ ქართველ მეცნიერებს, მთავარია გულისხმიერებამ არ გვიღალატოს და ჩვენი ისტორიული სიმდიდრე წყალს არ გავატანოთ, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით.

*ლელა ჯიყაშვილი*







# „დროა, ჩვენც გავიგოთ ოქროს გემო“

[illegible]

— რა თქმა უნდა, შინაური კედლები და ადგილობრივი ქომაგი „აზოტს“ დიდ დახმარებას უწევს, თუმცა, ერთგული გულშემატკივრები ნებისმიერ მატჩზე დაგვყვებიან და მათი თანადგომის იმედი ყოველთვის გვაქვს. სხვათა შორის, ბევრს ლაპარაკობენ, რუსთავის დარბაზში იატაკი სველი იყო და მატჩის შედეგზე ამანაც იქონია გავლენაო. დარბაზში უამრავი მაყურებელი იყო, ფანჯრები დაიორთქლა და პარკეტი მართლაც დანესტიანდა, მაგრამ ფეხი მხოლოდ თსუ-ის კალათბურთელებს კი არა, მასპინძლებსაც ხომ უცურდებოდათ?

**— „აზოტისთვის“ უსიამოვნო ტრადიციად იქცა — ფინალში სამჯერ გახვედით, ჩემპიონობას კი ვერც ერთხელ ვერ მიაღწიეთ. ამაზე რას იტყვით?**

— ამას თავისი მიზეზები აქვს. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ აღნიშნული ტრადიციის გაგრძელებას აღარ ვაპირებთ. ორივე გუნდს გამარჯვების თანაბარი შანსი აქვს. ისე კი, დროა, „აზოტმაც“ გაუსინჯოს ოქროს გემო...

**— ფინალური შეხვედრები რამდენიმე დღეში დაიწყება. როგორ ფიქრობთ, რა იქნება გადამწყვეტი „აზოტისა“ და „ავიამშენის“ დაპირისპირებაში?**

— ძალიან ბევრ რამეს გადაწყვეტს ფსიქოლოგიური ფაქტორი. ვისაც უფრო მტკიცე ნერვები აღმოაჩნდება და ფინალში მონაწილეობა მეტოქეზე ნაკლებად დათრგუნავს, მოგებულიც ის დარჩება. „ავიამშენთან“ შედარებით, უფრო მეტი გამოუცდელი მოთამაშე ჩვენ გვყავს და ყველაზე მეტად სწორედ ეს მაფიქრებს. თუმცა, ბრძოლის დრო და ჩემპიონობისთვის თავს არავინ დაზოგავს...

*რატი შელეგია*

# „თანაგუნდელები მთხოვენ, ქართული ღვინო ჩამოგვიტანეო“




რუსულ პრემიერლიგაში ახალი სეზონის დაწყებამდე მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველმა მცველმა მალხაზ ასათიანმა ლავიწის ძვალი გაიტეხა და ორი თვე იძულებით შეისვენა. ამ ხნის განმავლობაში „ლოკოს“ ექიმი ალექსანდრე იარდოშვილი მალხაზს გვერდიდან არ სცილდებოდა და როგორც მწვრთნელებს დაჰპირდა, ჩვენებური მწყობრში აპრილის ბოლოსთვის ჩააყენა. მალხაზმაც პირველი შეხვედრა „მოსკვას“ წინააღმდეგ ჩაატარა და ისე ითამაშა, რომ ჩვენი რუსი კოლეგები იძულებულნი გახდნენ, იგი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეეყვანათ.

უფრო მეტიც, წლეულს პირველად მოხდა, რომ „ლოკომოტივმა“ მოედანი გოლგაუშვებლად დატოვა, რაშიც ლომის წილი სწორედ ასათიანს მიუძღვის, როცა მალხაზს მოსკოვში დავუკავშირდით, საკუთარ ავტომობილში, საცობში იყო გაჩხერილი და მანქანების სიგნალების ფონზე გავაგრძელეთ საუბარი.

**— მალხაზ, გამოჯანმრთელებას გილოცავ. მხარი აღარ გაწუხებს?**

— საბედნიეროდ, გამოვჯანმრთელდი და სრული დატვირთვითაც ვვარჯიშობ. თამაში საშინლად მომენატრა და კარგია, ამის საშუალება რომ მაქვს.

**— წლეულს პირველ მატჩში ითამაშე და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდი...**

— სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, როცა სიმბოლურში საკუთარი გვარი აღმოვაჩინე. ჩემი თავის ყველაზე უკეთ მე ვიცი და უნდა ვაღიარო, საუკეთესო ფორმამდე შორს ვარ. ფიზიკურად 90 წუთით სირბილიც მიძნელდება და როცა „მოსკვასთან“ შეხვედრაში მწვრთნელმა მოედნიდან არ გამიყვანა, კინაღამ ვიტირე. თუმცა გპირდებით, ორ კვირაში ყველაფერი კარგად იქნება.

**— ნაკრებზე გკითხავ: მაისის ბოლოს კლაუს ტოპმოლერი ევროპაში ორკვირიან შეკრებას გეგმავს, ჩახვალ?**

— რა თქმა უნდა, ჩავალ. ორი კვირა სავსებით საკმარისი იქნება ორივე მხარისთვის — მწვრთნელი გაიგებს რა შეგვიძლია, ჩვენ კი მივხვდებით, როგორ ფეხბურთს ანიჭებს იგი უპირატესობას. როგორც ვიცი, უმთავრესად 4-3-3 სქემის დახვეწაზე ვიმუშავებთ და აქედანვე ჩანს, რომ საქართველოს ნაკრები მომავალ მატჩებში შემტევ ფეხბურთს ითამაშებს.

**— ფიქრობ, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი გვაქვს?**

— უკრაინას და შოტლანდიას თავი რომ დავანებოთ, მეტოქეებად საფრანგეთი და იტალიაც გვყავს. ჰოდა, 100%-ით ისინიც კი ვერ იტყვიან, ფინალურ ეტაპზე გავალთო: თამაში ყველასთან შეიძლება და ვნახოთ, რა გამოვა.

**— მოსკოვში ქართველების ყოფაზე რომ არ გკითხო, არ შეიძლება. გუნდში სამი ქართველი ხართ, თქვენ მიმართ დამოკიდებულება ხომ არ შეიცვალა?**

— არა, პოლიტიკა და სპორტი აქ სხვადასხვა ცნებაა. თანაგუნდელებთან ერთად ამ თემაზე რამდენჯერმე ვისაუბრეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ყველაფერს მშვიდი და გააზრებული დიალოგი სჯობს.

**— „ლოკომოტიველები“ ქართულ ღვინოზე რას ამბობენ?**

— რა უნდა თქვან, სულ იმას მთხოვენ, ქართული ღვინო ჩამოგვიტანეო, ჩვენი ღვინის უხარისხობის აქ არავის სჯერა!

*არმაზ ხარძიანი*

# „მოდით, უქომაგეთ საქართველოს ნაკრებს“

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, თბილისის სპორტის სასახლე ქართული ფრენბურთის მოყვარულთა თავშეყრას შეეცდება. 13 მაისს, ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრაში შვედებს უმასპინძლებს. საკვალიფიკაციო ეტაპზე ყველაზე ძლიერი მეტოქე მაინცდამაინც ჩვენს ნაკრებს ერგო, თუმცა, ისიც ფაქტია — დამოუკიდებელი ქართული ფრენბურთის ისტორიაში საუკეთესო შემადგენლობა სწორედ დღეს გვყავს. ეგ არის, ბიჭებს შეუთამაშებლობა აწუხებთ და თუ ეს პრობლემა დროულად აღმოიფხვრა, მატჩზე მისული ქომაგი ნამდვილად არ ინანებს. შეიძლება ითქვას, ეს ჩვენი მოწოდებაც არის და ფრენბურთელთა ნაკრების თავკაცის, ირაკლი ჩაჩუას თხოვნაც. ბურსას „ბესკის“ ქართველ კონსულტანტს ნაკრებში საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო მომწოდებელიც ჰყავს და ქართული წარმოშობის თურქიც.

***ირაკლი ჩაჩუას*** ნაკრების ვარჯიშზე შევხვდით:



— საქართველოს ნაკრები ასეთი ძლიერი შემადგენლობით პირველად გამოდის. გუნდის ძირითად ბირთვს ლეგიონერები შეადგენენ და მათი უმრავლესობა უკვე თბილისშია. მთავარი ფიგურა ფრანგულ „ნიცაში“ მოთამაშე ამირან ჯიოშვილი გახლავთ, რომლისთვისაც შვედებთან მატჩი პირველი იქნება საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. თურქული „ბესკის“ ღირსებას იცავენ სოსო ლობჟანიძე და მერთ ელიტეზი, რომელიც ქართული წარმოშობის თურქია და უკვე ჩვენებური პასპორტიც აქვს. თურქეთში თამაშობენ თენგიზ ჯანხოთელი და ვახტანგ ჩიქოვანი, გვყავს ლეგიონერები გერმანიაში, უკრაინასა და ყაზახეთშიც. ასე რომ, ჩვენი მთავარი პრობლემა მაღალი კლასის მოთამაშეების ნაკლებობა კი არა, მათი შეუთამაშებლობაა. ათ დღეში გუნდის სათანადო მომზადება თითქმის შეუძლებელია, თუმცა, 8-9 მაისს ბაქოში, მასპინძლებთან ამხანაგურ მატჩს ჩავატარებთ და ძირითად იმედებს სწორედ ამ შეხვედრებს ვუკავშირებ.

**— აზერბაიჯანელები სპარინგ-პარტნიორებად რამდენად გამოგვადგებიან?**

— აზერბაიჯანის ნაკრებში ძალიან ბევრი უცხოელი ფრენბურთელი გამოდის, რომლებმაც ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღეს. შესაბამისად, ურიგო გუნდი არ ეყოლებათ, მაგრამ ამ მატჩებში, ჩვენთვის მთავარი შედეგი კი არა, გუნდის შეთამაშება და სუსტი წერტილების აღმოჩენა იქნება.

**— შვედების შესახებ რა ინფორმაცია გაქვთ?**

— შვედების მთავარი დამრტყმელი ძალა საფრანგეთში მოთამაშე მარკუს ნილსონია. ეს ფრენბურთელი შესაშური ფიზიკური მონაცემებითაც გამოირჩევა (206 სანტიმეტრი სიმაღლისაა) და ძალზე გამოცდილიცაა. დღესდღეობით, ნილსონი საფრანგეთის საუკეთესო თავდამსხმელად და მომწოდებლად ითვლება და ძირითად პრობლემებსაც იგი შეგვიქმნის. შვედებს მის გარდა მხოლოდ ორი ლეგიონერი ჰყავთ, ერთი საფრანგეთში, მეორე კი — საბერძნეთში ასპარეზობს. ჩვენი მთავარი ტაქტიკა ნილსონის განეიტრალებაზე ზრუნვა იქნება, მაგრამ ბადის იქით ხომ ვერ გადავალთ? ეფექტური დაცვით უნდა ვუპასუხოთ.

**— ჩვენც ხომ გვყავს უმაღლესი კლასის მომწოდებელი? ამირან ჯიოშვილს ნილსონის წინააღმდეგაც უთამაშია...**

— ამირანი საქართველოს ნაკრების გამოკვეთილი ლიდერია. სხვათა შორის, შარშან სწორედ ჯიოშვილი ფლობდა საფრანგეთის საუკეთესო მომწოდებლის ტიტულს. ძალიან ძლიერი და გამოცდილი მოთამაშეა — მეექვსე წელია საფრანგეთში თამაშობს, მანამდე კი თურქეთის და ისრაელის პირველობებში ასპარეზობდა. როგორც იცით, ამირან ჯიოშვილი სახელგანთქმული ფრენბურთელის — ვიქტორია რავას მეუღლეა. თბილისში ჩამოსვლა მასაც ძალიან უნდოდა, მაგრამ ბავშვს ელოდება, თანაც, მისი გუნდი საფრანგეთის თასზე ფინალურ მატჩებს მართავს და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ თამაშობს, კაპიტანი გუნდთან ერთად უნდა იყოს.

**— შვედების წინააღმდეგ ორმატჩიან დუელში თუ ვიმარჯვეთ, მერე რა გველის?**

— შვედეთის ნაკრების დამარცხების შემთხვევაში, ქვეჯგუფში მოვხვდებით, სადაც უკვე არიან განაწილებული მაკედონიის, ჰოლანდიისა და სლოვენიის ეროვნული გუნდები. აღსანიშნავია, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის მსგავსად, ჯგუფშიც ძალზე ძლიერი მეტოქეები გვერგო. აქედან ორი საუკეთესო ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებს და თუ შვედების დამარცხება მოვახერხეთ, მომდევნო მატჩებს გაცილებით უკეთ შეთამაშებულნი შევხვდებით...

**— კარგა ხანია, ვაჟ ფრენბურთელთა ნაკრებს საქართველოში აღარ უთამაშია. როგორ ფიქრობთ, სპორტის სასახლეში საკმარისი რაოდენობის ქომაგი მოვა?**

— სწორედ ეს მინდა ვთხოვო ქართველ გულშემატკივარს, რადგან მხარდაჭერას ფრენბურთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. რამდენიმე წლის წინ, სომხეთთან ამხანაგურ მატჩს 5-6 ათასი გულშემატკივარი დაესწრო და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრა გაცილებით მეტს არ იმსახურებს? მით უფრო, ასეთი ძლიერი შემადგენლობა ჯერ არ გვყოლია. მოდით, უქომაგეთ საქართველოს ნაკრებს და მის გამარჯვებაში თქვენი წვლილი შეიტანეთ...

*რატი შელეგია*




# თმის გადანერგვის კლინიკა „ჰეალაინ ინტერნეიშნლ“

ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი

- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- კონფიდენციალობა, გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრამვისა და დამწვრობის შემდეგ
- თმა ბუნებრივად იზრდება, არასდროს ცვივა და იჭრება ჩვეულებრივად
- ფასი იაფი და ხელმისაწვდომი

HAIRLINE INTERNATIONAL

მსოფლიოს და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62



www.hairline.ge



# შპს „ვერონა“

მის: წერეთლის გამზ. 142 (საქნავთობპროდუქტის შენობა, სანაპიროს მხრიდან), II სართ. ოფ. 55 ტელ/ფაქსი: 34-17-58; 34-22-64 E-mail: veronaltd@yahoo.com

## შეიძინეთ შემდეგი სახის საქონელი

| | | | |
|---|---|---|---|
| მრგვალი რკინა Ф-24, Ф-100, Ф-55, Ф-60, Ф-90, Ф-42 | 9ტ. | ლიფტი სამგზავრო | 1ც. |
| მავთული ზამბარის Ф-6 | 500კგ. | ავტომანქანის რესორები МАЗ, ЗИЛ, ГАЗИК ან რესორის მასალა | 1ც. შეკვეთ. |
| მილი ანგავი 7-მეტრიანი Ф-25 12X18H10T | 184ც. | ტუმბო КМ 160/20 | ცალი |
| ფოლადის ფურცელი მეორადი 1,2/2мм | 2000მ² | ტუმბო წარმადობა 10-15ტ. კვების მრეწველობისთვის, გადასაადგილებელი, სითხის კონცენტრაცია 70% | შეკვ. |
| ბრინჯა | 2ტ. | | |
| ფოლადის ფურცელი 30мм, 20мм, 60мм, 5мм, 12мм, 10мм, 40мм, 45мм | 75ტ. | ტუმბო Д1250/125 ძრავით | 4ც. |
| ფოლადის მილი იზოლირებული Ф-400 | 12კმ. | ტუმბო ЕЦВ12 160/65 или 160/75, 160/50 | 1ც. |
| მილი Ф630 | 80მ. | | |
| მილი Ф720 | 60მ. | ტრანსფორმატორი 160/10 | 15ც. |
| ფოლადის მილი Ф-150мм | 100გრ.მ | ელ კომპრესორი 5 куб.метр/мин | 1ც. |
| ანგარი ლითონის სიგრძე=25მ, სიგანე=12მ. | შეკვეთ. | ელ კომპრესორი 5 куб.метр/час 70 ატმოსფერო. რესივერი 1კუბ/მეტრი | 1ც. |
| ანგარი ოთხკუთხედი (სენდვიჩები) | 4000მ² | | |
| მოქლონი | 2ტ. | გაზის წნევის რეგულატორი. დაბალი წარმადობის Ф25 или Ф50 РДБК 20-50куб. метр/час | 1ც. |
| თუჯი ჩამოსასხმელი | 35ტ. | | |
| ფილები ბეტონის, ღობისათვის | 500მ. | | |
| ბიტუმი | 2000ტ. | გაზის წნევის რეგულატორი. დაბალი წარმადობის Ф100 РДК 20-50куб. метр/час | 10ც. |
| ფანერა 10мм 1,52X1,52 | 700ც. | | |
| ხის ლარტყა 4X5 | 6000მ. | | 10ც. |
| ურდული Ф400; ფოლადის ელ. ამძრავით | 4ც. | ავტომატური ამომრთველი ВА 53-41 1000A, □-25 2500A, □-40 4000A | 80ც. |
| უკუსარქველი Ф400 | 4ც. | | |
| ურდული თუჯის Ф-200 | 1ც. | საბოლოო ამომრთველი КУ-91, КУ-92, КУ-93, ВУ-250, ВК-200, ВК-300 | 30ც. |
| ურდული თუჯის Ф-100 | 1ც. | | |
| ჩამოსასხმელი მანქანა PUR-PAK 0,25; 0,5; 1,0 ლიტრიან პაკეტებში, წარმადობა 4500ლ/სთ. 1985 წ.წ/წ | 1ც. | შლანგი გოფრირებული. ბენზინ მედეგი 4-მეტრიანი Ф75 | 40ც. |
| | | სასწორი სამანქანო 25т | 1ც. |
| თვითმცლელი. წ/წ ГАЗ-53 | 1ც. | მანქანა-დანადგარებიდან შპაკლის და საღებავის ასაცლელი აპარატურა | 1ც. |
| ბელარუსი. წ/წ | | | |

## ფოტო განწყობისათვის



— ახლა რომ გავიპაროთ, მიხვდება რამეს?..

### წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

**სურათებზე**: კაილი მინოუგი; სანტანა;

1. კლარნეტი; 2. ურანი; 3. ბელუგა; 4. ტირიფი; 5. იდენტური; 6. იგი; 7. ლაზიერი; 8. ლაფი; 9. ჰანოი; 10. ნომი; 11. მნე; 12. აქცია; 13. ტრადიცია; 14. მაზეპა; 15. ბიშკეკი; 16. ხანუმა; 17. ეფა; 18. ფელეტონი; 19. კორიდა; 20. ემანსიპაცია; 21. კალმარი; 22. კონიაკი; 23. ნიკო; 24. პარაფი; 25. დეკადა; 26. ლაშარი; 27. კარუზო; 28. საიგა; 29. პოლიგამია; 30. ნერბი; 31. კილიტა; 32. საკი; 33. სეატი; 34. ესკიმო; 35. ანანი; 36. კვარტეტი; 37. რაინი; 38. ტიპიკონი.

13/V
სავსე მთვარე






**თარაზულად:** 1. მოზრდილფეხიანი ღვინის სასმისი; 6. სკანდინავიური თქმულება; 7. სახელმწიფო აფრიკაში; 8. ერთგვარი გულიანი ნამცხვარი; 9. ყველასთვის სავალდებულო წესი; 10. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 14. თბილისის გარეუბანი; 16. რაიმე ზემოქმედების საპასუხო მოქმედება; 18. ხშირი დაბურული ტყე; 19. რაიმე ნაკეთობის სანიმუშო ეგზემპლარი; 22. გადამდნარი კარაქი; 23. ციხის გალავანი; 24. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 26. შინაური ცხოველი; 27. ბოროტება, შური; 31. ლორად გამოყვანილი ზუთხის გვერდი; 33. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი, ველის ფოცხვერი; 34. პერიოდული გამოცემა; 35. კურკოვანი ხილი; 36. გოეთეს პოემა; 37. დედალი ჯიხვი; 38. ლირიკული ლექსების კრებული აღმოსავლეთის ქვეყნებში.

**შვეულად:** 1. ბოსტნეული; 2. ამერიკელი კინომსახიობი; 3. მეტალი; 4. გულზე ჩამოსაკიდი ღვთისმშობლის პატარა ხატი; 5. მალის დედაქალაქი; 10. მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოების ყველა პარტიის ერთობლიობა; 11. სამგლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; 12. ქალაქი საქართველოში; 13. დიდი გომბეშო; 15. დიდი ჩაქუჩი; 17. ლაოსის დედაქალაქი; 19. არანათელი ფერი; 20. რაიმე გადამდები სენის ფართოდ გავრცელება; 21. ამერიკული ავტომობილი; 25. ბულგარეთის ფულის ერთეული; 26. რთული ორგანული ნივთიერება, ორგანიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი; 28. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი; 29. მომკილი თავთავის კონა; 30. სამხედრო მატარებელი; 31. ჩხუბი, აყალმაყალი; 32. ნაკვერჩხლიანი ნაცარი; 33. თხის ხმიანობა.

*შეადგინა ვანო კაჭახიძე*

## „მიშელ ლერმონტოვი“



დიდი რუსი პოეტის მიხეილ ლერმონტოვის შესახებ მოსკოვში ხუთსერიიან ტელეფილმს იღებენ. ფილმის დამდგმელი რეჟისორი კი ქართველია — ნანა ჯორჯაძე.

„ალექსანდრე ჩერვინსკის სცენარი ოცი წლის წინ დაიწერა და როცა წავიკითხე, ძალიან მომეწონა, — ამბობს კინორეჟისორი ნანა ჯორჯაძე, — მაგრამ მაშინ ფილმის გადაღების უფლება არ მოგვცეს. ეტყობა, იმ დროს შემოქმედის საზოგადოებასთან ურთიერთობა ძალიან ნაცნობ ასოციაციებს აღძრავდა“. ფილმში, რომლის სამუშაო სახელწოდება არის „მიშელ ლერმონტოვი“ (წელს ლერმონტოვის გარდაცვალებიდან 165 წელი სრულდება), როგორც დამდგმელი რეჟისორი ამბობს, პოეტის ცხოვრებიდან სკანდალური ამბების ჩხრეკას და გამომზეურებას არ დაიწყებენ, არამედ იქნება მძაფრსიუჟეტიანი ფილმი დევნითა და ორთაბრძოლებით. ისტორიული რეალური მოვლენების ფონზე აქცენტი გაკეთდება იმ ფსიქოლოგიურ მოტივებზე, რაც გმირების ქმედებას განაპირობებდა. ცნობილია, რომ ლერმონტოვს რთული და მძიმე ხასიათი ჰქონდა, თუმცა თავის პოეზიაში იგი სულ სხვა ადამიანად წარმოჩნდება. „ეს იყო ადამიანი, რომელსაც ღმერთებთან შეეძლო ლაპარაკი და ადამიანებთან საერთო ენას ვერ პოულობდა. ჩემი აზრით, იგი ეძებდა სიკვდილს და მარტინოვი ამ მისიის აღმსრულებლად აირჩია. გენიოსი, ალბათ, დროზე უნდა გარდაიცვალოს“ — ამბობს ქალბატონი ნანა.

## ირაკლი ფირცხალავა რუსმა მილიციელებმა სცემეს

გაზეთ „ჟიზნის“ ინფორმაციით, ცნობილი მომღერალი ირაკლი ფირცხალავა სცემეს... მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ პასპორტი თან არ ჰქონდა. მომღერალი საკონცერტო დარბაზ „როსიაში“ გამოსვლის შემდეგ მეგობრებთან ერთად რესტორანში წავიდა, წარმატებული კონცერტის აღსანიშნავად, დილის 4 საათისთვის კი შინ წასვლა გადაწყვიტა. რესტორნიდან გამოსული ტაქსის გასაჩერებლად გზის პირას დადგა. სწორედ ამ დროს გაჩერდა მის ახლოს ორი ავტომანქანა, საიდანაც სამართალდამცველები გადმოვიდნენ და ფირცხალავას დოკუმენტები მოსთხოვეს.

— გულახდილად ვუთხარი, რომ პასპორტი თან არ მქონდა, — უამბო „ჟიზნის“ კორესპონდენტს მომღერალმა, — ვუთხარი, რომ მომღერალი ვარ, რომ „როსიაში“ მქონდა კონცერტი. რუსეთის მოქალაქეც ვარ-მეთქი და ჩემი მისამართიც დავუსახელე. ჩემდა მოულოდნელად, მილიციელებმა რუსებსა და ქართველებს შორის მტრობაზე დაიწყეს ლაპარაკი. ერთი სიტყვით, აბუჩად მიგდებდნენ. ბოლოს, ერთ-ერთმა გამოაცხადა, მანქანში ჩავსვათ და განყოფილებაში წავიყვანოთო. მივხვდი, რომ იქ საშინელება მელოდა და ადგილიდან მოვწყდი. საერთოდ, კარგ ფორმაში ვარ და დაახლოებით ოცი წუთი მაინც ვარბენინე ვიწრო ქუჩებში, მაგრამ არაფრით მანებებდნენ თავს. ამასობაში გზა ამებნა, რომელიღაც ჩიხში აღმოვჩნდი და ჩემ წინ კედელი აღიმართა. შოკში ვიყავი, სავსებით ორიენტაციადაკარგული. დამეწივნენ თუ არა, წამაქციეს და წიხლები დამაყარეს. დიდხანს მცემდნენ გაშმაგებით... ექვსნი თუ შვიდნი იყვნენ. ავღრიალდი, ამას ასე არ დავტოვებ, პასუხს გაგებინებთ-მეთქი. უცებ ერთ-ერთმა შესძახა, ეყოფა, მაგ...

კიდევ ერთხელ ჩამაზილეს წიხლი და წავიდნენ...

ირაკლი ფირცხალავა გაჭირვებით წამოდგა და გზის სავალ ნაწილამდე ძლივს მიაღწია. ჯიბეები მოისინჯა — ძვირად ღირებული მობილური ტელეფონი და 400 დოლარი აღარ ჰქონდა.

ირაკლი ფირცხალავას ექიმებმა თავის რბილი ქსოვილის მრავლობითი დაზიანება და იარები აღმოუჩინეს, დაშავებული აქვს მარჯვენა ფეხის კოჭის, მუხლისა და იდაყვის სახსრებიც. მომღერალი შურისძიებაზე არ ფიქრობს, მაგრამ არც თვალის დახუჭვას აპირებს.



— იმ ნაძირალებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, — ამბობს მომღერალი, — ჩემი მობილური ტელეფონიდან 70 დოლარის ზარია გაშვებული და ის ნომრებიც, რომლებზეც რეკავდნენ, დაფიქსირებულია. მახსოვს იმ მილიციელების სახეებიც, შემიძლია ყველა მათგანის ამოცნობა. ასე რომ, საქმეს მსვლელობას მივცემ და ბევრს სერიოზული პრობლემა შეექმნება...


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49

ტელ.: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„ქვირის პალიტრა“

გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.